ი. ჩიჭავა

ანგისაბჭოთა პოლიტიკის კრახი გენუისა და ჰაგის კონფერენციებზე

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1964

9 (c) 23.
9 (47) 23+327 (47) (09)
ჩ 69

ანოტაცია

წიგნში გაშუქებულია ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის ლენინური საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. ნაჩვენებია საბჭოთა დიპლომატიამ თუ როგორ ჩაშალა კაპიტალისტთა ცდა, რათა გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე ეკონომიური და დიპლომატიური ჩარევის გზით მოეხდინათ საბჭოთა რესპუბლიკის დაკაბალება. შრომაში აგრეთვე განხილულია პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბრძოლა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ე. ი. ლენინის მოძღვრება — ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ.

თავი პირველი

საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის

ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები

–დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში დაამხო კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალაუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა დაამყარა. შეიქმნა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც თავისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად მშვიდობის დაცვა გამოაცხადა.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას და მისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების საქვეყნოდ გამოცხადებას უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

იმპერიალიზმის სისტემიდან რუსეთის გამოვარდნის შემდეგ კაპიტალიზმი აღარ წარმოადგენდა მსოფლიო მეურნეობის ერთადერთ და ყოვლისმომცველ სისტემას, ვინაიდან მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის გვერდით უკვე სოციალისტური სისტემა გაჩნდა. იგი კაპიტალისტურ სისტემას დაუპირისპირდა და თავისი არსებობის თვით ფაქტით ცხადყოფდა კაპიტალიზმის სიდამპლეს, არყევდა მის საფუძვლებს.

ამიერიდან ორ სისტემას შორის დამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობის მთავარ საკითხს წარმოადგენდა. საზოგადოებრივი წყობილების სხვადასხვაობა არ გამორიცხავდა ამ ორ სისტემას შორის თანამშრომლობის შესაძლებ-

ლობას. კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას შესაძლებლად მიაჩნდათ და მიაჩნიათ ორი სისტემის მშვიდობიანი თანამშრომლობა. ეს არა მარტო შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა.

ორი სისტემის თანაარსებობის ისტორიული აუცილებლობა ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინური მოძღვრებიდან უშუალოდ გამომდინარეობს. როდესაც სოციალისტური ქვეყნის ან ქვეყნების გვერდით არსებობას განაგრძობენ კაპიტალისტური ქვეყნები, აუცილებელი ხდება ამ ორი სისტემის თანაარსებობა და თანამშრომლობა.

ვ. ი. ლენინი 1920 წლის 18 თებერვალს ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ეევნინგ ჯორნალის" კორესპონდენტისადმი თავის პასუხში თანმიმდევრულად ავითარებდა ორი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის იდეას. „ჩვენი გეგმები აზიაში?" იგივეა, — ამბობდა ლენინი, — რაც ევროპაში: მშვიდობიანი თანაცხოვრება ხალხებთან, მუშებთან და გლეხებთან ყველა ერისა, რომლებიც იღვიძებენ ახალი ცხოვრებისათვის, ცხოვრებისათვის ექსპლოატაციის, მემამულეების, კაპიტალისტების, ვაჭრების გარეშე"[1].

ხოლო იმავე კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორია საბჭოთა რუსეთსა და ამერიკას შორის მშვიდობის საფუძვლები, ვ. ი. ლენინმა უპასუხა:

„დაე ამერიკელი კაპიტალისტები ჩვენ ნუ შეგვეხებიან. ჩვენ მათ არ შევეხებით. ჩვენ მზადაც კი ვართ ოქროთი გადავუხადოთ ტრანსპორტისა და წარმოებისათვის სასარგებლო მანქანების, იარაღების და სხვათა ნაცვლად. და არა მარტო ოქროთი, არამედ ნედლეულითაც... ჩვენ მომხრე ვართ კავშირისა ყველა ქვეყანასთან, გამოუკლებლივ"[2].

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა მშვიდობიან მშენებლობას, ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებას. იგი ამბობდა, რომ ჩვენ ხელი მოვკიდეთ მშვი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 439.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 440.

დობიან მშენებლობას და ყველა ძალას ვიხმართ, რომ იგი განუწყვეტლად განვაგრძოთ. ამასთან დაკავშირებით ლენინი აყენებდა საკითხს: „მაგრამ შესაძლებელია თუ არა საერთოდ ისეთი რამ, რომ სოციალისტური რესპუბლიკა არსებობდეს კაპიტალისტურ გარემოცვაში?“ და, კაპიტალისტურ ქვეყნებთან საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულების ანალიზის საფუძველზე, იქვე დასძენდა: „ეს რომ შესაძლებელია პოლიტიკური და სამხედრო მხრივ, ეს დამტკიცებულია, ეს უკვე ფაქტია“[1].

ორი სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა თანაარსებობის შესაძლებლობის ლენინური მოძღვრება გამორიცხავს უცხოეთიდან რევოლუციის იმპორტის გზით სახელმწიფოს ახალი საზოგადოებრივი წყობილების თავზე მოხვევას.

კაპიტალიზმის იდეოლოგები ცდილობენ ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირს. ისინი „ამტკიცებენ“, რომ თითქოს ჩვენს ქვეყანას განზრახული აქვს სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმი დაამხოს. „რევოლუციის ექსპორტის“ თეორია მოწოდებულია თვით კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი ისტორიული განვითარების კანონზომიერება დაძლიოს, რომელსაც კაპიტალიზმი გარდუვალ დაღუპვამდე მიჰყავს. იგი საქმეს იმგვარად გვიხატავს, თითქოს კაპიტალიზმი თავის მხრივ მტკიცეა, არავითარი შინაგანი ძალები მას არ ემუქრება, თითქოს საშიშროება მხოლოდ გარედან მომდინარეობს.

კომუნისტები „რევოლუციის ექსპორტის“, ხალხებისა და სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ყოველგვარი ჩარევის, ხალხებისათვის რომელიმე სოციალური წყობილების თავზე მოხვევის პრინციპულად მოწინააღმდეგენი იყვნენ და არიან. რევოლუციები გარედან არ მოდიან, არამედ თვითეულ კაპიტალისტურ ქვეყანაში მშრომელებსა და ექსპლოატატორებს შორის შინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზე წარმოიშვებიან. „კაპიტალიზმის ბატონობას ძირი ეთხრება არა იმიტომ,— წერდა ლენინი, — რომ ვიღაცას უნდა ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში. ძალაუფლების „ხელში ჩაგდება“ უაზრობა იქნებოდა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 165.

კაპიტალიზმის ბატონობის შეწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა, ამას რომ არ იწვევდეს კაპიტალისტური ქვეყნების მთელი ეკონომიური განვითარება... კაპიტალიზმს ვერავითარი ძალა ვერ დაანგრევდა, რომ მისთვის ძირი არ გამოერეცხა და არ გამოეთხარა ისტორიას"[1].

მას შემდეგ, რაც იმპერიალისტების მიერ ორგანიზებული 14 სახელმწიფოს ანტისაბჭოთა სამხედრო ინტერვენცია ჩაიშალა, როცა მსოფლიოს რეაქციული ძალებისათვის ცხადი გახდა, რომ იარაღით ისინი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ვერ დაამარცხებდნენ, გადაწყვიტეს ეკონომიური ჩარევის გზით ბოლო მოეღოთ საბჭოთა რუსეთის დამოუკიდებლობისათვის. იმპერიალისტები 1922 წელს ამ მიზანს ისახავდნენ გენუის კონფერენციაზე, მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნების ასეთი ცდაც კრახით დამთავრდა. საბჭოთა რუსეთი მზად იყო ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა დაემყარებინა კაპიტალისტურ ქვეყნებთან მხოლოდ თანასწორუფლებიანობის დაცვის საფუძველზე. საბჭოთა დელეგაციამ უარყო იმპერიალისტური ქვეყნების კაბალური პირობები და მას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ახალი პრინციპები დაუპირისპირა. რჩებოდა რა კომუნიზმის პრინციპების თვალსაზრისზე, საბჭოთა რუსეთის დელეგაცია ცნობდა ორი სისტემის თანაარსებობის შესაძლებლობას და მათ შორის ეკონომიურ თანამშრომლობას.

ამრიგად, გენუის კონფერენციაზე საბჭოთა მთავრობის სახელით დელეგაციამ გარკვეულად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ორი სხვადასხვა სისტემის ეკონომიური თანამშრომლობისა და თანაარსებობის პრინციპები.

ახალგაზრდა საბჭოთა დიპლომატიამ, გაანგრია რა იმპერიალისტების ეკონომიური ბლოკადის კედელი, ჩაშალა საბჭოთა კავშირის დაკაბალების იმპერიალისტთა გეგმა, გამოიყენა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობა და გერმანიასთან რაპალოს ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულების ხელმოწერა საბჭოთა დიპლომატიის უდიდესი გამარჯვება იყო.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 504.

საბჭოთა სახელმწიფომ თავისი წარმოშობის პირველ-
დღიდანვე მშვიდობიანი თანაარსებობა საგარეო პოლიტიკის
ძირითად პრინციპად გამოაცხადა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ
საბჭოთა ხელისუფლების პირველი სახელმწიფოებრივი აქტი
იყო დეკრეტი ზავის შესახებ, დეკრეტი სისხლისმღვრელ-
ომის შეწყვეტის შესახებ.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას საფუძვლად
ედო ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და მათ
შორის თანამშრომლობის შესაძლებლობის ლენინური მო-
ძღვრება.

ამ პრინციპის აღიარება ამავე დროს მათი მშვიდობიანი
ეკონომიური შეჯიბრების აუცილებლობის აღიარებასაც ნიშ-
ნავს.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ ორი სისტემის მშვიდობიანი
ეკონომიური შეჯიბრება წარმოადგენს სოციალიზმისა და კაპი-
ტალიზმის ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას, იმ ბრძოლისა,
რომელიც ორი სისტემის თანაარსებობის მთელ პერიოდს
ავსებს. 1921 წელს ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ახლა ჩვენ საერ-
თაშორისო რევოლუციაზე მთავარ ზეგავლენას ჩვენი სამე-
ურნეო პოლიტიკით ვახდენთ. ყველანი საბჭოთა რუსეთის
რესპუბლიკას შესცქერიან, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრო-
მელნი სრულიად გამოუკლებლივ და სრულიად გაუზვიადებ-
ლად. ეს მიღწეულია. კაპიტალისტებს არაფრის მიჩქმალვა და
დამალვა არ შეუძლიათ, ამიტომ ისინი ყველაზე მეტად ჩვენს
სამეურნეო შეცდომებსა და ჩვენს სისუსტეს უთვალთვალე-
ბენ. ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით ამ სარბიელზეა გადატა-
ნილი. თუ ჩვენ ამ ამოცანას გადავწყვეტთ, მაშინ ჩვენ საერ-
თაშორისო მასშტაბით უცილობლად და საბოლოოდ მოვი-
გებთ“[1].

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა მეურნეობის სოციალისტური
სისტემის კაპიტალისტურ სისტემასთან ეკონომიური შეჯიბ-
რების მეთოდები. ძირითად მეთოდად იგი სოციალისტურ
სისტემაში შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას და შრო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 556.

მის უფრო სრულყოფილ ორგანიზაციას თვლის. ვ. ი. ლენინის თქმით, შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად.

ქვეყნის მომავლის, სამართლიანი საქმის უძლეველობის, თავისი ძალების რწმენა, კომუნისტური საზოგადოების დიადი პერსპექტივები, რომლებიც მთელი სიძლიერით იჩენენ თავს, — აი რა არის საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იმ აზრისაა, რომ სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა მშვიდობიან შეჯიბრებად გადავაქციოთ.

მეურნეობის სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების ქვეყნებს საერთაშორისო თანამშრომლობის ერთიმეორისაგან განსხვავებული პრინციპები ახასიათებთ. საერთოდ, საერთაშორისო თანამშრომლობის ორი სახე არსებობს.

საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ სახეს საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიან სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის განვითარება, როდესაც დაცულია დიდი და პატარა ხალხების ეროვნული ინტერესები, ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენული უფლებები, როდესაც ერთი ქვეყანა მეორე ქვეყნის შინაგან საქმეში არ ერევა. ასეთია სოციალისტური საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლები, რომლებიც მეგობრობას, ეროვნული ინტერესებისადმი პატივისცემას ემყარება. ასეთი თანამშრომლობა ხელს უწყობს ორი ან რამდენიმე ქვეყნის ხალხების დაახლოებას.

საერთაშორისო თანამშრომლობის მეორე სახეს საფუძვლად უდევს ერთი ან რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოს გაბატონებული მდგომარეობა, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს შინაგან საქმეებში აშკარად ერევა, როდესაც ერთი სახელმწიფოს პოლიტიკა მეორე სახელმწიფოს მიმართ დიქტატზე, დაკაბალებაზე, ინტრიგებზე, საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზეა დამყარებული. ასეთ შემთხვევაში ერთი, ეკონომიურად და პოლიტიკურად უფრო

სუსტი სახელმწიფო მეორე, ეკონომიურად და პოლიტიკურად უფრო ძლიერი სახელმწიფოს დამოკიდებულ მდგომარეობაში ვარდება. ამის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

საბჭოთა კავშირი პირველი სახის საერთაშორისო თანამშრომლობას ეყრდნობა და უდიდეს დახმარებას უწევს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს; ხელს უწყობს მათი მრეწველობის დონის განუწყვეტელ ზრდას. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ დემოკრატიული ბანაკის სათავეში მოწინავე ქვეყანა — სსრ კავშირი დგას, რაც დიდ შესაძლებლობას იძლევა მაღალხარისხოვანი ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს სხვა დემოკრატიულ ქვეყნებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევენ ორ სისტემას შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის საკითხს, რომელსაც საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ახლა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა განცხადებებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მიუხედავად ეკონომიური სისტემებისა და იდეოლოგიური განსხვავებისა, ორ სისტემას შორის თანაარსებობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა სავსებით შესაძლებელია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან 46 წელში განვლო. განვლილმა დრომ სავსებით დაადასტურა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური მოძღვრების სისწორე.

ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა და მათ შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა გულისხმობს ომზე, როგორც სადავო საკითხების გადაწყვეტის საშუალებაზე, ხელის აღებას, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემას, შინაგან საქმეებში ჩაურევლობას, ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დამყარებას და ა. შ.

მშვიდობიანი თანაარსებობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა — სახელმწიფოთა თანამშრომლობა სსრ კავშირის მხრივ ეჭვს არ იწვევს. ამას მოწმობს საბჭოთა კავშირის საგარეო პო-

ლიტიკის ღონისძიებები, მისი როლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის საქმეში, ბრძოლა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ომისშემდგომი პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის და ბოლოს ის მუშაობა, რომელსაც საბჭოთა დიპლომატია ეწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში. მაგრამ ორ სისტემას შორის თანამშრომლობისა და მათ შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის საკმარისი არ არის მარტო სოციალისტური სისტემის ქვეყნების სურვილი თანამშრომლობის შესახებ. საჭიროა ასეთი სურვილი კაპიტალისტური ქვეყნების მმართველ წრეებსაც ჰქონდეთ.

ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის მნიშვნელოვანი პირობაა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა. საერთაშორისო სამართლის ეს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომელიც ფიქსირებულია, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პირველი პრინციპი, ერთ-ერთ ძირითადს წარმოადგენს საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ამ საკითხში მთლიანად ემყარება ლენინურ მოძღვრებას ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, რომელიც იქიდან გამოდის, რომ ერი სუვერენულია და თანასწორუფლებიანი.

ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას აგრეთვე სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობა წარმოადგენს. ამ პრინციპს განუხრელად იცავს საბჭოთა კავშირის მთავრობა და, როცა ლაპარაკია სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებაზე, ამასვე მოითხოვს სხვა ქვეყნების მთავრობებისაგან. იმპერიალისტური წრეების ცდა — ამტკიცონ, თითქოს საბჭოთა კავშირთან და სოციალიზმის ბანაკის სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი ცხოვრება შეუძლებელია იმის გამო, რომ თითქოს ისინი კაპიტალისტურ ქვეყნებში „არეულობას“ აწყობენ — სრული სიცრუეა და ეს კარგად ესმით მსოფლიოს პატიოსან ადამიანებს. იმპერიალისტებს ამ მხრივ სულ უფრო უძნელდებათ მშრომელი მასების მოტყუება.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი წერს: „თქვენი მეზობელი შეიძლება ჰოგწონდეთ და შეიძლება არც მოგწონდეთ. თქვენ მოვალე არა ხართ მეგობრობდეთ და სტუმრად დადიოდეთ მასთან. მაგრამ თქვენ ერთმანეთის გვერდით ცხოვრობთ, და რას იზამ, თუ არც თქვენ, არც მას ხალისი არა გაქვთ შეჩვეულ ადგილს მოსწყდეთ და სხვა ქალაქში გადახვიდეთ. მით უმეტეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში. გონივრული არ იქნება ივარაუდოთ, რომ მოახერხებთ ისე აწყენინოთ თქვენთვის არასასურველ მეზობელს, რომ იგი გადაწყვეტს გადაბარგდეს სადმე მარსზე თუ ვენერაზე. და, რა თქმა უნდა, პირიქით.

მაშ რა დაგვრჩენია? შესაძლებელია ორი გამოსავალი: ან ომი, ხოლო რაკეტული ტექნიკისა და წყალბადის ბომბის საუკუნეში მას უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვება ყველა ხალხისათვის, — ან მშვიდობიანი თანაარსებობა. მოგწონს შენი მეზობელი თუ არ მოგწონს, რას იზამ, როგორღაც უნდა შეეგუო მას, ვინაიდან პლანეტა ერთი გვაქვს“[1].

საბჭოთა კავშირის ბრძოლა მშვიდობისათვის უდიდეს მხარდაჭერას პოულობს მთელს მსოფლიოში. მთელი რიგი ბურჟუაზიული ავტორებიც კი იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა. ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე კარლოს ლამონტი ბროშურაში „საბჭოთა რუსეთი და ომის შემდგომი მსოფლიო“ წერდა: „1917 წელს თავისი დაარსებიდან საბჭოთა რესპუბლიკამ დაამტკიცა მთელი თავისი მოქმედებით, რომ მისი პოლიტიკა არის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა“.

თავის მეორე წიგნში „საბჭოთა ცივილიზაცია“ იგი წერდა: „საბჭოთა კავშირს პირველ რიგში სურს მშვიდობა. ამიტომ საერთაშორისო ურთიერთობაში იგი ყველაზე უფრო მაღლა ამას აყენებს“.

ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ შრომაში — „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“. დაამტკიცა ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების არა

[1] ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი, მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 1959 წლის 8 სექტემბერი.

მარტო შესაძლებლობა, არამედ რევოლუციის მონაპოვრის განმტკიცებისა და სოციალიზმის აშენების შესაძლებლობაც. ერთ ქვეყანაში რევოლუციის მონაპოვრის განმტკიცებისა და სოციალიზმის მშენებლობის პერსპექტივა, ბუნებრივია, პასუხს მოითხოვდა კითხვაზე, როგორ მოეწყობა ამ ქვეყნის ურთიერთობა კაპიტალისტურ მსოფლიოსთან. ვ. ი. ლენინმა 1915—1917 წწ. დაწერილ რიგ ნაწარმოებებში: „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ", „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა", „რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკა", „რევოლუციის ამოცანები" და სხვ. გვიჩვენა, რომ კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის ეპოქა ორი სისტემის ერთდროულად თანაარსებობის ეპოქა იქნება, რომ ამ სისტემის სახელმწიფოთა შორის შეიძლება მშვიდობიანი თანაარსებობა.

ვ. ი. ლენინი ამავე დროს მიუთითებდა, რომ იმპერიალიზმი შეეცდება მსოფლიოში გამარჯვებული პროლეტარიატის პირველი სახელმწიფო სამხედრო ძალის მეშვეობით, შეიარაღებული ინტერვენციის გზით გაანადგუროსო. ის ხაზს უსვამდა სოციალისტური რევოლუციის შეიარაღებული ძალების შექმნის აუცილებლობას და მის მომზადებას თავის მონაპოვართა დასაცავად. ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ გამარჯვებული მუშათა კლასის ქვეყანას შესაძლებლობა აქვს შეინარჩუნოს თავისი არსებობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმპერიალისტები შეეცდებიან თავს მოახვიონ ომი. ამასთან ერთად ლენინი მიუთითებდა, რომ გამარჯვებული მუშათა კლასი სამხედრო ძალას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც თავს მოახვევენ ომს. მუშათა კლასის, კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზი მშვიდობა, მშვიდობიანი თანაარსებობის ხაზია.

როდესაც საბჭოთა სახელმწიფო ბრესტში გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა, ზავისათვის ბრძოლის დღეებში ვ. ი. ლენინმა დაიცვა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა ტროცკის და ე. წ. „მემარცხენე კომუნისტების" გაფთრებული შეტევისაგან. ტროცკისტები და „მემარცხენე კომუნისტები" უარყოფდნენ მშვიდო-

ბიანი თანაარსებობის შესაძლებლობას. ისინი თვლიდნენ, რომ ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციისათვის განმტკიცებისა და განვითარების პერსპექტივები არ არის, ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოს ერთი გამოსავალი აქვს: — რევოლუციური ომი მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს წინააღმდეგ. ამ ომში ან დაიღუპება საბჭოთა სახელმწიფო ან სოციალისტური რევოლუცია მთელს მსოფლიოში გაიმარჯვებს, — აცხადებდნენ ტროცკისტები და „მემარცხენე კომუნისტები“.

ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ ტროცკისტების და „მემარცხენე კომუნისტების“ ავანტურისტული პოზიცია მათ მიერ საზოგადოებრივი განვითარების კანონების სრულ უცოდინარობას მოწმობს, რომ მშვიდობის მოწინააღმდეგეთა „მემარცხენე“ ფრაზებს იქით მუშათა და გლეხთა ძალებში ურწმუნობა, სავსებით აშკარა კაპიტულანტობა იმალება.

ვ. ი. ლენინი სტატიაში — „უცნაური და შემზარავი“ — შიუთითებდა, რომ „მემარცხენე კომუნისტები“ გამოდიან იმპერიალისტებთან, რომელიც გინდ არ იყოს ზავის წინააღმდეგ. მაგრამ თუ არ არის ზავი, არ არის მშვიდობიანი თანაარსებობა, მაშინ სოციალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლია წარმატებით განვითარდეს ჩვენს პლანეტაზე. „იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მოქცეული სოციალისტური რესპუბლიკა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ამგვარ შეხედულებათა თვალსაზრისით, ვერავითარი ეკონომიური ხელშეკრულების დადებას ვერ შესძლებდა, იგი ვერ იარსებებდა, თუ მთვარეზე არ გაფრინდებოდა“[1].

ბრესტის ზავმა, რომელმაც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანი შესვენება მისცა, გვიჩვენა ვ. ი. ლენინის სიმართლე, მაგრამ მშვიდობიანი შესვენება ხანმოკლე აღმოჩნდა. იგი უცხოელმა იმპერიალისტებმა ჩაშალეს და რუსეთის კონტრრევოლიციასთან ერთად შეეცადნენ იარაღით ჩაეხშოთ საბჭოთა ხელისუფლება. რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციამ აიძულა ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები კვლავ მიემართათ იარაღისათვის, რომ შეენარჩუნებინათ რევოლუციის მონაპოვარი. საბჭოთა მთავრობამ ბრწყინვალედ შეასრულა ეს ამოცანა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, ‘ხხზ., ტ. 27, გვ. 66.

1920 წლის ნოემბერში, როდესაც ინტერვენტებთან შეიარაღებული ბრძოლის ალი ჯერ კიდევ ქვეყნის რიგ რაიონებში ენთო, ვ. ი. ლენინი მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის გამარჯვებაზე მიუთითებდა. იგი ამბობდა: „ამრიგად, გამოვიდა, რომ ძირითადად ყველაფერში გამართლდა ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი წინასწარმეტყველება... მაინც ბრძოლით მივიღეთ ისეთი პირობები, როდესაც შეგვიძლია ვიარსებოთ კაპიტალისტური სახელმწიფოების გვერდით, რომელნიც იძულებულნი არიან ახლა სავაჭრო ურთიერთობა დაამყარონ ჩვენთან... ჩვენ გვაქვს არა მარტო შესვენება, — ჩვენ გვაქვს ახალი ხანა, როდესაც ჩვენი ძირითადი საერთაშორისო არსებობა კაპიტალისტური სახელმწიფოების ქსელში მოპოვებულია“[1].

მშვიდობიანი თანაარსებობის ხელშემწყობ სერიოზულ ფაქტორს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მშვიდობისადმი მისწრაფება წარმოადგენს. ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა სავსებით უპასუხებს მათ სასიცოცხლო ინტერესებსა და სურვილებს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ უცხოეთის შეიარაღებული სამხედრო ინტერვენციის წლებში, ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ მშრომელები გამოვიდნენ ლოზუნგით — „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან“, ეს კი მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის აქტიურ მხარდაჭერას ნიშნავდა. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ამ პრინციპისადმი ასეთი მხარდაჭერა შემდგომ ათეულ წლებშიც უეჭველად დიდ როლს ასრულებდა საერთაშორისო პოლიტიკაში. კაპიტალისტური სახელმწიფოების ხალხთა მასების აგრესიისა და სამხედრო ავანტიურათა იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა დიდი წვლილია სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის დიად საქმეში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა ცხოვრებაში ატარებს მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის პოლიტიკას, ორი სისტემის თანაარსებობისა და მათ შორის თანამშრომლობის პოლიტიკას. ეს კი საბჭოთა წყობილების თვით ბუნებიდან გამომ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 503 — 504.

დინარეობს, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და რიგი კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკა, უარის თქმა ორი სისტემის თანამშრომლობაზე — აი რა იწვევს თანამედროვე საერთაშორისო დაძაბულობას.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემის მნიშვნელობა ამჟამად გიგანტურად გაიზარდა. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთა გამარჯვებამ საერთაშორისო ვითარებაში ძირეულ ცვლილებამდე მიგვიყვანა, ამის შედეგად მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეა თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში სულ უფრო მძლავრ მამოძრავებელ ძალად ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები და მათზე დამოკიდებული ქვეყნების მთავრობები ნატოს გაერთიანებიდან ორი სისტემის ნორმალური თანაარსებობისა და თანამშრომლობის წინააღმდეგი არიან, ჩვენ ხშირად მაინც ვხვდებით ცალკეულ გამოსვლებს თვით კაპიტალისტური წრეებიდან, როცა ესა თუ ის პიროვნება თანამშრომლობის მომხრედ გამოდის. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი ჯ. შოტუელი წიგნში „შეერთებული შტატების როლი ისტორიაში“, ნორმალური ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებას მოითხოვს საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის. იგი საჭიროდ თვლის ორივე მხარის ურთიერთ ინტერესების მზარდ აღიარებას. ამის ხელშემწყობად ავტორი ვაჭრობას და ტურიზმს ასახელებს. შოტუელი სსრ კავშირის მიმართ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის განხორციელებას მოითხოვს. ხოლო, თუ როგორი იქნება შედეგი, ამას, ავტორის აზრით, მომავალი გვიჩვენებს.

ორი სისტემის „ხანგრძლივი თანაარსებობის“ შესაძლებლობა და გარდუვალობა იძულებულია ფრედერიკ შუმანმა აღიაროს თავის სტატიაში „თანაარსებობის დიალექტიკა“, რომელიც მან ამერიკულ ჟურნალ „კარენტ ჰისტორიში“ გამოაქვეყნა.

ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და მათ შო-

რის თანამშრომლობის მომხრედ გამოდის კანადელი პროფესორი მეიო.

ამრიგად, მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის საკითხს მოწინააღმდეგეებთან ერთად მრავალი მომხრე ჰყავს თვით კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

მეორე მსოფლიო ომამდე სოციალისტური სისტემა მხოლოდ ერთი სოციალისტური სახელმწიფოს სახით იყო წარმოდგენილი. მის წილად დედამიწის ტერიტორიის მხოლოდ 17-მდე პროცენტი, მოსახლეობის დაახლოებით 9 პროცენტი და სამრეწველო წარმოების დაახლოებით 10 პროცენტი მოდიოდა. ამჟამად სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს დედამიწის ტერიტორიის უკვე მეოთხედი უჭირავს, სადაც დედამიწის მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს და მათ წილად მსოფლიო სამრეწველო წარმოების მესამედზე მეტი მოდის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმი ერთი ქვეყნის ფარგლებს გასცდა და მსოფლიო სისტემად გადაიქცა. ამჟამად მსოფლიოში ორი მოწინააღმდეგე სისტემაა — სოციალისტური და კაპიტალისტური. ისინი სხვადასხვა კანონებით და საპირისპირო მიმართულებით ვითარდებიან. ამჟამად მშვიდობიანი თანამშრომლობის საკითხი ეს ორი მსოფლიო სისტემის ურთიერთდამოკიდებულების საკითხია.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა ამჟამად მძლავრ ძალას წარმოადგენს. თუ 1919 წლის მონაცემებს ჩვენი დროის მსოფლიო პოლიტიკურ რუკას შევადარებთ, ასეთ სურათს დავინახავთ[1]: (იხილეთ ცხრილი მე-17 გვ.).

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, 1961 წლისათვის სოციალისტური სისტემის ქვეყნების ფართობი 1919 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით 1,6-ჯერ, ხოლო მოსახლეობა 7,7-ჯერ გაიზარდა. ამასთან, კოლონიებში, ნახევრადკოლონიებში და დომინიონებში მოსახლეობის რაოდენობა 1919 წლის 1230 მლნ კაციდან 1961 წელს 85,4 მლნ კაცამდე შემცირდა, რაც მთელი მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 2,8%. შეადგენს.

სოციალისტური სისტემის ქვეყნებმა 1960 წელს სამრე-

[1] სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1962, გვ. 158.

	1919 წლისათვის				1961 წლისათვის			
	ფართობი		მოსახლეობა		ფართობი		მოსახლეობა	
	მლნ კვ. კმ	%	მლნ კაცი	%	მლნ კვ. კმ	%	მლნ კაცი	%
I. მთელი მსოფლიო აქედან:	135,4	100	1777	100	135,4	100	3017	100
1. სოციალისტური სამყარო	21,7	16,0	138,0	7,8	35,1	25,9	1072	35,5
2. დანარჩენი სამყარო	113,7	84,0	1639	92,2	100,3	74,1	1945	64,5
II. დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები (აშშ, ინგლისი, გერმანია — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, იაპონია, იტალია) და მათი კოლონიები	60,3	44,5	855	48,1	18,6	13,7	541,5	17,9
III. ყველა კოლონია, ნახევრადკოლონია და დომინიონი	104,5	77,2	1230	69,2	14,2	10,5	85,4	2,8
IV. ყოფილი, კოლონიური, ნახევრადკოლონიური ქვეყნები, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს 1919 წ. შემდეგ (გარდა სოციალისტური სახელმწიფოებისა)	—	—	—	—	72,2	53,4	1228	40,7

წველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 1937 წელთან შედარებით 6,8-ჯერ გაადიდეს, კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებმა კი — 2,5-ჯერ და უფრო ნაკლებად. მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში სოციალიზმის სისტემის ქვეყნების წილი 1955 წელს 27%. შეადგენდა, 1960 წელს დაახლოებით 36%.-მდე გაიზარდა.

ამ ძირეულ ცვლილებათა საფუძველზე სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულ სკკპ პროგრამაში აღნიშნულია: „კაცობრიობის ისტორიული განვითარების მთავარ შინაარსს, მთავარ მიმართულებასა და მთავარ თავისებურებებს განსაზღვრავენ მსოფლიო სოციალისტური სისტემა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის მებრძოლი ძალები"[1].

სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში მსოფლიო არენაზე მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემა განუზომლად უფრო აქტუალური გახდა. კაცობრიობის წინაშე მხოლოდ ორი გზაა: ან მშვიდობიანი თანაარსებობა, ან ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი ომი. სოციალისტური ბანაკი თანმიმდევარი და უტყუარი მებრძოლია მშვიდობისათვის, ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. მშვიდობის ძალები მნიშვნელოვანია კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, მაგრამ ამ ქვეყნებში არსებობენ და მოქმედებენ აგრეთვე ომის ძალები. მშვიდობიან თანაარსებობაზე მებრძოლთ უფლება არა აქვთ ეს ჭეშმარიტება დაივიწყონ. სანამ არსებობს იმპერიალიზმი, ეკონომიური საფუძველი არსებობს ომების წარმოშობისათვის. კაპიტალისტურ მსოფლიოში ღრმა წინააღმდეგობათა ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ეკონომიური ბრძოლის გაძლიერება ბაზრებისათვის, მათი ბრძოლის მკვეთრი გამწვავება მსოფლიოს გადანაწილებისათვის, ხალხების დამონებისა და მსოფლიო ბატონობისათვის, — ყოველივე ეს მყარი ნიადაგია, რომელზედაც გარკვეული წრეების ავანტურისტული საომარი გეგმები აღმოცენდებიან მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში. თანამედროვე იმპერიალიზმის აგრესიულ წრეებს სურთ მსოფლიო ბატონობა მოიპოვონ, ჩაახშონ მუშათა დემოკრატიული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, სოციალიზმის ბანაკის წინააღმდეგ განახორციელონ სამხედრო ავანტურები.

დედამიწაზე ჯერ კიდევ რჩება კაპიტალიზმი, რეაქციული ძალები, რომლებიც კაპიტალისტურ მონოპოლიათა ინტერესებს გამოხატავენ, რომლებიც შემდგომშიც სამხედრო ავან-

[1] სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1962, გვ. 416.

ტურისა და აგრესიისაკენ წარიმართებიან, შეეცდებიან ომი გააჩაღონ.

მსხვილი მონოპოლიები ეკონომიურად დაინტერესებულნი არიან შეიარაღების ზრდაში, რაც უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ მოგებას. ამერიკული ჟურნალი „ნეიშნი“ 1956 წლის 28 იანვარს წერდა: „ამერიკის სისტემის განმასხვავებელ ნიშანს მანერა წარმოადგენს, რომლისგანაც წლითიწლობით ქრება მსგავსება „თავისუფალ მეწარმეობასთან“. ამჟამად ეს სისტემა უფრო მეტად მთავრობის მფარველობას, პირდაპირ და არაპირდაპირ სუბსიდიებსა და კაპიტალდაბანდებათა წამქეზებელ საგადასახადო შეღავათებს ეყრდნობა. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფო მხარდაჭერის მქონე ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული შეიარაღებისათვის დიდ ასიგნებათა შენარჩუნებაზე“.

მაგრამ ომის წარმოშობის საკითხში მარტო ეკონომიურ მოვლენებს არა აქვს მნიშვნელობა.

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ამ საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვს კლასობრივ და პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას, ადამიანთა ორგანიზებასა და ნებისყოფას. განსაზღვრულ პირობებში — მოწინავე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალთა ბრძოლას გადამწყვეტი როლი შეუძლია შეასრულოს ომის თავიდან აცილებისათვის.

არსებობენ მძლავრი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომლებსაც სერიოზული საშუალებები აქვთ, რათა არ დაუშვან იმპერიალისტური ომის დაწყება. ხოლო, თუ იმპერიალისტებმა მაინც სცადეს ომის გაჩაღება, შეიძლება გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაეწიოს აგრესორებს და ჩაშლილ იქნას მათი ავანტურისტული გეგმები.

სკკპ XXII ყრილობის მიერ საერთაშორისო ვითარებისა და მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივათა ღრმა ანალიზმა ახალი ძალით დაადასტურა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა და აუცილებლობა. ახალი ძალები ჩააბან ყველა იმათ რიგებში, ვინც ომის საწინააღმდეგოდ გამოდის.

მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის წინააღმდეგობათა

განვითარებამ თანამედროვე პირობებში ახალი ხასიათი მიიღო, რაც იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევაში გამოიხატება.

როგორც სკკპ XXII ყრილობაზე აღინიშნა, 1956—1961 წლებში 28 სახელმწიფომ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ჩვენი საუკუნის სამოციანი წლები ისტორიაში შევა როგორც იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის სრული ნგრევის წლები.

მოიშორა რა იმპერიალისტების უღელი და დაამსხვრია ფეოდალურ ურთიერთობათა გზები, დიდი ჩინელი ხალხი ახალ ცხოვრებას აშენებს. ათიოდე წლის წინათ ინდოეთი ინგლისის დომინიონი იყო. ახლა ინდოეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტული წევრია. სახალხო ჩინეთი და დამოუკიდებელი ინდოეთი დიდ ქვეყანათა რიგებში ჩადგნენ.

უკანასკნელ დროს მომხდარი ამბები კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ახალ წარმატებებს მოწმობენ: ინდონეზიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, პაკისტანი რესპუბლიკა გახდა, დამოუკიდებლობა მიიღეს მაროკომ, ტუნისმა და გმირმა ალჟირელმა ხალხმა. დღის წესრიგში დასმულია ყველაზე მწვავე პრობლემის — სამარცხვინო კოლონიური სისტემის რული ლიკვიდაცია.

სულ უფრო იზრდება კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მოსახლეობის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ხოლო დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეების ცდა, შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა აზიისა და აფრიკის ქვეყნებზე, მარცხს განიცდის.

მონოპოლისტები ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან ის მოგებები, რომლებსაც ათეული წლების განმავლობაში აღმოსავლეთის ხალხების ექსპლოატაციის შედეგად ღებულობდნენ. 1955 წელს ამერიკისა და ინგლისის კომპანიებმა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში 150 მილიონი ტონა ნავთობი მოიპოვეს, რაზედაც 240 მილიონი დოლარი დახარჯეს, ხოლო ნავთობის რეალიზაციიდან წმინდა მოგებამ 1900 მილიონი დოლარი შეადგინა.

იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა ძოხოპოლისტების მიერ მოგების წყაროების დაკარგვას ნიშნავს. იმპერიალიზმი კარგავს კაპიტალის დაბანდების სფეროს, გასაღების ბაზრებს და ნედლეულის წყაროებს.

იმპერიალისტური სახელმწიფოები კარგავენ რეზერვს თავიანთი აგრესიული არმიებისათვის. კაპიტალისტური მთავრობები ერთი კოლონიის ჯარისკაცებს იმისათვის იყენებდნენ, რომ დაეპყროთ და მორჩილებაში ყოლოდათ მეორე კოლონიის ხალხები. საფრანგეთის არმიის რიგებში იბრძოდნენ — ალჟირელები, მაროკოელები, ტუნისელები, ანამელები, ინგლისისაში — სამხრეთ აფრიკელები, ინდოელები და სხვ. გარდა ამისა იმპერიალისტებს კოლონიური ხალხების მხრებზე გადაჰქონდათ თავიანთი სამხედრო ხარჯები. ახლა ყველაფერ ამას ბოლო ეღება, ეს კი იმპერიალიზმის ძალების დასუსტებას იწვევს.

მწვავდება წინააღმდეგობანი, ერთი მხრივ, დიდ იმპერიალისტურ ქვეყნებსა და, მეორე მხრივ, პატარა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ვ. ი. ლენინი თავის დროზე ამბობდა, რომ „იმპერიალისტები არა მარტო თავიანთი ქვეყნების მუშების მჩაგვრელები არიან, არამედ წვრილი სახელმწიფოების ბურჟუაზიისაც“[1]. ეს ამჟამად ცხადად ჩანს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის დამოკიდებულებაში.

– ორი სისტემის თანაარსებობა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა შინაგანი სიმტკიცისა და სიცოცხლისუნარიანობის სერიოზული შემოწმებაა. საბჭოთა კავშირს არ ეშინია ასეთი შემოწმების, რადგან იგი დარწმუნებულია თავის ძალებში, მის მიერ არჩეული გზის სისწორეში, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობაში; დარწმუნებულია ორი სისტემის ეკონომიური შეჯიბრება ახალ წარმატებებს მოუტანს სოციალიზმს.

ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე ამბობდა: „ჯერ კიდევ მაშინ, როცა სოციალიზმს საფუძველი ეყრებოდა, ჩვენმა პარტიამ იცოდა, რომ გარდუვალად დადგებოდა კაპიტალიზმთან გადამწყვეტი ეკონომიური შეჯიბრების ეტა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 545.

პი და სოციალიზმი გამოიჩენდა მთელ თავის ძალას. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ეს ეტაპი დადგა. ეყრდნობა რა საწარმოო ძალების განვითარების ახლანდელ დონეს, საზოგადოებრივი შრომის გაზრდილ ნაყოფიერებას, თანამედროვე ტექნიკას, სოციალისტური მეურნეობის გეგმიან ხასიათს და ხალხის შემოქმედებით აქტივობას, საბჭოთა კავშირს ყველა შესაძლებლობა აქვს გაიმარჯვოს ამ შეჯიბრებაში მშვიდობიან ასპარეზზე"[1].

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოთა შორის ურთიერთდათმობას, და ეს ცალმხრივ დათმობას. საკითხის ამ მხარეს თავის დროზე ყურადღებას აქცევდა ვ. ი. ლენინი. ის აღნიშნავდა, რომ სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე თანასწორის თანასწორთან შეთანხმებაზე უნდა შენდებოდეს. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ საბჭოთა სახელმწიფო გარკვეულ დათმობაზე წავა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან საკითხების ერთად გადაწყვეტის ინტერესებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის ინტერესებისათვის. მისი აზრით დათმობები ორი სისტემის თანაარსებობიდან, მათი ურთიერთ ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს. ამ დათმობებს თავისი საზღვარი აქვს, ისინი არ შეიძლება სოციალისტური სახელმწიფოს ძირითად საკითხზე გაკეთდეს, რომელზედაც დამოკიდებული იქნება მუშათა და გლეხთა დამოუკიდებლობის ბედი. „ჩ ვ ე ნ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — მ ი ვ დ ი ვ ა რ თ ვ ა ჭ რ ე ბ თ ა ნ დ ა დ ა ვ დ ე ბ თ გ ა რ ი გ ე ბ ე ბ ს, გ ა ნ ვ ა გ რ ძ ო ბ თ დ ა თ მ ო ბ ე ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა ს, მ ა გ რ ა მ ა მ დ ა თ მ ო ბ ა თ ა ფ ა რ გ ლ ე ბ ი უ კ ვ ე გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ა"[2].

ისტორიის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ორი დაპირისპირებული საზოგადოებრივი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების — მშვიდობიანი თანაარსებობა, აგრეთვე მათ შორის საქმიანი ეკონომიური თანამ-

---

[1] სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მასალები, 1959, თბილისი, გვ. 67.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 260.

შრომლობა სავხებით შესაძლებელია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ ყველა ქვეყანასთან მშვიდობისა და მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკას.

კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობა ეკონომიურ თანამშრომლობას გულისხმობს. სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობიანი შეჯიბრება მათ შორის მშვიდობიანი ბრძოლის ფორმაა, ხოლო, რაც შეეხება საერთაშორისო თანამშრომლობას ამა თუ იმ საკითხში სახელმწიფოების ერთიან მოქმედებას, ერთიან შრომას ნიშნავს.

საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მთელს მსოფლიოში. მან უდიდესი წარმატებები მოიპოვა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში. დედამიწის თანამგზავრებისა და მთვარეზე რაკეტის გაშვება, ჩვენი კოსმონავტების მთელი პლეადის კოსმოსში ფრენის ბრწყინვალე განხორციელება — საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებაა. საბჭოთა კავშირის ამ უდიდეს წარმატებებს ჩვენი მტრებიც აღიარებენ. ამერიკელი ისტორიკოსი პ. ლ. რობერტსი წიგნში — „რუსეთი და ამერიკა“ და ამ წიგნის წინასიტყვაობის ავტორი ჯ. ჯ. მაკკოლი წერენ, რომ: „საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ მშვენიერი წარმატებები მოიპოვა“. ისინი შიშს გამოთქვამენ, რომ საბჭოთა კავშირი ამერიკას საბოლოოდ მოიტოვებს უკან.

საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერი ჯონ ფოსტერ დალესიც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ცვლილებები მოხდა მსოფლიო სისტემაში საბჭოთა კომუნიზმის სასარგებლოდ...“

ამერიკელი ეკონომისტი პროფესორი ჯორჯ ადამსი თავის წიგნში ერთმანეთს ადარებს სოციალისტურ და კაპიტალისტურ ეკონომიურ სისტემებს, შიშს გამოთქვამს, რომ თუ საბჭოთა კავშირი ასეთი ნაბიჯებით წავა წინ, ამერიკა ჩამორჩება მას. ამრიგად, საბჭოთა კავშირის წარმატებებს ამჟამად ჩვენი მტრებიც კი აღიარებენ.

მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხი მსჯელობის საგანი გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გენერალური ასამბლეის XII სესიაზე საბჭოთა კავშირმა „სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ დეკლარაციის“ პროექტი შეიტანა, სადაც სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა შორის თანაარსებობის პრინციპებად ჩამოთვლილი იყო: 1. ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა; 2. თავდაუსხმელობა; 3. ერთმანეთის შინაგან საქმეებში ჩაურევლობა; 4. თანასწორობა და ურთიერთსარგებლიანობა და 5. მშვიდობიანი თანაარსებობა.

მიუხედავად ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს წარმომადგენლის ცდისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმრავლესობის მიერ ძირითადად მოწონებულ იქნა საბჭოთა კავშირის ეს სამშვიდობო წინადადება.

ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და მათ შორის თანამშრომლობის მოძღვრებამ ახალი განვითარება ჰპოვა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში. სკკპ ახალ პროგრამაში აღნიშნულია: „მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი თ ა ნ ა ა რ ს ე ბ ო ბ ა გულისხმობს: უარისთქმას ომზე როგორც სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებაზე, ამ საკითხების გადაჭრას მოლაპარაკების გზით; თანასწორუფლებიანობას, ურთიერთგაგებასა და ნდობას სახელმწიფოთა შორის, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებას; საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, თვითეული ხალხის იმ უფლების აღიარებას, რომ დამოუკიდებლად წყვეტდეს თავისი ქვეყნის ყველა საკითხს; ყველა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე პატივისცემას; ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებას სრული თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე“[1].

სკკპ ახალ პროგრამაში — თანამედროვე ეპოქის ამ კომუნისტურ მანიფესტში — ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იცავს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყო-

[1] სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1962, გვ. 450.

ბილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

სკკპ XXII ყრილობაზე საერთაშორისო ურთიერთობის დარგში პარტიის მიერ წამოყენებულ ამოცანათა შორის, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს შემდეგი ამოცანა:

„— სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან და ხალხებთან ერთად გამოვიყენოთ ყველა საშუალება მსოფლიო ომის თავიდან აცილებისა და ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც შესაძლებელს გახდიან სავსებით გამოვრიცხოთ ომი საზოგადოების ცხოვრებიდან"[1].

საბჭოთა რუსეთის ბრძოლა მშვიდობისათვის სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ პირველად კაცობრიობის ისტორიაში ბოლო მოუღო რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და მოსპო ნაციონალური და კოლონიური ჩაგვრა. ვ. ი. ლენინი წერდა: „საბჭოთა წყობილება დემოკრატიზმის მაქსიმუმია მუშებისა და გლეხებისათვის და ამავე დროს ის ნიშნავს კავშირის გაწყვეტას ბურჟუაზიულ დემოკრატიზმთან და დემოკრატიის ახალი, მსოფლიო-ისტორიული, ტიპის წარმოშობას, სახელდობრ: პროლეტარული დემოკრატიზმის ანუ პროლეტარიატის დიქტატურისა"[2].

ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთი ეკონომიურ და ნაციონალურ კატასტროფას, დასავლეთის იმპერიალისტების მონობას გადაარჩინა. ოქტომბრის რევოლუცია არ იყო მარტო რუსეთის მასშტაბის რევოლუცია, მას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

რევოლუციის გამარჯვება ნიშნავდა რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობაში ძირფესვიან გადატრიალებას.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში მარქსი მუშათა კლასის მოვალეობაზე მიუთითებდა. „დაეუფლოს

[1] სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1962, გვ. 451.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 41.

საერთაშორისო პოლიტიკის საიდუმლოებებს, კონტროლ, გაუწიოს თავისი მთავრობების დიპლომატიურ მოქმედებას და საჭიროების შემთხვევებში წინააღმდეგობა გაუწიოს მათ ყველა იმ საშუალებით, რომლებიც მის განკარგულებაში მოიპოვება... ასეთი საგარეო პოლიტიკისათვის ბრძოლა შეადგენს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის საერთო ბრძოლის ნაწილს"[1].

ვ. ი. ლენინი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის IV წლისთავზე წერდა: „ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დ ა გ ვ ე წ ყ ო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, დ ა გ ვ ე წ ყ ო ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა"[2].

როგორც ცნობილია, კონტრრევოლუციურმა დროებითმა მთავრობამ რუსეთში მემკვიდრეობად მთლიანად მიიღო მეფის თვითმპყრობელობის სისხლიანი პოლიტიკა და იმპერიალისტური ომი გააგრძელა. მან ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალისტებთან გააფართოვა ურთიერთობა. ამერიკის განგსტერული იმპერიალიზმი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელ საერთაშორისო რეაქციას ასულდგმულებდა. ის რუსეთის დაკაბალების, მისი სიმდიდრის ხელში ჩაგდებისა და ჩვენი ხალხების დამონების გეგმებს ამზადებდა. ამერიკელი იმპერიალისტების მიერ რუსეთის დროებით მთავრობაზე გაცემული სესხები გათვალისწინებული იყო რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად.

საბჭოთა ხალხმა დაამხო მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლება და დაადგა ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას. ამიტომ იგი დაინტერესებული იყო სოციალიზმის მშენებლობის ხელსაყრელი საგარეო პირობებით. სამშვიდობო პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების თვით ბუნებიდან გამომდინარეობს. დაამყარა რა ეროვნული თანასწორობა ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპად

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. 1. გვ. 434.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 33, გვ. 42.

გაიხადა სხვა ხალხების ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემა და აღიარება. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი დღიდანვე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლა არა მარტო საბჭოთა მთავრობის, ანამ�საბჭოთა კავშირის მშრომელთა საერთო საქმე გახდა. ამრიგად, დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის ნამდვილად სახალხო ბრძოლის ეპოქას.

მაგრამ იმპერიალისტურმა ქვეყნებმა საშუალება არ მისცეს საბჭოთა რუსეთის მთავრობას ქვეყნის შიგნით მშვიდობიანი მშენებლობა განეხორციელებინა. მას თავს მოახვიეს სამოქალაქო ომი, დაიწყო ანტისაბჭოთა სამხედრო ინტერვენცია.

ანტისაბჭოთა ინტერვენციის მთავარი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ამერიკის იმპერიალიზმი. მასში აქტიურად მოქმედებდნენ ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი და იაპონელი იმპერიალისტები. ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის ჯარები გადმოსხდნენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და შეიარაღებული დახმარება აღმოუჩინეს კონტრრევოლუციურ ძალებს საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე.

ჯერ კიდევ რსდმპ (ბ) VI ყრილობა თავის რეზოლუციაში „მიმდინარე მომენტი და ომი“, რუსეთის საშინაო საქმეებში მოკავშირეთა ქვეყნების გარდუვალ ჩარევაზე მიუთითებდა. ვინაიდან იმპერიალისტებისათვის ყველაზე საშიშ მომენტს წარმოადგენდა რუსეთის რევოლუცია, როგორც მასების პირველი გამოსვლა, რომელიც თავისი განვითარებით საშიშროებას ქმნიდა ომისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ უშუალო გამოსვლად გადაქცეულიყო და ბრძოლაში სხვა ქვეყნების პროლეტარული მასები ჩაეთრია.

ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ ომის გაგრძელება კიდევ უფრო არევოლუციურებს მშრომელთა მასებს, „გარდუვალად იწვევს პროლეტარული რევოლუციის ელემენტების ზრდას“[1].

პარტიის მეშვიდე ყრილობამ კაპიტალისტურ ქვეყნებსა

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი I, თბილისი, 1954, გვ. 474.

და საბჭოთა რუსეთს შორის იმპერიალისტური ომის ისტორიულ გარდუვალობაზე მიუთითა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ყველა შინასახელმწიფოებრივი, კლასობრივი, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის ახლანდელი უკიდურესი გამწვავების დროს ასეთ შემოტევათა ისტორიულ გარდუვალობას შეუძლია ყოველ, თვით უახლოეს მომენტში, რამდენიმე დღეშიც კი, გამოიწვიოს ახალი იმპერიალისტური შემოტევითი ომები საერთოდ სოციალისტური მოძრაობის წინააღმდეგ, და განსაკუთრებით რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ“[1].

მიუხედავად ანტისაბჭოთა სამხედრო ინტერვენციისა, საბჭოთა მთავრობას ბრძოლა არ შეუწყვეტია მშვიდობისათვის. ერთი მხრივ, რუსეთის მთავრობა მთელი თავისი ძალებით იბრძოდა ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, წარმატებით ატარებდა თავის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას, მსოფლიოს ხალხებს აცნობდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ნამდვილად დემოკრატიულ საგარეო პოლიტიკას. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი საერთაშორისო საკითხებში უდიდეს გამოხმაურებას იწვევდა მთელს მსოფლიოში. იმპერიალისტების ცდა, თავიანთი ქვეყნების ხალხებისათვის დაემალათ და საშუალება არ მიეცათ საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკურ აქტებს გაცნობოდნენ, მარცხით თავდებოდა.

საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა საბჭოთა მთავრობის პირველი დეკრეტი ზავის შესახებ, რომელიც საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ 1917 წლის 8 ნოემბერს მიიღო. დეკრეტში საბჭოთა მთავრობის წინადადებანი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დადების შესახებ ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „ამ ომის განგრძობა იმის გულისთვის, თუ როგორ გაიყონ ურთიერთშორის ძლიერმა და მდიდარმა ერებმა მათ მიერ დაპყრობილი სუსტი ეროვნებანი, მთავრო-

[1] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი I, გვ. 515.

ბას (საბჭოთა მთავრობას — ი. ჩ.) მიაჩნია უდიდეს-დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ და საქვეყნოდ აცხადებს თავის გადაწყვეტილებას, დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი იმ ზავის პირობებს, რომელიც შეწყვეტს ამ ომს აღნიშნული. გამოუკლებლივ ყველა ეროვნებისთვის თანასწორად სამართლიანი პირობების საფუძველზე"[1].

ლენინურმა დეკრეტმა ზავის შესახებ დიდი რეაქცია გამოიწვია მსოფლიოს იმპერიალისტურ წრეებში. ისინი სიძულვილით შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების ამ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტს და შეეცადნენ ზავის საკითხთან დაკავშირებით ხალხის თვალში დაემცირებინათ საბჭოთა ხელისუფლების წარმატებები. მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი მასები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ლენინურ დეკრეტს ზავის შესახებ.

საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა საბჭოთა მთავრობის სახელით 1917 წლის 8 (21) ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, სერბიისა და ბელგიის ელჩებსა და დესპანებს წინადადებით მიმართა — განეხილათ საბჭოთა დეკრეტი ზავის შესახებ და დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება.

მაგრამ ანტანტის სახელმწიფოების მთავრობებმა არ მიიღეს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანი წინადადება. მაშინ საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკება დაეწყო გერმანიასა და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან.

„საზავო მოლაპარაკება გერმანიასთან 1917 წლის 20 ნოემბერს გერმანელების მიერ ოკუპირებულ ქ. ბრესტ-ლიტოვსკში (ბრესტში) დაიწყო. 2 დეკემბერს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ. ბრესტში მოლაპარაკების დროს ცხადი გახდა გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული გეგმები საბჭოთა რუსეთის მიმართ, მისი მისწრაფება მიეღწია საბჭოთა რუსეთის დაკაბალებისათვის; მეტიც, რუსეთში ბოლო მოეღო საბჭოთა ხელისუფლებისათვის და დაეპყრო პოლონეთი, ლიტვა, ლატვიის ნაწილი, ბელორუსიისა და

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ 26, გვ. 289—289.

უკრაინის მიწები და ა. შ. გერმანელი იმპერიალისტები დაუკავშირდნენ უკრაინელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს»[1].

შექმნილი მძიმე საშინაო და საერთაშორისო პირობების გამო საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია გერმანიის იმპერიალიზმის ჭარბი ძალების შემოტევისაგან და წასულიყო ზავზე გერმანიასთან.

1918 წლის 8 იანვარს პარტიის ცკ-ის წევრთა თათბირზე ვ. ი. ლენინი გამოვიდა სიტყვით, სადაც მან, შეაჯამა რა შექმნილი ვითარება, გერმანიასთან ზავის დაუყოვნებლივ დადება მოითხოვა. მაშინ ვ. ი. ლენინს, ბოლშევიკებს მოუხდათ დიდი ბრძოლის გადატანა ტროცკისტ-ბუხარინელებთან, რომლებიც ზავის დადების წინააღმდეგი იყვნენ. გაიმარჯვა ვ. ი. ლენინის ხაზმა. 1918 წლის 3 მარტს გერმანიასთან ხელმოწერილ იქნა ბრესტის ზავი. ეს იყო მეტად მძიმე, მაგრამ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის აუცილებელი. შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ ლენინური ხაზი ზავისათვის ბრძოლაში ერთადერთი სწორი ხაზი იყო. ამ პოლიტიკამ საშუალება მისცა საბჭოთა რესპუბლიკას იმ მომენტში უკან დაეხია, როდესაც მოწინააღმდეგის ძალები გაცილებით აღემატებოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ძალებს, რათა უდიდესი ენერგიით მომზადებულიყო იმპერიალისტების ახალ თავდასხმათა მოსაგერიებლად.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა იმპერიალისტურ დამპყრობლურ პოლიტიკას საბჭოთა მთავრობამ პრინციპულად ახალი პოლიტიკა, მშვიდობის, ხალხთა უშიშროებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკა დაუპირისპირა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საჭიროდ თვლიდნენ ემხილებინათ დასავლეთის ბურჟუაზიული მთავრობების სიცრუე, მოტყუება და პირმოთნეობა, რომლითაც ისინი თავიანთ მტაცებლურ გეგმებს ომში ფარავდნენ.

საბჭოთა მთავრობა გამოვიდა საიდუმლო დიპლომატიის წინააღმდეგ და თავისი უმაღლესი ორგანოს საშუალებით

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 344.

გადაწყვეტილება მიიღო საიდუმლო ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და დიპლომატური მიწერ-მოწერის გამოქვეყნების შესახებ. „საიდუმლო დიპლომატია, — ნათქვამი იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის . განცხადებაში, საიდუმლო დიპლომატიური დოკუმენტების გამოქვეყნების შესახებ, — ეს არის აუცილებელი იარაღი შეძლებული უმცირესობის ხელში, რომელიც იძულებულია მოატყუოს უმრავლესობა, რათა დაუმორჩილოს ის თავის ინტერესებს“.

საბჭოების მეორე ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი შეუდგა მეომარ სახელმწიფოებს შორის დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას. ამასთან საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა, რომ ის ყველა საიდუმლო ხელშეკრულებას გაუქმებულად თვლიდა.

საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებით კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა მასებმა აშკარად დაინახეს, თუ რისთვის დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და რისთვის დაიღუპა მილიონობით უდანაშაულო ადამიანი. საბჭოთა მთავრობის მიერ საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებამ იმპერიალისტურ მთავრობათა აღშფოთება გამოიწვია. სრულიად რუსეთის სამხედრო ფლოტის პირველ ყრილობაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა — ჩვენ გამოვაქვეყნეთ და კვლავაც გამოვაქვეყნებთ საიდუმლო ხელშეკრულებებს. ვერავითარი ღვარძლი და ცილისწამება ვერ შეგვაჩერებს ჩვენ ამ გზაზე. „ბატონი ბურჟუები, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — გაბოროტებული არიან იმით, რომ ხალხი ხედავს, თუ რისთვის ერეკებოდნენ მას სასაკლაოზე. ისინი აშინებენ ქვეყანას ახალი ომის პერსპექტივით, რომელშიც რუსეთი განმარტოებული აღმოჩნდებოდა. მაგრამ ჩვენ ვერ შეგვაჩერებს ის ცოფმორეული მძულვარება, რომელსაც ბურჟუაზია იჩენს ჩვენდამი, ზავისაკენ ჩვენი მოძრაობისადმი“.

საბჭოთა პროგრამა სამართლიანი დემოკრატიული ზავის შესახებ ხელსაყრელი არ იყო ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკისა და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა იმპერიალისტური მმართველი წრეებისათვის. ისინი დუმილით შეხვდნენ

საბჭოთა მთავრობის წინადადებას სამართლიანი დემოკრატიული ზავის დაუყოვნებლივ დადების შესახებ და შემდეგ ხელი მიჰყვეს ანტისაბჭოთა სამხედრო ინტერვენციის განხორციელებას.

„სწორედ ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის ბურჟუაზიამ, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — არ მიიღო ჩვენი წინადადება, სწორედ მან ლაპარაკიც კი არ მოისურვა ჩვენთან საყოველთაო ზავის შესახებ! სწორედ იგი მოიქცა გამცემლურად ყველა ხალხის ინტერესების მიმართ"[1]. მეტიც, რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების თითქმის მეორე დღიდანვე დაიწყო მოლაპარაკება ინგლისისა და საფრანგეთის მმართველ წრეებს შორის რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ მოლაპარაკების შედეგად 1917 წლის 23 დეკემბერს ინგლის-საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა საიდუმლო ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრული იყო საფრანგეთ-ინგლისის მოქმედების ზონები რუსეთის ტერიტორიაზე.

— საბჭოთა მთავრობის მიერ ზავის შესახებ დეკრეტის გამოქვეყნებასთან ერთად მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციას", რომელიც გამოქვეყნდა 1917 წლის 2 (15) ნოემბერს, და „მიმართვას რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მუსლიმანისადმი".

საბჭოთა კავშირის წინადადებას ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ დადებითად გამოეხმაურნენ მსოფლიოს მილიონობით ადამიანები. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მოთხოვნა გახდა ყველა ქვეყნის მშრომელთა მასების ლოზუნგი. ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვ. სახელმწიფოთა მმართველ წრეებს არ შეეძლოთ არ დაენახათ, თუ როგორი უდიდესი მხარდაჭერა ჰპოვა საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო წინადადებამ ზავის შესახებ. ამიტომ იმპერიალისტური წრეები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდნენ ფართო მასების მოსატყუებლად, რათა მათი ნდობა შეერყიათ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 58—59.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისადმი. თავიანთ ექსპანსიონისტურ მისწრაფებათა დასაფარავად და ზავის შესახებ საბჭოთა მთავრობის დეკრეტის დისკრედიტიზაციის მიზნით ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა* 1918 წლის 5 იანვარს გამოაქვეყნა დეკლარაცია ომის მიზნების შესახებ, ხოლო იმავე წლის 2 იანვარს ამერიკის პრეზიდენტმა ვილსონმა** გამოაქვეყნა თავისი 14 პუნქტი. როგორც ლოიდ ჯორჯის დეკლარაცია, ისე ვილსონის მიერ გამოქვეყნებული პუნქტები იმპერიალისტური ხასიათისა იყო და ფართო მასების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

1918 წლის 11 თებერვალს ვილსონმა თავის სიტყვაში კონგრესის წინაშე საზავო პირობების „4 პუნქტი ჩამოაყალიბა...“ ეს იყო 14 პუნქტის ერთგვარი კომენტარი. ამ კომენტარებით ვილსონმა უფრო ზოგადი და უფერული ხასიათი მისცა თავის 14 პუნქტს.

ვილსონის 14 პუნქტი მიზნად ისახავდა — გაემართლებინა იმპერიალისტური ომის გაგრძელება, შეეცვალა კოლონიური მონობის ფორმები, დაეფარა იმპერიალისტების განზრახვა, გაენადგურებინა საბჭოთა რესპუბლიკა და მსოფლიო ჰეგემონობა ამერიკის ხელში გადასულიყო. ვილსონის 14 პუნქტსა და მის კომენტარებში გადმოცემული ამერიკის ექსპანსიონისტური გეგმები საფუძვლად ედო ამერიკის დელეგაციის საქმიანობას პარიზის საზავო კონფერენციაზე. ამერიკელი იმპერიალისტები რუსეთის დაქუცმაცებაზე და იქ გაბატონებაზე ოცნებობდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებით აღშფოთებული იყვნენ კონტრრევოლუციური ძალები — კადეტები, მენშევიკები, ესერები, ანარქისტები და სხვ. ამრიგად, უკვე 1918 წლის პირველ ნახევარში საბჭოთა ხელისუფლების ჩასახშო-

---

* დავიდ ლოიდ ჯორჯი (1863—1945) — ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი. ლიბერალური პარტიის ლიდერი. ინგლისის პრემიერ-მინისტრი 1916—1922 წწ.

** ვუდრო ვილსონი (1856—1924) — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი 1913—1921 წწ.

ბად ორი ძალა ჩამოყალიბდა. ანტანტის უცხოელი იმპერიალისტები და კონტრრევოლუცია რუსეთის შიგნით.

ასე დამთავრდა შესვენება. დაიწყო სამოქალაქო ომი და ანტისაბჭოთა შეიარაღებული ინტერვენცია. იმპერიალისტებმა სამხედრო ინტერვენცია დაიწყეს ომის გამოუცხადებლად. ისინი ფარულად, ქურდულად მოვიდნენ და ჯარები გადმოსხეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ინგლისელებმა და ფრანგებმა — ჩრდილოეთ რუსეთში, იაპონელებმა — ვლადივოსტოკში, ფრანგებმა — სამხრეთ რუსეთში; ჩრდილოეთ კავკასიაში ინგლის-საფრანგეთის მხარდაჭერით მოქმედებდნენ კორნილოვის, ალექსეევისა და დენიკინის ძალები; დონში — გერმანელი იმპერიალისტების ფარული მხარდაჭერით — კრასნოვისა და მამონტოვის ძალები; ვოლგაზე და ციმბირში ინგლის-საფრანგეთის წაქეზებით მოეწყო ჩეხოსლოვაკელთა კორპუსის ამბოხება. „ჩეხთა და სლოვაკთა კორპუსის გამოსვლამ ფრთები შეასხა შინაურ კონტრრევოლუციას. დამხობილმა ექსპლოატატორულმა კლასებმა დაიწყეს სამოქალაქო ომი. იმპერიალისტებ ეხმარებოდნენ კონტრრევოლუციას, ამარაგებდნენ იარაღითა და საომარი მასალით. კადეტების, ესერების, მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების პარტიები უთანხმდებოდნენ იმპერიალისტებს. კონტრრევოლუციონერები თანხმდებოდნენ უცხოელი დამპყრობლებისათვის მიეცათ უზარმაზარი ტერიტორიები, მზად იყვნენ გაენაწილებინათ რუსეთი, გადაექციათ იგი კოლონიად, ოღონდ ძალაუფლება წაერთმიათ მშრომელებისათვის“[1].

საბჭოთა რუსეთის მთავრობას სპეციალური მიმოწერა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან ჩეხთა კორპუსის რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნების შესახებ, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოების მოქმედებით ეს გაჭიანურდა.

ამერიკის შეერთებული შტატები პირველ ხანებში თითქოს აქტიურ როლს არ ასრულებდა, მაგრამ სინამდვილეში ამერიკის მთავრობა ინგლის-საფრანგეთის მმართველ წრეებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ დღიდან-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბილისი, 1961. გვ. 364.

ვე მტრულ პოლიტიკას ატარებდა საბჭოთა რუსეთის მიმართ. ჯერ კიდევ 1917 წლის 6 დეკემბერს ამერიკის სახელმწიფო მდივანი ლანსინგი თავის ელჩს ფრენსის ატყობინებდა: პრეზიდენტს სურს, რათა ამერიკის წარმომადგენლებმა არ მიმართონ პირდაპირ მოლაპარაკებას ბოლშევიკებთან.

ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ანტისაბჭოთა ინტერვენციაში შორეულ აღმოსავლეთშიც. ამერიკის მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკაზე მიუთითებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კოლბის ნოტას შინაარსი. ამ ნოტაში, რომელიც ამერიკის მთავრობის სახელით კოლბიმ იტალიის მთავრობას გაუგზავნა, ლაპარაკია ამერიკის მტრულ დამოკიდებულებაზე რუსეთთან.

ვილსონის პრეზიდენტობის დროს ამერიკის შეერთებული შტატების მთელი საგარეო პოლიტიკის კურსი საბჭოთა სახელმწფოს მიმართ ატარებდა აგრესიულ, რეაქციულ ხასიათს. იგი მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების აღდგენისაკენ. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ამ აუტანელმა და პრინციპულად მტრულმა პოლიტიკამ საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ უფრო ნათელი გამოხატულება ჰპოვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კოლბის ნოტაში, რომელიც გაეგზავნა იტალიის ელჩს ვაშინგტონში 1920 წლის 10 სექტემბერს.

იტალიის მთავრობისადმი ამერიკის სახელმწიფო მდივნის კოლბის მიერ გაგზავნილი ნოტა მთლიანად ანტისაბჭოთა ხასიათს ატარებდა. კოლბი აღნიშნავდა, რომ მას არ შეუძლია სცნოს საბჭოთა რუსეთის მთავრობა და მასთან მეგობრული ურთიერთობა იქონიოს. ნოტაში ნათქვამი იყო, რომ ეს ნაბიჯი თითქოს ნაკარნახევია არა კლასობრივი მოსაზრებებით, არა ამა თუ იმ პოლიტიკურ ან სოციალურ სტრუქტურათა თავისებურებებით, რომელიც დამყარებულია რუსეთში, არამედ სულ სხვა ფაქტებით, რომ თითქოს რუსეთში არსებული რეჟიმი ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს.

მთელმა მსოფლიო პროგრესულმა საზოგადოებრიობამ კოლბის ნოტა შეაფასა როგორც ამერიკის იმპერიალიზმის აშკარა მოწოდება ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა და თეთრი ემიგრაციის ყველა რეაქციული ძალისადმი — განეგრძოთ ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ კაპიტალისტური წყობილების აღდგენისათვის. კოლბეს ნოტის მიზანი იყო აგრეთვე გაემხნევებინა საბჭოთა რუსეთში არსებული ანტისაბჭოთა ელემენტები.

ზეიმისა და სიხარულის გრძნობით შეხვდა კოლბის ნოტას საერთაშორისო რეაქცია, საბჭოთა სახელმწიფოს ყველა მტერი. საფრანგეთის მთავრობამ ვაშინგტონში გაგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელშიც ის თავის სრულ კმაყოფილებას და თანხმობას გამოხატავდა კოლბის ნოტაში გამოთქმული პრინციპებისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების ამ ანტისაბჭოთა პოზიციას მხარი დაუჭირეს ინგლისის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის მთავრობებმა. მას აღფრთოვანებით შეხვდნენ რუსეთის კონტრრევოლუციური ძალებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მდივნის კოლბის მიერ ვაშინგტონში იტალიის ელჩისადმი გაგზავნილი ნოტა თავის მხრივ წარმოადგენდა დიპლომატიურ პრაქტიკაში სრულიად უპრეცენდენტო პოლიტიკურ გამოხტომას საბჭოთა რუსეთის პოლიტიკისა და თვით წყობილების წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა ამერიკის მმართველი წრეების ეს აგრესიული გამოხდომა ჩვენი ქვეყნის, მისი ხალხებისა და დიდი ოქტომბრის მონაპოვართა წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა რსფსრ ყველა სრულუფლებიან წარმომადგენელს საზღვარგარეთ გაუგზავნა ცირკულარული დეპეშა, რომელშიც აღნიშნული იყო: „დაეყვანათ საზოგადოებრივ აზრამდე და განსაკუთრებით მშრომელი მასების ყურადღებამდე ამერიკის მთავრობის მთელი სიცრუე და უსინდისობა“.

სპეციალურად მითითებული იყო, რომ აღნიშნული დეპეშა გაეცნოთ იტალიის მთავრობის წარმომადგენლებისათვის, რო-

მელთა მისამართითაც გაგზავნილი იყო კოლბის ნოტა. 1920 წლის 4 ოქტომბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა მარტენსმა საგარეო საქმეთა კომისარიატის წერილი გადასცა იტალიის ელჩს. ამავე დროს დეპეშის ასლი გადაეცა ამერიკის სახელმწიფო მდივანს.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცირკულარული დეპეშა ამხელდა იმ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს ამერიკის იმპერიალიზმის სიძულვილი საბჭოთა სახელმწიფოს, მისი მთავრობის, კომუნისტური პარტიისა და მთელი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მიმართ. „ამერიკის იმპერიალიზმი," — ნათქვამი იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დეპეშაში, — განწყობილია სიძულვილის გრძნობით საბჭოთა რუსეთის კომუნისტური პარტიისადმი, ვინაიდან ის წარმოადგენს გაბატონებულ პარტიას ჩვენს ქვეყანაში, აორგანიზებს და რაზმავს მასებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ამერიკას სურდა, რომ საბჭოთა რუსეთში გაბატონებული ყოფილიყო რომელიმე სხვა ბურჟუაზიული პარტია, რომელთანაც ადვილად შეძლებდა შეთანხმებას რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა და მისი ხალხის გასაძარცვად. საბჭოთა რუსეთის მშრომელ მასებს შეგნებული ჰქონდათ, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა არის „ერთადერთი ნამდვილი საშუალება იმ სასიკვდილო საშუალებათა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლაში, რომელიც ემუქრება მათ მსოფლიო იმპერიალიზმისაგან".

საბჭოთა მთავრობამ ამხილა ამერიკის პოლიტიკა რუსეთის „ტერიტორიალური მთლიანობის შენარჩუნების შესახებ", როგორც იმპერიალისტური აგრესიისა და ხალხთა თვითგამორკვევის მისწრაფების ჩახშობის პოლიტიკა.

საბჭოთა მთავრობა არა ერთხელ შეეცადა დაემყარებინა ნორმალური საქმიანი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები და მათი ინტერესების გამომხატველი ვილსონის მთავრობა არამცთუ არ ცდილობდნენ ასეთი ურთიერთობის დამყარებას, არამედ უნდოდათ ყოველგვარი გზებითა და საშუალებებით მიეღწიათ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და კაპიტალის-

ტური წყობილების აღდგენისათვის. საბჭოთა მთავრობის გულწრფელი მისწრაფება დამყარებინა ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა კაპიტალისტური მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, და მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არა ერთხელ დადასტურებულა საქმით.

1918 წლის 5 ოქტომბერს ამერიკული გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსის" კორესპონდენტის შეკითხვაზე: „როგორია საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამერიკასთან ეკონომიური შეთანხმების მხრივ?" ვ. ი. ლენინმა უპასუხა: „ჩვენ გადაჭრით შხარს ვუჭერთ ეკონომიურ შეთანხმებას ამერიკასთან, — ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით კი ამერიკასთან"[1].

საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო წინადადებათა და მისი გულწრფელი მისწრაფების მიუხედავად, „პრეზიდენტ ვილსონის ადმინისტრაციის მოღვაწეობის მთელ უკანასკნელ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა იყო შეუწყნარებლად და პრინციპულად მტრული საბჭოთა მთავრობისადმი".

რსფს რესპუბლიკას ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰყავდა სპეციალური წარმომადგენელი ლ. მარტენსი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ორივე ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარების საკითხებზე მუშაობა. ლ. მარტენსი, როგორც საბჭოთა რუსეთის სპეციალური წარმომადგენელი, ამერიკაში ჩავიდა 1919 წლის მარტში.

1919 წლის ივნისში ამერიკის ხელისუფლებამ ლ. მარტენსი ნიუ-იორკში დააპატიმრა. ამის შესახებ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ პროტესტით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. ლ. მარტენსის მიზანი იყო ხელი შეეწყო ამერიკა-საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. იგი, მართალია, ოფიციალურად არ იყო ცნობილი, მაგრამ საბჭოთა მთავრობის სახელით კავშირს ახორციელებდა ამერიკის დაწესებულებებთან და ფირმებთან.

პრეზიდენტი ვილსონი თავისი რწმუნების დამთავრების წინ ერთხელ კიდევ შეეცადა გაეტარებინა ახალი მტრული

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 41.

აქტი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. 1920 წლის 17 დეკემბერს მან გასცა ბრძანება ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებიდან ლ. მარტენსის განდევნის შესახებ. ამრიგად, საბჭოთა წარმომადგენელი განდევნილ იქნა ამერიკიდან იმ საფუძველზე, რომ ის იყო „წარმომადგენელი საბჭოთა მთავრობისა, რომელშიც ბატონობს კომუნისტური პარტია“...

საბჭოთა წარმომადგენლის ნიუ-იორკიდან გამგზავრების დროს ამერიკის მთავრობის უსამართლო აქტის საწინააღმდეგოდ ნავსადგურთან შედგა მუშათა გრანდიოზული დემონსტრაცია. მიტინგში მონაწილეობდნენ აგრეთვე საქმოსანი წრეებისა და ბურჟუაზიული პრესის წარმომადგენლებიც.

ამერიკის მთავრობა რუსეთის კანონიერი წარმომადგენლის განდევნის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალურ „ელჩად“ ბახმეტიევს აღიარებდა. იგი ამერიკაში 1917 წელს რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლად იყო გავზავნილი და საბჭოთა მთავრობის პროტესტის მიუხედავად ბახმეტიევი ამერიკაში „რუსეთის წარმომადგენლად“ რჩებოდა.

1920 წლის ნოემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა პრეზიდენტის მორიგი არჩევნები. არჩევნებში გამარჯვება რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა ჰარდინგმა მოიპოვა.

1921 წლის 20 მარტს რსფსრ სრულიად ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამერიკის კონგრესს და პრეზიდენტს ჰარდინგს წინადადებით მიმართა საბჭოთა რუსეთსა და ამერიკას შორის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ, მაგრამ საბჭოთა მთავრობის ეს წინადადება არ მიიღო ამერიკის მთავრობამ. იგი რუსეთის მიმართ კვლავ ახორციელებდა მტრულ პოლიტიკას, ვილსონის პოლიტიკას აგრძელებდა.

1921 წლის 25 მარტს ამერიკის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ — „უაზრო იქნებოდა აღგვედგინა სავაჭრო ურთიერთობა მანამ, სანამ მტკიცე საძირკველი არ ჩაეყრება მეურნეობას რუსეთში“. ამ მტკიცე სამეურნეო საფუძველში იგულისხმებოდა მეურნეობის სოციალისტური სისტემის კაპიტალისტური სისტემით შეცვლა.

1921 წლის 26 მარტს ამერიკის კონსულმა რეველემ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს გადასცა ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილების ტექსტი „საბჭოთა რესპუბლიკასთან სავაჭრო ურთიერთობის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ, სანამ იქ არ აღდგებოდა კერძო საკუთრება“. ამ პერიოდში ასეთი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი, მაგრამ ამერიკის გეგმები ჩასაშლელად ისევე იყო განწირული, როგორც ინგლის-საფრანგეთის ანტისაბჭოთა ზრახვები.

უცხოელი იმპერიალისტებისა და მათი თეთრგვარდიელი აგენტების განადგურებამ რუსეთში ყველა ქვეყნის მშრომელებს დაანახვა ხალხის უძლეველობა, რომელსაც მებრძოლი, ბოლომდე რევოლუციური პარტია ხელმძღვანელობს. „ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს,—ამბობდა ვ. ი. ლენინი,— რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას[1]“.

ანტისაბჭოთა სამხედრო ინტერვენციის ჩაშლის შემდეგაც იმპერიალისტები უარს არ ამბობდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სხვადასხვა გზითა და საშუალებებით მოქმედებაზე.* ისინი ცდილობდნენ ანტისაბჭოთა პლაცდარმად გამოეყენებინათ რუსეთის მოსაზღვრე პატარა სახელმწიფოები: ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი და სხვა.

საზღვრისპირა სახელმწიფოებისაგან ანტისაბჭოთა ფორპოსტების ჯაჭვის შექმნის ცდები, საბჭოთა ნავსადგურების

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 370.

* ინგლისი ბრალს დებდა საბჭოთა მთავრობას ანტიბრიტანული ხასიათის აგიტაციაში ახლო და შუა აღმოსავლეთში. ამ საკითხზე რამდენიმე ნოტა გამოუგზავნა ინგლისის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას. ინგლის-საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის საკითხი ვსჯელობის საგანი გახდა ინგლისის თემთა პალატაში.

ბლოკადა, ანტანტაზე დამოკიდებული სახელმწიფოებისათვის ნედლეულით ვაჭრობის აკრძალვა, პროდუქტებითა და სათბობით მდიდარი საბჭოთა რაიონების დაპყრობა, სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის გზით რუსეთის განადგურება, საბჭოთა არმიის ზურგში ანტისაბჭოთა ჯგუფების დაფინანსება, დივერსიის ორგანიზაცია — ყველა ეს საშუალება ანტანტის იმპერიალისტებს სჭირდებოდა ორი მიზნის მისაღწევად: სოციალისტური რევოლუციის კერის მოსასპობად და რუსეთის დასამონებლად. ჩერჩილსა და კლემანსოს არა მარტო „ბოლშევიკური სენის“ გავრცელების, არამედ რუსეთის ხალხების ნახევრადკოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისა და საბჭოთა რუსეთის მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნად გადაქცევის ეშინოდათ.

ამიტომ საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა ჟ. კლემანსომ 1919 წლის 10 ოქტომბერს ანტანტის სახელით სპეციალური გამაფრთხილებელი ნოტები გაუგზავნა გერმანიისა და ე. წ. ნეიტრალური ქვეყნების (შვედეთის, დანიის, ნორვეგიის, პოლონეთის, ესპანეთის, შვეიცარიის, ამერიკის და სხვ.) მთავრობებს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის გემები ფინეთის ყურეში უცხოეთის გემებს საბჭოთა რუსეთის ნაპირებისაკენ არ გაატარებდნენ. ეს საბჭოთა რუსეთის საქმეებში საფრანგეთის იმპერიალიზმის მხრიდან აშკარა ჩარევა იყო.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა 1919 წლის 20 ოქტომბერს რადიოგრამები გაუგზავნა შვედეთის, ნორვეგიის, დანიის, პოლონეთის, ესპანეთისა და შვეიცარიის მთავრობებს. საბჭოთა მთავრობა იმედს გამოთქვამდა, რომ აღნიშნული ქვეყნების მთავრობები ანტანტის ქვეყნების გზას არ გაჰყვებოდნენ და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბლოკადაში მონაწილეობის შესახებ ანტანტის ქვეყნების წინადადებას არ მიიღებდნენ. თუ ე. წ. ნეიტრალური ქვეყნების მთავრობები, მიუხედავად საბჭოთა რუსეთის კეთილგანწყობილებისა, მაინც მტრულ ნაბიჯს გადადგამდნენ, საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნებოდა საპასუხო ზომებისათვის მიემართა. გ. ჩიჩერინის ხელ-

მოწერით ასეთივე რადიოგრამა გერმანიის მთავრობასაც გაეგზავნა.

საბჭოთა რუსეთის ბლოკადის იმპერიალისტური გეგმები ჩაიშალა. ამის შემდეგ საფრანგეთის მმართველი წრეები შეეცადნენ ბალტიისპირეთში შეეკოწიწებინათ ანტისაბჭოთა ახალი ბლოკი, მაგრამ ეს ცდაც მარცხით დამთავრდა. მათ ვერ ჩაშალეს მოლაპარაკება ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

მას შემდეგ, რაც საბჭოების მეშვიდე ყრილობამ რსფსრ-ს წინააღმდეგ მეომარ ყველა სახელმწიფოს მიმართა: — „დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება ზავის შესახებ", აგრეთვე წითელი არმიის მიერ დენიკინზე ახალი გამარჯვების შემდეგ, საზავო მოლაპარაკებანი იურიევში (ტარტუ) სწრაფად წავიდა წინ და 1920 წლის 2 თებერვლის რსფსრ-სა და ესტონეთს შორის საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა. ესტონეთთან ზავით საბჭოთა მთავრობამ „ევროპაში ფანჯარა" გაჭრა, რითაც კონტაქტი დაამყარა დასავლეთთან. მალე რეველს საბჭოთა რუსეთის მიერ უცხოეთში შესყიდული საქონლით დატვირთული პირველი გემი მოადგა.

საბჭოთა რუსეთი რაკი იარაღის საშუალებით ვერ დაამარცხეს, კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული ძალები შეეცადნენ იგი ეკონომიური და ფინანსური შეტევის გზით, საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური იზოლაციით დაეჩოქებინათ, მაგრამ ყველა მათი ცდა მარცხით დამთავრდა.

პარტიის მეათე ყრილობაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ „...ჩვენ ჯერ კიდევ სრულიადაც არ მოგვიპოვებია ყოველივე, და არავითარ შემთხვევაში არ მოგვიპოვებია ამით ის, რაც ჩვენ უნდა მოვიპოვოთ — ნამდვილი განთავისუფლება იმპერიალისტების შემოსევისა და ჩარევისაგან. პირიქით, მათმა სამხედრო მოქმედებამ ჩვენს წინააღმდეგ ნაკლებად სამხედრო, მაგრამ ზოგიერთი მხრივ ჩვენთვის უფრო მძიმე და უფრო საშიში ხასიათი მიიღო"[1].

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 198.

ბით მოიგერია ანტანტის სამი ლაშქრობა, თავისი ქვეყნის თავისუფლება და ნაციონალური დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. ამ საქმეში საბჭოთა რესპუბლიკას დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინეს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელმა მასებმა, რომლებიც გამოდიოდნენ ლოზუნგით: „ხელები შორს რუსეთისაგან!“

მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში ხედავდნენ საერთაშორისო პროლეტარიატის პირველ სოციალისტურ სამშობლოს, მსოფლიოს რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის დასაყრდენს. ამიტომ ისინი მხარს უჭერდნენ საბჭოთა რუსეთს. ეს გარემოება დაეხმარა საბჭოთა რესპუბლიკას თავისი არსებობა და დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ თავი იჩინა ეკონომიურმა სიძნელეებმა კაპიტალისტურ ქვეყნებში, გაიზარდა უმუშევრობა. იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა მუშათა კლასში.

კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს ეკონომიური სიძნელეებიდან თავის დასაღწევად საჭიროდ მიაჩნდა რუსეთი ჩაება მსოფლიოს ეკონომიურ ცხოვრებაში. ასეთი ტენდენციები სულ უფრო იზრდებოდა ინგლისის მმართველ წრეებში.

იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობდა, რომ რუსეთის ვალების გადახდის საკითხი საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობაში მთავარ საკითხად გაეხადა. იმ მიზნით, რათა ჩაეშალათ იმპერიალისტთა ასეთი ცდა, საბჭოთა მთავრობა გამოვიდა წინადადებით: „გარკვეულ პირობებში“ ეცნო ძველი ვალები. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ ვიცით, ძალიან კარგად ვიცით, რა გაუგონარი უბედურება მოაქვს ომს მუშებისა და გლეხებისთვის. ამიტომ ჩვენ უაღრესად ფრთხილად და წინდახედულად უნდა მოვეკიდოთ ამ საკითხს. ჩვენ მივდივართ უდიდეს დათმობებსა და მსხვერპლზე, ოღონდ შევინარჩუნოთ მშვიდობა, რომელიც ასე ძვირად დაგვიჯდა. ჩვენ მივდივართ

უდიდეს დათმობებსა და მსხვერპლზე, მაგრამ არა ყოველ-
გვარზე, მაგრამ არა უსაზღვროზე...«[1].

1920 წლისათვის საბჭოთა რუსეთმა ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას მთელ რიგ მეზობელ ქვეყნებთან: ესტონეთთან 1920 წლის 2 თებერვალს, ლიტვასთან — 1920 წლის 12 იელისს, ლატვიასთან — 1920 წლის 11 აგვისტოს, ფინეთთან — 1920 წლის 14 ოქტომბერს. 1920 წლის 12 ოქტომბერს პოლონეთმა ხელი მოაწერა რსფსრ-სა და უკრაინის სს რესპუბლიკასთან წინასწარი ზავის პირობებს.

ანტისაბჭოთა შეიარაღებული ინტერვენციის დამარცხებამ, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ რუსეთში, მძიმე ეკონომიურმა კრიზისმა, რომელმაც მოიცვა კაპიტალისტური ქვეყნები, ომისშემდგომი ევროპის ეკონომიურ აღდგენაში რუსეთის მონაწილეობის აუცილებლობამ განაპირობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა სახელმწიფოს შორის ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება.

ამრიგად, საერთაშორისო რეაქციული ძალების ცდა მოესპოთ სოციალიზმის პირველი კერა რუსეთში, აღედგინათ მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლება, ხელთ ეგდოთ ეკონმიკაში ახალი მბრძანებლური სიმაღლეები — მარცხით დამთავრდა.

სამოქალაქო ომისა და ანტისაბჭოთა სამხედრო ინტერვენციის პერიოდში საბჭოთა რუსეთის მთავრობა, ერთი მხრივ, შეიარაღებულ ბრძოლას ეწეოდა უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ, მეორე მხრივ, აქტიურად იბრძოდა მშვიდობის განმტკიცებისათვის. ორივე ფრონტზე ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ დიდი წარმატებები მოიპოვა: ანტისაბჭოთა სამხედრო ინტერვენცია და შინაგანი კონტრრევოლუციური ძალები დამარცხებულ იქნენ. საბჭოთა რუსეთი მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას. მარცხით დამთავრდა საბჭოთა რუსეთის ეკონომიური დაკაბალების იმპერიალისტური გეგმებიც, დადგა კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობების მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობის პერიოდი.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 160.

თავი მეორე

ანტისაბჭოთა ერთიანი ფრონტის შექმნის ჩაშლა გენუის კონფერენციის წინ

გენუის კონფერენციის მოწვევის საკითხი და დიდ სახელმწიფოთა კოზიციები

ჩვენი ქვეყნის სახით კაპიტალისტური სისტემიდან დედამიწის ერთი მეექვსედის ჩამოშორებამ თავისი დაღი დაასვა მთელი რიგი ქვეყნების სავაჭრო ბრუნვას. ყველაზე უფრო ამ მდგომარეობას ინგლისი გრძნობდა.

ინგლისის ეკონომიურ ურთიერთობას საბჭოთა რუსეთთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ინგლისის მრეწველობას სჭირდებოდა გასაღების ბაზარი. საკუთარი შინაგანი ბაზარი მას არ აკმაყოფილებდა, ამიტომ ინგლისის მმართველ წრეებს საბჭოთა რუსეთთან საჭიროდ მიაჩნდათ ეკონომიური შეთანხმების დადება.

მიუხედავად იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ძალების დამარცხებისა, კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული ძალები როდი ამბობდნენ უარს სხვა გზით მიეღწიათ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის. ისინი ცდილობდნენ თავიანთ კონტროლქვეშ მოექციათ რუსეთის ეკონომიკა, აღედგინათ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება და ამით კაპიტალიზმის რესტავრაცია მოეხდინათ რუსეთში.

საერთაშორისო რეაქცია შეეცადა თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა რუსეთში დაწყებული შიმშილი, როგორც საბჭოთა რუსეთის დაკაბალების ახალი საშუალება. 1922 წლის 1 თებერვალს ინგლისურ გაზეთ „ტაიმსში“ გამოქვეყნდა მოწოდება „ყველა ანტიბოლშევიკს შეექმნა ერთიანი ფრონტი და ესარგებლა ამ შიმშილით ბოლშევიკებისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის“.

მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ხალხის მხარდაჭერით ჩაშალა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ახალი პროვოკაციული ცდაც.

„იმ დროს, — ნათქვამი იყო საბჭოთა მთავრობის 1921 წლის 8 სექტემბრის ნოტაში, — როცა ყველა ქვეყნის საზოგა-

დოების ფართო მასები თავზარდაცემული არიან იმ საშინელი ცნობით, რომელიც რუსეთში გამოწვეული იყო გვალვის შედეგად, პოლონეთის მთავრობა უწევს ყველაზე უფრო ენერგიულ მხარდაჭერას საბჭოთა რესპუბლიკაში საპროდუქტო კამპანიის წინააღმდეგ მომქმედ ორგანიზაციებს და ბანდებს...“ პოლონელი პანებისა და მათ უკან დასავლეთის იმპერიალისტების მიზანი იყო ხელი შეეშალათ საბჭოთა მთავრობის იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც რუსეთში შიმშილის ლიკვიდაციოდ იყო მიმართული. საბჭოთა მთავრობა პოლონელი პანების მთავრობასა და დასავლეთის იმპერიალისტებს აფრთხილებდა იმის შესახებ, რომ პროდუქტთა ნაკლებობას არ შეეძლო დაესუსტებინა რუსეთი. თუ იმპერიალისტები კიდევ გაბედავდნენ იარაღის გამოყენებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხი მზად იყო ისევ საკადრისი პასუხი გაეცა იმპერიალისტ აგრესორებისათვის.

რუსეთში შიმშილისა და ანტისაბჭოთა კამპანიის გაძლიერების მომენტში საბჭოთა მთავრობამ ახალი დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა. 1921 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზადაა გარკვეულ პირობებში იკისროს ომამდელი სახელმწიფო ვალების გადახდა. საბჭოთა რუსეთის მთავრობის ამ ნაბიჯის მიზანი იყო დასავლეთის სახელმწიფოების დაინტერესება, რათა ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა დაემყარებინათ საბჭოთა რესპუბლიკასთან, გაეფართოვებინათ ვაჭრობა მასთან, რაც იმ პერიოდში რუსეთის სახალხო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობის საკითხი იყო. ამ დროს საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას, რომელსაც უნდა განეხილა ვალების საკითხი.

საბჭოთა მთავრობის ზემოხსენებულ განცხადებას მოჰყვა საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის მიწერ-მოწერა. ლოიდ ჯორჯს დაწვრილებით უნდოდა გაეგო საბჭოთა მთავრობის წინადადებები, მაგრამ საბჭოთა მთავრობა თავის საპასუხო ნოტაში მიუთითებდა, რომ პოზიციების დაზუსტება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე.

საბჭოთა მთავრობის 28 ოქტომბრის განცხადებას წინ უსწრებდა დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენცია ბრიუსელში. ამ კონფერენციამ რუსეთის დამშეული მოსახლეობისადმი დახმარების გაწევის საკითხი დაუკავშირა საბჭოთა მთავრობის მიერ ვალების ცნობას.

ქვეყნის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, საბჭოთა მთავრობა მზად იყო ეცნო მეფის რუსეთის მიერ 1914 წლამდე მიღებული სესხები, თუ მას შეღავათიან პირობებს მისცემდნენ ამ ვალდებულების შესრულებისათვის. ამასთან დასავლეთის ქვეყნებს დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტათ მტრული მოქმედება საბჭოთა რუსეთისა და შორეული აღმოსავლეთის მიმართ, ეცნოთ მათი სუვერენული უფლებები და ტერიტორიული ხელშეუხებლობა, დასავლეთის სახელმწიფოებს უნდა დაედოთ აგრეთვე საბოლოო და საყოველთაო ზავი საბჭოთა რუსეთთან და ეცნოთ მისი მთავრობა.

საბჭოთა მთავრობა თავის განცხადებაში კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებს მოაგონებდა, რომ მისი პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა სხვა ქვეყნებთან ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოება. საბჭოთა მთავრობის განცხადებაში ხაზგასმული იყო სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა და აუცილებლობა როგორც რუსეთში, ისე ევროპის ქვეყნებში.

ვალების საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის 28 ოქტომბრის განცხადებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელს მსოფლიოში. ვ. ი. ლენინი გ. ვ. ჩიჩერინისადმი მიწერილ წერილში მიუთითებდა იმაზე, რომ ამ უკანასკნელი მოლაპარაკების დროს ზუსტად განსაზღვრულიყო ჩვენი პრეტენზიები კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ.

რგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა ღრმა ეკონომიურ კრიზისს, რაც ამ ქვეყნებში შინაპოლიტიკურ კრიზისსაც განაპირობებდა. ეს გარემოება ხელს უწყობდა კაპიტალისტურ ქვეყნებში ცალკეული წრეების მისწრაფებას საბჭოთა რუსეთთან დაემყარებინათ ეკონომიური ურთიერთობა. კაპიტალისტთა დაინტერესება გამოწვეული იყო პირადი მოგებით.

ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ პოლიტიკურ საკითხებს, ფიქრობდნენ, რომ ამ გზით იოლად გამოვიდოდნენ კრიზისიდან. მაგალითად, 1920—1921 წწ. ეკონომიურმა კრიზისმა ამერიკის შეერთებული შტატები 13 წლით დასწია უკან. ვილიამ ფოსტერი მიუთითებს, რომ კრიზისი იყო მოკლე, მაგრამ მეტად მწვავე ამერიკის ეკონომიკისათვის.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი კრიზისი მოედო ინგლისს, საფრანგეთს და მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებს ინგლისში კრიზისმა დიდი შიში გამოიწვია კაპიტალისტურ წრეებში. ამიტომ ინგლისის მმართველი წრეების ერთი ნაწილი ყველაზე უფრო მოითხოვდა სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა რუსეთთან.

1920—1921 წწ. კრიზისმა სამრეწველო წარმოების დაცემა, უმუშევრობის ზრდა, ხელფასის შემცირება, მშრომელი მასების ცხოვრების პირობების გაუარესება გამოიწვია. კრიზისის წლებში მარტო ამერიკის შეერთებული შტატები 5,6 მლნ უმუშევარს ითვლიდნენ, ხოლო ინგლისში 1922 წლის 30 დეკემბრისათვის რეგისტრირებული იყო 1885 ათასი უმუშევარი.

ასეთ ვითარებაში თანდათანობით იზრდებოდა საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის სავაჭრო ურთიერთობა. 1921 წლის ივლისიდან სექტემბრამდე ინგლისმა რუსეთში შემოიტანა 82,4 ათასი ტონა ქვანახშირი. მართალია, ეს არც ისე დიდი ციფრია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მისი შემდგომი ზრდის პერსპექტივები ჩანდა.

ასეთ პირობებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა მთავრობის 28 ოქტომბრის ნოტამ. ამ ნოტიდან ჩანდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მისწრაფება კაპიტალისტურ ქვეყნებთან მოლაპარაკება დაეწყო ეკონომიურ-ფინანსურ საკითხებზე.

საბჭოთა მთავრობის 1921 წლის 28 ოქტომბრის ნოტასადმი დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა მხრივ ერთიმეორისაგან განსხვავებული იყო. მაგალითად, საფრანგეთის მთავრობამ პირდაპირ არ უპასუხა საბჭოთა განცხადებას. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა

არისტიდ ბრიანმა საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული განცხადებისადმი თავისი დამოკიდებულება გამოხატა ინგლისის პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯისადმი გაგზავნილ ნოტაში.

საბჭოთა მთავრობის განცხადებას, განსაზღვრულ პირობებში ვალების ცნობის შესახებ, საფრანგეთის მთავრობის მეთაური განიხილავდა (როგორც საბჭოთა რუსეთის მთავრობის მხრივ უკან დახევას. იგი თავის ნოტაში მიუთითებდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მტკიცე პოლიტიკა რუსეთისადმი თითქოს კიდევ უფრო აიძულებდა საბჭოთა მთავრობას ახალ-ახალ დათმობებზე წასულიყო. ამიტომ არისტიდ ბრიანი საბჭოთა რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარების წინააღმდეგი იყო მანამ, სანამ საბჭოთა მთავრობა არ ცნობდა ძველი რუსეთის ყველა ვალს.

სულ სხვა პოზიციაზე იდგა ინგლისის მთავრობა. იგი საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას, არ უკავშირებდა ვალების ცნობას, არამედ ხაზს უსვამდა სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას. ინგლისის მთავრობის მეთაურმა ლოიდ ჯორჯმა მხარი არ დაუჭირა არისტიდ ბრიანის პოზიციას საბჭოთა რუსეთის მთავრობის 28 ოქტომბრის განცხადებისადმი დამოკიდებულების საკითხში.

მხედველობაში ჰქონდა რა იმ პერიოდში ვაშინგტონში მიმდინარე კონფერენცია, საბჭოთა მთავრობა მიუთითებდა, რომ ყველა ამ საკითხის წარმატებითი განხილვისათვის აუცილებელი ურთიერთნდობა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა რუსეთს არ გამორიცხავენ საერთაშორისო საკითხების განხილვის მონაწილეთა რიცხვიდან. „მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოთა რესპუბლიკა დარწმუნდება. რომ მისი ინტერესები სხვა სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის საგანს არ წარმოადგენს, მაშინ შეიძლება ნდობის ატმოსფერო შეიქმნას, რომლის გარეშე მისი დავალიანებებისა და ეკონომიური აღდგენის საკითხების წარმატებით განხილვა ყოველთვის ეჭვის ქვეშ დარჩება“.

საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი, საბჭოთა მთავრობის 28 ოქტომბრის განცხადებაზე პასუხის გაცემა. ევროპაში ეკონომიური ქაოსის ლიკვიდაცია და ამ საქმეში

რუსეთის ჩაბმა — აი საკითხები, რომლებიც ანტანტის უმაღლესი საბჭოს მსჯელობის საგანი გახდა.

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს კონფერენცია გაიხსნა ქ. კანში 1922 წლის 5 იანვარს*. ამ კონფერენციაზე ლოიდ ჯორჯის გარდა მონაწილეობას ღებულობდნენ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე არისტიდ ბრიანი, იტალიის პრემიერ-მინისტრი ივანოე ბონომი და სხვ.

კანის კონფერენციას ესწრებოდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების „მეთვალყურე" — ამერიკელი მონოპოლისტების წარმომადგენელი პოლკოვნიკი ჰარვი.

ძირითადი განსახილველი და მოსაგვარებელი საკითხი იყო საბჭოთა რუსეთთან დასავლეთის სახელმწიფოების შემდგომი ურთიერთობის პრობლემა, ანუ, როგორც ისინი უწოდებდნენ, „რუსეთის საკითხი".

საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში კანის კონფერენციის მოწვევის მომენტისათვის მნიშვნელოვნად იყო განმტკიცებული. დასავლეთ ევროპის რიგმა სახელმწიფოებმა დადო საბჭოთა რუსეთთან ნახევრად პოლიტიკური, ნახევრად სავაჭრო ხელშეკრულებები (დიდმა ბრიტანეთმა — 1921 წლის 16 მარტს, გერმანიამ — 1921 წლის 6 მაისს, ნორვეგიამ — 1921 წლის 2 სექტემბერს, ავსტრიამ — 1921 წლის 7 დეკემბერს და იტალიამ 1921 წლის 26 დეკემბერს). საფრანგეთი და მისი პოლიტიკური გავლენის ორბიტში მყოფი ბელგია, ასევე მცირე ანტანტის სახელმწიფოები (ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, იუგოსლავია) გადაწყვეტით უარს ამბობდნენ საბჭოთა რესპუბლიკასთან კავშირზე და მოითხოვდნენ ომამდელი და ომისდროინდელი ვალების ცნობას და საბჭოთა მთავრობის მიერ უცხოელ მესაკუთრეთა ნაციონალიზებული ქონების (ფაბრიკები, შახტები და სხვ.) დაბრუნებას.

ლოიდ ჯორჯმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო დასავლეთ ევროპის აღდგენა აღმოსავლეთ ევროპის

---

* ანტანტის უმაღლესი საბჭოს კონფერენცია ქ. კანში სარეპარაციო კომისიისა და გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით მიმდინარეობდა 1922 წლის 6 — 13 იანვარს.

გარეშე, ე. ი. რუსეთისა და გერმანიის გარეშე. მაგრამ ლოიდ ჯორჯმა იქვე მოითხოვა საბჭოთა მთავრობის მიერ ვალების ცნობა, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა რუსეთის საბჭოთა მთავრობის ცნობისათვის.

ანტანტის-უმაღლესმა საბჭომ 1922 წლის 6 იანვარს გადაწყვიტა პრინციპში მიეღო რეზოლუციის პროექტი, შემოტანილი ლოიდ ჯორჯის მიერ, რომელიც ეხებოდა ეკონომიური კონფერენციის მოწვევის საკითხს.

ეს რეზოლუცია უმაღლეს საბჭოს შემდგომ სხდომაზე დეტალურად იქნა განხილული და დამტკიცებული. გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „მოკავშირე ქვეყნები, რომლებიც შეიკრიბნენ კონფერენციაზე, გამოთქვამენ ერთსულოვან აზრს, რომ თებერვალში ან მარტის პირველ რიცხვებში მოწვეულ იქნას ეკონომიური და ფინანსური კონფერენცია, რომელზეც ევროპის ყველა ქვეყანას და მათ შორის გერმანიას, რუსეთს, ავსტრიას, უნგრეთს და ბულგარეთს ნება ეძლევათ გააგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები. ისინი თვლიან, რომ ასეთი კონფერენცია წარმოადგენს გადაუდებელ და აუცილებელ ნაბიჯს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიური აღდგენის გზაზე და მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ამ კონფერენციაზე, შესაძლებლობისამებრ, პირადი მონაწილეობა უნდა მიიღოს თვითეული ერის პრემიერ-მინისტრმა იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი გახდეს კონფერენციაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილების ცხოვრებაში სწრაფად გატარება“.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბონომიმ აზრი გამოთქვა, რომ საჭირო იყო დაუყოვნებლივ მოეწვიათ ევროპის კონფერენცია და აუცილებლად ეცნოთ ეკონომიური კავშირის აღდგენა ხალხებს შორის, ამასთან განაცხადა, რომ იტალიის მხრივ დაბრკოლება არ არის ვცნოთ რუსეთის მთავრობაო.

ბრიანი და სხვა დელეგატები შეუერთდნენ ამ თვალსაზრისს. მოკავშირე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა, რომლებიც გენუაში უნდა შეკრებილიყვნენ, ევროპის კონფერენციის მოწვევის პირობები გამოიმუშავეს.

13 იანვარს შედგა კანის კონფერენციის უკანასკნელი

სხდომა. ლოიდ ჯორჯმა. რომელიც თავმჯდომარეობდა სხდომას, სხდომის დამსწრეებს აცნობა საფრანგეთში ბრიანის მთავრობის გადადგომის შესახებ. სხდომამ ლოიდ ჯორჯს დაავალა ოფიციალურად ეპასუხა საფრანგეთის მთავრობისათვის და სინანული გამოეთქვა არისტიდ ბრიანის გადადგომის გამო.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც საჭიროდ ცნობდა ევროპის ეკონომიური ცხოვრების აღსადგენად ახლო მომავალში საერთაშორისო ეკონომიურ-ფინანსური კონფერენციის მოწვევას რუსეთისა და გერმანიის მონაწილეობით.

მოკავშირენი აცხადებდნენ, რომ თანახმა არიან ოფიციალურად სცნონ საბჭოთა მთავრობა, თუ იგი მიიღებს შემდეგ პირობებს:

1. არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება უკარნახოს სხვა სახელმწიფოს პრინციპები, რომლის მიხედვითაც მეორე სახელმწიფომ უნდა მოაწესრიგოს საკუთარი შინაგანი ეკონომიური ცხოვრებისა და მმართველობის სისტემა. ყოველი ერი თავისუფლად ირჩევს იმ სისტემას, რომელიც მას მოსწონს.

2. სანამ რომელიმე სახელმწიფო ისარგებლებს უცხოელი კაპიტალისტების დახმარებით, ეს უკანასკნელნი უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ ქონებას და უფლებას პატივს სცემენ, რომ მათი მოქმედების ნაყოფი უზრუნველყოფილი იქნება.

3. უშიშროების ნამდვილი გარანტიები არ იქნება აღდგენილი, მანამ, სანამ იმ სახელმწიფოების მთავრობები, რომლებსაც სურთ ისარგებლონ უცხოეთის კრედიტით, აშკარად არ გამოაცხადებენ, რომ ისინი სცნობენ ყველა სახელმწიფოვალებს და ვალდებულებას, აღებულს და უზრუნველყოფილ. სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ და აგრეთვე სცნობენ ვალდებულებას აღადგინოს ყველა ქონება, რომელიც ეკუთვნის უცხოელებს, ან აუნაზღაუროს მათ ზარალი, რომელიც მოუვიდათ ქონების კონფისკაციით ან სეკვესტრიით... კანონმდებლობის სისტემა, რომელიც პირუთვნელად დაიცავს უფლებას და მოვალეობას, რომელნიც გამომდინარეობენ კომერციუ-

ლი და სხვაგვარი ხელშეკრულებებიდან და უზრუნველყოფენ მათ იძულებით ძალას.

4. ერს უნდა ჰქონდეს აუცილებელი საშუალება გაცვლისა და საერთოდ დადგენილ უნდა იქნას ფინანსური და ფულადი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკმაო გარანტიას ვაჭრობისათვის.

5. ყველა ერმა უნდა აიღოს ხელი ისეთ პროპაგანდაზე, რომელიც მიმართულია სხვა ქვეყნებში არსებულ წესწყობილების დასამხობად და სხვა პოლიტიკური სისტემის დასამყარებლად.

6. ყველა ქვეყანამ უნდა იკისროს ვალდებულება, რომ არ დაესხას თავის მეზობლებს. თუ იმ პირობათა უზრუნველსაყოფად, რომლებიც საჭიროა რუსეთის ვაჭრობის განსავითარებლად, რუსეთის მთავრობა მოითხოვს ოფიციალურად თავის ცნობას, მოკავშირე სახელმწიფოები მზად არიან ასეთი ცნობისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რუსეთის მთავრობა დათანხმდება ზემოხსენებულ პირობებზე.

კანის რეზოლუციის პირველი პუნქტის შეფასება მოგვცა ვ. ი. ლენინმა. იგი ამბობდა: „...კანის რეზოლუციების § 1, აღიარებს რა საკუთრების ორი სისტემის (კაპიტალისტურის, ანუ კერძო საკუთრების, და კომუნისტურის, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ რსფს რესპუბლიკაშია მიღებული) თანასწორუფლებიანობას, ამრიგად იძულებულია აღიაროს, თუმცა არაპირდაპირ, საკუთრების პირველი სისტემის კრახი, გაკოტრება, — მეორესთან, როგორც თანასწორის თანასწორთან, მისი შეთანხმების გარდუვალობა“[1]. კანის რეზოლუციების სხვა პუნქტები ეწინააღმდეგებოდა ორი სისტემის თანასწორუფლებიანობის შესახებ პირველ პუნქტში გამოთქმულ აზრს.

კანის კონფერენციამ დაადგინა მოწვეულიყო სრულიად ევროპის ფინანსურ-ეკონომიური კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღო ევროპის ყველა სახელმწიფოს, მათ შორის გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებს. რეზოლუციის მიხედვით მომავალი კონ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 419—420.

ფერენციის მთავარი მიზანი მდგომარეობდა ევროპის სახელმწიფოებს შორის ეკონომიური ურთიერთობის განახლებაში.

ანტანტის უმაღლესმა საბჭომ 1922 წლის 11 იანვარს მიიღო კომუნიკე პრესისათვის გენუის კონფერენციის ამოცანების შესახებ. საბჭო შეთანხმდა იმ საკითხებში, რომლებიც განხილული უნდა ყოფილიყო გენუის მომავალ კონფერენციაზე და რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ევროპის ეკონომიური აღორძინებისათვის.

მომავალ კონფერენციაზე განსახილველად ანტანტის უმაღლეს საბჭოში ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგი ძირითადი საკითხები:

ს ა ე რ თ ო ს ა კ ი თ ხ ე ბ ი დ ა დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი. გამოქვეყნებულ რეზოლუციაში რომელიც 6 იანვარს დაამტკიცა ანტანტის უმაღლესმა საბჭომ, ევროპის ყველა სახელმწიფოს ევალებოდა გამოემუშავებინა პრინციპები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ევროპაში ნორმალური ეკონომიური ცხოვრების აღდგენას.

ამ პრინციპებს ეკუთვნის ყველა ქვეყნის მიერ თავიანთ სახელმწიფოს ვალებისა და ვალდებულების ცნობა; ამა თუ იმ მთავრობის მოქმედებით წარმოშობილი დანაკარგებისა და ზარალის ანაზღაურება და ისეთი ფინანსური და ფულადი პირობების შექმნა, რომლებიც შექმნიდნენ საკმაო გარანტიას სავაჭრო ურთიერთობისა და ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისათვის. კონფერენციაზე განსახილველად წარდგენილ არსებით საკითხებს მიეკუთვნებოდა ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარებისათვის აუცილებელი ზომები იმ ხელშეკრულებათა ზიანის მიუყენებლად, რომლებიც აუცილებელია ცალკეული ხალხების ურთიერთნდობის აღსადგენად, ურომლისოდაც აზრი არა აქვს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის აღორძინებას.

მ შ ვ ი დ ო ბ ა: ანტანტის უმაღლესი საბჭო, ევროპის აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის პირველხარისხოვან მნიშვნელობას აძლევდა ყველა სახელმწიფოთა შორის მტკიცე და მყარ მშვიდობაზე დამყარებული ურთიერთობის შექმნას.

ფინანსური საკითხები: კონფერენციას უნდა განეხილა საკითხი ფინანსური პირობების შესახებ, რომლებიც ხელს უშლიდნენ ევროპის აღორძინებას, და გამოემუშავებინა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მის ეკონომიურ აღდგენას. კერძოდ, ევროპის აღორძინების ამოცანებთან დაკავშირებით, განხილული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა სახელმწიფოში ფინანსური მდგომარეობა, ის სწრაფი ცვლილება, რომელიც ხდებოდა ცალკეული ვალუტის ღირებულებასა და სყიდვით უნარიანობას შორის. კონფერენციის მიერ განხილული უნდა ყოფილიყო ევროპის ეკონომიური აღდგენის საქმეში სახელმწიფოებრივი და კერძო კრედიტის გამოყენების საუკეთესო მეთოდები.

ეკონომიური საკითხები: ევროპის მეურნეობის აღდგენის გზაზე დაბრკოლებას შეადგენს ეკონომიური პირობებიც, რის გამოც კონფერენცია განიხილავს საკითხს იმ წინააღმდეგობათა თავიდან ასაცილებლად, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის პროდუქტთა თავისუფალ გაცვლას, განსაკუთრებით იმ საკითხის სწრაფად მოგვარებას ამუხრუჭებდა, რომელიც ომის შედეგად წინააღმდეგობის საბით წარმოიშვა. კონფერენცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ტრანსპორტის გაუმჯობესებასა და განვითარებას. განსაკუთრებით გამოირჩეოდა: კანონიერი გარანტიები და დადგენილებები ვაჭრობის დარგში სხვადასხვა სახელმწიფოში; საკონსულო პერსონალის დებულების შესახებ; საავტორო უფლების დაცვის საკითხი; დადგენილებები, რომლებიც შეეხებოდა ქკეყანაში უცხოელთა დაშვების პირობებს საქმიანი ოპერაციების საწარმოებლად.

1922 წლის 13 იანვარს, ანტანტის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე. ეკონომიური და ფინანსური კონფერენციის გახსნის დღედ გენუაში 1922 წლის 8 მარტი დაინიშნა, თუკი მომავალში არ მოხდებოდა რაიმე ცვლილებები.

ანტანტის უმაღლესმა საბჭომ მოიწონა პროგრამა:

1. 1922 წლის 6 იანვარს კანის რეზოლუციაში მოცემული პრინციპების ცხოვრებაში გატარების საკითხის განხილვა;

2. ევროპაში მტკიცე საფუძვლებზე მშვიდობის დამყარება;

3. ხელშეკრულებათა დაურღვევლად ნდობის აღდგენის არსებითი პირობები.

ფინანსური საკითხები: ა) ფულის ბრუნვა; ბ) ცენტრალური და საემისიო ბანკები; გ) სახელმწიფოებრივი ფინანსები აღდგენის საქმესთან დაკავშირებით; დ) გაცვლა; ე) საერთო და კერძო კრედიტის ორგანიზაცია.

ეკონომიური და სავაჭრო საკითხები: ა) შეღავათები და გარანტიები საექსპორტო და საიმპორტო ვაჭრობისათვის; ბ)საკანონმდებლო და სასამართლო გარანტიები სავაჭრო ოპერაციებისათვის; გ) სამრეწველო საკუთრებისა და საავტორო უფლების შემოფარგვლა; დ) საკონსულო წესდება; ე) უცხოელების დაშვება და მათი უფლებრივი მდგომარეობა საქმიანი ოპერაციების გატარების საქმეში; ვ) ტექნიკური დახმარება მრეწველობის აღდგენის საქმეში. ტრანსპორტი.

ანტანტის უმაღლესი საბჭოს 13 იანვრის ზემოხსენებული გადაწყვეტილების დამატებით ნაწილში მოცემული იყო წინადადებები, რომლებიც ევროპაში უკეთესი ეკონომიური პირობების აღდგენის საკითხს ეხებოდნენ. გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „ევროპის ცხოვრება პარალიზებულია; მისი მრეწველობა მოშლილია, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა; მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი იტანჯება უმუშევრობის გამო...“

ანტანტის უმაღლესი საბჭოს კანის გადაწყვეტილება შემუშავებული იყო იმგვარად, რომ შეცდომაში შეეყვანათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, დაეფარათ კანის თათბირის მონაწილეთა იმპერიალისტური ზრახვები საბჭოთა რუსეთის მიმართ, მსოფლიოს მშრომელებისათვის დაეფარათ ანტანტის ის კაბალური გეგმები, რომლებიც წინასწარ შეიმუშავეს დასავლეთის ქვეყნების მმართველმა წრეებმა. მათი მიზანი იყო საბჭოთა დელეგაციისათვის მომავალ გენუის კონფერენციაზე იმპერიალისტური პირობები წამოეყენებინათ და საბჭოთა რუსეთი აეძულებინათ მიეღო ისინი.

კანის კონფერენციაზე დასავლეთ ევროპის სახელწიფოებს შორის წინააღმდეგობის საკითხზე საქართველოს კპ (ბ) პირველ ყრილობაზე „საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და

საშინაო მდგომარეობის შესახებ“ მოხსენება გააკეთა სერგო ქავთარაძემ. მოხსენებაში მოცემულია იმ პერიოდის საერთაშორისო მდგომარეობის შესანიშნავი ანალიზი. ს. ქავთარაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობას გენუის კონფერენციის მოწვევის საკითხში და ბრიანის მთავრობის გადადგომას საფრანგეთში.

1922 წლის 7 იანვარს იტალიის მთავრობამ რომში მყოფი საბჭოთა რუსეთის სავაჭრო დელეგაციის მეშვეობით მემორანდუმი გამოუგზავნა საბჭოთა მთავრობას. მემორანდუმი იტყობინებოდა, რომ ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად იტალიაში მარტში მოწვეული იქნებოდა ეკონომიურ-ფინანსური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ევროპის ყველა სახელმწიფო.

შემდეგ მემორანდუმში ნათქვამი იყო: „იტალიის მთავრობა, დიდი ბრიტანეთის მთავრობის თანხმობით, თვლის, რომ ამ კონფერენციაზე ლენინის პირადი მონაწილეობა მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა საკითხის გადაჭრას ევროპის ეკონომიური წონასწორობის შესახებ“.

საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა გ. ჩიჩერინმა იტალიის მთავრობას 8 იანვარს შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „რუსეთის მთავრობა კმაყოფილებით იღებს მოწვევას ევროპის კონფერენციაზე. რომელიც გაიხსნება მარტში“.

გენუის კონფერენციის მოწვევის შესახებ ცნობამ და ამ კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მოწვევამ დადებითი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა პრესაში. ეხებოდა რა კანის კონფერენციის გადაწყვეტილებას, გაზეთი „პრავდა“ თავის მოწინავეში წერდა: „საბჭოთა რუსეთის მიწვევა საერთაშორისო კონფერენციაზე არის ჩვენი რევოლუციის გამარჯვება. ეს ბრძოლის დამთავრება კი არ არის, არამედ პირველი წარმატებაა ახალ ფრონტზე და ახალი საშუალებები ბრძოლისათვის. ბრძოლა გრძელდება, შემდგომი წარმატება დამოკიდებული იქნება საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო ძლიერებაზე, შინაგან სიმტკიცესა და სამეურნეო წარმატებებზე“.

ანტანტის უმაღლესმა საბჭომ ევროპის კონფერენციის

ადგილად იტალიის ქ. გენუა ამოირჩია. ამის შესახებ რუსეთის მთავრობამ მიუთითა, რომ გენუა მოშორებითაა და მოკლებულია საკმაო საშუალებებს რუსეთთან დასაკავშირებლად. ამიტომ თავის მხრივ ის წინადადებას იძლეოდა კონფერენცია მოწვეულიყო ლონდონში".

რას ფიქრობდნენ რუსეთის მუშები და გლეხები გენუის კონფერენციაზე ვ. ი. ლენინის მიწვევის შესახებ? ასეთ კითხვას იძლეოდა გაზეთ „პრავდის" რედაქცია, რომელმაც დაბეჭდა წითელარმიელ პეტროვის წერილი სათაურით „რისკი არაა საჭირო": „საერთაშორისო ბურჟუაზიის ბატონები, — წერდა პეტროვი, — ლენინს იწვევენ ეკონომიურ კონფერენციაზე გენუაში. ეს, რასაკვირველია, კარგი საქმეა და ამასთან დიდად სასარგებლო ჩვენი ავტორიტეტისათვის. მაგრამ შეუძლიათ მათ, ამხანაგებო, უზრუნველყონ ძვირფას ილიჩის ხელშეუხებლობა? შეუძლიათ მათ რევოლუციის მიერ განდევნილი რუსი ემიგრაციის ცოფიანი სიძულვილის ალაგმვა? არა, მათ არ შეუძლიათ ეს, ისე როგორც ჩვენ არ შეგვიძლია უზრუნველყოფა იმისი, რომ არ მოხდება რაიმე პროვოკაციული აქტი ამხანაგ ლენინის წინააღმდეგ. ამიტომ, ამხანაგებო, გაუფრთხილდით მოუცს, ნუ გაუშვებთ მას „მგლების ბანაკში", შესაძლებელია საფრთხე. ასეთი ნაბიჯისაგან თავი უნდა შევიკავოთ ამ სანად".

წითელარმიელი პეტროვის აზრი არ იყო ერთადერთი საბჭოთა რუსეთში. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე შემოდიოდა უამრავი წერილი საბჭოთა რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. ამ წერილებში ისინი მოითხოვდნენ გაფრთხილებოდნენ ვ. ი. ლენინის სიცოცხლეს, არ გაეშვათ იგი საზღვარგარეთ.

მას შემდეგ, რაც ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გენუის კონფერენციის მოწვევის შესახებ ცნობილი გახდა, მსოფლიოს გაზეთები და რადიო სხვადასხვა სახის კომენტარებს უკეთებდნენ მას და მომავალი კონფერენციისადმი დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულებას.

ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ წერდა: „ამბობენ, რომ საფრანგეთი ეხლა მზად არის იცნოს საბჭოთა მთავრობა იმ პირობით, რომ მას მიეცემა გარანტია, მისი ცნობის შემდეგ, რუსეთის მიერ თავისი ეროვნული ვალის თავის დროზე გადახდისა“.

ევროპის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ლოიდ ჯორჯის დაწვრილებითი გეგმა ევროპის აღდგენის შესახებ. იგი შემდეგში მდგომარეობდა:

1. ინგლისი უარს ამბობს თავის წილ ვალებზე.

2. საფრანგეთს ეძლევა ანაზღაურების უფლება.

3. ხმელეთის შეიარაღებათა შეზღუდვის განსახორციელებლად და საფრანგეთის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დაიდოს განსაკუთრებული შეთანხმება ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას შორის. ამ შეთანხმებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას რაინის ოლქის ნეიტრალიტეტი.

4. ახლო აღმოსავლეთში ზავის ჩამოგდების შესახებ ინგლისის გეგმა ითვალისწინებს შუამავლობას სმირნაში ქრისტიანულ უმცირესობათა დაცვის საფუძველზე, სადაც უნდა დამყარდეს ისეთი რეჟიმი, როგორიც არსებობს ლონდონში.

5. საბჭოთა მთავრობის მიერ ვალების ცნობის გამო და იმ სურვილების, რომლითაც იგი სცნობს ყველა იმ ვალდებულებას, რომლებიც ადევს კანონიერ მთავრობებს, ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს, რომ აღარ არის უკვე საფუძველი უარი უთხრან საბჭოთა მთავრობას ცნობაზე, რომელსაც ახლა იგი მოითხოვს ყველა სხვა სახელმწიფოსაგან.

როგორც ჩანს, ინგლისის პრემიერ-მინისტრს კიდევ უფრო დეტალური გეგმა გააჩნდა, რომელსაც იგი წარუდგენდა გენუის კონფერენციის მონაწილეებს კონფერენციის დაწყებისთანავე.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის განუწყვეტელი აზრთა გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა მომავალი კონფერენციისა და საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ. რუსეთის მთავრობის ავტორიტეტის ზრდა,

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, დასავლეთის სახელმწიფოებს, კერძოდ საფრანგეთისა და ინგლისის მმართველ წრეებს აიძულებდა დამოკიდებულება შეეცვალათ საბჭოთა რუსეთთან; ეცნოთ იგი და დაემყარებინათ მასთან ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა. ამას მოითხოვდა მათივე ქვეყნების მშრომელი მასები, საზოგადოებრივი აზრი.

ფრანგული გაზეთი „იუმანიტე" წერდა: „საკითხი საბჭოთა რუსეთის აღიარების შესახებ დასმულია ოფიციალურად. ეხლა უკვე გამორკვეულია, რომ პარიზსა და ლონდონს ჰქონდათ სპეციალური მიწერ-მოწერა ამ საკითხის შესახებ, როდესაც საზოგადოებრივი აზრი იყო სრულ გაუგებრობაში. კაპიტალისტურ ქვეყნებს საბჭოთა მთავრობის მიერ მიღწეული გამარჯვების გამო ეხლა მოუხდებათ ბოლომდის იარონ და საბჭოთა რუსეთი აღიარონ არა მხდალი ჩურჩულით, არამედ განსაკუთრებული საზეიმო აქტით. ეხლა უკვე აღარავინ გაუწევს ანგარიშს რუსეთისადმი საფრანგეთის მტრულ დამოკიდებულებას. უკვე დღეიდანვე შეიძლება ვიდღესასწაულოთ საბჭოების უდიდესი მორალური გამარჯვება".

დასავლეთ ევროპის ქვეყნების გაზეთები აშკარად მიუთითებდნენ იმაზე, რომ ომისშემდგომ ევროპაში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ნორმალური ეკონომიური ცხოვრების შექმნისათვის აუცილებელია რუსეთთან ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარება; საჭიროა რუსეთის ჩაბმა ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში.

ინგლისური გაზეთი „ობსერვერი" წერდა: „ბრიტანეთის ოფიციალურ წრეებში კატეგორიულად აღნიშნავენ ევროპის რეკონსტრუქციის შეუძლებლობაზე. რუსეთის მონაწილეობის გარეშე პოლიტიკური კონფერენცია რუსეთსა და მოკავშირე სახელმწიფოთა შორის გულისხმობს რუსეთის აღიარებას. საფრანგეთი მზად არის აღიაროს საბჭოთა ხელისუფლება. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ლენინი დაუყოვნებლივ მიიღებს რუსეთის ვალებს, თუ მოკავშირეები აღიარებენ რუსეთს. მოსკოვი ამტკიცებს, რომ ვალის უღელი იტაროს ორივე მხარემ. ხარჯები, რომლებიც მოუვიდა რუსეთს ორგა-

ნიზაციული თავდასხმის შესამუსრავად. უნდა ამოწერილ იქნას რუსეთ-საფრანგეთის ვალის საერთო ჯამიდან“.

„ევროპის დემილიტარიზაციას, — წერდა ინგლისური გაზეთი „დეილ-ქრონიკლი“, — თავისთავად მოსდევს რუსეთის საკითხის დაბოლოების საჭიროება. რუსეთის დაუშრეტელი საომარი ძალები იქნებიან ევროპის უშიშროების მუდმივ საფრთხედ. ამისათვის საჭიროა რუსეთის კონფერენციაზე მოწვევა... თუ მივიღებთ ლენინის წინადადებას რუსეთის ვალების შესახებ, როგორც მომავალ მოლაპარაკებათა გამოსავალ პუნქტს, მაშინ სრულიად ცხადი იქნება, რომ საფრანგეთი გონიერად არის დაინტერესებული ევროპის დამშვიდების ცდაში და თუ საფრანგეთი გადაუხვევს ამ წინადადებასაც. მაშინ ჩვენ გვეცოდინება, რომ საფრანგეთი კიდევ სხვანაირად ფიქრობს და ჩვენ მივიღებთ აწმყო მომენტის შესაფერის კურსს“.

აღსანიშნავია ის გამოხმაურება, რაც საზღვარგარეთ გამოიწვია საბჭოთა მთავრობის პასუხმა გენუის კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ და კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობების მიერ ვ. ი. ლენინის მიწვევამ გენუაში. ყველა ქვეყნის გაზეთები დიდი სათაურებით ბეჭდავდნენ: „ლენინი მიწვეულია გენუაში“, „ლენინმა მიიღო მიწვევა“, „ლენინი არ იქნება გენუაში“, „ლენინს მხოლოდ ლონდონში უნდა გამგზავრება“, „ლენინი თვითონ არ მიდის გენუაში“, „ლენინი უხვევს“, „ლენინი შეუცვლელია რუსეთში“, „ლენინი მაინც მოვა თუ არა გენუაში“, „გენუა ულენინოდ“ და სხვ.

უცხოეთის გაზეთები მიუთითებდნენ ვ. ი. ლენინის უდიდეს ცოდნაზე, მის გენიოსობაზე, მის ავტორიტეტზე საბჭოთა რუსეთში; იმაზე, რომ ყველა რთული საკითხი რუსეთში წყდებოდა მხოლოდ ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით.

ლენინი — ეს „სული, სიცოცხლე, ენერგია, ტვინია... კომუნიზმის, — წერდა ფრანგული გაზეთი „მატენის“ მოსკოველი კორესპონდენტი, — უნდა აღინიშნოს, რომ ლენინის ავტორიტეტი და გავლენა კომუნისტებს შორის განუსაზღვრელია... მე მინახავს კომუნისტები, „ნამდვილი“ კომუნისტები, რომლებიც ფიქრდებოდნენ ლენინის მხოლოდ გამოჩენისთა-

ნავე. რომელიც თავისი აჩქარებული ნაბიჯებით მიემართებოდა ტრიბუნისაკენ. ჟრუანტელი გაუვლიდა აუდიტორიას და სიწყნარე დგებოდა ისეთი, რომ გაიგონებდით თუ როგორ მიფრინავდა ბუზი... მოაზროვნე, სულისჩამდგმელი შემარიგებელი, ის ფხიზელია თავის საგუშაგოზე კრემლში".

სანამ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის პრესა სხვადასხვა გზებით გენუაში ვ. ი. ლენინის მიწვევას, კონფერენციის დღის წესრიგს, მის შესაძლებელ შედეგებს იხილავდა, თვით გენუის კონფერენციის მოწვევა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

1922 წლის 11 იანვარს ბრიანის მთავრობა გადადგა და ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა უკიდურესი რეაქციონერი, ყოფილი პრეზიდენტი რაიმონდ პუანკარე*. ბრიანმა თავისი სიტყვის შემდეგ, რომელიც მიმართული იყო უკანასკნელ ხანებში მას წინააღმდეგ გალაშქრების საპასუხოდ, მოხსენება გააკეთა კანში (მინისტრთა საბჭოში) საქმეების მდგომარეობის შესახებ და განაცხადა, რომ მას შემდეგში არ შეუძლია დარჩეს მთავრობის სათავეში, რადგანაც მისი ავტორიტეტი ძალიან შეირყა ამ თავდასხმების გამო და გადაწყვიტა გადადგომა.

საფრანგეთში ბრიანის მთავრობის გადადგომა აშკარად მიუთითებდა იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც საფრანგეთის მმართველ წრეებში და საფრანგეთსა და ინგლისს შორის არსებობდა. მაშინ გაზეთი „პრავდა" თავის მოწინავეში სრულიად სამართლიანად მიუთითებდა: ბრიანის გადადგომა ნიშნავს ინგლისსა და საფრანგეთს შორის მკვეთრი და აშკარა კონფლიქტის გაღრმავებას. კონფერენცია გენუაში შედგება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფრანგეთი უარს იტყვის მასში მონაწილეობაზე. ინგლისის იმპერიალიზმის ბრძოლა ფრანგულ

---

* არისტიდ ბრიანი (1862—1932) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი 1909—1931 წწ. 11-ჯერ იყო პრემიერ-მინისტრი და 25-ჯერ მინისტრი, უმთავრესად საგარეო საქმეთა მინისტრი. რაიმონდ პუანკარე (1860—1934) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. 1912 წელს პრემიერ-მინისტრი. 1913—1920 წწ.—პრეზიდენტი. 1922—1924 და 1926—1928 წწ.— ისევ პრემიერ-მინისტრი.

ბონაპარტიზმთან აუმჯობესებს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას.

პუანკარეს კაბინეტმა გადამჭრელი ნაბიჯები გადადგა, რომ ბოლო მოეღო დათმობებისათვის, რომელიც, მისი აზრით, კანში გააკეთა ბრიანმა. იგი შეეცადა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ჩაეშალა კანის ყველა გადაწყვეტილება. კანიდან პარიზში ჩამოსულ ლოიდ ჯორჯს პუანკარემ უარი უთხრა საგარანტიო პაქტის პროექტზე, რომელზედაც ლაპარაკი იყო კანში. საფრანგეთის მთავრობა გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში ინგლისის ცალმხრივი ვალდებულების ნაცვლად მოითხოვდა ინგლის-საფრანგეთის გარანტირებულ ურთიერთდახმარებას.

„ეს პუნქტი, — განუცხადა პუანკარემ ლოიდ ჯორჯს, — აუცილებელია. ორივე მხარე უნდა იქნას დაყენებული თანასწორ მდგომარეობაში. გარდა ამისა... ინგლისი შეიძლება ზუსტი აღმოჩნდეს, როგორც საფრანგეთი და ბელგია, გერმანიის თავდასხმის წინაშე, კერძოდ ჰაერიდან“...

მეორე, საფრანგეთი მოითხოვდა საგარანტიო პაქტის დამატებით სამხედრო კონვენციას ინგლისის ვალდებულებათა კონკრეტული მითითებით.

ბოლოს, პუანკარე აუცილებლად თვლიდა, რათა პაქტის მოქმედების ვადა მნიშვნელოვნად გაეგრძელებინათ, ვიდრე საფრანგეთის მიერ რაინის მარცხენა სანაპიროს ოკუპაციისა.

საბოლოო ჯამში პუანკარეს ეს წინააღმდეგობანი იქამდე მიდიოდა, რომ მას უნდოდა ლოიდ ჯორჯისათვის ეჩვენებინა, რომ ასეთი პაქტი ინგლისის მხრიდან სინამდვილეში არავითარ საჩუქარს არ წარმოადგენდა. პუანკარემ ინგლისის პრემიერ-მინისტრს განუცხადა, რომ ის წინააღმდეგია კონფერენციამ განიხილოს რეპარაციის საკითხი, რომ აღნიშნული საკითხი სარეპარაციო კომისიამ უნდა გადაწყვიტოს.

საფრანგეთის მთავრობის ასეთი პოზიცია არ აწყობდა ლოიდ ჯორჯს. საქმე მიდიოდა გენუის კონფერენციის მოწვევის, ინგლისის პრემიერ-მინისტრის გეგმის ჩაშლისაკენ. გენუის კონფერენციის ჩაშლა კი ლოიდ ჯორჯის პოლიტიკის კრახი იქნებოდა, რასაც ლონდონში მთავრობის კრიზისი მოჰყვებოდა. ლოიდ ჯორჯის სახით ინგლისის მთავრობას სჭირდებოდა გენუის კონფერენცია.

ბრიტანეთის იმპერია მძიმე დღეებს განიცდიდა. უმუშევრობის ზრდა სერიოზულ შედეგებს უქადდა ინგლისს. ირლანდიაში ჯერ კიდევ გრძელდებოდა სამოქალაქო ომი. 1922 წლის 16 თებერვალს მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს შექმნის შესახებ. იმპერია აღმოსავლეთშიც ცუდ დღეში იყო. 1921 წლის ბოლოს ხელმოწერილ იქნა ინგლის-ავღანისტანის ხელშეკრულება, რომლითაც ინგლისი სცნობდა ავღანისტანის დამოუკიდებლობას, უარს ამბობდა მეურვეობაზე და მის საგარეო პოლიტიკისადმი კონტროლზე.

გენუის კონფერენციის მიმართ ლოიდ ჯორჯის პოლიტიკას მხარს უჭერდა იტალია, რომელიც აგრეთვე დაინტერესებული იყო რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარებაში. თანდათანობით მყარდებოდა ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და იტალიას შორის. 1921 წლის დეკემბრის ბოლოს დადებულ იქნა იტალია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება. იტალიის მთავრობა, ჰქონდა რა სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან, მხარს უჭერდა გენუაში კონფერენციის მოწვევას, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა უნდა მიეღო საბჭოთა რუსეთს. საფრანგეთის მთავრობა გარსშემორტყმული აღმოჩნდა ინგლისისა და იტალიის მხრიდან. საფრანგეთისათვის იქმნებოდა იზოლაციის საშიშროება. დიდი სურვილების მიუხედავად პუანკარემ მაინც ვერ შეძლო უბრალოდ საფრანგეთის მთავრობის ხელმოწერა მოეხსნა კანის გადაწყვეტილებებზე, რადგან იგი ფიქრობდა ასეთ ნაბიჯს საფრანგეთის იზოლაცია მოჰყვებოდა ევროპაში. ამდენად პუანკარემ გენუის კონფერენციის წინააღმდეგ საბრძოლველად შემოვლითი გზა აირჩია.

19 იანვარს პუანკარემ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობა ვერსალის გადაწყვეტილებათა გამაგრებას შეეცდებაო. იგი მოითხოვდა საფრანგეთისათვის ვალები ყოველგვარ დათმობათა გარეშე გადაეხადათ და შეენარჩუნებინა სანქცია რათა რაინის მარცხენა ნაპირის ევაკუაცია არ მომხდარიყო, ევაკუირების გარეშე დარჩენილიყო.

პუანკარე მეტად თავშეკავებულად მიესალმებოდა ინგლის-

საფრანგეთის პაქტის დადების პერსპექტივას. მაგრამ ამასთან პირობას აძლევდა პარლამენტს, რომ მთავრობა მტკიცე პოზიციას დაიკავებდა გენუის კონფერენციის მიმართ.

საფრანგეთის პარლამენტში საბჭოთა რუსეთისა და გენუის კონფერენციის შესახებ სამართლიანი ხმები ისმოდა მხოლოდ კომუნისტების მხრიდან. მარსელ კაშენმა თავის სიტყვაში ნათლად ახსნა გენუის ნამდვილი მნიშვნელობა. იგი განიხილავდა გენუის კონფერენციას როგორც ანტისაბჭოთა ინტერვენციისა და ანტისაბჭოთა გეგმების მარცხს.

კაშენი იგონებდა 1919 წელს თუ როგორი კრახი გაუნიცადა კლემანსოს განცხადებამ, რომ საფრანგეთი არასოდეს არ დადებდა ზავს ბოლშევიკებთან. ახლა კი მათ თანასწორ საწყისებზე უნდა შეხვედროდნენ.

9 თებერვალს პუანკარემ ლოიდ ჯორჯს ვრცელი ნოტა გაუგზავნა, სადაც გენუის მომავალი კონფერენციისათვის ჩამოყალიბებული იყო საფრანგეთის პოზიცია.

ნოტაში აღნიშნული იყო ზუსტად განესაზღვრათ საბჭოთა რუსეთის ვალდებულება ვალების გადახდისა და უცხოელებისათვის ნაციონალიზებული ქონების ანაზღაურების შესახებ.

მაგრამ საქმე მარტო დაზუსტებით არ მთავრდებოდა. საფრანგეთის მთავრობა მოითხოვდა — საბჭოთა რუსეთს კონფერენციამდე გაეტარებინა „ახალი ეკონომიური წყობის დამტკიცება“ ან ძველის საჩქაროდ აღდგენა.

საფრანგეთის მთავრობა აგრეთვე მოითხოვდა კონფერენციაზე პროექტით გათვალისწინებულ ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტს და მოკავშირეებისათვის არ ჩამოერთმიათ შესაძლებლობა გერმანიის წინააღმდეგ მიეღო ზომები. თუკი ის ვერსალის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს არ შეასრულებდა.

დასკვნაში ნოტა აყენებდა კონფერენციის მოწვევის 3 თვით მაინც განვადებას, რათა, თითქოს, სახელმწიფოებს შეძლებოდათ უფრო ფართო და დეტალური პროგრამა მოემზადებინათ.

საფრანგეთის მთავრობის ნოტის შინაარსი ცხადყოფდა, რომ პუანკარე ცდილობდა ჯერ გადაედო კონფერენცია, ხოლო შემდეგ ჩაეშალა იგი. ეს კი ლოიდ ჯორჯის გეგმებს ემუქ-

რებოდა. ამიტომ ინგლისის კაბინეტმა იჩქარა საფრანგეთის ნოტაზე პასუხის გაცემა.

საფრანგეთის წინადადების თანახმად, გენუის კონფერენციამდე, მთელ რიგ საკითხებში მოკავშირეთა ქვეყნების შესათანხმებლად, ინგლისის მთავრობა წინადადებას აყენებდა ასეთი შეთანხმების შემუშავება ექსპერტების თათბირისათვის დაეკისრებინათ. ინგლისი უარს ამბობდა საფრანგეთის წინადადებაზე კომისიის შემადგენლობაში შეეყვანათ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, იუგოსლავიის წარმომადგენლები, რადგან ამით ექსპერტებზე საფრანგეთს უნდა გაეწია ხელმძღვანელობა. ინგლისის მთავრობა აგრეთვე უარყოფდა იმას, რომ გენუასთან დაკავშირებული საკითხების წინასწარ განხილვაში მონაწილეობა მიეღოთ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც უმაღლეს საბჭოში არ შედიოდნენ.

საფრანგეთის მთავრობა თანხმდება ექსპერტებზე ინგლისის წინადადებას, მაგრამ მოითხოვდა მოკავშირეთა მთავრობები წინასწარ შეთანხმებულიყვნენ გენუის კონფერენციის პოლიტიკურ პირობებს. ინგლისსა და საფრანგეთს შორის კომპრომისი ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრის ბენეშის მეშვეობით მიღებულ იქნა 25 თებერვალს. ლოიდ ჯორჯი ბულონში შეხვდა პუანკარეს. ეს შეხვედრა ბენეშმა მოაწყო. მაგრამ ამ შეხვედრამ ბოლო ვერ მოუღო ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობას.

პუანკარე ვერ იტანდა ლოიდ ჯორჯის არგუმენტაციებს. შეუპოვრად იდგა თავის პოზიციაზე და მოითხოვდა გენუის კონფერენციამდე თავისი პრეტენზიები წარედგინა საბჭოთა რუსეთისათვის. პუანკარე და ლოიდ ჯორჯი იმაში შეთანხმდნენ, რომ უახლოეს დროში ლონდონში მოეწვიათ ექსპერტები კონფერენციის ეკონომიური და ტექნიკური საკითხების შესასწავლად. გენუის კონფერენციის მოწვევის ვადა გადატანილი ყოფილიყო 1922 წლის 10 აპრილისათვის. აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ გენუის კონფერენციამდე ორივე ქვეყნის წარმომადგენლები ხელს მოაწერდნენ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და იტალიასთან ერთად განიხილავდნენ ახლო აღმოსავლეთის საკითხებს.

ბულონში შეხვედრა ინგლისის მხრივ უეჭველი დათმობა იყო. საფრანგეთმა კონფერენციის გადადებას და მისგ ჩარჩოების შევიწროებას მიაღწია.

ბულონში შეხვედრის შემდეგ საფრანგეთი ცდილობდა, ერთი მხრივ, თავი დაეღწია გენუის კონფერენციაზე მონაწილეობისათვის, მეორე მხრივ, თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, ყველა საშუალებები გამოეყენებინა იმისათვის, რათა უზრუნველეყო თავისი პოზიციების განმტკიცება გენუაში.

1922 წლის 22 თებერვალს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ვ. ჩიჩერინმა რადიოდეპეშით მიმართა იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბონომის და ამ უკანასკნელს სთხოვა შეეტყობინებინა გენუის კონფერენციის მოწვევის განვადება შეეფერებოდა თუ არა სინამდვილეს. გ. ვ. ჩიჩერინი სთხოვდა იტალიის მთავრობას სასწრაფოდ შეეტყობინებინა კონფერენციის გახსნის ახალი თარიღი და დაედასტურებინა საბჭოთა დელეგაციის ხელშეუხებლობის გარანტია გენუაში გამგზავრების შემთხვევაში.

24 თებერვალს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელა ტორეტამ გ. ვ. ჩიჩერინს გამოუგზავნა პასუხი, სადაც მიუთითებდა კონფერენციის გახსნის ვადის გადადებაზე და იტალიის მთავრობის გარანტიაზე დაეცვა გენუის კონფერენციაზე მიმავალი საბჭოთა დელეგაციის ყველა უფლება ისე, როგორც ამას იცავდნენ სხვა სახელმწიფოების დელეგაციების მიმართ. დელა-ტორეტა მიუთითებდა, რომ იტალიის მთავრობის კრიზისის გამო შეუძლებელი იყო გენუის კონფერენციის გახსნის თარიღად 8 მარტის დატოვება.

25 თებერვალს გ. ვ. ჩიჩერინმა რადიოგრამით მიმართა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს დელა-ტორეტას და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ კერზონს, სადაც საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გაკვირვებას გამოთქვამდა გენუის კონფერენციისადმი მოკავშირეების ასეთი მსუბუქი დამოკიდებულების გამო. გ. ვ. ჩიჩერინი მოითხოვდა გენუის კონფერენციის გახსნის ახალი თარიღის რაც შეიძლება მალე დანიშვნას. იმავე დღეს მოსკოვში მიღებულ იქნა იტალიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის

მანცერის რადიოდეპეშა 1922 წლის 10 აპრილს გენუის კონფერენციის მოწვევის შესახებ.

გენუის კონფერენციის წინ საფრანგეთმა გადაწყვიტა უზრუნველეყო მასზე დამოკიდებული სახელმწიფოების მხარდაჭერა. თებერვალში ბუქარესტში პოლონეთის მონაწილეობით შედგა მცირე ანტანტის სახელმწიფოების (ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, იუგოსლავია) კონფერენცია, რომელმაც გადაწყვიტა გენუაში დაეცვათ კანის პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებს იქით არ გაეშალათ დისკუსია. თითქოს ჩანდა მცირე ანტანტის სახელმწიფოთა ერთგულება საფრანგეთის მიმართ, მაგრამ რუსეთის საკითხში ჩეხოსლოვაკიამ და იუგოსლავიამ პუანკარესაგან განსხვავებული და ამ უკანასკნელისათვის არასასურველი პოზიცია დაიკავეს. ეს გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟის ზრდამ და ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მშრომელი მასების სიმპათიამ საბჭოთა რესპუბლიკისადმი ამ ქვეყნების მმართველი წრეები აიძულა შეეცვალათ დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი.

ბენეშის აზრით, რუსეთის მიმართ უნდა დაეცვათ „საშუალო“ პოზიცია. ნინჩიჩი მტკიცე ნეიტრალიტეტის დაცვას მოითხოვდა საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების საქმეში. რუსეთის საკითხში პუანკარეს ანგარიში უნდა გაეწია მცირე ანტანტის განსაკუთრებული მოსაზრებისათვის.

1922 წლის მარტში საფრანგეთის მთავრობამ სპეციალური მემორანდუმი გაუგზავნა ინგლისის მთავრობას. მემორანდუმი იმ პირობების პროგრამას წარმოადგენდა, რომელიც ლოიდ ჯორჯთან მოლაპარაკების დროს წამოაყენა პუანკარემ. იგი ლოიდ ჯორჯისაგან ამ პირობების წინასწარ მიღებას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გენუის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე უარის თქმით ემუქრებოდა.

ამ მემორანდუმში საფრანგეთის მთავრობა მიუთითებდა, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობის პასუხში, რომელიც გ. ჩიჩერინის ხელმოწერით მიიღო იტალიის მთავრობამ, არ იყო აღნიშნული, რომ საბჭოთა მთავრობა უსიტყვოდ მიიღებდა კანის კონფერენციის 6 იანვრის პირობებს.

მემორანდუმში ერთხელ კიდევ განხილული იყო ანტანტის უმაღლესი საბჭოს კანის კონფერენციის პირობები და საფრანგეთის მთავრობის აზრით ეს პირობები გენუის მომავალი კონფერენციის ყოველ მონაწილეს აბსოლუტურად უნდა ეღიარებინა.

კანის რეზოლუციებისა და გენუის მომავალი კონფერენციისადმი გერმანიის მმართველი წრეების დამოკიდებულება თავის სიტყვაში ჩამოაყალიბა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალტერ რატენაუმ, რომელიც მან 1922 წლის 7 მარტს გერმანიის რაიხსტაგის მთავარ კომისიაში წარმოთქვა. ვალტერ რატენაუს აზრით, გენუის კონფერენციას „შეეძლებოდა ხელი შეეწყო ევროპის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის.

გერმანიის დელეგაციის ამოცანად გენუის კონფერენციაზე ვალტერ რატენაუ მშვიდობისათვის ბრძოლას თვლიდა. მისი აზრით, გენუა მთელს მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად მობრუნების პუნქტი უნდა გამხდარიყო.

გენუის კონფერენციის საკითხში განსაკუთრებული პოზიცია დაიკავა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. კანის კონფერენციის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ორი თვის განმავლობაში დუმდა და გენუაში მისი მოწვევის შესახებ პასუხს არ იძლეოდა, მაგრამ დუმილი არ ნიშნავდა იმას, რომ იგი სხვათაშორის ეკიდებოდა კონფერენციის საკითხს.

1922 წლის 8 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჩარლზ ევანს იუზმა* ვაშინგტონში ნოტა გადასცა იტალიის ელჩს. ნოტაში სახელმწიფო მდივანი ადასტურებდა გენუის კონფერენციაზე იტალიის მთავრობის მიერ ამერიკის მიწვევას.

შემდეგ ჩარლზ ევანს იუზი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით გენუის მომავალი კონფერენციის არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ ხასიათზეც მიუთითებდა და რამდენადაც ეს იქნებოდა პოლიტიკური

---

* ჩარლზ ევანს იუზი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი 1921—1928 წწ.

კონფერენცია, იმდენად ამერიკის მთავრობა უარს ამბობდა მასში მონაწილეობის მიღებაზე.

„რატომ თქვა უარი ამერიკის მთავრობამ?, — წერდა ლოიდ ჯორჯი, — შეიძლება იყო სრულიად საკმაო საფუძველი ამ უარის თქმისათვის“, მაგრამ ლოიდ ჯორჯი ამბობს, რომ ასეთი შიზეზები ცნობილი არ არისო.

საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების გენუის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ შეტანილიც არ ყოფილა კონგრესზე განსახილველად. ეს საკითხი მთავრობის წევრთა და სენატორთა ვიწრო წრეებში წყდებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ფორმალური უარი გენუის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა, რომ ისინი შეურიგდნენ ამ კონფერენციის მოწვევის ფაქტს, სადაც უნდა განეხილაო. საბჭოთა სახელმწიფოს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან დამოკიდებულების საკითხი. ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობდა, რათა ყოველგვარი გზებითა და საშუალებებით არ დაეშვა საბჭოთა მთავრობის ცნობა; ჩაეშალა საბჭოთა რუსეთსა და ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთგაგება და გადაუწყვეტელი საკითხების თანასწორობის პრინციპზე მოგვარება; ჩაეშალა გენუაში საბჭოთა სახელმწიფოსთან როგორც საერთო, ისე სეპარატულ შეთანხმებათა დადება.

ამერიკის ასეთი ანტისაბჭოთა კურსი სრულიად მისაღები იყო საფრანგეთის ბურჟუაზიის აგრესიული წრეებისათვის.

ამერიკის მთავრობის ნოტას სიხარულით შეხვდნენ ამერიკისა და ევროპის აგრესიული წრეები. ისინი აღტაცებული იყვნენ ამერიკის მთავრობის ასეთი პასუხით.

ამერიკისა და საფრანგეთის იმპერიალისტები გენუის კონფერენციის ჩასაშლელად შეეცადნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ინტერვენცია მოეწყოთ. აღნიშნული გეგმა საბჭოთა მთავრობისათვის დროულად გახდა ცნობილი.

ამერიკის მთავრობამ გენუის კონფერენციაზე უარით ერთხელ კიდევ ნათელყო თავისი სიძულვილი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მიმართ, ცხადყო

თავისი განუხრელი მისწრაფება გაეგრძელებინა ბრძოლა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის მთელი პრესა გამოდიოდა იმის სასარგებლოდ, რომ ვაშინგტონის მთავრობას მონაწილეობა მიეღო გენუის კონფერენციის მუშაობაში, ხოლო პრეზიდენტი ჰარდინგის მთავრობას სურდა თავიდან აეცილებინა მონაწილეობა გენუის კონფერენციაზე. ამავე დროს ამერიკის მთავრობა ცდილობდა საჯაროდ არ განეცხადებინა გენუის კონფერენციაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზები. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერდა — ამერიკის მთავრობის უარზე ბოლშევიკებთან მჯდარიყო ერთი მაგიდის ირგვლივ.

როგორც დემოკრატიული პარტიის პრესა მიუთითებდა, ბანკირთა ერთი ჯგუფი თანახმა იყო ამერიკას მონაწილეობა მიეღო გენუის კონფერენციის მუშაობაში, მაგრამ კონგრესი და მთავრობა წინააღმდეგი იყვნენ. ვაშინგტონის მთავრობას ეშინოდა, კონფერენციაზე ვინმეს არ წამოეჭრა საკითხი ევროპის სახელმწიფოების ამერიკის ვალებისაგან განთავისუფლების შესახებ.

ამერიკის ელჩმა ლონდონში — ჰარვეიმ 11 მარტს პირდაპირ მოითხოვა გენუაში წამოეჭრათ რეპარაციების აუცილებლობის საკითხი. ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები იმიტომაც ღელავდნენ, რომ გენუის კონფერენციის შედეგად რუსეთის ბაზარი შეიძლებოდა მონოპოლიზებული გამხდარიყო ევროპის რომელიმე ქვეყნისათვის.

რაც უფრო ახლოვდებოდა კონფერენციის გახსნის დღე, მით უფრო აღერვებდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტებს კონფერენციის პერსპექტივები. რა მოხდებ კონფერენციაზე, როგორი იქნება საბჭოთა ძთავრობის პოზიცია, იგი კაპიტალისტური ქვეყნების წინაშე წავა თუ არა კაპიტულაციაზე — თუ ურყევად დარჩება. გენუის შემდეგ სოციალისტური სისტემა განმტკიცდება, თუ იქ შენარჩუნებული იქნება კაპიტალიზმის მონოპოლისტური მდგომარეობა, რუსეთში ოქტომბრის რევოლუციით კაპიტალისტურ და სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის დარღვეული უფსკრუ-

ლი უფრო გაღრმავდება, თუ არა და სხვ. — აი საკითხები, რომლებზედაც გაცხოველებული კამათი იყო უცხოეთის პრესაში.

მემარჯვენე რეაქციული წრეები გენუის კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ იმის მტკიცებით გამოდიოდენ, რომ ბოლშევიკების მიწვევა საერთაშორისო კონფერენციაზე საბჭოთა წყობილებას განამტკიცებს და ზიანს მოუტანს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსო.

გენუის კონფერენციის მოწვევისა და საბჭოთა მთავრობის აღიარების შეურიგებელ მოწინააღმდეგედ რჩებოდა უ. ჩერჩილი. როგორც 1921 წლის გაზაფხულზე, ისე საბჭოთა რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების დადების წინ ის ლოიდ ჯორჯს გადადგომით ემუქრებოდა. უ. ჩერჩილი საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი ნორმალური ურთიერთობის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო. მეტიც, იგი უარს არ ამბობდა პირველ სოციალისტურ სახელმწიფოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ვითარება სულ უფრო იცვლებოდა საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ. გენუის კონფერენციის მოწვევის იდეას ბევრი მომხრეც ჰყავდა. გენუის კონფერენციისა და იქ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან შეხვედრის საკითხი დიდი ინტერესით იხილებოდა ევროპის ქვეყნების გაზეთებში.

გენუის კონფერენციის მოწვევის გარშემო პოლიტიკურმა ბრძოლამ თავისი გამოძახილი ჰპოვა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი მიესალმებოდა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მიწვევას გენუის კონფერენციაზე. ამ ფაქტს განიხილავდნენ როგორც საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა გენუის კონფერენციისადმი თავისი დამოკიდებულება კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე (1922 წლის 21 თებერვალი — 4 მარტი) გამოთქვა.

გენუის კონფერენციის მოწვევამ და კომინტერნის მოქმედებამ აიძულა II და II ½ — ვენის ინტერნაციონალის

ხელმძღვანელები ამოძრავებულიყვნენ. 4 თებერვალს პარიზში გაიხსნა ვერსალის ხელშეკრულებით დაინტერესებული ქვეყნების სოციალისტთა კონფერენცია.

კონფერენცია მოწვეულ იქნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ინიციატივით. მას უნდა განეხილა ევროპის ქვეყნების ეკონომიური აღდგენის პრობლემა და ეს საკითხი უნდა დაეკავშირებინა რეპარაციის პრობლემასთან, მაგრამ კონფერენცია დანიშნულ დღეს არ შედგა.

კონფერენციის სხდომები გადაიდო იმის გამო, რომ გერმანიის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ჩამოსვლა. ამიტომ კონფერენცია 15 თებერვალს მაინის ფრანკფურტში გაიხსნა.

ვენის ინტერნაციონალის ხელმძღვანელებმა წინადადება შეიტანეს ერთად მოეწვიათ სამი ინტერნაციონალის კონფერენცია.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა წინადადება მიიღო მონაწილეობა მიეღო სამი ინტერნაციონალის ერთიან კონფერენციაზე. 17 მარტს დანიშნა თავისი დელეგაცია და მათთვის დირექტივები შეიმუშავა. ასეთი თათბირი კომუნისტებს საშუალებას აძლევდა გენუასთან დაკავშირებით ბრძოლის ჩარჩოები გაეფართოვებინათ ერთიანი ფრონტის შექმნის ტაქტიკის საფუძველზე.

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია გაიხსნა ბერლინში 1922 წლის 2 აპრილს, რაიხსტაგის შენობაში. კომინტერნის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ კლარა ცეტკინი, სენ კატაიამა და სხვ.

III ინტერნაციონალის სახელით გამოვიდა კლარა ცეტკინი. „ჩვენ, — ამბობდა იგი, — აუცილებლად ვთვლით უმოკლეს დროში საერთაშორისო მუშათა კონფერენციის მოწვევას...“

მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები აშკარად ვერსალის ზავის დასაცავად და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

8 აპრილს სამი ინტერნაციონალის კონფერენცია საერთო დეკლარაციის მიღების შემდეგ დაიხურა. წინადადება — გენუის კონფერენციის პერიოდში საყოველთაო სოციალის-

ტური კონფერენციის მოწვევის შესახებ.— უარყოფილ იქნა.

კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების — ბუხარინისა და რადეკის პოზიციის გამო ვ. ი. ლენინი აღშფოთებული იყო. ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა ბუხარინისა და რადეკის კაპიტულანტურ პოლიტიკას II და II ½ ინტერნაციონალთა ოპორტუნისტი ლიდერების წინაშე სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე[1].

ასეთი იყო დიდ სახელმწიფოთა პოზიციები გენუის კონფერენციის მოწვევის საკითხში. როგორც დავინახეთ, დასავლეთის სახელმწიფოები, კერძოდ ინგლისი და იტალია დაინტერესებული იყვნენ გენუის კონფერენციის მოწვევით და მასში საბჭოთა რუსეთის მონაწილეობით, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოების საერთო მიზანი იყო საბჭოთა რუსეთისათვის თავზე მოეხვიათ კაბალური პირობები. მსოფლიოს დემოკრატიული ძალები გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მიწვევაში საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟის ზრდას ხედავდნენ.

გენუის კონფერენციის მოწვევისადმი დასავლეთის სახელმწიფოების მმართველი წრეების დამოკიდებულება ცხადყოფდა ევროპაში ეკონომიური კრიზისის გაღრმავების მწვავე შედეგებს, ევროპის ბაზრის ნორმალიზაციისათვის რუსეთის მონაწილეობის აუცილებლობას, ამხელდა ბურჟუაზიული დიპლომატების ზრახვებს მომავალ კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მიწვევით მისთვის გაეკეთებინათ ის, რის გაკეთებაც შეიარაღებული ძალების საშუალებით ვერ შეძლეს, ე. ი. მიეღწიათ საბჭოთა რუსეთის ეკონომიური დაკაბალებისათვის, მაგრამ საერთაშორისო ბურჟუაზიის ეს ცდაც კრახით დამთავრდა.

გენუის კონფერენციის გახსნამდე საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა, საბჭოთა მთავრობის სახელით, იტალიის მთავრობასთან მიწერ-მოწერაში ჩამოაყალიბა საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება გენუის კონფერენციისადმი.

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 389.

საბჭოთა ხალხი სავსებით უჭერდა მხარს თავისი მთავრობის საგარეო პოლიტიკას. ეს განსაკუთრებული ძალით ნათელყო საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობამ, რომელიც 1921 წლის 23—28 დეკემბერს მიმდინარეობდა. ყრილობაზე მოხსენება „რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ" ვ. ი. ლენინმა გააკეთა. თავის მოხსენებაში მან შეაჯამა საბჭოთა რუსეთზე შემოსევებისა და ომის გარეშე პირველი წლის შედეგები. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „...მთელმა წელმა განვლო, და არც ერთი, ყოველ შემთხვევაში დიდი, თავდასხმა ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებაზე რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალისტების მხრივ არ ყოფილა. პირველი წელია, რაც ჩვენ ვისარგებლეთ... თავდასხმისაგან შედარებითი შესვენებით და შეგვეძლო თუნდაც რამდენადმე გამოგვეყენებინა ჩვენი ძალ-ღონე იმისათვის, რაც შეადგენს ჩვენს მთავარ და ძირითად ამოცანას, — ომებით გაჩანაგებული მეურნეობის აღსადგენად. იმ ჭრილობათა მოსაშუშებლად, რომლებიც მიაყენეს რუსეთს მბრძანებელმა ექსპლოატატორულმა კლასებმა, და იმისათვის, რომ ჩაგვეყარა სოციალისტური მშენებლობის საძირკველი"[1].

ვ. ი. ლენინი იქვე აღნიშნავდა, რომ „...საერთაშორისო ურთიერთობაში შეიქმნა განსაზღვრული, თუმცა უაღრესად მერყევი, მაგრამ მაინც წონასწორობა"[2].

ვ. ი. ლენინმა დააყენა საკითხი, რათა საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობას საერთაშორისო ვითარების შესახებ მიეღო სპეციალური დეკლარაცია.

ვ. ი. ლენინის ეს წინადადება მიღებულ იქნა და საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობამ სპეციალური დეკლარაცია მიიღო რსფსრ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციიდან და სამოქალაქო ომიდან გამარჯვებით გამოსვლამ განამტკიცა საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. სულ უფრო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 153.

[2] ი ქ ვ ე.

იზრდებოდა საბჭოთა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მომხრეთა რიცხვი. ამაში განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ ცალკეული კაპიტალისტები, რომლებსაც ვაჭრობა აინტერესებდათ საბჭოთა რესპუბლიკასთან. გაზეთებში სულ უფრო ხშირად იწერებოდა საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის მოწვევაზე, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო საბჭოთა რუსეთს.

გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მონაწილეობასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ფაქტი. უცხოეთის გაზეთები წერდნენ ევროპის ფართო საზოგადოებრივ წრეებში არსებულ „გაუგებრობაზე“ გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. გაუგებრობა გამომდინარეობდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ცნობიდან, იმის შესახებ, რომ კონფერენციაზე მოწვეული იქნებოდნენ მხოლოდ იმ მთავრობების წარმომადგენლები (ცხადია, საბჭოთა რუსეთის გარდა), რომლებსაც ცნობდნენ ამ კონფერენციის ინიციატორი სახელმწიფოების მთავრობები.

„გაუგებრობა“ იმ სახისა იყო, რომ თითქოს კონფერენციაზე მოწვეული იქნებოდნენ არა საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობათა წარმომადგენლები, არამედ იმ მთავრობებისა, რომლებიც გაქცეული იყვნენ საზღვარგარეთ და რომლებმაც თავი შეაფარეს თავიანთ მონათესავე და მოძმე, დასავლეთის იმპერიალისტების ჯალათებს.

შეიძლება ეს „გაუგებრობა“ კი არა, — წერდა „კომუნისტი“ თავის მოწინავეში, — ცოცხალი ფაქტიც იყოს და სინამდვილესთან ძალიან ახლო იდგეს, მით უმეტეს, რომ ამას წინათ იყო ცნობა იმის შესახებ, რომ მოკავშირეებს ვერ გადაეწყვიტათ, თუ რომელი მთავრობების წარმომადგენლები დაეშვათ კონფერენციაზე. იმათი, რომლებიც უჯაროდ დარჩნენ და ევროპის იმპერიალისტების სალონებში არიან ატუზული, თუ იმ მთავრობების, რომლებიც ჭეშმარიტად ასეთები არიან და ხალხის ფართო მასების, მუშებისა და გლეხების განუსაზღვრელი ნდობით სარგებლობენ...“

ზემოაღნიშნული „გაუგებრობის“ თავიდან ასაცილებლად

საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა ინსტრუქცია გაუგზავნა საბჭოთა რუსეთის ყველა წარმომადგენელს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. ხოლო თავის მხრივ განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა ვერ მიიღებდა მონაწილეობას კონფერენციის მუშაობაში, თუ ამ კონფერენციაზე მოწვეული იქნებოდნენ კონტრრევოლუციონური ორგანიზაციების წარმომადგენლები და კავკასიის ყოფილი მთავრობები, რომლებიც ფაქტიურად უკვე დიდი ხანია არ არსებობდნენ.

გაზეთი „კომუნისტი" დიდ მნიშვნელობას აძლევდა გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მიწვევას. იგი წერდა: „საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო კონფერენციაზე მიწვევა წარმოადგენს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტს არა მარტო საბჭოთა რუსეთისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვისაც... მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და კაპიტალისტურ დასავლეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ფინეთის საზღვარზე და შორეულ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ გრძელდება სამხედრო მოქმედებანი, მაგრამ საზავო კონფერენციის და რუსეთის სამშვიდობო პოლიტიკის დიდი წარჩინების უარყოფა არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება უარყოფილ იქნას ინგლის-იტალიის უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკის ცნობილი გამარჯვება საფრანგეთის უაზრო პოლიტიკაზე. ამ წარჩინებათა შემდეგმა განვითარებამ უნდა გამოიღოს დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ-ეკონომიური შედეგები რუსეთისათვის".

გენუის საერთაშორისო ეკონომიურ-ფინანსურ კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მიწვევამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობაში. საქართველოში, კერძოდ, თბილისში ეწყობოდა მიტინგები და კრებები, სადაც მოხსენებებით გამოდიოდნენ საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელები და აცნობდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს გენუის კონფერენციისა და მასთან დაკავშირებული საკითხების არსს.

1922 წლის 10 თებერვალს თბილისში მუშათა ცენტრალურ

კლუბში მოეწყო მიტინგი. სადაც ესწრებოდა 300-მდე მუშა-მოსამსახურე და წითელარმიელი, მოხსენება „გენუის კონ-ფერენცია და საბჭოთა ფედერაცია“ გააკეთა მ. ორახელა-შვილმა.

მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი ხასიათის რეზოლუცია: „მოისმინა რა მოხსენება გენუის კონფერენციისა და საბჭოთა ფედერაციის შესახებ, მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ დაადგინა:

1. საბჭოთა ფედერაციის წარმომადგენლების მიწვევა გენუის კონფერენციაზე მაჩვენებელია მსოფლიოს ბურჟუაზი-ული რესპუბლიკების დამოკიდებულების გარდატეხისა საბ-ჭოთა ფედერაციისადმი, რაც გვიჩვენებს საბჭოთა რესპუბლი-კების საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას.

2. თვითონ ფაქტი საბჭოთა რესპუბლიკებისა, თავის მოთხოვნილებების დაცვისა ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ჩამოგდებული მთავრობების მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ, მაჩვენებელია ჩვენი პოზიციების სიმტკიცისა. მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების პროვოკაციულ მუშაობას არ შეუძლია მოხაროს ჩვენი პოლი-ტიკის ხაზი, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის დიქ-ტატურის საფუძვლების მტკიცე გატარებისაკენ. ძალაუფლე-ბის პატრონის — პროლეტარიატის რკინის ხელი, ემყარება რა მესამე კომინტერნის პროლეტარულ არმიას — სახელოვანი წითელი არმიის ძლიერებას, სათანადოდ გაუსწორდება თავზე ხელაღებულ პროვოკატორებს. გაუმარჯოს მებრძოლ პროლე-ტარიატის სოლიდარობას! ძირს პროვოკატორები!“

14 თებერვალს არსენალზე შედგა საინჟინრო საწყობის მუშებისა და მოსამსახურეების კრება. მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ გააკეთა მ. კახიანმა. კრებას დაესწრო 600-მდე კაცი. კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვა-მი იყო, რომ მისი მონაწილეები უთვლიან „თავის პროლეტა-რულ სალამს საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციას, რომელიც მიემგზავრება გენუის კონფერენციაზე, და რომლებიც რო-გორც დიდი რევოლუციონერი პროლეტარიატის წარმომად-

გენლები, იბრძვიან უკეთესი მომავლისა და კომუნიზმისათვის"[1].

შემდეგ კრების დამსწრეები გამოთქვამდნენ რწმენას, რომ საბჭოთა რესპუბლიკის დელეგაცია გენუის კონფერენციაზე ღირსეულად დაიცავდა საბჭოთა ხალხის ინტერესებს. ამის შესახებ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „მუშები დარწმუნებულია, რომ საბჭოთა დელეგაცია ღირსეულად და მედგრად დაიცავს მუშურ სახელმწიფოს ინტერესებს. და ყოველ ღონისძიებას იხმარს იმისათვის, რომ გამოიყვანოს მშრომელი მასები მშვიდობიან საბჭოთა მშენებლობის გზაზე. კრების მონაწილეები გმობდნენ მენშევიკებისა და ქართველი ხალხის სხვა მტრების მოქმედებას უცხოეთში.

შემდეგ რეზოლუცია მოუწოდებდა საქართველოს პროლეტარიატს, რომ მუშათა კლასის გამყიდველობის პროვოკაციის საპასუხოდ უფრო გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება და სამეურნეო ფრონტზე კიდევ ერთი შეტევით დაემტკიცებინათ ყველა ლორდის, გრაფისა და ბანკირისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება პროლეტარიატის დიქტატურის მტკიცე საფუძველზე დგას, რომლის შერყევასაც ვერავინ ვერ შეძლებს.

საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელს გენუის კონფერენციაზე ზურგს უმაგრებდა საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, რომლებიც საქმით ამტკიცებდნენ თავის თავდადებას სოციალისტური სამშობლოსათვის.

საქართველოს სსრ საბჭოების პირველ ყრილობაზე 1922 წლის 25 თებერვალს მოსმენილ იქნა ფ. მახარაძის მოხსენება საქართველოს საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში ფ. მახარაძემ აღნიშნა: „გენუის კონფერენცია სწორედ უკანასკნელი ცდაა იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, რომ რამენაირად ბოლო მოუღონ ეკონომიურ კრიზისს, რომელიც სულს უხუთავს იმპერიალისტურ ქვეყნებსაც. ეს არის ამ კრიზისიდან რამენაირად გამოსვლის ცდა. ნურავის ეგონება, ამხანაგებო, რომ იმპერიალისტური

---

[1] გაზ. „კომუნისტი". 18.2. 1922.

სახელმწიფოები გამსჭვალული არიან იმ აზრით, რომ დახმარება გაუწიონ გაჭირვებულ რუსეთის მუშათა კლასს მისი სიღატაკიდან და გაჭირვებიდან გამოყვანისათვის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ შემთხვევაში ისინი ხელმძღვანელობენ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებით"[1].

შემდეგ ფ. მახარაძე შეეხო დასავლეთის სახელმწიფოებში შექმნილ მდგომარეობას და საბჭოთა რუსეთისადმი მათი დამოკიდებულების საკითხს. იგი სრულიად სამართლიანად მიუთითებდა ინგლისის საქმოსანი წრეების მისწრაფებაზე დაემყარებინათ სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა რესპუბლიკასთან. ფ. მახარაძე ამბობდა:

„გენუის კონფერენცია... არის უკანასკნელი ცდა, რომ ამ ორ ბანაკში ჩამოვარდეს რაიმე ნორმალური დამოკიდებულება, მაგრამ სწორედ აქაა იმ წინააღმდეგობის უფსკრული, რომელშიაც ჩაფლულია დღეს იმპერიალისტური მსოფლიო. როგორ, რანაირად? ჩვენ ვხედავთ, რომ ეს იმპერიალისტური ბანაკი სრულებით დაიქსაქსა; ინგლისი, როგორც უფრო გამობრძმედილი მეთაური მთელი იმპერიალისტური ქვეყნებისა არის ყველაზე უფრო გამოქნილი ყოველგვარ ხრიკებში. იგი უფრო ადრე მიხვდა, რომ დღევანდელ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად აუცილებლად საჭიროა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა, რომ რუსეთის ბაზარი გამოიყენოს თავის საქონლის გასატანად"[2].

1922 წლის 8 იანვარს საბჭოთა მთავრობამ დადებითად უპასუხა იტალიის მთავრობას გენუის კონფერენციაზე მიწვევის შესახებ. გ. ჩიჩერინის საპასუხო ნოტამ ამ საკითხზე დადებითი შთაბეჭდილება დატოვა დასავლეთ ევროპის საზოგადოებრიობაზე.

გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მიწვევა საბჭოთა ხელისუფლების ახალ გამარჯვებას ნიშნავდა. გენუის კონფერენციაზე მიწვევა, ნათქვამი იყო „პრავდის" მოწინა-

---

[1] საქართველოს სსრ საბჭოების პირველი ყრილობა, თბ., 1952 წ. გვ. 14.

[2] იქვე, გვ. 14 — 15.

ვეში. წარმოადგენს „არა მარტო ჩვენს დიპლომატიურ გამარ-ჯვებას, არამედ უწინარეს ყოვლისა ის არის ჩვენი წითელი არმიის სამი წლის სახელოვანი გამარჯვებების შეჯამება და ჩვენი შინაგანი სიმტკიცის შედეგი, მუშათა და გლეხთა ამ კავშირის სიმტკიცის შედეგი, რომელსაც ემყარება საბჭოთა რესპუბლიკა“.

1922 წლის 20 იანვარს. სრულიად რუსეთის ცაკმა სპეციალური დეპეშები დაუგზავნა გუბერნიების აღმასრულებელ კომიტეტებს, ავტონომიური და დამოუკიდებელი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ცაკის ყველა წევრს, რათა 1922 წლის 27 იანვარს სრულიად რუსეთის ცაკის საგანგებო სესიაზე გამოცხადებულიყვნენ.

1922 წლის 27 იანვარს მოსკოვში კრემლის დარბაზში გაიხსნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია, რომელსაც უნდა აერჩია გენუაში გასაგზავნი დელეგაცია.

საქართველოს რესპუბლიკიდან სრულუფლებიან წარმომადგენლად მოსკოვში დანიშნულ იქნა მ. ცხაკაია.

მ. ი. კალინინის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ მოსმენილ იქნა გ. ჩიჩერინის მოხსენება გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მონაწილეობის შესახებ.

დელეგაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ვ. ი. ლენინი, ხოლო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ვ. ჩიჩერინი თავმჯდომარის მოადგილედ და თავმჯდომარის ყველა უფლებებით იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა გამორიცხავდა ვ. ი. ლენინის გამგზავრებას გენუის კონფერენციაზე.

რსფს რესპუბლიკის დელეგაციას უნდა დაეცვა საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესები და საჭირო შემთხვევაში ცნობებს მიაწვდიდა საბჭოთა მთავრობას და რესპუბლიკების მთავრობებს.

საბჭოთა დელეგაციისათვის შემუშავებულ იქნა პროგრამა, რომლითაც უნდა ესარგებლა მას. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი რკპ (ბ) მე-11 ყრილობაზე ამბობდა: „ც. კ-ში ჩვენ

შევიმუშავეთ საკმაოდ დეტალური დირექტივები გენუაში მიმავალი ჩვენი დიპლომატებისათვის, დიდი დრო მოვანდომეთ მათ შემუშავებას, რამდენჯერმე ვიხილავდით და ხელახლა ვიხილავდით მათ"[1].

1922 წლის 22 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მ. ი. კალინინის კაბინეტში შედგა თათბირი აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, ბელორუსიის სსრ, ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის, საქართველოს სსრ, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის, უკრაინის სსრ და ხორეზმის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელსაც თავმჯდომარეობდა მ. ი. კალინინი. თათბირმა გადაწყვეტილება მიიღო და მისმა მონაწილეებმა სპეციალურ ოქმს მოაწერეს ხელი, რომლის თანახმად რწმუნებები გადასცეს რსფსრ-ს, რათა მათი ინტერესი დაეცვა გენუის მომავალ კონფერენციაზე და ნება დართეს რსფსრ-ს მათი სახელით დაედო ხელშეკრულება და კონფერენციაზე გამომუშავებულ აქტებზე ხელი მოეწერა.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ვალდებულება აიღო გენუის კონფერენციაზე ზემოხსენებული მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესები დაეცვა. ამის შესახებ სპეციალური განცხადება ვააკეთა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ი. კალინინმა.

1922 წლის 6 მარტს ვ. ი. ლენინმა სიტყვა წარმოთქვა მელითონეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე. ვ. ი. ლენინი თავის სიტყვაში შეეხო როგორც საშინაო, ისე საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობას.

მიმართავდა რა ყრილობის დამსწრეებს ვ. ი. ლენინმა განაცხადა: „თქვენ, რა თქმა უნდა, ყველამ იცით, ამხანაგებო, რომ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხთა პირველ რიგში ჩვენთვის კვლავ გენუა დგას"[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 306.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 242.

გენუაზე საბჭოთა რუსეთის პოზიციის შესახებ ვ. ი. ლენინი ამბობდა, საბჭოთა მთავრობის პოზიცია „გენუის კონფერენციის საკითხში, თავიდანვე სრულიად მტკიცე იყო და ასევე მტკიცე დარჩა“[1].

საბჭოთა დელეგაციის ამოცანები გენუის კონფერენციაზე განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა: „ჩვენ იმთავითვე ვაცხადებდით, — ამბობდა ვ. ი. ლენინი — რომ გ ე ნ უ ა ს მ ი ვ ე ს ა ლ მ ე ბ ი თ და მ ი ვ დ ი ვ ა რ თ ი ქ; ჩვენ მშვენივრად გვესმოდა და სრულიადაც არ ვმალავდით, რომ იქ მივდივართ როგორც ვაჭრები, იმიტომ რომ ჩვენთვის კაპიტალისტურ ქვეყნებთან (ვიდრე ისინი ჯერ საბოლოოდ არ დაშლილან) ვაჭრობა უსათუოდ აუცილებელია, და რომ იქ მივდივართ იმისთვის, რომ ამ ვაჭრობის პოლიტიკურად შესაფერისი პირობები განვიხილოთ რაც შეიძლება უფრო სწორად და რაც შეიძლება უფრო ხელსაყრელად, — ეს არის და ეს“[2].

საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციას გენუაში მტკიცედ უნდა დაეცვა თავისი ქვეყნის ინტერესები და იმპერიალისტების ყოველგვარი ცდა ჩაეშალა საბჭოთა რუსეთისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი ინტერესები. ამაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ყოველგვარი ცდა თავს მოგვახვიონ პირობები, როგორც დამარცხებულებს, აშკარა სისულელეა, რომელზედაც პასუხის გაცემაც კი არა ღირს. ჩ ვ ე ნ, რ ო გ ო რ ც ვ ა ჭ რ ე ბ ი, ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ს ვ ა მ ყ ა რ ე ბ თ დ ა ვ ი ც ი თ, თ უ რ ა გ მ ა რ თ ე ბ ს ჩ ვ ე ნ ი დ ა რ ა გ ვ მ ა რ თ ე ბ ს შ ე ნ ი, დ ა რ ა მ დ ე ნ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს შ ე ნ ი კ ა ნ ო ნ ი ე რ ი დ ა თ უ ნ დ ა ც გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ი მ ო გ ე ბ ა“[3].

აღსანიშნავია საბჭოთა დიპლომატიის აქტიური მოქმედება გენუის კონფერენციისათვის მზადების პერიოდში. ცდილობდა რა ჩაეშალა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა, მთავრობამ არაოფიციალური მოლაპარაკება დაიწყო ფრანგებთან. შეხვედრები მიმდინარეობდა ბერლინსა და პარიზში. ამ შეხვედრათა შედეგად 16 მარტს ბერლინში

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 242.

[2] იქვე.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 250.

დადებულ იქსა შეთანხმება საბჭოთა რუსეთსა და საფრანგეთის წითელჯვარს შორის დამშეულთა დახმარების შესახებ.

იმისათვის, რომ დასავლეთის ქვეყნები გაცნობოდნენ საბჭოთა კანონმდებლობას, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1921 წლის შემდგომ საბჭოთა მთავრობის იურიდიული ღონისძიებების შესახებ მემორანდუმი გამოაქვეყნა.

საბჭოთა სახელმწიფოს მემორანდუმმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გამცემლური ბურჟუაზიული პრესის ანტისაბჭოთა მოსაზრებების მხილებაში, დაეხმარა აღედგინა ჩვენი ქვეყნის შინაგანი ცხოვრების სიმართლე. ამ მემორანდუმით ლანძღვარი ჩასცეს სიცრუეს, ცილისწამებას და მტრულ გამოხდომებს. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერდა: „გენუის თამაში, ათურმის თამაში, რომელიც მის გარშემო ხდება, ოდნავადაც ვერ გვაიძულებს მერყეობა გამოვიჩინოთ. ახლა ჩვენ უკვე ვეღარ დაგვიჭერენ. ჩ ვ ე ნ მ ი ვ დ ი ვ ა რ თ ვ ა ჭ რ ე ბ თ ა ნ დ ა დ ა ვ დ ე ბ თ გ ა რ ი გ ე ბ ე ბ ს, გ ა ნ ვ ა გ რ ძ ო ბ თ დ ა თ მ ო ბ ე ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა ს, მ ა გ რ ა მ ამ დ ა თ მ ო ბ ა თ ა ფ ა რ გ ლ ე ბ ი უ კ ვ ე გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ა. ის, რაც დღემდე ვაჭრებს მივეცით ჩვენს ხელშეკრულებებში, ეს შოვახდინეთ ჩვენს კანონმდებლობაში ნაბიჯის უკან გადადგმის აზრით, და ამაზე შორს აღარ წავალთ“[1].

საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა თუ ვისთან ექნებოდა საქმე, დაახლოებით როგორი ვითარება შეიქმნებოდა გენუაში, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს შორის არ ყოფილიყო ერთიანობა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „პრავდა“ თავის მოწინავეში წერდა: „გენუაში ერთმანეთს შეხვდება ორი მსოფლმხედველობა რუსეთის საკითხში — ფრანგული, რომელიც უარს ამბობს საბჭოთა რუსეთის ცნობაზე და ლოიდ ჯორჯისა, რომელიც მოითხოვს ამას კაპიტალიზმის კრიზისის გამო“.

იმ მიზნით, რათა გაეფართოებინა ანტიიმპერიალისტური ფრონტი და განემტკიცებინა თავისი პოზიციები, 1922 წლის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 259—260.

21 იანვარს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიმართა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს და მოსთხოვა განმარტება, თუ რატომ არ იყო მოწვეული თურქეთი გენუის კონფერენციაზე. ეს წინადადება ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობასაც აძლიერებდა. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ავალებდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს ლონდონში კრასინს, გაერკვია საკითხი გენუის კონფერენციაზე თურქეთის მიუწვევლობის შესახებ.

ამავე პერიოდს ეკუთვნის თურქეთის მთავრობის პროტესტი იმის გამო,—რომ თურქეთი არ იქნა მიწვეული გენუის კონფერენციაზე.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა ემზადებოდა რა გენუის კონფერენციაზე მონაწილეობისათვის, მას ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, რომ საქმე ჰქონდა სრულიად სხვა რეჟიმის სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, კონფერენციაზე ყველა თანასწორი უფლებებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი.

ეხებოდა რა გენუის კონფერენციის წინ ცილისმწამებლურ კამპანიას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ჩიჩერინი დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობებს 1922 წლის 15 მარტის ნოტაში წერდა: „თავისუფალი აზრთა გაცვლა-გამოცვლის ნაცვლად, რუსეთს ემუქრება ბოიკოტის ახალი სახე. მთელი დასავლეთის პრესა სავსეა ცნობებით მოლაპარაკებებზე, რომლებიც მიმდინარეობს დიდი და მცირე ანტანტის მთავრობებს შორის, რომელთა მიზანია მისცეს მათ საშუალება გამოცხადდნენ კონფერენციაზე მზა გადაწყვეტილებებით რუსეთის შესახებ“.

ასეთ შემთხვევაში აზრი არ ექნებოდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ჩასვლას გენუაში, ვინაიდან ეს იქნებოდა არათანასწორი სახელმწიფოების წარმომადგენელთა თათბირი. ამასთანავე ნოტაში აღნიშნული იყო, რომ დასავლეთის პრესის ერთი ნაწილი ეწეოდა ცილისმწამებლურ კამპანიას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ეს გაზეთები ბრალს დებდნენ საბჭოთა მთავრობას, რომ თითქოს ის გულწრფელი მიზნებით არ მო-

დიოდა გენუის კონფერენციაზე, არამედ სურდა გენუა გამოეყენებინა საგიტაციო ტრიბუნად. საბჭოთა ნოტაში მითითებული იყო, რომ ასეთი კამპანია ხელს შეუშლიდა გენუის კონფერენციის წარმატებით დამთავრებას.

1922 წლის 17 მარტს ესტონეთის, ლატვიის, პოლონეთისა და ფინეთის მთავრობებს შორის ვარშავაში ხელმოწერილ იქნა პოლიტიკური სახის შეთანხმება. ამ შეთანხმების ინიციატორი იყო ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რუდოლფ ჰოლსტი. მიუხედავად თავისი გარეგნული მშვიდობიანი ხასიათისა, ვარშავაში 17 მარტს ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენდა სამხედრო და პოლიტიკურ კავშირს, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ვარშავის შეთანხმების ანტისაბჭოთა ხასიათი იმდენად ცხადი იყო, რომ ფინეთის სეიმის უმრავლესობამ, რომელსაც კარელიის ავანტიურის ჩაშლის შემდეგ საბჭოთა რუსეთთან ახალი გართულებისა ეშინოდა, არ დაამტკიცა იგი. ამის გამო ზემოხსენებული ვარშავის შეთანხმება ძალაში ვერ შევიდა, ხოლო მისი ინიციატორი რუდოლფ ჰოლსტი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

1922 წლის 29—30 მარტს, როცა საბჭოთა დელეგაცია გენუის კონფერენციაზე მიემგზავრებოდა, გზად გაიარა რიგაში, სადაც ჩატარდა კონფერენცია საბჭოთა რუსეთის, ლატვიის, პოლონეთისა და ესტონეთის მთავრობების წარმომადგენელთა მონაწილეობით. რიგაში შეკრებილთ უნდა გამოემუშავებინათ მოქმედების ერთიანი ხაზი მომავალ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე მუშაობისათვის.

რიგის კონფერენციაზე განხილულ იქნა აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიური ცხოვრების აღდგენის, კონფერენციის მონაწილე ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების და აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობის განმტკიცების საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების დელეგაციებმა გენუის კონფერენციაზე არ შეასრულეს აღებული ვალდებულება, არ დაიცვეს ერთიანი ხაზი საბჭოთა დელეგაციასთან, ხოლო ზოგიერთმა დელეგაციამ (მაგალითად პოლონეთის) აშკარა უარყოფითი პოზი-

ცია დაიკავა საბჭოთა დელეგაციის მიმართ. კერძოდ, რაპალოს ხელშეკრულების საკითხში.

გენუის კონფერენციაზე მიმავალი საბჭოთა დელეგაციი შეჩერდა ბერლინში, რომ მოლაპარაკება გაემართა გერმანიის მთავრობასთან. მიზანი იყო გენუის კონფერენციაზე მოქმედების საერთო ენის გამონახვა.

რიგასა და ბერლინში საბჭოთა დელეგაციის მოლაპარაკებამ ცხადყო დასავლეთის სახელმწიფოების მისწრაფება ნორმალური ურთიერთობა დაემყარებინა საბჭოთა რუსეთთან. „პრავდა“ წერდა: „რიგაში და ბერლინში რუსეთის დელეგაციის მიერ ხელმოწერილია წინასწარი შეთანხმებები ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან (მათ შორის პოლონეთთან) და გერმანიასთან. ეს ცხადყოფს, რომ მთელი ეკონომიური ვითარება კარნახობს ევროპას ჩვენთან შეთანხმების აუცილებლობას, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ როგორ დატრიალდება საქმე გენუაში“.

ამავე დროს საბჭოთა მთავრობა ბერლინში მოლაპარაკებას ეწეოდა როგორც გერმანიის მთავრობის წარმომადგენლობასთან, ისე ცალკეულ სამრეწველო კონცერნებთან.

გერმანელებთან მოლაპარაკებამ ისევე ვერ გამოიღო ნაყოფი როგორც ფრანგებთან მოლაპარაკებამ, მაგრამ საშუალება მოგვეცა ნიადაგი მოგვესინჯა კონფერენციის წინ და გააქტიურებულიყვნენ საფრანგეთისა და გერმანიის ბურჟუაზიის ის ჯგუფები, რომლებსაც ორიენტაცია აღებული ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაზე.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მთავრობა დადებითად შეხვდა გენუის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას და სპეციალურად მოემზადა მისთვის.

გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მიწვევა წარმოადგენდა არა მარტო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებას, არამედ წითელი არმიის სამი წლის სახელოვან გამარჯვებათა შეჯამებას, საბჭოთა რესპუბლიკის შინაგანი სიმტკიცის შედეგს, მუშათა და გლეხთა იმ კავშირის შედეგს, რომელსაც ემყარება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

საბჭოთა მთავრობას კარგად ესმოდა, რომ გენუაში საქმე ექნებოდა კაპიტალისტურ სამყაროსთან, მაგრამ საბჭოთა დელეგაცია იმ რწმენით მიდიოდა, რომ მტკიცედ დაეცვა თავისი ქვეყნის ინტერესები და ჩაეშალა იმპერიალისტების ყოველგვარი ცდა საბჭოთა რუსეთისათვის თავზე მოეხვიათ თავიანთი კაბალური გეგმები. ამასთანავე საბჭოთა დიპლომატია ვარაუდობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ის დიდი წინააღმდეგობა, რაც დასავლეთის სახელმწიფოებს შორის არსებობდა ომის შემდგომ პერიოდში და ხულ უფრო ღრმავდებოდა.

თავი მესამე

გენუის კონფერენცია

კონფერენციის დაწყება და სახელმწიფოთა პოზიციები

რუსეთი, სადაც პროლეტარიატის დიქტატურამ ყველაზე ადრე გაიმარჯვა, ტექნიკურ-ეკონომიურად ერთ-ერთ ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. მეფის რუსეთს მსოფლიოში ტერიტორიით — პირველი, მოსახლეობის მხრივ — მესამე, ხოლო სამრეწველო პროდუქციის წარმოებით მეხუთე ადგილი ეჭირა. იგი 1913 წელს მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის მხოლოდ 2,6 პროცენტს აწარმოებდა. ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოებით რუსეთი პირველი მსოფლიო ომის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებს 14-ჯერ, ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს 7—8-ჯერ ჩამორჩებოდა.

პირველმა მსოფლიო ომმა, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომმა და უცხოეთის შეიარაღებულმა ინტერვენციამ კიდევ უფრო გაზარდეს რუსეთის სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილობა. 1920 წელს, ომამდელ დონესთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მხოლოდ 22 პროცენტით შემცირდა, ჩვენს ქვეყანაში თითქმის 7-ჯერ დაეცა. 1920 წელს სსრ კავშირში თუჯის

გამოდნობა ომამდელი დონის 2,7 პროცენტს შეადგენდა, ცემენტის წარმოება — 2,4, საპნისა — 7, ბამბის ქსოვილებისა — 4 პროცენტს და ა. შ.

დანგრეული სახალხო მეურნეობა სწრაფ აღდგენას საჭიროებდა. ქვეყნის საშინაო მეურნეობრივმა პირობებმა განსაზღვრეს სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლა იყო. ამ ღონისძიებას უშუალოდ მოჰყვა ვაჭრობის თავისუფლება, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა კაპიტალიზმის ერთგვარ გამოცოცხლებას, კულაკობის ზრდას, კერძო წვრილი საწარმოების გახსნას, კერძო ვაჭრობის ნების დართვას.

თავისუფალი ვაჭრობის დაშვება გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იგი საშიში არ იყო იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოს ხელში იყო სახალხო მეურნეობის მბრძანებელი მწვერვალები: მრეწველობა, ბანკები, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტი, საგარეო ვაჭრობა, მიწა. ერთი მხრივ, კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიური კრიზისის გამო ბაზრის პრობლემის გამწვავებამ და, მეორე მხრივ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით დროებით უკანდახევამ და კაპიტალიზმის ერთგვარმა გამოცოცხლებამ ჩვენს ქვეყანაში მადა აღუძრა დასავლეთის სახელმწიფოების მმართველ წრეებს, სამხედრო ინტერვენციის მარცხით დამთავრების შემდეგ, ერთხელ კიდეკ ეცადათ ბედი და ეკონომიური და დიპლომატიური ზეგავლენის საშუალებით საბჭოთა რუსეთისათვის თავს მოეხვიათ კოლონიური რეჟიმი. ამ მიზანს ემსახურებოდა ის მძიმე ეკონომიური მოთხოვნები, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა ჩვენს ქვეყანას წამოუყენეს გენუის, ხოლო შემდეგ ჰაგის კონფერენციაზე.

გენუის საერთაშორისო ეკონომიურ-ფინანსური კონფერენცია გაიხსნა ქ. გენუაში 1922 წლის 10 აპრილს უძველეს სასახლე „სენ-ჯორჯის“ დიდ დარბაზში. კონფერენციას 34 ქვეყნის დელეგაცია ესწრებოდა, მათ შორის ინგლისის ხუთი დომინიონის მთავრობის წარმომადგენლები. გარდა ამისა

კონფერენციას ესწრებოდნენ: ერთა ლიგის, მასთან არსებული მუშათა საერთაშორისო ბიუროსა და ინტერნაციონალური სასოფლო-სამეურნეო ბიუროს წარმომადგენლები. გენუაში ჩამოვიდა 600-ზე მეტი ჟურნალისტი მსოფლიოს ყველა კუთხიდან.)

გენუის კონფერენციას არაოფიციალურად ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რომში ჩაილდი, ცნობილი ამერიკელი მილიარდერი ფრანგ ვანდერმენტი და ამერიკელი კაპიტალისტების წარმომადგენლების-ჯგუფი, კერძოდ ნავთის მრეწველები. კონფერენციის მსვლელობის მეორე პერიოდში ჩამოვიდნენ ინგლისელი კაპიტალისტები ლესლი ურკვარტის მეთაურობით.

(კონფერენციას ჟურნალისტების გარდა ბევრი სხვა „საპატიო სტუმარიც" დაესწრო.)

კონფერენციის დელეგაციებს დარბაზში ადგილები ეკავათ მეტად დიპლომატიურად. თავში იდგა გრძელი მაგიდა, სადაც მოთავსდნენ ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრი სახელმწიფოების — ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიისა და იაპონიის წარმომადგენლები. მის პერპენდიკულარულად (რუსული „პ"ს მსგავსად) იდგა ორი მაგიდა. აქ ისხდნენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ალფავიტის (მათი იტალიური სახელწოდების) მიხედვით. ფრანგული სახელწოდებების მიხედვით რომ ყოფილიყო, მაშინ გერმანელები წინ აღმოჩნდებოდნენ, რაც ფრანგებს არ სურდათ, ხოლო იტალიური სახელწოდება გერმანელებს საკმაოდ შორს აძლევდა ადგილს.

(ინგლისის დელეგაციას მეთაურობდა პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი, საფრანგეთის დელეგაციას — იუსტიციის მინისტრი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და პუანკარეს მეგობარი ლუი ბარტუ, იტალიის დელეგაციას — პრემიერ-მინისტრი ფაქტა, გერმანიის დელეგაციას — კანცლერი ვირტი, მაგრამ გერმანიის დელეგაციის ფაქტიური ხელმძღვანელი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა გ. ჩიჩერინი.) კონფერენციაზე არ იყო წარმოდგენილი ამერიკის მთავრობის დელეგაცია. „საბჭოთა ხელისუფლებას აუცილებლად უნდა ახსოვდეს, — წერ-

და იტალიური გაზეთი „ჯორნალე დ'იტალია", — რომ ამერიკას არ სურს მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაში სწორედ იმიტომ, რომ არ უნდა მიუჯდეს საერთო მაგიდას ბოლშევიკურ დელეგატებთან ერთად, ხოლო საფრანგეთი განაპირობებს თავის მონაწილეობას მთელი რიგი დანათქვამებით".

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოზიცია კონფერენციის პირველ ეტაპზე (რაპალოს ხელშეკრულების დადებამდე) გამოიხატებოდა იმაში, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს დახმარებოდა საბჭოთა სახელმწიფოს დაკაბალებისა და რუსეთში კაპიტალისტური წყობილების აღდგენის საერთო გეგმების განხორციელებაში. ვაშინგტონის ოფიციალურმა პირებმა მოიწონეს კანის პირობები.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ერთი ნაწილი, გამოდიოდა რა გენუის კონფერენციაზე ამერიკის მონაწილეობის წინააღმდეგ, იმაზე მიუთითებდა, რომ „თუ საბჭოთა მთავრობა იქნება იქ (გენუაში — ი. ჩ.), მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა გენუაში იქნება მისი ცნობის თანასწორი". ვაშინგტონში ეგონათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მალე დაეცემოდა და ამიტომ არ უნდოდათ დაკავშირებოდნენ მას რაიმე ხელშეკრულებით.

მაგრამ გენუის კონფერენციაში მონაწილეობაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ უარის თქმის მთავარი მიზეზი, საბჭოთა ისტორიკოსის ფ. დ. ვოლკოვის აზრით, იყო ამერიკელი იმპერიალისტების მისწრაფება გაეგრძელებინათ საბჭოთა რუსეთში სამხედრო და ეკონომიური ინტერვენციის პოლიტიკა სამხედრო საშუალებების, ეკონომიური ბლოკადისა და დიპლომატიური იზოლაციის დახმარებით.

ხოლო ოფიციალურად, როცა ამერიკა მოიწვიეს გენუის კონფერენციაზე, ვაშინგტონის მთავრობამ უპასუხა, რომ გენუაში განხილული იქნებოდა „რუსეთის საკითხი" და ამიტომ კონფერენციას ექნებოდა არა ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ხასიათი, ხოლო რუსეთთან ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურდა.

გენუის კონფერენციის პირველ პლენარულ სხდომაზე

ლოიდ ჯორჯის წინადადებით კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იტალიის პრემიერ-მინისტრი ფაქტა.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა კონფერენციის თავმჯდომარედ არჩევისას წარმოთქვა სიტყვა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი ეკონომიური ქაოსის შესახებ.

„დამსწრეთა შორის, — ამბობდა ფაქტა, — არ არიან არც მეგობრები, არც მტრები, არც გამარჯვებულები, არც დამარცხებულები, აქ თავი მოიყარეს მხოლოდ ერებმა, რომლებსაც სურთ მიმართონ თავიანთი ძალები გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად“.

თავისი სიტყვის დასასრულს ფაქტამ აღნიშნა: „ეს კონფერენცია მოწვეულია კანის რეზოლუციების საფუძველზე. ეს რეზოლუციები გადაეცა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მოწვეულ იქნა კონფერენციაზე. მოწვევის მიღების თვით ფაქტი ცხადყოფს, რომ ყველა ის, ვინც ეს მოწვევა მიიღო, მან ამით ცნო კანის რეზოლუციაში მოცემული პრინციპები“.

ფრანგული წარმოშობის ეს დეკლარაცია აშკარად მოწმობდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ შეთქმულებას: ის სიტყვა-სიტყვით იმეორებდა 1922 წლის 6 თებერვლის პუანკარეს ცნობილ მემორანდუმის ერთ-ერთ მოთხოვნას.

ფაქტას შემდეგ სიტყვით გამოვიდა ლოიდ ჯორჯი, რომელმაც ასევე ხაზი გაუსვა კონფერენციაზე ყველას თანასწორუფლებიანობას, მაგრამ დაუმატა: „ეს თანასწორობა მდგომარეობს იმაში, რომ ყველამ თანაბრად მიიღოს, კერძოდ, კანის პირობები“. შემდეგ ლოიდ ჯორჯი შეჩერდა ეკონომიურ ქაოსზე, რომლის გამოსწორება, მისი შეხედულებით, შეიძლება მხოლოდ ერთიანი ძალებით. ამასთან დაკავშირებით მან სიხარული გამოთქვა იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ მონაწილეობდა კონფერენციაზე.

ლოიდ ჯორჯმა თავისი გამოსვლა დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „მსოფლიო თვალყურს ადევნებს ჩვენს თათბირს ხან იმედით, ხან შიშით და, თუ ჩვენი თათბირი მარცხით დამთავრდება, მაშინ მთელ მსოფლიოს მოიცავს სასოწარკვეთილება“.

ინგლისის დელეგაციას თავისი პარლამენტიდან მიღებული

ჭქონდა ინსტრუქცია იმის შესახებ. რათა მიეღწია საბჭოთა რუსეთის მიერ ვალების სრული ცნობისათვის და ამავე დროს საბჭოთა რუსეთის მთავრობას დაებრუნებინა ყველა ნაციონალიზებული ქონება უცხოელი მესაკუთრეებისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდნენ არა მარტო ინგლისის, არამედ საფრანგეთის, ბელგიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების დელეგაციებიც.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა ლუი ბარტუმ მხარი დაუჭირა სხვადასხვა ტრატორებს კანის რეზოლუციის საკითხში. ამასთან მან კატეგორიულად განაცხადა, რომ საფრანგეთი არ დაუშვებდა გენუის კონფერენციაზე ვერსალის შეთანხმებაზე მსჯელობას.

„გენუის კონფერენცია არ წარმოადგენს,—ამბობდა იგი,—არც შეიძლება წარმოადგენდეს და არც იქნება საკასაციო ინსტანცია, რომელიც ჯამსჯელოდ გახდის და განსახილველად დასვამს არსებულ ხელშეკრულებებს“.

გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელის შემდეგ გამოვიდა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელი გ. ჩიჩერინი. ვიდრე შეეხებით გ. ჩიჩერინის სიტყვის შინაარსს გენუის კონფერენციაზე, საჭიროდ მიგვაჩნია შეეხოთ საბჭოთა მთავრობის პოზიციას გენუის კონფერენციის მიმართ. აი, რას ამბობდა ამის შესახებ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი: „...ჩვენი დელეგაციის პრინციპული მდგომარეობა ცხადად და საკმაო გარკვეულობითაა გამოაშკარავებული: ის ულტიმატურად დაიცავს საბჭოთა წყობილებისა და რუსეთის სახელმწიფოს სუვერენული უფლებების ხელშეუხებლობას, იმ ეკონომიურ საფუძვლებს, რომლებიდანაც გადახვევა დაემუქრებოდა საბჭოთა წყობილების არსებობას და რასაც მოყვებოდა რუსეთის მშრომელი მასების დამონება“. გ. ჩიჩერინი იმ აზრისა იყო, რომ გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის მოქმედებით, უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენელთან მისი მოლაპარაკებებით და შეთანხმებებით არ უნდა შელახულიყო ის მონაპოვარი, რაც ოქტომბრის რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა ჩვენი ქვეყნის ხალხებს. გ. ჩიჩერინი ამბობდა, რომ მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ რუსეთში და მისმა სუვერენულმა უფლებებმა არ უნდა განიცა-

დონ არავითარი შელახვა ან ზიანი. მშრომელი მასების უფლებები, რომელნიც უზრუნველყოფენ მათ, რა ფორმისაც იქნება, დამონებისაგან უნდა დარჩნენ უსათუოდ ხელუხლებელნი და დაცული უნდა იქნენ ფრიად გულმოდგინედ და ყურადღებით. მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ხელშეუხებლობისა და სუვერენული უფლებების, მშრომელი მასების უფლებებისა და საბჭოთა წყობილების ეკონომიური საფუძვლების უთუოდ შენარჩუნების ფარგლებში სავსებით შესაძლებელია შეთანხმება უცხოეთის კაპიტალთან; შეთანხმება, ხელშეუხებლობის სასტიკად განსაზღვრულ ჩარჩოებში, რომელიც ჩვენს მომავალ კონტრაგენტებს საკმაო მოგებას მისცემს. რათა მოვიზიდოთ ისინი ჩვენთან, და რომელიც ამავე დროს რუსეთში გამოიწვევს მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენასა და განვითარებას.

გ. ჩიჩერინი სრულიად სამართლიანად მიუთითებდა იმის შესახებ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შეთანხმებას უნდა მოჰყოლოდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების ცნობა, ე. ი. ამ შეთანხმებებს უნდა მოჰყოლოდა, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთსა, სოლო, მეორე მხრივ, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება. გ. ჩიჩერინი ამბობდა, რომ „შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან უნდა გამოიხატოს რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობის სრულ იურიდიულ ცნობაში. ეს იურიდიული აღიარება აუცილებელია არა ფორმისათვის, არა ცერემონიისათვის, არამედ წმინდა პრაქტიკული საქმიანი საჭიროებისათვის, უცხოეთის კაპიტალთან საქმიანი შეთანხმების უზრუნველსაყოფად. შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან აგრეთვე უნდა გამოიხატოს ინტერვენციის სისტემის უკანასკნელი ნაშთების სრულ მოსპობაში, ჩვენს ტერიტორიაზე თეთრგვარდიელთა ბანდების შემოჭრის სისტემის სრულ ლიკვიდაციაში, საბჭოთა რესპუბლიკების სრულ უზრუნველყოფაში გარედან თავდასხმისაგან და საბჭოთა წყობილების ხელშეუხებლობის სრულ აღიარებაში. ყველაფერი ეს შეთანხმების აუცილებელ პირობას შეადგენს რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის და უკანასკნელებს ეს ისე კარგად

ესმით, რომ საერთოდ და მთლიანად უკვე წამოაყენეს ეს პრინციპები კანის რეზოლუციის ზოგიერთ მუხლში.

გარდა ამისა, გ. ჩიჩერინი მოითხოვდა, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან შეთანხმების შემთხვევაში იმ ქვეყანასთან უნდა მოგვარებულიყო ყველა სადავო საკითხი. გ. ჩიჩერინი ამბობდა, რომ შეთანხმება მომლაპარაკებელ მხარეებს შორის ყველა უთანხმოებისა და სადავო საკითხის მოგვარებას ნიშნავს. ყველა სადავო საკითხი რუსეთსა და სხვა მთავრობებს შორის გენუაში-ან შემდეგ მაინც უნდა გადაიჭრას. ასეთ სადავო საკითხებს ეკუთვნის უცხოელი მთავრობებისა და მოქალაქეთა პრეტენზიები ჩვენდამი და ის პრეტენზიები, რომელთაც ჩვენ რუსეთის ინტერვენციის ინიციატორებსა და ხელმძღვანელებს წარმოუდგენთ. ამ სადავო საკითხების გადაწყვეტის დროს რუსეთის დელეგაცია ასევე ულტიმატურად მოითხოვს რუსეთის მუშურ-გლეხური ხელისუფლების და მშრომელი მასების სუვერენიტეტისა და უფლებების სრულ ხელშეუხებლობას.

საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს კარგად ესმოდა თუ რა რთულ ვითარებაში მოუხდებოდა მუშაობა საბჭოთა დელეგაციას გენუაში. კაცობრიობის ისტორიაში პირველად ხვდებოდა სოციალისტური სახელმწიფოს დიპლომატია კაპიტალისტური ქვეყნების დიპლომატიას საერთაშორისო კონფერენციაზე. ამიტომ გ. ჩიჩერინი ამბობდა: ჩვენ წინაშე დგას უაღრესად რთული პრობლემები. არა გვგონია, ოდესმე ისტორიაში სამშვიდობო დელეგაციების წინაშე მდგარიყო ასეთი რთული და დიდი საკითხები, მაგრამ თუ ახლა არა, უახლოეს მომავალში ეს საკითხები უნდა იქნას გადაჭრილი. ეკონომიური აუცილებლობა ამას ბრძანებითი კილოთი მოითხოვს როგორც ჩვენგან, ისე ბურჟუაზიული მთავრობებისაგან.

ასეთი მტკიცე პოზიციითა და დებულებებით გამოვიდა გ. ჩიჩერინი გენუის კონფერენციაზე. კონფერენციის გახსნის დღეს გ. ჩიჩერინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა მშვიდობის საქმეს, განსაკუთრებული კმაყოფილებით უერთდება კონფერენციაზე

გაკეთებულ ვანცხადებებს. მშვიდობის საქმეში გ. ჩიჩერინმა გაიზიარა იტალიის მთავრობის მეთაურის ფაქტას აზრი იმის შესახებ, რომ გენუის კონფერენციაზე არ არიან არც გამარჯვებულები და არც დამარცხებულები, და ინგლისის პრემიერ-მინისტრის ლოიდ ჯორჯის აზრი, რომ გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა სახელმწიფო თანასწორუფლებიანია.

გ. ჩიჩერინი, ეხებოდა რა საბჭოთა დელეგაციის ამოცანებს გენუის კონფერენციაზე, ამბობდა. რომ „ის ჩამოვიდა გენუაში მშვიდობისა და ევროპის მეურნეობის საყოველთაო აღდგენის ინტერესებისათვის“ და რომ, რჩება რა კომუნიზმის პრინციპების მსოფლმხედველობაზე, რუსეთის დელეგაცია შესაძლებლად ცნობს ახლანდელ ისტორიულ ეპოქაში ძველი და ახლად დაბადებული წყობილების პარალელურ არსებობას. გ. ჩიჩერინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა დელეგაცია გამოცხადდა გენუაში არა იმიტომ, რომ აგიტაცია გასწიოს თავისი მსოფლმხედველობის, არამედ იმისათვის, რათა ურთიერთგაგებისა და თანასწორობის საფუძველზე საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს ევროპის ქვეყნებთან.

გ. ჩიჩერინმა ხაზგასმით მიუთითა, რომ რუსეთის, როგორც დიდი ქვეყნის ეკონომიური აღდგენა, რომელიც ბუნებრივ სიმდიდრეთა აუარებელ მარაგს ფლობს, ევროპის საერთო ეკონომიური აღდგენის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. გ. ჩიჩერინმა თავის სიტყვაში ილაპარაკა საბჭოთა მთავრობის მზადყოფნაზე გადასცეს დიდი კონცესიები (ტყისა, აგრეთვე ქვანახშირისა და სხვა მადნეულის) უცხოეთის მრეწველებს და მონოპოლისტებს განსაზღვრულ პირობებში. ამასთანავე საბჭოთა დელეგაცია, არსებითად ცნობდა რა კანის კონფერენციის მიერ მიღებულ პირობებს, თავის მხრივ ინარჩუნებდა მასში ცვლილებისა და შესწორებების შეტანის უფლებას.

გ. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის აღდგენის ყველა ცდა იქნება უსაფუძვლო მანამ, სანამ ევროპასა და მთელს მსოფლიოში ომის საშიშროება იქნება. საბჭოთა დელეგაცია ამ მხრივაც მზადყოფნას აცხადებდა ყველა ღონე ეხმარა ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, რათა მშვიდობა განმტკიცებულიყო.

გ. ჩიჩერინმა თავის გამოსვლაში დააყენა საკითხი საყოველთაო შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების შემცირების შესახებ. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადამიანების მასობრივი მოსპობის საშუალებათა აკრძალვას. საბჭოთა რუსეთი მზადაა, განაცხადა გ. ჩიჩერინმა, თუ დასავლეთის სახელმწიფოები ამ წინადადებას მიიღებენ, შესაბამისად შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალები.

საბჭოთა დელეგაციის აზრით საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საკითხი უნდა გამხდარიყო ყველა ხალხის სრული თანასწორობის საფუძველზე მოწვეული მსოფლიო კონგრესის მსჯელობის საგანი. ასევე მსოფლიო კონგრესს უნდა შეექმნა რამდენიმე კომისია, რომლებიც შეიმუშავებდნენ მთელი მსოფლიოს ეკონომიური აღდგენის პროგრამას. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღო მუშათა ორგანიზაციებს. „საჭიროდ ვთვლი, — ამბობდა ჩიჩერინი, — ხაზი გავუსვა, რომ როგორც კომუნისტებს, ჩვენ, ბუნებრივია, განსაკუთრებული ილუზიები არა გვაქვს იმ მიზეზების ნამდვილად აღმოფხვრის შესაძლებლობის შესახებ, რომლებიც წარმოშობენ ომებს და ეკონომიურ კრიზისებს ახლანდელ საერთო ვითარებაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად ვართ ჩვენი მხრივ მონაწილეობა მივიღოთ საერთო ღონისძიებებში როგორც რუსეთის, ისე მთელი ევროპის ინტერესებისათვის და ათობით მილიონი ადამიანების ინტერესებისათვის, რომლებიც ჩავარდნენ შეუძლებელ გაჭირვებაში და ტანჯვაში, რაც გამომდინარეობს სამეურნეო მოუწყობელობიდან, და მხარი დაუჭირონ ყველა ცდას, რომელიც მიმართული იქნება თუნდაც მსოფლიო მეურნეობის ნაწილობრივი გაუმჯობესებისაკენ, ახალი ომების საშიშროების თავიდან აცილებისაკენ“.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის გ. ჩიჩერინის სიტყვა. გ. ჩიჩერინის გამოსვლამ და მისმა ღრმა შინაარსიანმა სიტყვამ რღვევა შეიტანა დასავლეთის წრეებში.

საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე გენუის კონფერენციაზე. იგი მზად იყო შებრძოლებოდა

დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს, შევაჭრებოდა და მიეღწია ხელსაყრელი შეთანხმებისათვის, რათა ამით ხელი შეეწყო საბჭოთა რუსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის. საბჭოთა დელეგაციის მიზანი იყო დასავლეთის სახელმწიფოებთან ხელსაყრელი, სუვერენულ და თანასწორუფლებიან პრინციპებზე დამყარებული შეთანხმება დაედვა, შეთანხმება, რომელიც ხელსაყრელი იქნებოდა ორივე მხარის ხალხებისათვის.

საბჭოთა დელეგაციას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ რუსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის და რომ ამ მხრივ რუსეთში დაინტერესებული იყვნენ დასავლეთის სახელმწიფოები.

გ. ჩიჩერინის შემდეგ სიტყვით გამოვიდა საფრანგეთის დელეგაციის მეთაური ლუი ბარტუ. როგორც თვითონ ამბობდა „მოკლედ, მაგრამ ყველაზე მკაცრი განცხადებით", მან ხელახლა გაიმეორა კანის რეზოლუციის შესახებ დეკლარაცია. ლუი ბარტუმ გაილაშქრა გ. ჩიჩერინის წინადადებების წინააღმდეგ, კერძოდ მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ. ბარტუ ამბობდა, რომ ამ საკითხზე არაფერია ნათქვამი კანის კონფერენციის რეზოლუციაში. განსაკუთრებით მკაცრად გამოვიდა ბარტუ განიარაღების შესახებ საბჭოთა დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ. იგი ამბობდა: „ეს საკითხი მოხსნილია; ის არ დგას კომისიის დღის წესრიგში. აი რატომ ვამბობ მე უბრალოდ, მაგრამ მეტად გადაჭრით, რომ იმ მომენტში, როცა, მაგალითად, რუსეთის დელეგაცია წინადადებას შეიტანს პირველ კომისიაში განხილულ იქნას ეს საკითხი, ის შეხვდება საფრანგეთის დელეგაციის მხრიდან არა მარტო თავშეკავებას, არა მარტო პროტესტს, არამედ ზუსტ და კატეგორიულ, საბოლოო და გადამწყვეტ უარს". ლუი ბარტუს ასეთმა განცხადებამ უარყოფითი გამოხმაურება ჰპოვა კონფერენციის მონაწილეთა შორის. ზოგიერთმა უსტვინა კიდეც მას.

ბარტუმ დაუმატა, რომ ასეთი კატეგორიული „უარი" იქნება თქმული იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა-დელეგაცია

შეეცდება პოლიტიკურ კომისიაში შეიტანოს თავისი წინადადება. ლუი ბარტუმ თავისი სიტყვის ბოლო ნაწილში კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ საფრანგეთის დელეგაცია მტკიცედ მოითხოვდა ზუსტად დაეცვათ კანის რეზოლუცია და არ გასცილებოდნენ მის ჩარჩოებს.

უპასუხებდა რა ბარტუს, გ. ჩიჩერინმა განაცხადა, — რომ განიარაღების საკითხზე საფრანგეთის შეხედულება ყველასათვის ცნობილია. გ. ჩიჩერინი შეეხო საფრანგეთის პოზიციას განიარაღების საკითხში ვაშინგტონის კონფერენციაზე, სადაც საფრანგეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც საფრანგეთი უარს ამბობდა განიარაღებაზე, რუსეთის შეიარაღება წარმოადგენდა. საბჭოთა დელეგაცია ვარაუდობდა, რომ რადგანაც რუსეთი განიარაღებაზე დათანხმდება, ამით საშუალება მიეცემოდა საფრანგეთსაც შეემცირებინა თავისი შეიარაღება, თუკი ეს მას სურდა. მაგრამ, ცხადია, ვაშინგტონის კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაციის მეთაურის ბრიანის განცხადება იმის შესახებ, რომ მას არ შეუძლია შეიარაღების შემცირება, ვიდრე საბჭოთა რუსეთი არ შეამცირებს თავის შეიარაღებულ ძალებს, გაკეთებული იყო საზოგადოებრივი აზრის მოტყუების მიზნით.

ლუი ბარტუს შემდეგ სიტყვით გამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი. მისი გამოსვლა შედარებით ზომიერი იყო. იგი შეეცადა შეენელებინა ლუი ბარტუს გამოსვლით შექმნილი დაძაბულობა. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ გ. ჩიჩერინის წინადადებები ულტიმატური არ არისო და უწოდა მათ „სასარგებლო, თუმცა ცოტა საშიშიც". ლოიდ ჯორჯს უნდოდა ზოგი რამ ხუმრობაში გადაეტანა. მან განაცხადა, რომ მოხუცებულობის გამო საეჭვოა, თუ ის იცოცხლებდა მსოფლიო კონგრესამდე. ამიტომ ის სთხოვდა გ. ჩიჩერინს უარი ეთქვა თავის ამ წინადადებაზე.

ლოიდ ჯორჯიც მოითხოვდა გენუის კონფერენცია კანის კონფერენციის რეზოლუციის ჩარჩოებს არ გასცილებოდა. იგი გ. ჩიჩერინს მოუწოდებდა იმ საკითხებზე ემსჯელა, რომლებიც კანის კონფერენციამ წამოაყენა, ლოიდ ჯორჯის

სიტყვა — საბჭოთა რუსეთის დელეგაციისადმი უფრო თხოვნას ჰგავდა, არ გასცილებოდა კანის პროგრამის ჩარჩოებს.

„გენუაში, — წერდა „პრავდა", — საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა წინადადება პრაქტიკულად განეხილათ განიარაღების საკითხი. კონფერენციის მმართველმა ბურჟუაზიულმა უმრავლესობამ, მოკავშირეებს შორის უთანხმოების თავიდან ასაცილებლად, საყოველთაო განიარაღებას ამჯობინა გაუთავებელი სისხლიანი კონფლიქტები. რუსეთის დელეგაციის გამოსვლამ ამხილა მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების წინაშე დემოკრატიულ-პაციფისტური ილუზიების ამაღლება".

ჩიჩერინის გამოსვლამ ჯერ კიდევ პირველი მცირე ბზარი გამოიწვია მოკავშირეთა ერთიან ფრონტში. ყოველ შემთხვევაში საფრანგეთს არ შეეძლო არ ეგრძნო ზოგიერთი იზოლირება.

აჯამებდა რა გენუის კონფერენციის პირველი დღეების მუშაობის შედეგებს, გაზეთი „პრავდა" მოწინავეში წერდა: „მსოფლიო ბურჟუაზია ცდილობს გენუის კონფერენციაზე აჩვენოს თავი მშვიდობის დამცველად. მაგრამ, უარი თქვა რა ამხ. ჩიჩერინის წინადადებაზე განიარაღების შესახებ, მან ერთხელ კიდევ გამოავლინა მტაცებლის ნამდვილი ბუნება. დე, პროლეტარიატმა დაიმახსოვროს ეს და შეიგნოს რას ამბობენ იქ მშვიდობის შენარჩუნებაზე...".

კონფერენციის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა ოთხი კომისია: 1) რუსული. ეს კომისია დიდხანს სახელწოდების გარეშე რჩებოდა. აქ საერთო ევროპულ საკითხებსაც არჩევდნენ. ფრანგებს არ უნდოდათ ამ კომისიაში გაერჩიათ პოლიტიკური საკითხები, ეს კანის რეზოლუციას ეწინააღმდეგებაო. მაგრამ ლუი ბარტუს და ლოიდ ჯორჯს შორის დიდი წინააღმდეგობის შემდეგ ამ კომისიას საბოლოოდ პოლიტიკური კომისია ეწოდა; 2) ფინანსური კომისია; 3) ეკონომიური კომისია და 4) ტრანსპორტის კომისია.

ყველა კომისიაში თავმჯდომარეებად იყვნენ ანტანტის ქვეყნების კონფერენციის „მომწვევი სახელმწიფოების" წარმომადგენლები. გენუის კონფერენციაზე საერთოდ გამარჯვებულნი და დამარცხებულნი არ იყვნენ, მაგრამ ანტანტის

სახელმწიფოები ცდილობდნენ პრივილეგიურ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ.

საფრანგეთის იზოლაცია ცხადი გახდა ფინანსური კომისიის სხდომაზე, სადაც ჩაიშალა ფრანგების კიდევ ერთი წინადადება. გენუის კონფერენციაზე წარმომადგენლობის ისეთი პრინციპი იყო მიღებული, რომლის მიხედვით ყველა კომისიაში შედიოდა დელეგატები გენუის კონფერენციის ინიციატორი ხუთი ქვეყნიდან, ასევე საბჭოთა რუსეთიდან და გერმანიიდან. რაც შეეხება დანარჩენ 21 ქვეყანას, მათგან ყოველ კომისიაში ირჩევდნენ რამდენიმე დელეგატს. ფინანსური კომისიის პირველსავე სხდომაზე ფრანგებმა შეიტანეს წინადადება არ გაეთანაბრებინათ რუსეთისა და გერმანიის მდგომარეობა დანარჩენ ქვეყნებთან. ეს წინადადება უარყოფილ იქნა ერთხმად.

სხდომაზე გადაწყდა შეექმნათ პოლიტიკური ქვეკომისია ზოგიერთი კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად. ქვეკომისიაში არჩეულ იქნენ ანტანტის ქვეყნების, რუსეთისა და გერმანიის გარდა, რუმინეთის, პოლონეთის, შვეიცარიისა და შვეიცარიის წარმომადგენლები. საბჭოთა დელეგაციამ კატეგორიული აცილება მისცა რუმინეთს, რომელიც ბესარაბიის ოკუპაციას აგრძელებდა.

ამავე დროს საბჭოთა დელეგაციამ კონფერენციის თავმჯდომარეს მიმართა პროტესტით ქვეკომისიაში იაპონიის მონაწილეობის შესახებ, რამდენადაც იაპონიის აგრესიული ძალები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას.

ასე რომ საბჭოთა დელეგაცია თავისი აქტიური მოქმედებით და თავისი თანმიმდევრული პოლიტიკით გენუის კონფერენციის მუშაობის დაწყების პირველ დღიდანვე მისი მონაწილეთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

იმპერიალისტების კაბალური პირობები

1922 წლის 11 აპრილს დღისით შეიკრიბა პოლიტიკური ქვეკომისია. ლოიდ ჯორჯმა წინადადება წამოაყენა შედგო-

მოდნენ იმ კონკრეტული წინადადებების განხილვას, რომელიც მარტის ბოლოს ლონდონში იყო წამოყენებული ექსპერტთა თათბირზე. მიიღეს რა ეს მასალა, ლოიდ ჯორჯი და ლეი ბარტუ აღნიშნავდნენ, რომ ექსპერტების მოხსენება ოფიციალურ დოკუმენტს არ წარმოადგენს, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნას მოლაპარაკების საფუძვლადო[1].

ექსპერტების მოხსენება მიძღვნილი იყო ორი ძირითადი პრობლემისადმი. აქ ლაპარაკი იყო რუსეთისა და ევროპის აღდგენაზე. ექსპერტები ისეთ პრაქტიკულ წინადადებებს აყენებდნენ, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის სრულ დაკაბალებას მოასწავებდნენ. მოხსენების პირველი თავის შვიდი მუხლი შემდეგ მოთხოვნებს შეიცავდა:

„1. საბჭოთა მთავრობას თავის თავზე უნდა აეღო მეფის მთავრობისა და დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ყველა ფინანსური ვალდებულებანი;

2. საბჭოთა მთავრობას რუსეთში უნდა ეცნო ყველა ყოფილი როგორც ადგილობრივი, ისე საოლქო ხელისუფლების ფინანსური ვალდებულებანი;

3. საბჭოთა ხელისუფლებას თავის თავზე უნდა აეღო ყველა ზარალი, თუკი ეს ზარალი წარმოიშვა საბჭოთა ან მისი წინამორბედი მთავრობის ან ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებით ან დაუდევრობით;

4. ყველა ამ საკითხის განსახილველად რუსეთის ვალების სპეციალური კომისია და შერეული შუამავალთა სასამართლო იქმნებოდა;

5. დასავლეთის მთავრობების მიერ რუსეთთან 1914 წლის 1 აგვისტოს შემდეგ დადებული ყველა ვალი ჩაითვლება დაფარულად, რუსეთის მიერ გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ, რაც დადგენილი იქნება მხარეთა თანხმობით;

6. საერთო თანხების ანგარიშის დროს, მეხუთე მუხლის

---

[1] ამ დოკუმენტებს უწოდებდნენ „ექსპერტების ანგარიშს", ხოლო მისი სრული სახელწოდება იყო „სრულიად საიდუმლო. წინასწარი თათბირები გენუის კონფერენციისათვის. ლონდონი, 1922 წლის 20—28 მარტი, ექსპერტების ანგარიში" იხ. Б. Е. Штейн. Генуэзская конференция, М. 1922.

თანახმად, მხედველობაში იქნება მიღებული ვერსალის ხელშეკრულების შესაბამისი გადაწყვეტილებები, რუსეთის მოქალაქეთა ყველა პრეტენზიები, მათზე მიყენებული ზარალი და ზიანი საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით;

7. ყველა თანხის ნარჩენები რუსეთის რომელიმე წინა მთავრობის მიერ ჩაწერილი ბანკის კრედიტში, რომელიმე სახელმწიფოში, რომლის მთავრობამაც სესხი მისცა რუსეთს, ჩაირიცხება ამავე მთავრობის ანგარიშში".

ყველა ვალის ცნობისა და ნაციონალიზებულ საწარმოთა დაბრუნების გარდა ექსპერტთა მოხსენებაში მოთხოვნები იყო საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებაზე და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყველა ქვეყანაში კომუნისტური პროპაგანდის შეწყვეტაზე.

ეს მოთხოვნები მტაცებლური იყო, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მეფის მთავრობა ომის წინ თავის ვალებზე სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის 13%-ს ან ყოველწლიური ნაციონალური შემოსავლის 3,3%-ს იხდიდა; თუკი საბჭოთა მთავრობა დათანხმდებოდა ვალები მთლიანად გადაეხადა, ყოველწლიურად მოუწევდა ნაციონალური შემოსავლის მეხუთედი და მაშინდელი რუსეთის ბიუჯეტის 80 პროცენტამდე გაეღო.

საბჭოთა დელეგაციას ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა გენუაში. მას არ ჰქონდა საშუალება ხშირად დაკავშირებოდა მოსკოვს, საბჭოთა მთავრობას. მოსკოვთან ნორმალური კავშირისათვის, ცხადია, სჯობდა კონფერენცია მოეწვიათ არა გენუაში, არამედ პარიზში, რომში, ბერლინში, სტოკჰოლმში ან რომელიმე სხვა ცენტრალური ევროპის ქალაქში. ამას ემატებოდა ისიც, რომ იტალიის ხელისუფლება მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა იმისათვის, რათა საბჭოთა დელეგაციას მჭიდრო კონტაქტი ჰქონოდა მოსკოვთან.

15 აპრილს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დეპეშა გაუგზავნა რსფსრ-ს სრულუფლებიან წარმომადგენელს იტალიაში — ვ. ვოროვსკის იმის შესახებ, რომ გენუის კონფერენციაზე ინფორმაციის საკითხი ცუდად იყო დაყენებული. საბჭოთა დელეგაცია თავის დროზე და ზუსტად ვერ აყენებდა საქმის კურსში მოსკოვს. მაშინ, როდე-

საც ყველა სახელმწიფოს დელეგაცია თავიანთ დედაქალაქთან დაკავშირებული იყო პირდაპირი ხაზით, საბჭოთა დელეგაცია მოსკოვს აწვდიდა ცნობებს დღე-ღამის განმავლობაში ერთ-ხელ და ხშირად - ეს ცნობა დამახინჯებული იყო. ეს ხელს-უშლიდა საბჭოთა დელეგაციის ნორმალურ მუშაობას.

ამიტომ საბჭოთა მთავრობამ დაავალა მას პროტესტი განეცხადებინა იტალიის მთავრობის წინაშე და კატეგორიულად მოეთხოვა პირდაპირი ხაზის დამყარება ბერლინთან ან ვარშავასთან, რათა იქედან მოსკოვს დაკავშირებოდნენ. ამასთანავე უნდა გაეფრთხილებინათ იტალიის დეპეშათა სააგენტო, რათა არ დაეშვა საბჭოთა დელეგაციის წევრთა გამოსვლების დამახინჯება. საბჭოთა დელეგაციის ენერგიულმა მოქმედებამ ნაწილობრივ შესცვალა ინფორმაციის საკითხი და ხელი შეუწყო მოსკოვთან კავშირის გაუმჯობესებას.

ექსპერტთა თათბირზე საბჭოთა დელეგაციამ მთავრობის კონტრპრეტენზიები წამოაყენა. საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციის შედეგად მიყენებული ზარალის აღდგენას, რაც შეადგენდა 30 მილიარდ მანეთს ოქროთი. ასეთ ვითარებაში ალბერტის ვილაზე განახლდა თათბირი. ამ თათბირს გარდა მთავარი დელეგატებისა ექსპერტებიც ესწრებოდნენ. აქ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა თათბირის მონაწილეებს საბჭოთა დელეგაციის კონტრწინადადებები გააცნო. ლოიდ ჯორჯმა მეტისმეტად მიიჩნია საბჭოთა მხარის მიერ დასახელებული თანხა — 30 მილიარდი მანეთი ოქროთი.

ბრიტანეთის მთავრობის მეთაური აღნიშნავდა, რომ მათ საბჭოთა რუსეთის მიმართ სამხედრო ვალების საკითხში ზოგიერთ დათმობაზე შეუძლიათ წავიდნენ, მაგრამ ეს არ შეიძლება კერძო პირთა საკუთრების მიმართ გავრცელდეს.

თავის გამოსვლაში ლოიდ ჯორჯი ცდილობდა აეძულებინა საბჭოთა დელეგაცია წასულიყო დათმობაზე, მაგრამ ამაოდ. თავისი სიტყვა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დაამთავრა შემდეგი წინადადებებით:

1. გენუაში წარმოდგენილ მოკავშირე კრედიტორ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ თავიანთ თავზე მიიღონ რაიმე ვალ-

დებულება საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული პრეტენ-ზიების გამო.

2. შაგრამ რუსეთის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით კრედიტორი-სახელმწიფოები იქითკენ ისწრებიან, რომ რუსეთის სამხედრო ვალი მათ მიმართ შეამცირონ პროცენტულად, რომლის ოდენობა განსაზღვრულ უნდა იქნას შემდგომში.

3. ამასთანავე, საბოლოოდ უნდა დადგინდეს, რომ საბჭოთა მთავრობისათვის არ დაუშვან არავითარი გამონაკლისი:

ა) ვალებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე, მიღებული სხვა ეროვნების მოქალაქეთა მიმართ,

ბ) იმ მოქალაქეთა უფლებაზე, რომლებიც აღდგენილ უნდა იქნან საკუთრების უფლებებში ან მიყენებული ზიანისა და ზარალის ანაზღაურების საკითხში.

ინგლისის პრემიერ-მინისტრის მიერ წამოყენებული წინადადების გარშემო გამართულმა დისკუსიამ შედეგი ვერ მოიტანა. საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე.

საბჭოთა წინადადებების გარშემო აზრი გამოთქვა საფრანგეთის წარმომადგენელმა ლუი ბარტუმ. მან თქვა: „უწინარეს ყოვლისა აუცილებელია, რომ საბჭოთა მთავრობამ ცნოს ვალები. თუკი ჩიჩერინი ამ საკითხზე დადებითად უპასუხებს, მუშაობა გაგრძელდება. თუკი პასუხი უარყოფითი იქნება, მოგვიწევს დამთავრება. თუკი ის ვერ შეძლებს გვიპასუხოს არც „კი“ არც „არა“, მუშაობა შეჩერდება“. ლოიდ ჯორჯმა მხარი დაუჭირა ლუი ბარტუს წინადადებას. საბჭოთა დელეგაცია უკან არ იხევდა. გ. ჩიჩერინმა გადაწყვიტა დაკავშირებოდა მოსკოვს. ამიტომ მან ითხოვა სხდომების შეწყვეტა არა ნაკლებ ორი დღით მაინც. ამასთანავე საჭირო იყო საბჭოთა დელეგაცია გაცნობოდა ექსპერტების მოხსენებას. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სხდომების დროებით შეწყვეტის შესახებ.

ამავე დროს იტალიის მთავრობას ზომები უნდა მიეღო საბჭოთა დელეგაციის მოსკოვთან დასაკავშირებლად. ბარტუ

კიდევ ერთხელ გამოვიდა და შეეცადა ზეგავლენა მოეხდინა საბჭოთა დელეგაციაზე, მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

საბჭოთა დიპლომატიის წარმატებები გენუის კონფერენციაზე

1922 წლის 14 აპრილს დილით ალბერტისის-ვილაში ერთმანეთს შეხვდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები. ამ შეხვედრას ექსპერტები არ ესწრებოდნენ, ვინაიდან საბჭოთა დელეგაცია გამოცხადდა ექსპერტების გარეშე, მაგრამ ესწრებოდნენ დელეგაციების მდივნები.

დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა მიზანი იყო ამ კერძო ხასიათის შეხვედრის დროს აეძულებინათ საბჭოთა დელეგაცია მიეღო მათი კაბალური მოთხოვნები. მაგრამ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გ. ჩიჩერინმა განაცხადა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა წინადადებები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ექსპერტთა მიერ შედგენილ პროექტში, სრულიად მიუღებელი იყო. ხოლო, რაც შეეხებოდა დასავლეთის წარმომადგენელთა მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ დაეშვათ საბჭოთა რუსეთში ვალების კომისია და სამედიატორო სასამართლოს შემოსვლა, ეს იქნებოდა საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენული უფლებების დარღვევა.

ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიის წარმომადგენლებთან ერთად გადაწყვიტეს მოეწყოთ საბჭოთა დელეგაციასთან არაოფიციალური შეხვედრა იმისათვის, რათა მისულიყვნენ რაიმე დასკვნამდე. შემდეგ ინგლისის პრემიერმა იკითხა, თუ რას იტყოდა გ. ჩიჩერინი ექსპერტების პროგრამის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა უპასუხა, რომ ექსპერტების პროექტი აბსოლუტურად მიუღებელია.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა მოითხოვა ექსპერტთა მოხსენების დეტალური განხილვა. ლოიდ ჯორჯი თავის

სიტყვაში შეეხო საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის საკითხს და განაცხადა, რომ დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი რუსეთის შინაგან წყობას თვით რუსების საქმედ სცნობს. საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს რუსეთთან ვაჭრობის აღდგენას. თუკი ეს ვერ მოხერხდება, მაშინ ინგლისს მოუწევს მიმართოს ინდოეთს და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. რაც შეეხება სამხედრო ვალებს, — ამბობდა ლოიდ ჯორჯი, — მოკავშირეები მოითხოვენ, რომ რუსეთმა იგივე პოზიცია დაიკავოს, როგორიც იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც ადრე მისი მოკავშირეები იყვნენ. შემდგომში ყველა ამ ვალის შესახებ საკითხი შეიძლება განხილულ იქნას მთლიანადო.

ლოიდ ჯორჯი მოითხოვდა სამხედრო ვალების განხილვისას დაედგინათ მრგვალი თანხა, რომელიც უნდა გადაეხადათ რუსეთისადმი მიყენებული ზარალის გამო. ლოიდ ჯორჯის წინადადება ნიშნავდა იმას, რომ კერძო პირების პრეტენზიებიც არ დაეპირისპირებინათ სახელმწიფოებრივი კონტრპრეტენზიებისათვის.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაური ლუი ბარტუ ამტკიცებდა, რომ მას არასწორად გაუგეს. ბარტუ შეეცადა მოეჩვენებინა თავი საბჭოთა რუსეთის მეგობრად, რომ თითქოს ეს იყო საფრანგეთის პირველი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც 1920 წ. წინადადება წამოაყენა დაეწყოთ მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან, მაგრამ ბარტუ მაინც მოითხოვდა საბჭოთა დელეგაციას ეცნო უცხოეთის ვალები.

ლოიდ ჯორჯის წინადადებით ხანმოკლე შესვენება მოხდა, რადგანაც რუსეთის დელეგაციას თავის ბინამდე რამდენიმე ათეული კილომეტრის გავლა უწევდა, ამიტომ ლოიდ ჯორჯმა დელეგაციას შესთავაზა საუზმეზე დარჩენა. შესვენების შემდეგ თათბირის მონაწილეთა რიცხვს დაემატა ბელგიის პრემიერ-მინისტრი ტენისი და ინგლისისა და საფრანგეთის ზოგიერთი ექსპერტი.

სანამ მორიგი სხდომა გაიხსნებოდა, ლოიდ ჯორჯმა სთხოვა საბჭოთა დელეგაციას ეცნობებინა რას მოითხოვდა რუსეთი. საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა თავისი ეკონომიური მოთხოვნები. ამან დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი გამო-

იწვია და საბჭოთა დელეგაციას მრავალი შეკითხვა მისცა ქვეყნის შინაგანი მდგომარეობის შესახებ.

განახლდა სხდომა, მაგრამ შეთანხმებას ბოლო არ უჩანდა. მით უფრო, რომ საბჭოთა დელეგაციამ ვერ მოასწრო ექსპერტების წინადადებები შეესწავლა. ლუი ბარტუს შეკითხვაზე, როგორია საბჭოთა დელეგაციის აზრი, საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა დამშვიდებით უპასუხა, რომ რუსეთის დელეგაცია სულ ორ დღეს სწავლობდა ექსპერტების წინადადებებს. მიუხედავად ამისა, ის ჩქარა წარმოადგენს თავის კონტრწინადადებებს.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაურს სწრაფად უნდოდა პასუხის მიღება. იტალიის მინისტრმა შანცერმა განაცხადა: გვინდა ვიცოდეთ ღებულობს თუ არა რუსეთის დელეგაცია საბჭოთა მთავრობის პასუხისმგებლობას ომამდელ ვალებზე, არის თუ არა ეს მთავრობა საკუთარი მოქმედების შედეგად უცხოელ მოქალაქეთა დანაკარგების პასუხისმგებელი. რა კონტრპრეტენზიების წამოყენებას ითვალისწინებენ ისინი. ლოიდ ჯორჯმა მოითხოვა ექსპერტებს გაეგრძელებინათ მუშაობა. „თუკი ეს საკითხი არ იქნება გადაწყვეტილი, — აფრთხილებდა ლოიდ ჯორჯი, — კონფერენცია დაიშლება“.

მორიგ სხდომაზე ექსპერტებმა წარმოადგინეს ცარიელი ფრაზებისაგან შემდგარი წინადადებები. ფაქტიურად იგი იმას გულისხმობდა, რომ აუცილებლად, მეორე დღესვე მოეწვიათ კიდევ ექსპერტების მცირე კომისია. ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ ის საგანგებოდ დაინტერესებულია კონფერენციის მუშაობის გაგრძელებაში. ამიტომ ის და მისი მეგობრები თანხმდებიან ექსპერტების კომისიის მოწვევაზე, რათა გაირკვეს, შეუძლიათ თუ არა მათ რუსეთის დელეგაციასთან შეთანხმდნენ. გადაწყდა, თითო ქვეყნიდან მოეწვიათ ორ-ორი ექსპერტი, ხოლო შემდეგ გაეგრძელებინათ კერძო თათბირი.

კომუნიკეში, რომელიც გამოაქვეყნეს, ნათქვამი იყო: ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიის დელეგაციის წარმომადგენლები ლოიდ ჯორჯის მეთაურობით შეიკრიბნენ ნახევრად ოფიციალურ თათბირზე, რათა რუსეთთან ერთად განეხილათ ლონდონის ექსპერტთა მოხსენების დასკვნები.

მთელი დღეები, სანამ ალბერტისის ვილაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება, გენუა განგაშს განიცდიდა. დელეგატები სულ სხვადასხვა საწინააღმდეგო ხმებს ავრცელებდნენ. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ საბჭოთა დელეგაციამ თითქოს ანტანტასთან გერმანიის საწინააღმდეგო შეთანხმებას მიაღწია.

15 აპრილს ღამით სასტუმროში, სადაც ცხოვრობდა გერმანიის წარმომადგენლობა, საბჭოთა დელეგაციიდან დარეკეს. ამ ვითარებას საინტერესოდ აგვიწერს ინგლისის ელჩი ბერლინში ლორდი დ'აბერნონი თავის წიგნში „მშვიდობის ელჩი". ამის შესახებ მას 1926 წ. მოუთხრო მალცანმა: „გერმანიის დელეგაციამ სხვადასხვა წყაროებიდან ჰოლანდიელებიდან, იტალიელებიდან და სხვ. მიიღო არაოფიციალური ცნობები რომ რუსეთმა მიაღწია შეთანხმებას ინგლისთან და საფრანგეთთან გერმანიის გარეშე.

რატენაუ გაგულისებული იყო. მისი ყველა გეგმა ირღვეოდა. გერმანიის დელეგაციამ ყოველმხრივ განიხილა მდგომარეობა და საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ამ მომენტში არაფერი არ შეიძლება გაკეთდეს. წავიდნენ დასაძინებლად, 2 საათზე ლაქიამ გააღვიძა მალცანი და უთხრა: უცნაური გვარით ვიღაც ჯენტლემენი თხულობს თქვენთან ტელეფონით ლაპარაკს. ეს იყო ჩიჩერინი. მალცანი 15 წუთის განმავლობაში ტელეფონით ელაპარაკებოდა ჩიჩერინს. ლაპარაკი იყო იმის გარშემო, რომ ჩიჩერინი თხოვდა გერმანელებს მისულიყვნენ მასთან კვირას და განეხილათ გერმანიასა და რუსეთს შორის შეთანხმების შესაძლებლობის საკითხი. მან არ თქვა იმაზე, რომ დასავლეთის ქვეყნებთან მოლაპარაკებამ წარუმატებლობა განიცადა, მაგრამ მალცანი მაშინვე მიხვდა, რომ ცნობა — დასავლეთის ქვეყნებსა და რუსეთს შორის შეთანხმებაზე სიცრუე იყო. მალცანმა იფიქრა, რომ რუსები მოეფერებოდენ გერმანიასო და გარკვეული პასუხისაგან თავი შეიკავა. უპასუხა — კვირას ძნელი იქნება შეხვედრა, რადგანაც გერმანიის დელეგაცია არიფანას აწყობს, ხოლო თვითონ ეკლესიაში უნდა წავიდეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩიჩერინი გერმანიის დელეგაციას ხელსაყრელ პირობებს დაპირდა, მალცანმა გა-

დაწყვიტა ამ საქმეზე თავისი რელიგიური ვალდებულებანი შეეწირა და შესახვედრად წასულიყო.

ღამის 2 საათსა და 30 წუთზე მალცანი რატენაუსთან მივიდა. როცა მალცანი შევიდა, რატენაუმ თქვა: „თქვენ ალბათ მე სასიკვდილო განაჩენი მომიტანეთ?". „არა, სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის ცნობა, — უპასუხა მალცანმა და მოუთხრო რატენაუს მთელი ისტორია. რატენაუმ თქვა: ახლა, როცა ვიცი საქმის მთელი სინამდვილე, წავალ ლოიდ ჯორჯთან, ყველაფერს ავუხსნი მას და მივაღწევ მასთან შეთანხმებასო". მალცანმა უპასუხა: ეს იქნება უსინდისობა. თქვენ თუ ამას გააკეთებთ, დაუყოვნებლივ გადავდგები და წავალ სახელმწიფო საქმეებიდან. ბოლოს და ბოლოს რატენაუ შეუერთდა მალცანის აზრს და დათანხმდა, მართალია, არა სავსებით სიამოვნებით, შეხვედროდა კვირას რუსეთის დელეგაციას. დანიშნულ დღეს შედგა საბჭოთა რუსეთისა და გერმანიის წარმომადგენელთა თათბირი.

ორივე მხარე მტკიცედ იდგა თავის პოზიციებზე და საქმე წინ ნელა მიდიოდა. ამ დროს ლოიდ ჯორჯმა ტელეფონით დარეკა და თქვა: მე ძალიან მსურს ვნახო რატენაუ რაც შეიძლება მალე, თუ მისთვის მოსახერხებელი იქნებოდა დღეს ჩაიზე ან ხვალ საუზმეზე შეხვედროდა. ეს პატივი საიდანღაც ცნობილი გახდა რუსებისათვის. ამის შედეგად რუსებმა დააჩქარეს და იმავე დღეს საღამოთი რაპალოს შეთანხმება ხელმოწერილ იქნა ყოველგვარი დაყოვნების გარეშე.

უეჭველია, რომ მალცანმა ზოგი რამ შეაფერადა, რათა გერმანიის დელეგაცია ხელსაყრელ პირობებში წარმოედგინა და მისი ოპორტუნული ხასიათი დაეფარა. მან დამალა თუ რა მოლაპარაკებას აწარმოებდა რატენაუ ჩიჩერინთან, აგრეთვე რა კონტაქტში იყო ინგლისელებთან და როგორ საიდუმლოდ აცნობებდა მათ ყველაფერზე რასაც ლაპარაკობდნენ რუსებთან. რატენაუ ჯერ კიდევ წინააღმდეგი იყო რუსებთან სეპარატული შეთანხმებისა, თუმცა მისი ოპოზიცია სულ უფრო სუსტდებოდა. მალცანი ენთუზიაზმით გამოთქვამდა აზრს მოლაპარაკების თაობაზე. ვირტიც თანახმა იყო. მხოლოდ ერთი იყო საეჭვო: რას იტყოდა ბერლინი? გენუაში გერმა-

ნელებმა იცოდნენ, რომ პრეზიდენტი ებერტი და სოციალ-დემოკრატები დასავლეთის ორიენტაციის იყვნენ და პროტესტს განაცხადებდნენ ბოლშევიკებთან შეთანხმების თაობაზე.

1922 წლის 16 აპრილს ხელმოწერილ იქნა რაპალოს ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად ორივე — საბჭოთა რუსეთისა და გერმანიის მთავრობები უარს ამბობდნენ როგორც სამხედრო ხარჯების, ისე არასამხედრო ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც მოქალაქეებს მიაყენეს ომის პერიოდში. გერმანია და საბჭოთა რუსეთი სამხედრო ტყვეთა შენახვის გადახდას ერთობლივ წყვეტდნენ. ამ შეთანხმების თანახმად, ორივე აღნიშნული მხარე ცნობდა ერთიმეორეს, ხელს იღებდა მსოფლიო ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე, აგრეთვე სამხედრო ტყვეთა შენახვის ანაზღაურებაზე. გერმანია უარს აცხადებდა პრეტენზიებზე თუ საბჭოთა მთავრობა არ დააკმაყოფილებდა სხვა ქვეყნების ანალოგიურ პრეტენზიებს. რუსეთსა და გერმანიას შორის დაუყოვნებლივ მყარდებოდა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა.

საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის დადებულ რაპალოს ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ჩიჩერინი და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ.

მიღებული შეთანხმების ერთ-ერთ მთავარ მუხლად გაზეთები თვლიდნენ, რომ გერმანიამ უარი თქვა ანაზღაურების მოთხოვნაზე იმ შემთხვევაში, თუ სხვა სახელმწიფოების ანალოგიური პრეტენზიები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული. ამ მუხლს არა მარტო ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ რუსეთი თავისუფლდებოდა გერმანელ მოქალაქეთათვის რევოლუციური ღონისძიებით მიყენებული ზარალის გადახდისაგან, არამედ ისიც, რომ ამით აღიარებული იყო რევოლუციის ერთგვარი უფლება და შეილახა კერძო საკუთრების პრინციპი. ერთი მთავარი მოთხოვნა, რომელსაც კაპიტალისტური მთავრობები რუსეთს უყენებდნენ, იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას უცხოელი მოქალაქეებისათვის რევოლუციის დროს მათთვის ჩამორთმეული ქონება უნდა

ანაზღაურებინა. მათ უარყვეს საბჭოთა მთავრობის კონტრწინადადება იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ. რომელიც რუსეთს უცხოეთის შეიარაღებულმა ინტერვენციამ და სამოქალაქო ომისადმი ხელისშეწყობამ მიაყენა. ბურჟუაზიული მთავრობები თავიანთ მოქალაქეთა კერძო საკუთრებას ხელუხლებლად აღიარებდნენ, ხოლო რუსეთის ხალხის, მათ მიერ განადგურებული სიმდიდრის ანაზღაურება სავალდებულოდ არ მიაჩნდათ.

რუსეთ-გერმანიის შეთანხმება სხვა მრავალმხრივაც იყო საყურადღებო. ეს ორი ქვეყანა ეკონომიური თვალსაზრისით ერთიმეორეს ავსებდა. გერმანიის განვითარებული ინდუსტრია და ტექნიკა, რუსეთის უამრავი ნედლი მასალა და ფართო ბაზარი საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა ორივე ქვეყნის მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობისათვის. სხვა ქვეყნები, რომლებიც თავის სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად ადრე საჭიროებდნენ რუსეთის დახმარებას, ხოლო აგვიანებდნენ ამ უკანასკნელთან დაახლოებას და რაღაც გადაჭარბებულ პრეტენზიებს უყენებდნენ მას, ამით უფრო მეტი ზიანი მოჰქონდათ თავიანთვის, ვინემ საბჭოთა რესპუბლიკისათვის. რუსეთ-გერმანიის შეთანხმება ამ მხრივ საკმაო გამაფრთხილებელი გაკვეთილი იყო. გარდა ამისა, ეს შეთანხმება ამაგრებდა საბჭოთა რუსეთისა და გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობას.

მოკავშირეების ურთიერთობა არც ისე მძლავრი იყო, რომ რუსეთ-გერმანიის შეთანხმებას გავლენა არ ჰქონოდა ანტანტის ისედაც მერყევ ძალთა განწყობილებაზე. რუსეთ-გერმანიის დაახლოებას დეზორგანიზაცია შეჰქონდა ანტანტის ერთიანობაში და აცლიდა ნიადაგს მის შეურიგებელ პოზიციას.

გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა დაუყოვნებლივ მყარდებოდა. ორივე მთავრობა შეთანხმდა გამოეყენებინათ ყველაზე ხელსაყრელი პრინციპები სავაჭრო და სამეურნეო ურთიერთობისათვის. შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულება არ შეეხებოდა შეთანხმების მონაწილე ქვეყნების დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოებთან.

რაპალოს ხელშეკრულება სრულიად მოულოდნელად გამ
ცდარი ყუმბარა იყო გენუის კონფერენციაზე. „ეს შეაძრწუ
ნებს მსოფლიოს! ეს უდიდესი დარტყმაა კონფერენციის
მიმართ" — წამოიძახა ამერიკის ელჩმა იტალიაში ჩაილდმა
როცა გაიგო რუსეთ-გერმანიის შეთანხმების შესახებ!

რაპალოს ხელშეკრულებამ ჩაშალა ანტანტის მიერ საბჭო
თა რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი იმპერიალისტური ფრონ
ტის შექმნის ცდა. დამარცხებული ქვეყნებისა და რუსეთის
ხარჯზე ევროპის აღდგენის გეგმა ინგრეოდა. ანტანტის დიპ
ლომატიამ, რომელიც იმედოვნებდა საბჭოთა რუსეთს მუხლზე
დააჩოქებდა, სრული დამარცხება განიცადა.

17 აპრილს გერმანიის დელეგაციამ გენუის კონფერენ
ციაზე რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავში
რებით სპეციალური კომუნიკე გამოაქვეყნა. „კომუნიკეში
აღნიშნული იყო, რომ მოლაპარაკება, რომელიც საბჭოთა
რუსეთსა და გერმანიას შორის მიმდინარეობდა კვირას, 15
აპრილს რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერით დამთავრდა
შემდეგ კომუნიკის პირველ ნაწილში დაიბეჭდა რაპალოს ხელ-
შეკრულების მოკლე შინაარსი. კომუნიკეს მეორე ნაწილში
აღნიშნული იყო, რომ რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერა
გენუის კონფერენციაზე არ ნიშნავდა მისი ხელმომწერი სა-
ხელმწიფოების სეპარატულ მოქმედებას.

რაპალოს ხელშეკრულებამ ახალი, ნორმალური, თანას-
წორუფლებიანი ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა რუსეთსა
და გერმანიას შორის. რუსეთი მზად იყო ასეთი ხელშეკრუ-
ლება დაედო სხვა სახელმწიფოებთანაც. თუ ამას ისინი მო-
სურვებდნენ.

გერმანული გაზეთები წერდნენ. რომ ანტანტა რუსეთ-
გერმანიის ხელშეკრულების განხილვის შემდეგ. თვით დაი-
წყებს რუსეთთან მოლაპარაკებასო. გაზეთ „ფოსიშე ცაი-
ტუნგი"-ს სიტყვით „რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება ახალ
საერთაშორისო პირობებს არ აყენებს, არამედ მხოლოდ ეკო-
ნომიურ მიზნებს ისახავს. ხელშეკრულების საფუძველს შე-
ადგენს მეგობრული და მშვიდობიანი დამოკიდებულების
აღდგენა, რომელიც არსებობდა ორივე ამ სახელმწიფოთა
შორის".

გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნ"-ის ცნობით, „გერმანიასა და რუსეთს, როდესაც ისინი ხელს აწერდნენ ხელშეკრულებას და უარს აცხადებდნენ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაზე, ის პრინციპები ამოქმედებდათ, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ვილსონის მიერ, სახელდობრ ის, რომ ამიერიდან აღარ არიან არც გამარჯვებულნი და არც დამარცხებულნი". გაზეთ „ლოკალ ანციაგერ"-ის სიტყვით „ამერიკა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას თვლის გენუის კონფერენციის პირველ ფაქტიურ შედეგად".

საფრანგეთის რადიო იტყობინებოდა, რომ „გარდა ექსტრემისტული და გერმანოფილური გაზეთებისა, იტალიის პრესა უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებით. იტალიის გაზეთები „ამგვარი მანევრის მთელ უხერხულობაში" ბრალს სდებენ გერმანიას".

განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ფრანგული რეაქციული პრესა. საფრანგეთის გაზეთები ამტკიცებდნენ, რომ რუსებსა და გერმანელებს აღარაფერი დარჩათ გასაკეთებელი კონფერენციის კომისიებში, რადგანაც მათ მიერ უკვე დადებული ხელშეკრულება უარყოფს მათი წარმომადგენლების იმ საერთაშორისო ყრილობაზე მონაწილეობის აუცილებლობას, რომელიც მოწვეული იყო სწორედ ამ საკითხის გადასაწყვეტად.

პარიზის პრესა აღნიშნავდა, რომ ლოიდ ჯორჯი აღშფოთებული იყო ამგვარი საქციელით, რომელიც შეურაცხყოფს მის ღირსებას. გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ მდგომარეობა შეიქმნა ისეთი, თითქოს „ლოიდ ჯორჯმა მოიწვია გენუაში სახელმწიფოთა წარმომადგენლები მხოლოდ იმისათვის, რომ დასწრებოდნენ გერმანია-რუსეთის შეთანხმებას". ზოგიერთი მემარჯვენე გაზეთები ზეიმობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს „იტალიელებს საბჭოთა რუსეთის იმედი გაუცრუვდათ, ვინაიდან ისინი თავიანთი გამოსვლით ლამობენ კონფერენციის ჩაშლას. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ იტალია იყო საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთი დამცველთაგანი".

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია გერმანიის მშრომელ მასებში. ერთადერთი ჯგუფი-

რომელიც ილაშქრებდა ხელშეკრულების წინააღმდეგ, ეს მაიდემანელები — სოციალ-დემოკრატების ლიდერები იყვნენ.

გერმანიის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა მთელი რიგი წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ისინი სრულიად კმაყოფილნი არიან ხელშეკრულებით და მოუთმენლად ელიან მის საჩქაროდ ცხოვრებაში გატარებას. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, იმ აზრით, რომ იგი საბოლოოდ ეკონომიურ კავშირს განამტკიცებდა გერმანიასა და საბჭოთა რესპუბლიკას შორის.

რაპალოს ხელშეკრულებამ გაზარდა საბჭოთა რუსეთის ავტორიტეტი.

- რაპალოს ხელშეკრულებამ ხელისმომწერ ორივე მხარეს მოუტანა სერიოზული პოლიტიკური შედეგი. ხელშეკრულებამ გადაწყვიტა წარსულში არსებული სადავო საკითხები. ძალადობაზე დამყარებული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ნაცვლად ის ახალ ურთიერთდამოკიდებულებას ქმნიდა, რომელიც ორივე სახელმწიფოს სრულ თანასწორობას და მშვიდობიანი ეკონომიური თანამშრომლობის შესაძლებლობას უზრუნველყოფდა.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ რაპალოს ხელშეკრულებაში მოცემული იყო ორი სისტემის ნამდვილი თანასწორუფლებიანობა, **თუნდაც** რ ო გ ო რ ც დ რ ო ე ბ ი თ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა. ვ. ი. ლენინი რაპალოს ხელშეკრულებას თელიდა როგორც ერთადერთ სწორ გამოსავალს სიძნელეებიდან, ქაოსიდან და ომების საფრთხიდან (ვიდრე რჩება საკუთრების ორი სისტემა, მათ შორის ისეთი მოძველებული სისტემა, როგორიცაა კაპიტალისტური საკუთრება).

რაპალოს ხელშეკრულების სამმა ძირითადმა მომენტმა განსაზღვრა მისი პოლიტიკური მნიშვნელობა: 1. ეს იყო ყველა ურთიერთ პრეტენზიების ლიკვიდაცია; 2. გერმანიასა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და 3. რუსეთისა და გერმანიის ეკონომიური დაახლოება, რომლებიც რაპალოს ხელშეკრულების მეშვეობით გამოდიოდნენ იზოლაციიდან. ამრიგად, საბჭოთა რუსეთის გარშემო წყდებოდა ეკონომიური ბლოკადის რკალი. მეორე მხრივ, გერმანია

შესაძლებლობას ღებულობდა გაეფართოებინა თავისი ვაჭრობა.

აფასებდა რა რაპალოს ხელშეკრულების მნიშვნელობას, სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1922 წლის 18 მაისის სპეციალურ დადგენილებაში აღნიშნა: საბჭოთა დელეგაციამ სწორად შეასრულა თავისი ამოცანები, იცავდა რსფს რესპუბლიკის სრულ სუვერენულობას, ებრძოდა დამონებისა და კერძო საკუთრების აღდგენის ცდას და გერმანიასთან ხელშეკრულების ხელმოწერას მიაღწია.

„საკუთრების ორი სისტემის ნამდვილი თანასწორუფლებიანობა თუნდაც როგორც დროებითი მდგომარეობა, ვიდრე მთელ მსოფლიოს არ უარუყვია კერძო საკუთრება და მის მიერ წარმოშობილი ეკონომიური ქაოსი, ომები და საკუთრების უმაღლეს სისტემაზე არ გადასულა, — მოცემულია მხოლოდ რაპალოს ხელშეკრულებაში. ამიტომ სრულიად რუსეთის ცაკ-ი მიესალმება რაპალოს ხელშეკრულებას, როგორც ერთადერთ სწორ გამოსავალს სიძნელეებიდან, ქაოსიდან და ომების საფრთხიდან (ვიდრე რჩება საკუთრების ორი სისტემა, მათ შორის ისეთი მოძველებული სისტემა, როგორიცაა კაპიტალისტური საკუთრება); კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან რსფს რესპუბლიკის ურთიერთობისათვის ნორმალურად ცნობს მხოლოდ ასეთი ტიპის ხელშეკრულებებს;

— ავალებს სახკომსაბჭოს და საგარეო საქმეთა სახკომს ასეთი სახის პოლიტიკა აწარმოონ;

— ავალებს სრ. რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმს დაადასტუროს ეს რსფს რესპუბლიკის ფედერაციაში შემავალ ყველა რესპუბლიკასთან შეთანხმებით;

— უბრძანებს საგარეო საქმეთა სახკომს და სახკომსაბჭოს დაუშვას აქედან გამონაკლისი, ე. ი. რაპალოს ტიპის ხელშეკრულებიდან გადახვევა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, რაც სრულიად განსაკუთრებულ სარგებლობას მოუტანს რსფს რესპუბლიკის მშრომელ მასებს“[1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 420.

რაპალოს ხელშეკრულების დადების ორი დღის შემდეგ 1922 წლის 18 აპრილს ანტანტაში და მცირე ანტანტაში შემავალი სახელმწიფოებისა და ასევე პოლონეთისა და პორტუგალიის მთავრობებმა გერმანიას სპეციალური რეზოლუცია გაუგზავნეს. რეზოლუციაში ისინი გერმანიას ბრალს დებდნენ მოკავშირეთა მიმართ არალოიალობაში, კანის რეზოლუციის დარღვევაში იმ მხრივ, რომ გერმანიის წარმომადგენლებმა „დადეს ხელშეკრულება რუსეთთან მალულად, თავისი კოლეგების ზურგს უკან. ნოტაზე ხელმომწერმა ქვეყნებმა აღნიშნეს, რომ რუსეთთან განსაკუთრებული შეთანხმების შემდეგ გერმანია არ შეიძლება რუსეთსა და სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის საერთო შეთანხმების განხილვაში მონაწილეობდეს. რეზოლუციას ხელს აწერდნენ: ლოიდ ჯორჯი, ლუი ბარტუ, ფაქტა, იშიი, ტეინისი, ბენეში, სკირმენტი, ნინჩიჩი, დიამანდი.

ამრიგად, ანტანტა ფაქტიურად გერმანიას გამორიცხავდა გენუის კონფერენციის პოლიტიკური კომისიიდან. პრესამ ხმაური ატეხა რაპალოს ხელშეკრულების გარშემო. საერპარაციო კომისიამ დაადგინა დაუყოვნებლივ გადაეცათ კომისიისათვის რაპალოს ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტი, რათა გაეგოთ საბჭოთა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება ზიანს ხომ არ აყენებდა საერპარაციო კომისიის მონაწილე მთავრობებს. ანტანტის დიპლომატები ამტკიცებდნენ, რომ რაპალოს ხელშეკრულება არღვევს ვერსალის ხელშეკრულების მთელ რიგ მუხლებსო.

ხმაურით შეშინებულნი ვირტი და რატენაუ 19 აპრილს საბჭოთა დელეგაციას ეწვიენ. გერმანელები იხვეწებოდნენ მოკავშირეთა პროტესტის გამო დაებრუნებინათ ხელშეკრულება. რაკი გერმანელები საბჭოთა დელეგაციის მხრივ კატეგორიულ უარს წააწყდნენ, ისინი თხოულობდნენ მხარი დაეჭირათ მათი პროტესტისათვის, რათა გერმანიის წარმომადგენლები არ გაერიცხათ პოლიტიკური კომისიიდან.

21 აპრილს გერმანელებმა უპასუხეს ანტანტის სახელმწიფოებს. გერმანიის საპასუხო წერილში აღნიშნული იყო, რომ გერმანიამ უკვე რამდენიმე წელია ცნო საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში, რამდენიმე თვე ჰქონდა მასთან მოლაპარაკება

და ახლა მხოლოდ დამთავრდა ეს მოლაპარაკება რაპალოს ხელშეკრულებით და რომ რაპალოს ხელშეკრულება არ ეხებოდა სხვა სახელმწიფოებთან გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობას.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა. ლუი ბარტუმ სპეციალური წერილით მიმართა იტალიის პრემიერ-მინისტრ ფაქტას, სადაც მიუთითებდა იმაზე, რომ რაპალოს ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა კანის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. ლუი ბარტუ მოითხოვდა ფაქტას სასწრაფოდ მოეწვია დელეგატების მეთაურთა თათბირი და იქ გაერჩია საბჭოთა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების დადების საკითხი. იმავე დღეს, 22 აპრილს ვირტამ წერილით მიმართა ფაქტას, სადაც მიუთითებდა ლუი ბარტუს მიერ მისდამი გაგზავნილ წერილზე. ამ წერილში ლუი ბარტუ ეხებოდა გერმანიის მთავრობის „ცრუ მტკიცებას" რაპალოს ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. თუ ეს ასეა, — წერდა ვირტა, — იგი პროტესტს გამოთქვამდა ბარტუს მიერ ნათქვამი სიტყვების წინააღმდეგ.

23 აპრილს მოკავშირეებმა კანცლერ ვირტას გაუგზავნეს ახალი ნოტა. მასში ლუი ბარტუს მითითებით ჩართული იყო: „ქვემო ხელისმომწერნი უტოვებენ სრულ უფლებას თავიანთ მთავრობებს, ჩასთვალონ უკანონოდ და უმოქმედოდ ყველა ის მუხლი რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებისა, რომლებიც აღიარებული იქნება არსებული ხელშეკრულებების საწინააღმდეგოდ".

გენუაში პოლონეთი რუსეთის წინააღმდეგ მტრულ პოლიტიკას არ ატარებდა, მაგრამ მოკავშირეთა ყველა მტრული გამოსვლებში ღებულობდა მონაწილეობას. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ის, რომ პოლონეთი რიგის შეთანხმების წინააღმდეგ შეუერთდა რაპალოს ხელშეკრულების შესახებ მოკავშირეების ნოტას.

ამის გამო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა ნოტით მიმართა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სკირმენტის.

ამ ნოტაში გ. ჩიჩერინი პროტესტს გამოთქვამდა პოლო-

ნეთის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, რომ ეს იყო საბჭოთა რუსეთ-პოლონეთს შორის 1921 წლის 18 მარტს რიგაში. ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების დარღვევა და რომ საბჭოთა რუსეთი სუვერენული სახელმწიფოა და მას შეუძლია ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ვისთანაც მოესურვება.

26 აპრილს გამოგზავნილ საპასუხო ნოტაში სკირმენტი შეეცადა გაემართლებინა პოლონეთის დელეგაციის მოქმედება, მაგრამ 30 აპრილის წერილში გ. ჩიჩერინმა სასტიკად გააკრიტიკა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიკიბულ-მოკიბული მტკიცება.

რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერა საბჭოთა დიპლომატიის უდიდესი წარმატება იყო. გამოიყენა რა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბანაკში არსებული წინააღმდეგობა, საბჭოთა რუსეთმა სერიოზული რღვევა შეიტანა იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბლოკადაში, რომელიც მას კაპიტალისტურმა მსოფლიომ მოუწყო, თავი დააღწია იზოლირებას და გამოვიდა საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე.

რაპალოს ხელშეკრულებას იზოლაციიდან გერმანიაც გამოჰყავდა და მტკიცე წინაპირობას ქმნიდა გერმანია-საბჭოთა რუსეთის თანამშრომლობისათვის. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი ვალტერ ულბრიხტი გერმანიის სახალხო საბჭოს ეკონომიური კომისიის სხდომაზე ამბობდა: „ყველას შეუძლია მოიგონოს პირველი მსოფლიო ომის შემდგომი გამოცდილება. ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა სრულ იზოლაციაში მოაქციეს გერმანია. მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი რატენაუ ცდილობდა შეთანხმებას დასავლეთის სახელმწიფოებთან, მაგრამ ისინი მიუღებელ პირობებს აყენებდნენ. ეყრდნობოდა რა ხალხის უმრავლესობის სურვილს, მაშინდელმა მთავრობამ ღამის განმავლობაში (über nacht) ხელი მოაწერა რაპალოს ხელშეკრულებას, რომელმაც აღადგინა ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ეს იყო გამოსავალი იზოლაციიდან“.

გამოდიოდა რა კლასობრივი და საგარეო პოლიტიკური

ინტერესებიდან, გერმანიის ბურჟუაზიამ მოიწონა რაპალოს ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობას ქმნიდა და გერმანიის პოზიციებს აძლიერებდა ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ამ ხელშეკრულების ხელმოწერით, — წერდა გაზეთი „დი ცაიტ", — გერმანია ისევ, ხანგრძლივი შუალედის შემდეგ, გამოდის როგორც სუვერენული სახელმწიფო".

უფრო გვიან, 1922 წლის 9 ივნისს შტუტგარტში წარმოთქმულ სიტყვაში ვალტერ რატენაუ სწორად თვლიდა გერმანიის პოლიტიკას,- რამაც საქმე რაპალოს ხელშეკრულებამდე მიიყვანა. მართალია, ამბობდა ის, გერმანიის ეს ნაბიჯი დასავლეთის სახელმწიფოებს არ მოეწონათ, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ გერმანას აწყობდა.

გერმანიის „დემოკრატიულ პარტიას" ყველაზე უფრო რაპალოს ხელშეკრულებისადმი ანტანტის დამოკიდებულება აწუხებდა. ის შიშს გამოთქვამდა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა უკმაყოფილების გამო. საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ თავიდან არ იყო რუსეთთან სეპარატული შეთანხმების მომხრე. მსხვილი ბურჟუაზიის ლიდერი, ცენტრის პარტიის წევრი რაიხსკანცლერი ვირტი გერმანიის კაპიტალისტების იმედებს — დაუფლებოდნენ რუსეთის ბაზარს — რაპალოს ხელშეკრულებას უკავშირებდა.

სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ყოველმხრივ ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ ანტანტის უკმაყოფილება. რაპალოს ხელშეკრულება, — წერდნენ ისინი, — არ ნიშნავს საბჭოთა რუსეთისაკენ მობრუნებას, ეს მხოლოდ იძულებითი ნაბიჯიაო.

საბჭოთა რესპუბლიკასთან შეთანხმების წინააღმდეგი იყვნენ აგრეთვე უკიდურესი მემარჯვენე რეაქციულ-ნაციონალისტური დაჯგუფებანი. რაპალოში, წერდა გერმანიის ფაშიზმის ერთ-ერთი ლიდერთაგანი, „დაკარგულია და გაყიდულია გერმანიის ღირსება".

მხოლოდ გერმანიის პროლეტარიატი და მისი მოწინავე რაზმი — გერმანიის კომპარტია — რაპალოს ხელშეკრულებაში საბჭოთა რესპუბლიკასთან ნამდვილი მეგობრობის საშუალებას ხედავდნენ. კომუნისტები მოითხოვდნენ დაუყოვნებ-

ლივ შედგომოდნენ რაპალოს ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებას, მის გავრცელებას ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში და სავაჭრო ხელშეკრულების დადებას. გაზეთი „როტე ფანე“ წერდა: „გერმანიის გამოჯანმრთელება შეუძლებელია რუსეთის ეკონომიკის აღდგენის გარეშე, საბჭოთა რესპუბლიკასთან მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენის გარეშე“.

რაპალოს ხელშეკრულების დადება ნათელყოფდა გენუაში საერთაშორისო კაპიტალის ყველა ცდათა კრახს, რომ საბჭოთა ხალხის დამონებისათვის შეექმნათ ერთიანი ფრონტი. რაპალოს შემდეგაც არ შეწყვეტილა ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისათვის ბრძოლა.

საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერა განაპირობა შემდეგმა მოსაზრებებმა: 1) გერმანიას რუსეთის პოზიცია აწყობდა გენუის კონფერენციაზე. საბჭოთა რუსეთის დელეგაცია თხოვნისა და შუამდგომლობის პოზიციიდან როდი გამოდიოდა, იგი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. საბჭოთა დელეგაციის მოქმედება ხშირად სამაგალითო იყო გერმანიის დელეგაციისათვის. 2) გერმანია მიხვდა, რომ ინგლისი წინააღმდეგი არ იქნებოდა თუ რუსეთსა და გერმანიას შორის მოხდებოდა შეთანხმება. ეს გამოადგებოდა მას საფრანგეთის საწინააღმდეგოდ.

1922 წლის 20 აპრილს საბჭოთა დელეგაციამ გენუის კონფერენციის მონაწილეებს მემორანდუმი გადასცა. მემორანდუმის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკი იყო კანის რეზოლუციაზე, საბჭოთა დელეგაცია მიუთითებდა, რომ რუსეთის მოწვევა გენუის კონფერენციაზე და მის მუშაობაში მონაწილეობის მიღება არ იყო გაპირობებული კანის რეზოლუციების აღიარებით.

ამასთანავე, საბჭოთა მთავრობა გამოდიოდა იქიდან, რომ შეიძლებოდა კანის რეზოლუციებზე დაყრდნობით გამოენახათ საერთო ენა სახელმწიფოებს შორის და ამიტომაც გენუის კონფერენციის პირველ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ პრინციპში ღებულობს კანის რეზოლუციებს, მაგ-

რამ უფლებას იტოვებს საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეიტანოს.

საბჭოთა დელეგაციის აზრით, შეთანხმება სახელმწიფოებს შორის კანის რეზოლუციებიდან გამომდინარე შეიძლებოდა შემდეგი სამი თეზისიდან მომხდარიყო: 1) ყოველი ერისადმი სრული სუვერენიტეტის აღიარება თავის ქვეყანაში საკუთრების, მეურნეობისა და მმართველობის სისტემის დამყარების საქმეში, 2) საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული პირადი და ქონებრივი უფლებების უზრუნველყოფა იმ უცხოელებისა, რომლებიც მოისურვებენ რუსეთში გაემგზავრონ სამეურნეო საქმიანობისათვის და 3) ურთიერთგაგების პრინციპის აღიარება ყველა მთავრობის მიერ ვალდებულების შესრულებაში და უცხოელი მოქალაქეების მიერ მიღებული ზარალის ანაზღაურებაში.

პოლიტიკურ კომისიაში რუსეთის დელეგაციას გადასცეს „ლონდონის ექსპერტების მემორანდუმი". იგი 63 გვერდისაგან შედგებოდა, აქედან 40 გვერდი მიძღვნილი ჰქონდა რუსეთს. ამ მემორანდუმში, გარდა შესავალისა ლაპარაკი იყო იმ პირობებზე, რომლითაც შეიძლებოდა უცხოეთის კაპიტალის გამოყენება რუსეთის სწრაფი აღდგენისათვის და სხვ. მაგრამ ამ ფრაზებს იქით იმალებოდა დასავლეთის სახელმწიფოების მისწრაფება — მიეღწიათ საბჭოთა რუსეთის ეკონომიური დაკაბალებისათვის.

ექსპერტთა ლონდონის მემორანდუმისა და კანის რეზოლუციების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საბჭოთა მემორანდუმში ნათქვამი იყო, რომ მემორანდუმი, რომელიც 20-28 მარტს შემუშავებულ იქნა და, რომელსაც საბჭოთა დელეგაცია მხოლოდ გენუის კონფერენციაზე გაეცნო, მკვეთრად განსხვავდებოდა კანის რეზოლუციების თეზისებისაგან. თუმცა ლონდონის მემორანდუმში აღნიშნული იყო, რომ „რუსეთის საკითხი" განხილულ იქნა „სამართლიანობისა და ექსპლოატაციის" გარეშე რუსეთის. „ეკონომიური აღდგენის" აუცილებლობის თვალსაზრისით. მაგრამ ლონდონის მემორანდუმში წამოყენებული იყო ისეთი მოთხოვნებიც, რომლებიც „ნიშნავდა არა მარტო ექსპლოატაციას, არამედ უცხო-

ეთის კაპიტალის მიერ რუსეთის მშრომელი მოსახლეობის სრულ დაკაბალებას, ამავე დროს სრულებით არ იყო გათვალისწინებული რუსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენის რეალური საშუალებები.

რუსეთის ეკონომიური აღდგენა საჭირო იყო ევროპის ქვეყნებისათვისაც. ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში 1916-დან 1920 წლამდე პურის წარმოება 25 მლნ ტონით ნაკლები იყო, ვიდრე ომამდე. ისინი ყოველწლიურად კარგავდნენ 8 მლნ ტონა პურის შემოტანის საშუალებას რუსეთიდან, რაც მძიმე მდგომარეობას უქმნიდა მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგების საქმეში. ამერიკის პური ევროპისათვის მეტად ძვირი იყო.

პირველმა მსოფლიო ომმა იმდენად დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას, რომ ახლა ლაპარაკი კერძო ვალებზე და კერძო კრედიტორების დაკმაყოფილებაზე არ უნდა ყოფილიყო. საჭირო გახდა რუსეთისათვის ფინანსური დახმარება გაეწიათ, რომ საშუალება მისცემოდა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობა აღედგინა.

საკუთრივ რუსეთში გატარდა ახალი ეკონომიური პოლიტიკა (ნეპი) და მიღებულ იქნა მთელი რიგი ზომები ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისათვის, მათ შორის 1) შინაგანი ვაჭრობის თავისუფლება, 2) სამრეწველო ინიციატივისა და მეურნეობის კერძო კაპიტალისტური ფორმების იურიდიული თავისუფლების უზრუნველყოფა ზოგიერთ საწარმოში, 3) უფლება ვაჭრობისა და სამრეწველო მოღვაწეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის ესა თუ ის სახე აკრძალული არაა სახელმწიფოს მიერ, 4) ყველა მოქალაქის, კერძოდ, უცხოელების პიროვნების გარანტია უკანონო რეკვიზიციის, კონფისკაციის, დაპატიმრებისა და ა. შ. წინააღმდეგ, 5) სპეციალური გარანტიები უცხოელ კონცესიონერებს ცალკეული საკონცესიო ხელშეკრულების მიხედვით და სხვ.

ზემოხსენებული ღონისძიებები სრულ საშუალებას აძლევდნენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რათა საბჭოთა რუსეთთან ნორმალური ეკონომიური და ფინანსური ურთიერთობა დაემყარებინათ.

საბჭოთა დელეგაცია მზად იყო დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა აზრი მოესმინა ზემოხსენებულ საკითხებზე, დარწმუნებული იყო იმაში, რომ, თუ დასავლეთის სახელმწიფოების მმართველი წრეები მოისურვებდნენ, მაშინ შესაძლებლად თვლიდა ამ საკითხებზე კონკრეტული შეთანხმების მიღწევას.

მაგრამ, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთსა და მეორე მხრივ, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის საჭირო იყო კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მიერ საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობა. საბჭოთა დელეგაცია აცხადებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ზუსტად დაიცავდა ყველა ვალდებულებას, რომელსაც აიღებდა კაპიტალისტური ქვეყნების მხრიდან. ამაზე მიუთითებდა იმ ცალკეული შეთანხმებების მუხლების ზუსტი შესრულება, რომლებიც უკვე დადებული იყო უცხოეთის ქვეყნებთან ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

საბჭოთა მემორანდუმის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკი იყო უცხოეთის ინტერვენციაზე, აღნიშნული იყო, რომ ანტანტის სახელმწიფოებმა გარდა უშუალო შეიარაღებული ინტერვენციისა დიდძალი დახმარება აღმოუჩინეს რუსეთში არსებულ კონტრრევოლუციურ ძალებს.

უცხოეთის შეიარაღებულმა ინტერვენციამ, ანტანტის სახელმწიფოების მხრიდან ეკონომიურმა ბლოკადამ და სამოქალაქო ომმა უდიდესი ზარალი მიაყენა საბჭოთა რუსეთს. გარდა უცხოეთში სეკვესტრირებული და გატანილი ოქროსა, საბჭოთა რუსეთი ომის შედეგად დანგრეული რკინიგზების, ხიდების, მოძრავი შემადგენლობის, ჩაძირული ხომალდებისა და მრავალი სხვა ზარალის ანაზღაურებას მოითხოვდა. რუსეთმა გაცილებით მეტი ზარალი ნახა, ვიდრე მისგან მოითხოვდნენ კაპიტალისტური ქვეყნები ვალების სახით.

დასავლეთის სახელმწიფოები ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ ანტანტის საქმისათვის რუსეთმა დიდი ზარალი განიცადა, როგორც მატერიალურად, ისე ცოცხალი ძალების მხრივ, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ მოკავშირეებმა გაინაწილეს გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოები, მიი-

ლეს დიდძალი კონტრიბუცია და ახლა რუსეთიდანაც უნდოდათ მიეღოთ ახალი თანხები.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა რუსეთის მთავრობა თანახმა იყო ზარალის ურთიერთანაზღაურებაზე, თუ ამას მოისურვებდნენ კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობები.

ვალების საერთო თანხა, რომელიც მოკავშირეებმა საბჭოთა რუსეთს გენუის კონფერენციაზე წაუყენეს, ოქროთი 18,5 მლრდ მანეთს შეადგენდა. გარდა სამხედრო ვალებისა, ომამდელი ვალები და კერძო პრეტენზიები 1921 წლის 1 დეკემბრისათვის დაახლოებით 11 მილიარდ მანეთს, ხოლო პროცენტებით 1927 წლის 1 ნოემბრამდე დაახლოებით 13 მილიარდს შეადგენდა.

დავუშვათ, რომ საბჭოთა მთავრობა დათანხმებულიყო თავის დროზე გადაეხადა ყველა ეს ვალი. მაშინ პირველი შესატანი მას 1,2 მილიარდი მანეთი უნდა შეეტანა. მეფის რუსეთს, როდესაც მისი საგარეო და საშინაო ვაჭრობა ნორმალურ მდგომარეობაში იყო, შეეძლო წელიწადში 400 მლნ მანეთი ეხადა. ახლა რუსეთს რომ წელიწადში 1,2 მილიარდი გადაეხადა, ამისათვის საჭირო იყო საბჭოთა რუსეთის სამრეწველო პროდუქციის დონე 1927 წლისათვის ომამდელთან შედარებით 3-ჯერ გადიდებულიყო.

ომამდელი რუსეთის ეროვნული სიმდიდრე ოქროთი 150 მილიარდ მანეთს შეადგენდა. უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დროს ანტანტის ქვეყნების მიერ მიყენებული ზარალი 39 მილიარდი, ე. ი. ეროვნული სიმდიდრის $^1/_4$-ზე მეტი გახდა. მაშინ კი საბჭოთა რუსეთს ომამდელი ეროვნული სიმდიდრის $^1/_3$ გააჩნდა.

მეფის რუსეთი ომამდელ ვალებს თანდათანობით უხდიდა დასავლეთის სახელმწიფოებს, მაგრამ მაშინ ეს გადასახადი ყოველწლიურად ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის 3,3% და სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 13% შეადგენდა. საბჭოთა რუსეთისაგან ყოველწლიურად ისეთი ვალების გადახდას მოითხოვდნენ, რომელიც მისი ნაციონალური შემოსავლის 30% და სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 80% აღწევდა. აღნიშნული თანხა საბჭოთა რუსეთს იმ ქვეყნებისა-

თვის უნდა გადაეხადა, რომელთა ყოველწლიური ნაციონალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 7—8-ჯერ მეტი იყო, ვიდრე საბჭოთა რუსეთში.

ამავე დროს რუსეთის აქტივი უცხოეთში (სხვადასხვა გზით) 967,8 მლნ მანეთს შეადგენდა, ხოლო რუსეთის სამხედრო ხარჯები, ე. ი. ის, რაც დაიხარჯა „მოკავშირეების საერთო საქმისათვის," 19 400 მლნ. მანეთი იყო.

20 აპრილს საბჭოთა მთავრობამ თავის მემორანდუმს რამდენიმე დამატება გაუკეთა, სადაც მხილებული იყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისადმი ანტანტის სახელმწიფოების მტრული პოლიტიკა.

1922 წლის 10-დან 20 აპრილამდე ლოიდ ჯორჯი ცდილობდა შუამავლის როლი შეესრულებინა რუსეთის შედარებით შეურიგებელ კრედიტორებსა (საფრანგეთი და ბელგია) და საბჭოთა დელეგაციას შორის. ალბერტისის ვილაში ლოიდ ჯორჯმა 14 და 15 აპრილს რამდენიმე კერძო თათბირი მოაწყო: ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით. ლოიდ ჯორჯი ამ თათბირებზე ცდილობდა გამოემუშავებინა კომპრომისული ფორმულები. პირველი თათბირის შემდეგ საფრანგეთისა და ბელგიის დელეგატებმა უარი თქვეს მასში მონაწილეობაზე. ლოიდ ჯორჯს მხარს უჭერდა მარტო იტალიის დელეგაცია.

ლოიდ ჯორჯის კომპრომისული წინადადების მიხედვით მეფის რუსეთის სამხედრო ვალები ლიკვიდირებულ უნდა ყოფილიყო, ხოლო საბჭოთა რუსეთს უარი უნდა ეთქვა ინტერვენციის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე[1].

ომამდელი ვალების გადასახდელად ლოიდ ჯორჯის წინადადებით საბჭოთა რუსეთს უნდა მისცემოდა მორატორიუმი 10—15 წლის ვადით. და ბოლოს, ლოიდ ჯორჯის წინადადების მიხედვით, უცხოელ მესაკუთრეებს რევოლუციის შედეგად თავიანთი დანაკარგი რუსეთში უნდა მიეღოთ.

---

[1] სამხედრო ვალები შეადგენდნენ 9 მილიარდ მანეთს ოქროთი, ხოლო საბჭოთა რუსეთის კონტრპრეტენზია ინტერვენციის შედეგად მიყენებული ზარალისათვის — 39 მილიარდ მანეთს ოქროთი.

„ლოიდ ჯორჯი, — წერდა გაზეთი „პრავდა“, — რომელიც თავისთავს მშვიდობისმოყვარულად მოაჩვენებდა, ლონდონის მემორანდუმში შეთანხმების ისეთ პირობებს აყენებდა, რომლებიც შეიძლებოდა მხოლოდ დამარცხებულს წაყენებოდა. კონფერენციის ბედი დამოკიდებულია იმაზე, მოითხოვს თუ არა ლოიდ ჯორჯი თავისი საშინელი მოთხოვნების შესრულებას“. საქმე ის იყო, რომ ვალების გადახდის საქმეში საბჭოთა მთავრობისა და ანტანტის სახელმწიფოების მთავრობების შეხედულება მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ომამდელ ვალებს რუსეთი იმ შემთხვევაში ცნობდა, თუ ანტანტის სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთის კონტრპრეტენზიებს ცნობდნენ ინტერვენციისა და სამოქალაქო ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, ხოლო რაც შეეხებოდა სამხედრო ვალებს, მის ცნობაზე საბჭოთა რუსეთი უარს ამბობდა, ვინაიდან: 1) სამხედრო ვალები ომის საქმეს ემსახურებოდა, ახლა დარჩენილი სამხედრო საქონელი გამოუსადეგარი იყო; 2) პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი ცარიზმისა და იმპერიალისტების მიზნებისათვის მიმდინარეობდა; 3) მეფის რუსეთმა ამ ომში უფრო მეტი დახარჯა, ვიდრე სესხი მიიღო დასავლეთის სახელმწიფოებიდან. მეფის რუსეთმა ომში მეტი ზარალი ნახა, ვიდრე მისმა დასავლეთის მოკავშირეებმა. მათ ომი მოიგეს და ნადავლი გაიყვეს, რუსეთს კი არაფერი არ მიუღია და კიდევ მისგან მოითხოვდნენ ვალების გადახდას.

საბჭოთა დელეგაციამ განიხილა ლოიდ ჯორჯის ეს წინადადებები და თავისი საპასუხო აზრი გამოთქვა ლოიდ ჯორჯისადმი 20 აპრილს გაგზავნილ მემორანდუმში. საბჭოთა დელეგაციამ მზადყოფნა გამოთქვა გამოენახა საერთო ენა დასავლეთის სახელმწიფოებთან. საბჭოთა დელეგაციის პასუხი შემდეგ მოსაზრებებს შეიცავდა:

1. სამხედრო ვალები და ყველა ვალების გადაუხდელი და გადადებული პროცენტები უნდა გაუქმებულიყო, 2) რუსეთისადმი უნდა გაეწიათ საკმაო ფინანსური დახმარება, რათა გამოსწორებულიყო მისი მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. რაც შეეხებოდა ლოიდ ჯორჯის მესამე წინადადებას, საბჭოთა

დელეგაცია მზად იყო განეხილა ეს საკითხი და უცხოელი მესაკუთრეების სასარგებლოდ გადაეწყვიტა.

საბჭოთა დელეგაციის მემორანდუმი, რომელიც ლონდონის ექსპერტების მემორანდუმის პასუხს წარმოადგენდა და ლოიდ ჯორჯისადმი 1922 წლის 20 აპრილს მინაწერი საბჭოთა დელეგაციის წერილი ერთდროულად გადაეცა დასავლეთის სახელმწიფოებს:

- მემორანდუმში მოყვანილი იყო გენუის კონფერენციაზე განსახილველ საკითხებზე საბჭოთა დელეგაციის შეხედულება და საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება დასავლეთის სახელმწიფოებთან.

საფრანგეთის დელეგაცია უკმაყოფილო იყო ლოიდ ჯორჯის სეპარატული მოლაპარაკებით. იგი ცდილობდა ყოველგვარი მოლაპარაკება ჩაეშალა საბჭოთა დელეგაციასთან, მაგრამ, როცა ეს შეუძლებელი გახდა, საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენელმა სეიდუმ დასტოვა კომისიის სხდომა.

გ. ჩიჩერინმა ექსპერტების კომისიისადმი გაგზავნილ წერილში ამხილა საფრანგეთის დელეგაციის ეს მანევრი.

20 აპრილს გ. ჩიჩერინმა მოლაპარაკება განაახლა ინგლისის დელეგაციასთან, მაგრამ ლოიდ ჯორჯი პირველ რიგში მოითხოვდა საბჭოთა მთავრობას რესტიტუციის შესახებ მოკავშირეთა წინადადება მიეღო.

საბჭოთა დელეგაციამ დასავლეთის სახელმწიფოებთან შეთანხმების მიღწევის მიზნით წინადადება წამოაყენა იმის შესახებ, რომ მზად იყო იმ პირებთან დაეწყო მოლაპარაკება, რომლებსაც რევოლუციამდე რუსეთში საწარმოები გააჩნდათ და მათთვის უპირატესობა მიეცა ახალი კონცესიების მიღების საქმეში ან სხვა გზით დაეკმაყოფილებინა მათი სამართლიანი მოთხოვნები.

ინგლისის დელეგაციამ არც ეს წინადადება მიიღო და თავის მხრივ მოითხოვა საბჭოთა დელეგაციას მიეღო შემდეგი წინადადება: „რუსეთი თანახმაა დაუბრუნოს საკუთრება იქ, სადაც ეს შესაძლებელია... ასეთი ფორმულირება რუსეთისათვის მიუღებელი იყო, მაშინ ინგლისის დელეგატმა ევენსმა საბჭოთა დელეგაციას შესთავაზა: სიტყვები — „დაუბრუნოს

საკუთრება" შეეცვალა, სიტყვებით — „დაუბრუნოს ქონებით სარგებლობის უფლება". ამის შემდეგ ლოიდ ჯორჯი პირდებოდა მოლაპარაკებას ფრანგებთან და ბელგიელებთან.

მაგრამ საბჭოთა დელეგაცია იცავდა აზრს — დასავლეთის ქვეყნები დათანხმებულიყვნენ საბჭოთა რუსეთისათვის კრედიტების მიცემას, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა საბჭოთა მხარეს რაიმე წინადადება მიეღო ომამდელი ვალების ცნობისა და რუსეთში ყოფილ მესაკუთრეთა მოთხოვნების რაიმე დაკმაყოფილებაზე. ამასთანავე, ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო დასავლეთის სახელმწიფოებს ეცნოთ საბჭოთა მთავრობა დე-იურე.

21 აპრილს, დილით საბჭოთა წერილის მიღებისთანავე, შედგა ოფიციალური თათბირი. მასში მონაწილეობა მიიღო პოლიტიკური ქვეკომისიის ყველა წევრმა, გერმანიისა და რუსეთის გამოკლებით. თათბირის მონაწილეებმა ეჭვი გამოთქვეს წერილის ზოგიერთი მუხლის გარშემო. მიუხედავად ამისა, ქვეკომისიის თავმჯდომარეს მანცერს დაავალეს საბჭოთა დელეგაციისათვის გადაეცა, რომ მისი პასუხი შეიძლებოდა შემდგომ მოლაპარაკებათა საფუძველი გამხდარიყო.

21 აპრილს დღისით შედგა ქვეკომისიის ოფიციალური სხდომა. აცნობა რა საბჭოთა დელეგაციის წერილის შესახებ, მანცერმა წინადადება შეიტანა წერილის ღრმა შესწავლისათვის შეექმნათ ექსპერტთა კომიტეტი, სადაც შევიდოდნენ თითო წარმომადგენელი გენუის კონფერენციის ინიციატორი ხუთი ქვეყნიდან, ერთი — ნეიტრალური ქვეყნიდან, თითო ანტანტის მომხრე ყველა სხვა ქვეყნებიდან და ერთი საბჭოთა რუსეთიდან.

ექსპერტთა კომიტეტი ოთხჯერ შეიკრიბა. რუსეთის დელეგაციას უმთავრესად საბჭოთა გემთმშენებლობის ორგანიზაციის შესახებ ეკითხებოდნენ. 24 აპრილიდან შეწყდა ყოველგვარი სხდომა.

საბჭოთა რუსეთის ცნობის და მასთან ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის მოლოდინში გენუაში ერთმანეთს შეხვდნენ სხვადასხვა ფინანსური და სამრეწველო კომპანიათა წარმომადგენლები. განსაკუთრებული გამოცოცხლება სუ-

ფეგდა ნავთობის მონოპოლისტთა წრეებში, რომლებიც ადგენდნენ ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდებისა და გამოყენების გეგმებს. მსოფლიოში განთქმული მონოპოლიები — ინგლისის „როიალდატჩ“ და ამერიკული „სტანდარტოილ“ — პრესის, პოლიტიკური მოღვაწეების და დიპლომატების მოსყიდვას ერთიმეორეზე ეწეოდნენ.

კავკასიის ნავთობის ხელში ჩაგდების ინგლისური გეგმის საწინააღმდეგოდ შეიქმნა ამერიკა-საფრანგეთ-ბელგიის ნავთობის კავშირი, რომელიც სასწრაფოდ ადგენდა გეგმებს რუსეთის ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდების შესახებ. გენუის კონფერენციის დროს მთელი მსოფლიოს ნავთობის მეფეთა ყრილობა მიმდინარეობდა, რაც კულისებში უდიდეს გავლენას ახდენდა კონფერენციის მუშაობაზე. მტრულ ჯგუფთა წარმომადგენლები რუსების ყოფილ ნავთმრეწველობის საზოგადოების აქციებს ყიდულობდნენ, რომ თავიანთი კონკურენტისათვის ლახვარი ჩაეცათ, „როიალდატჩი“-მ პრესაში ცნობა გამოაქვეყნა, თითქოს „სტანდარტ ოილმა“ კონტროლის უფლება მოიპოვა ძმები ნობელების ამხანაგობაზე (რუსეთში ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობმრეწველობის საწარმოზე). ამასთანავე „სტანდარტ ოილის“ აგენტებმა ამერიკულ გაზეთში ცნობა მოათავსეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან იუნისაგან რწმუნების მიღებაზე, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები არ დაუშვებენ რაიმე შეთანხმებას, რომელიც ამერიკის კაპიტალის მონაწილეობას გამორიცხავდა რუსეთის ნავთობის კომპანიებში“.

გენუაში ნავთობის მეფეთა ნამდვილი ბრძოლა გაიშალა 28 აპრილს, საბჭოთა მთავრობამ იკითხა, რატომ არ მიმდინარეობს კონფერენციისა და მისი კომისიების სხდომები და განაცხადა: თუკი სხდომების შეწყვეტა და 20 აპრილის წერილზე პასუხის მიუღებლობა იმას ნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს უკან მიჰქონდათ თავიანთი თანხმობა და ეს წერილი მოლაპარაკების ბაზად მიეღოთ, მაშინ რუსეთის დელეგაციაც ამიერიდან თავს არ თვლის შეზღუდულიყო წერილით და თავის პირვანდელ შეხედულებას უბრუნდებოდა.

1922 წლის 2 მაისს მოკავშირეებმა თავისი მემორანდუმი

წარმოადგინეს. მემორანდუმის შესავალში ნაჩვენები იყო, რომ ანტანტის მთავრობებს შეეძლოთ რუსეთის ფინანსური დახმარებისათვის შეექმნათ საერთაშორისო კონსორციუმი 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი კაპიტალით. ინგლისის მთავრობას შეეძლო რუსეთი უზრუნველეყო 26 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე სასაქონლო კრედიტით და ხელი შეწყოთ კერძო კრედიტებისათვის. მიუხედავად ამისა, მოკავშირეები საბჭოთა მთავრობის პროპაგანდაზე კატეგორიულ უარს აცხადებდნენ, რომელიც თითქოს სხვა სახელმწიფოებში წესრიგისა და პოლიტიკური წყობის შეცვლისაკენ იყო მიმართული, იმ შემთხვევაში, როცა, თავის მხრივ, ანტისაბჭოთა პროპაგანდისაგან თავშეკავებას არ აპირებდნენ. მოკავშირეები დაჟინებით მოითხოვდნენ ყველა ვალების ცნობას, გარდა სამხედროსა და უარს ამბობდნენ რუსეთის კონტრპრეტენზიები მიეღოთ, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი თავის პრეტენზიებს მოხსნიდა თვით რუსეთი, მოკავშირეები მზად იყვნენ შეემცირებინათ ვალებზე თავიანთი მოთხოვნები.

მემორანდუმი ძირითად სადავო საკითხზე — ნაციონალიზებული საკუთრების შესახებ მოითხოვდა: თუკი წინანდელი მფლობელები არ შეიძლება აღდგენილიყვნენ თავიანთ უფლებებში, მაშინ საბჭოთა მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა მათთვის მიეცა კომპენსაცია.

გასაგები იყო, რომ ალბერტისის ვილაში მოკავშირეთა მიერ წამოყენებული წინადადებებიდან მემორანდუმი უკან იხევდა. მიუხედავად ამისა, საფრანგეთმა ამ დოკუმენტსაც არ მოაწერა ხელი. ფრანგების მიერ ამ მემორანდუმის ხელმოწერაზე უარი ანტანტაში შემავალ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის არსებობაზე მეტყველებდა.

ლუი ბარტუმ ერთ-ერთ თავის სიტყვაში მიუთითა იმაზე, რომ გენუის კონფერენცია უახლოვდება დასასრულსო. ბევრმა ბარტუს გამოსვლა გაიგო, როგორც კონფერენციიდან საფრანგეთის წასვლის სიგნალი. ასეთი დასასრული არასასურველი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისათვისაც კი, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში გენუაში საფრანგეთის მეშვეობით გაძლიერებულ მუშაობას ეწეოდნენ. ამერიკამ გადა-

წყვეტა ზეგავლენა მოახდინა ინგლისზე, მით უმეტეს, რომ ამერიკის ელჩს ჩაილდს აცნობეს, თითქოს ინგლისის ნავთობის კომპანიამ „როიალ დატჩმა“ საბჭოთა რუსეთში უკვე კონცესია მიიღო.

8 მაისს ლოიდ ჯორჯი საბჭოთა რუსეთის დელეგატებს შეხვდა, რომ მათ მემორანდუმის ზოგიერთ პუნქტზე მოლაპარაკებოდა. იმავე საღამოს ლოიდ ჯორჯმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაციის მხრივ დადებითი პასუხის შემთხვევაში მოლაპარაკება გაგრძელდებაო. ლოიდ ჯორჯმა დაუმატა: „როცა მე ინგლისში დავბრუნდები ორი მილიონი უმუშევარი შემეკითხება მათთვის რა გავაკეთე?“.

ამავე დროს ბარტუმ მიიღო პრესის წარმომადგენლები და შემთანხმებლური სიტყვით გამოვიდა. ჩანდა, რომ მათ შიში ჰქონდათ, რათა კონფერენციის ჩაშლაზე საფრანგეთს არ დაკისრებოდა პასუხისმგებლობა. ბარტუმ პარიზიდან ჩამოსვლისთანავე (სადაც ის კონფერენციის მუშაობის პერიოდში გაემგზავრა) ლოიდ ჯორჯთან მის საუბარზე მიუთითა. მან განაცხადა: „როცა მე პარიზში დავბრუნდები, რუსეთის ფასიანი ქაღალდების მილიონი მფლობელი შემეკითხება, თუ რა გავაკეთე მე მათთვის“. ბოლოს საფრანგეთის მინისტრმა აღნიშნა, რომ რუსეთის დელეგაციის დამაკმაყოფილებელი პასუხის შემთხვევაში საფრანგეთი კონფერენციიდან არ წავიდოდა.

11 მაისს საბჭოთა დელეგაციამ მოკავშირეთა მემორანდუმზე თავისი პასუხი აცნობა. უწინარეს ყოვლისა დელეგაცია პროტესტს აცხადებდა იმის წინააღმდეგ, რომ კანის პირობით რევოლუციური პროპაგანდისაგან თავი შეეკავებინათ, ანტანტის მემორანდუმი რუსეთისათვის ცალმხრივ ვალდებულებას აკეთებდა. რაც შეეხება მკაცრ ნეიტრალიტეტს, რომელსაც თურქეთში ომთან დაკავშირებით მოკავშირეთა მემორანდუმი მოითხოვს ისეთი უნდა იყოს, როგორსაც ხელშეკრულებები და ყველა ქვეყნისაგან საერთაშორისო უფლება მოითხოვს.

ყველა დანარჩენ საკითხში, კერძოდ ვალებზე და რესტიტუციაზე, რუსეთი იმავე პოზიციებზე რჩებოდა, რაც მის მიერ ლოიდ ჯორჯისადმი გაგზავნილ წერილში იყო მოცემული.

ბოლოს საბჭოთა მემორანდუმი დასძენდა, რომ სადავო საკითხების მოსაგვარებლად შეიძლებოდა შერეული კომისია დაეწესებინათ, რომლის მუშაობა დაწესებულ დროსა და საერთო შეთანხმებით განსაზღვრულ ადგილას დაიწყებოდა.

გენუის კონფერენცია აშკარად ჩიხში მოემწყვდა, მაგრამ ლოიდ ჯორჯი ყოველმხრივ ცდილობდა გამოეყვანა კონფერენცია ამ მდგომარეობიდან. ხელი ჩასჭიდა რა საბჭოთა დელეგაციის უკანასკნელ წინადადებას, ლოიდ ჯორჯმა წინადადება შეიტანა დაენიშნათ კომისია საბჭოთა მთავრობასა და სხვა მთავრობათა შორის მოუგვარებელ უთანხმოებათა განსახილველად: ეს კომისია რუსეთის კომისიას უნდა შეხვედროდა, რომელსაც იგივე რწმუნება ექნებოდა. ამრიგად, შერეულ კომისიაზე საბჭოთა წინადადების ნაცვლად ლოიდ ჯორჯი მოითხოვდა ორი კომისიის: რუსული და არარუსული კომისიის შექმნას. ამ კომისიების მსჯელობის საგნად უნდა ყოფილიყო ვალების საკითხი, კერძო საკუთრებისა და კრედიტების შესახებ. ორივე კომისიის წევრებს წინადადება ეძლეოდა 1922 წლის 26 ივნისს ჩასულიყვნენ ჰააგაში. ამას გარდა, რომ საბჭოთა დელეგაციის პროექტებზე შთაბეჭდილება შეიქმნებინ საყოველთაო შემცირების შესახებ შეესუსტებინათ, ლოიდ ჯორჯმა წინადადება შეიტანა ჰააგის კონფერენციის დროს აგრესიულ აქტებზე დროებით უარი ეთქვათ. ამ უკანასკნელმა პროტესტის ტალღა გამოიწვია. საფრანგეთს არ სურდა შეეჩერებინა თავისი ბრძოლა საბჭოთა რუსეთისა და გერმანიის წინააღმდეგ. მან იმდენი შენიშვნები წამოაყენა, რომ აგრესიაზე უარი მოკლებული იყო ყოველგვარ რეალურ მნიშვნელობას.

იაპონიაც ასევე მოითხოვდა, რათა ვალდებულებანი აგრესიაზე უარის თქმის შესახებ შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიას არ შეხებოდა, სადაც იდგა იაპონიის არმია.

საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ აგრესიაზე უარს შეიძლებოდა სერიოზული მნიშვნელობა ჰქონოდა განიარაღებაზე საბჭოთა პროექტის მიღების ან შეიარაღების შემცირების შემთხვევაში.

ინგლისის წინადადება საბჭოთა დელეგაციამ თეთრგვარ-

დიელთა წინააღმდეგ მიმართული რიგი კონკრეტული მოთხოვნებით შეავსო, რომლებიც საფრანგეთის, პოლონეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე იქმნებოდა. საბჭოთა დელეგაცია აგრეთვე მოითხოვდა, აგრესიაზე უარი იაპონიაზე გავრცელებულიყო, რომელსაც ჯერ კიდევ დარტყმის ქვეშ ჰყავდა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა.

ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ მიღებულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად ხელშეკრულება თავდასხმის აქტებზე თავშეკავების შესახებ სტატუსქვოს დაცვას ითვალისწინებდა და ოთხი თვის განმავლობაში კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ ძალაში უნდა დარჩენილიყო.

1922 წლის 17 მაისს „პრავდა“ წერდა: „შედეგების მიუხედავად, გენუაში განისაზღვრა ანტანტის სრული დაშლა და ევროპაში ჰეგემონობისათვის საფრანგეთისა და ინგლისის შეურიგებელი ბრძოლა. ევროპა მილიტარისტებად და პაციფისტებად გაიყო. პაციფისტების სათავეში რუსეთი დგას...

მაგრამ გენუაში, რითაც არ უნდა დამთავრდეს საერთაშორისო ბრძოლა, იგი ყოველშემთხვევისათვის ევროპის ურთიერთობის ისტორიაში ახალ ეტაპს ნიშნავს“.

19 მაისს შედგა გენუის კონფერენციის უკანასკნელი პლენარული სხდომა, სადაც დამტკიცებულ იქნა რეზოლუცია კონფერენციის მუშაობის ჰააგაში გაგრძელების შესახებ. კონფერენციის დახურვისას — ლოიდ ჯორჯმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კონფერენციამ მაინც მიაღწია ზოგიერთ წარმატებას, ყოველ შემთხვევაში მან დაადასტურა მსგავს საერთაშორისო თათბირთა მნიშვნელობა. ლოიდ ჯორჯი განსაკუთრებით შეჩერდა რუსეთის პოზიციაზე. იგი შეეხო საბჭოთა დელეგაციის 11 მაისის მემორანდუმს და აღნიშნა, რომ რუსეთს სჭირდებოდა დახმარება. ამასთანავე იგი აღნიშნავდა, რომ ევროპასა და მთელ მსოფლიოს სჭირდება ის პროდუქტები, რასაც რუსეთი იძლევა. სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც ასევე დარწმუნდნენ, რომ გენუის კონფერენციამ რაღაც შედეგები მოგვცა.

გ. ჩიჩერინი როდესაც ამბობდა კონფერენციის წარუმატებლობაზე, აღნიშნავდა, რომ ე. წ. რუსული პრობლემა

შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაწყდეს, თუ ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები საბჭოთა ქვეყანას თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით მიუდგებიან, მიუხედავად საკუთრების სისტემის განსხვავებისა. ჩიჩერინმა გამოთქვა სურვილი, რომ ეს პრინციპი ცნობილი ყოფილიყო ყველა იმათთვის, ვინც ჰაგაში ფიქრობდა დისკუსიის გაგრძელებას. რუსი ხალხი აიძულონ საწინააღმდეგო თეორია მიიღოს, ამას ისევე ვერ შეძლებენ დიპლომატები, როგორც ეს თეთრგვარდიელებმა ვერ შეძლეს. საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „რუს ხალხს მშვიდობა და თანამშრომლობა ღრმად სურს სხვა ერებთან. მაგრამ არა მგონია საჭირო იყო დამატება, — სრული თანასწორობის საფუძველზე". ამაზე დ, აბერნონი წერდა, რომ „ევროპის მთელი აეროპაგი ხუთი კვირის განმავლობაში გენუაში იმყოფებოდა და სასაცილოდ გაიხადა თავი". იგივე ნიტი წერდა: „ბოლშევიზმმა ამჯობინა უარი ეთქვა ყოველგვარ კრედიტზე, მაგრამ არ შეავიწროვა და არ შეზღუდა საკუთარი თავის უფლება უცხოელების სასარგებლოდ".

გენუაში საბჭოთა მთავრობის პოზიციამ და მისი პრესტიჟის ზრდამ სერიოზული ლახვარი ჩასცა საბჭოთა რუსეთის ყველა მტერს.

ამას აღიარებდნენ თვით თეთრი ემიგრანტები. კადეტური გაზეთი — „რულ"-ი წერდა: „...ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ გენუის კონფერენცია წარმატება იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამ კონფერენციამ გაზარდა მისი პრესტიჟი. მან გახადა ის საერთაშორისო მოლაპარაკების მონაწილე... კიდევ ერთი უნდა ვაღიაროთ: საბჭოების პრესტიჟის გაზრდით მარცხი განიცადა რუსულმა ემიგრაციამ".

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა შეაფასა გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის გამოსვლის მნიშვნელობა: „მხოლოდ ის (საბჭოთა დელეგაცია — ი. ჩ.) წარმოადგენდა გენუაში კაცობრიობის მომავალს, მაშინ როდესაც ყველა ბურჟუაზიული დელეგაცია წარმოადგენდა კაცობრიობის დრომოჭმულ წარსულს".

ასე დამთავრდა გენუის კონფერენცია. „რუსეთის საკითხი

უნდა გადაეცეს კომისიებს, — წერდა გაზეთი „კომუნისტი“ თავის მოწინავეში, რომლებიც ივნისის ბოლო რიცხვებიდან გააგრძელებენ რუსეთის საკითხის „ღეჭვას“ უკვე ჰაგაში.

გენუის კონფერენციამ ვერ გადაწყვიტა ევროპის ეკონომიური აღდგენის საკითხი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი იყო თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვისაც. გენუაში ჩაიშალა საბჭოთა რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური დაკაბალების იმპერიალისტების გეგმა.

მეორე მხრივ, გენუამ საერთოდ დასავლეთის ქვეყნებს შორის და კერძოდ ანტანტის ქვეყნებს შორის უფრო გააღრმავა წინააღმდეგობა. რუსეთ-გერმანიის რაპალოს ხელშეკრულების დადების შედეგად რამდენადმე იზოლირებული აღმოჩნდნენ საფრანგეთი და ბელგია, რომლებიც შეურიგებლობას იჩენდნენ საბჭოთა რუსეთის მიმართ.

გენუის კონფერენციამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ევროპის აღდგენა შეუძლებელი იყო რუსეთის მონაწილეობის გარეშე. ამისათვის საჭირო ხდებოდა საბჭოთა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. დასავლეთის იმპერიალისტებს უნდოდათ ასეთი ურთიერთობის დამყარება კაბალური პირობების საფუძველზე, საბჭოთა მთავრობა კი თანასწორ უფლებებზე დამყარებულ ურთიერთობის განვითარებას მოითხოვდა.

„რუსეთის რევოლუციამ გააუქმა კაპიტალისტების კერძო საკუთრება რუსეთში, — წერდა გაზეთი „კომუნისტი“, — და ისინი მოითხოვენ ამ უფლების აღდგენას, ესე იგი დიდი რევოლუციის მონაპოვართა გაუქმებას, საბოლოოდ კი რუსეთის მთელი დღევანდელი ეკონომიურ-პოლიტიკური რეჟიმის მოსპობას და მხოლოდ ამ ნიადაგზე სურთ მათ „ნორმალური“ ეკონომიური ცხოვრების აღდგენა...“

გერმანიის პრესა დადებით შეფასებას აძლევდა გენუის კონფერენციას. მემარჯვენე გაზეთი „ცაიტ“ გენუის კონფერენციის მთავარ შედეგად თვლიდა იმას, რომ „ევროპამ შეიგნო შეუძლებელი იყო ომამდელი პოლიტიკის გაგრძელება. გერმანია გენუას მობრუნების პუნქტს უწოდებდა ეკონომიური ინტერესების ნიადაგზე, ევროპის გაერთიანების გზაზე“.

მეორე გერმანული გაზეთი „ფოსიმე ციტუნგი“ გენუის კონფერენციაში ხედავდა „ეტაპს მშვიდობის გზაზე“. გაზეთი „ფორვერსტის“ აზრით, „გერმანიამ არ უნდა ინაღვლოს კონფერენციაზე მონაწილეობა“, რომ მან მოამზადა გერმანიისათვის „უკეთესი მომავალი“ და განამტკიცა მისი პოზიციები მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე“.

19 მაისს გენუის კონფერენციის პლენარული სხდომის წინ სიტყვით გამოვიდა ვალტერ რატენაუ. მან განაცხადა, რომ გენუის კონფერენციის შედეგები „შემდგომ წლებში და თანდათანობით უფრო შესამჩნევი იქნებოდა“.

ლოიდ ჯორჯმა გენუის კონფერენციის მუშაობას მაღალი შეფასება მისცა. მან განაცხადა, რომ გენუაში გადადგმულია დიდი ნაბიჯი ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის უკეთ მოსაგვარებლად. ინგლისური „მანჩესტერ გარდიან“ მაღალ შეფასებას აძლევდა რუსეთის დიპლომატიის მოღვაწეობას გენუაში, გაზეთი დადებითად აფასებდა გენუის კონფერენციის მუშაობას და მომავალ ჰაგის კონფერენციას მოუწოდებდა წინ გადაედგა ახალი ნაბიჯი.

პოლონური გაზეთი „გაზეტი ვარშავსკოი“, მიუთითებდა რა გენუაში საბჭოთა დელეგაციის გამარჯვებაზე, წერდა: „საბჭოები ფაქტიურად ცნობილია ევროპის მიერ და გენუიდან პოლიტიკურად უფრო ძლიერნი მიდიან, ვიდრე ოდესმე“.

საფრანგეთის რეაქციული პრესა გენუის კონფერენციის შუამდგომლობაზე წერდა და აღნიშნავდა, რომ ლოიდ ჯორჯის ილუზიებმა კრახი განიცადესო, რომ ლოიდ ჯორჯს ამიერიდან უფლება არა აქვს უხელმძღვანელოს ევროპას, საფრანგეთი მანამდე მიჰყვებოდა ინგლისს, მაგრამ ამიერიდან არ უნდა გაჰყვესო.

ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდი“ სტატიაში, „გენუის კონფერენციის ვარსკვლავი“, ეხებოდა რა გენუის კონფერენციის შედეგებს, წერდა: ცხადია, რომ გენუის კონფერენციაზე ვარსკვლავად უნდა ჩავთვალოთ რუსეთი. თუმცა იგი არ ეკუთვნოდა ეგრეთწოდებულ „დიდ სახელმწიფოთა“ ჯგუფს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დამშვიდებული ჩამობრძანდა გენუაში და პირველი ადგილი დაიჭირა. საყურადღე-

ბოა, რომ მოკავშირეებმა თითქოს იცნეს რუსეთის ეს უფლება, ვინაიდან თავის საქმეებზე უფრო ნაკლებად ზრუნავდნენ ვინემ რუსეთზე".

ამავე საკითხის შესახებ ფრანგული გაზეთი „ტანი" წერდა: „როდესაც ლოიდ ჯორჯმა გენუაში ბოლშევიკები მიიწვია, იგი ცდილობდა თავისი თავი იმაში დაერწმუნებინა, რომ იგი შექმნიდა მათთან კონფერენციის ყველაზე უფრო მშვიდ და წყნარ წევრებს". ხოლო, როდესაც კონფერენცია უკვე დამთავრდა, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ, თუ ვინმემ რაიმე სარგებლობა ნახა გენუის სიტყვებში, ეს მხოლოდ ბოლშევიკებმა. თვით კონფერენციაზე თავისი დასწრებით, როგორც სრულუფლებიანი წევრებისა, მათ იმ პოლიტიკურ პრესტიჟს მიაღწიეს, რაც ეგზომ საჭირო იყო მათთვის".

სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გენუის კონფერენციის შესახებ ა. იოფეს მოხსენება მოისმინა. ა. იოფეს მოხსენებასთან დაკავშირებით სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ხასიათდება კაპიტალისტური სისტემის მეტად არასიმყარით".

პოლიტიკურ დარგში იგი აღინიშნებოდა ნამდვილი მშვიდობის არარსებობით, შეიარაღების დიდ სახელმწიფოებს შორის ანტაგონიზმის, ზრდით, ახალი იმპერიალისტური ომის საშიშროებით, კოლონიური აჯანყებებითა და ნაციონალური ომებით.

გენუის კონფერენციამ ცხადყო საფრანგეთსა და ინგლისს, იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, აგრეთვე გამარჯვებულ ქვეყნებსა და გერმანიას, იტალიასა და საფრანგეთს შორის ღრმა წინააღმდეგობა და ა. შ. გენუის კონფერენციამ ცხადყო არა მარტო ერთალიგისა და ანტანტის ფიქტიურობა, არამედ კაპიტალისტური სისტემის კრიზისის შემდგომი გამწვავებაც.

ეკონომიურ დარგში ეს კრიზისი იმაში გამოიხატებოდა, რომ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ომით დანგრეული სახალხო

მეურნეობის აღდგენა და ომამდელი დონის მიღწევა სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგში ვერ შეძლეს.

გენუის კონფერენციაზე ბურჟუაზია უძლური აღმოჩნდა, რათა გადაეწყვიტა მის მიერ დასმული ამოცანები მსოფლიოს დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის შესახებ. საბჭოთა რუსეთი გამარჯვებული აღმოჩნდა. იგი ფაქტიურად ცნეს ევროპის სახელმწიფოებმა. მან გერმანიასთან ხელი მოაწერა რაპალოს ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება გზას უჩვენებდა ევროპის ყველა სახელმწიფოს, თუ როგორ შეიძლებოდა ნორმალური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა რუსეთთან. მეორე მხრივ, რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება დიდ დარტყმას აყენებდა ვერსალის ხელშეკრულებას, ძირს უთხრიდა იმპერიალისტური სახელმწიფოების დიქტატის პოლიტიკას, ევროპის სახალხო მეურნეობის აღდგენის გზას უჩვენებდა.

რაპალოს ხელშეკრულება რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას პოლიტიკურად და ეკონომიურად განამტკიცებდა. ამ მხრივ გენუის კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გენუის კონფერენციამ თითქმის თვენახევარი იმუშავა, მაგრამ ევროპის აღდგენისა და რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი ვერ გადაწყვიტა. „როგორც ლონდონის ექსპერტების, ისე გენუის ექსპერტების მუშაობა დასმული პრობლემების გადასაჭრელად უშედეგო აღმოჩნდა“ — შენიშნავს მაშინ საბჭოთა დელეგაციის მდივანი, ამჟამად პროფესორი, ბ. ვ. შტეინი.

„რუსეთის საკითხის“ გადაჭრა შეუძლებელი იყო იმ მეთოდით რა მეთოდითაც დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობებს სურდათ. ისინი მოქმედებდნენ როგორც გამარჯვებულები. ანტანტის სახელმწიფოების მთავრობებს გენუაში სურდათ რუსეთის მიმართ იგივე განიმეორებინათ, რაც მათ გერმანიის მიმართ ვერსალის კონფერენციაზე გააკეთეს. მაგრამ დააავიწყდათ ერთი რამ: ვერსალში საქმე გერმანიის ბურჟუაზიასთან ჰქონდათ, ხოლო გერმანიისა და ანტანტის ბურჟუაზია, მდგომარეობის მიუხედავად ორივე მაინც ბურჟუაზია იყო; მათ შეეძლოთ საერთო ენა გამოენახათ ერთმანეთს შორის გერმა-

ნიის მუშათა კლასისა და გერმანიის რევოლუციის წინააღმდეგ, ხოლო რუსეთი კი სულ სხვა იყო, აქ მათ საქმე ჰქონდათ პროლეტარულ საბჭოთა სახელმწიფოსთან.

კომინტერნმა, განიხილა რა გენუის კონფერენციის შედეგები, საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების მუშებს მიმართა — ყველაფერი გაეკეთებინათ, რაც მათზე იყო დამოკიდებული, მტკიცედ ებრძოლათ იმპერიალისტების ანტისაბჭოთა მოქმედებების წინააღმდეგ. მიმართვა მთავრდებოდა მოწოდებით: „ძირს ბურჟუაზია! ძირს მათი ლაქიები — სოციალ-გამცემლები! გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!“

როგორც აღვნიშნეთ, 1922 წლის 19 მაისს ჩატარდა გენუის კონფერენციის უკანასკნელი სხდომა. აქ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სპეციალური კომისიების შექმნისა და ჰაგაში კონფერენციის მუშაობის გაგრძელების შესახებ.

ამრიგად, გენუის კონფერენციაზე დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები შეეცადნენ საბჭოთა დელეგაცია აეძულებინათ, რათა ამ უკანასკნელს მათ მიერ შეთავაზებული წინადადებები, კერძოდ ომამდელი და ომის დროის ვალები ეცნო. დასავლეთელი იმპერიალისტების ეს გეგმები ჩაიშალა. საბჭოთა დელეგაციამ დასავლეთის იმპერიალისტების წინადადებები არ მიიღო და სრულიად სამართლიანად კაბალური უწოდა მათ. ვერც ალბერტის ვილაში საბჭოთა დელეგაციასთან მოლაპარაკებამ მოუტანა სასურველი შედეგები ლოიდ ჯორჯსა და მის მეგობრებს.

საბჭოთა დელეგაციამ შეძლო გაერღვია იმპერიალისტების მიერ შექმნილი ერთიანი ფრონტი გენუაში, რაც გერმანიასთან რაპალოს ხელშეკრულების დადებაში გამოიხატა. რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერა — ეს ახალგაზრდა საბჭოთა დიპლომატიის უდიდესი გამარჯვება იყო.

ქართველი მენშევიკებისა და სასულიერო წოდების კონტრრევოლუციური გეგმების ჩაშლა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ანტისაბჭოთა ელემენტებმა არალეგალური მუშაობა და-

-წყეს. ჯერ კიდევ 1921 წლის 18 მარტს ბათუმში გასაქცევად გამზადებულმა მენშევიკებმა პარტიული კონფერენცია ჩაატარეს. კონფერენციის მონაწილეებს ნ. ჟორდანია და სხვები არწმუნებდნენ, რომ დროებით ტოვებდნენ საქართველოს და მალე დაბრუნდებოდნენ უცხოეთის დახმარებით, მაგრამ ამისათვის ისინი საჭიროდ თვლიდნენ საქართველოში ანტისაბჭოთა მუშაობის გაძლიერებას, საბჭოთა საქართველოდან რუსეთის წითელი არმიის გაყვანას, ქართულ წითელ არმიაში შესვლას და ძირგამომთხრელ მუშაობას. ამ მიზნით მათ საქართველოში ყოფილი სამხედრო-მინისტრი გ. ლორთქიფანიძე დატოვეს. ამავე დროს ე. წ. „აღორძინების კომიტეტ" უნდა ემოქმედნა, კომიტეტის დანიშნულება იყო ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებზე ტერორის - მოწყობა. 18 მარტის კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში საიდუმლოდ გასატარებლად 10 აპრილს მენშევიკებმა კონფერენცია მოიწვიეს. კონფერენციამ ს. დევდარიანის მიერ შედგენილი რეზოლუცია მიიღო, რომელმაც პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა აღიარა, მაგრამ ამავე დროს პარტიის ძველი გზა — „დემოკრატიით სოციალიზმისაკენ" სწორად ცნო. ამით კონფერენციამ თვითონვე აღნიშნა საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურასთან თანამშრომლობის ფორმალური ხასიათი. ამაზე ისიც მიუთითებდა, რომ საქართველოს მენშევიკებს სათავეში ს. ჯიბლაძე ედგა, რომელიც ცნობილი იყო პროლეტარიატის დიქტატურისადმი თავისი შეურიგებლობით. ამიტომ მენშევიკური პარტიისაგან ლოიალობის მოლოდინი მხოლოდ ფუჭი ოცნება იყო, რაც ძალიან მალე ცხადი გახდა ყველასათვის.

ქართველ მენშევიკებს ანტანტის ქვეყნების იმედი ჰქონდათ, ხოლო ანტანტის წარმომადგენლები ხალხის მტრების მოქმედებით ცდილობდნენ ესარგებლათ ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, საქართველოში და გაბატონებულიყვნენ იქ. 1921 წლის 27 იანვარს ანტანტის უმაღლესმა საბჭომ პარიზში მიიღო გადაწყვეტილება ლატვიისა და ესტონეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკების ცნობის შესახებ. ანტანტის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო საქართველოს

ცნობის შესახებაც „საკითხი დამოკიდებულია მხოლოდ საქართველოს მხრიდან ფორმალურ თხოვნაზე მისი ცნობის შესახებ". მენშევიკებმა თავიანთ მეგობრებს გაუგეს და სასწრაფოდ დანიშნეს წარმომადგენლები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მაგრამ უკვე გვიან იყო, სწორედ იმ დღეს, როცა ა. ჩხენკელს რწმუნების სიგელი უნდა გადაეცა საფრანგეთის პრეზიდენტისათვის, — 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქ თბილისში წითელი დროშა აფრიალდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა ძირგამომთხრელი მუშაობა გააგრძელეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ და დასავლეთის იმპერიალისტებზე დაყრდნობით ცდილობდნენ კვლავ ხელში ჩაეგდოთ ხელისუფლება. უცხოეთის პრესა თავის ფურცლებზე უხვად ათავსებდა მენშევიკების ცილისმწამებლურ მასალებს საბჭოთა საქართველოს შესახებ.

1921 წლის 6 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის მშრომელებს იმპერიალისტური პრესის ცილისმწამებლური კამპანიის შესახებ. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მენშევიკები ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდნენ საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. უცხოეთის რეაქციული პრესის ცნობით თითქოს საქართველოში მეტად მძიმე პირობები შეიქმნა და საჭირო იყო იმპერიალისტური ქვეყნების ინტერვენცია საქართველოს გადასარჩენად.

მაგრამ, — ნათქვამი იყო მოწოდებაში, — დე იცოდნენ ყველა ქვეყნის მშრომელებმა, დე იცოდეს მსოფლიოს ყველა პატიოსანმა ადამიანმა და ბოლოს ჩვენმა მტრებმაც, რომ საქართველოში რევოლუციის შედეგად ხელისუფლება მუშებისა და გლეხების ხელში გადავიდა, რომ საქართველოში სრული წესრიგია და სიმშვიდე, რომ საბჭოთა ხელისუფლების თვენახევრის არსებობის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია არც ერთ პოლიტიკურ ტერორს, არც ერთ მკვლელობას და

ძალადობას პიროვნებაზე, რაც — მენშევიკური მთავრობის დროს ხშირი იყო. თუ მენშევიკების მიერ გაძარცულ საქართველოში არ შიმშილობდნენ, ეს იმ მეგობრული დახმარების შედეგი იყო, რასაც უწევდნენ საქართველოს მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები, ამარაგებდნენ მას პურით, ნავთობით და სხვ. პროდუქტებით.

საბჭოთა საქართველოს რევოლუციური მთავრობა ყველა ქვეყნის მშრომელთა ყურადღებას მიაპყრობდა იმ პროვოკაციულ პოლიტიკაზე, რასაც უცხოეთში საბჭოთა საქართველოს მტრები ეწეოდნენ. იმპერიალისტების აგენტების ამ მოქმედების საპასუხოდ ქართველი ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებოდა თავისი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ.

საქართველოს და კავკასიის ანტისაბჭოთა პარტიების ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩასთვალა ერთიანი ფრონტის შექმნა. ამ მიზნით 1921 წლის მაისში მათ შორის ადგილი ჰქონდა მოლაპარაკებას* და 10 ივნისს ხელი მოაწერეს შეთანხმებას კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ამის შესახებ მაშინვე აცნობეს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს არისტიდ ბრიანს. ბრიანისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში კავკასიის კონტრრევოლუციონერები აღწერდნენ კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეებს და იმ სარგებლობას, რომელიც საფრანგეთის კაპიტალისტებს ექნებოდა კავკასიაში ნაციონალისტურ მთავრობათა აღდგენის შემდეგ.

საქართველოს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო გაზ. „ტრიბუნა" თვის 1922 წლის 14 თებერვლის მოწინავეში, ასაბუთებდა რა ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმდიდრის მნიშვნელობას ანტანტის ქვეყნებისათვის, წერდა:

---

* მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ანტისაბჭოთა პარტიების წარმომადგენლები საქართველოდან — ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, კ. საბახტარაშვილი, გ. სუმბათოვი; აზერბაიჯანიდან — ა. შეიხ-ულ-ისმაილოვი, დ. ჰაჯიბეკოვი, მ. მაპესრამოვი, თ. თოფჩიევი; სომხეთიდან — ა. აგარონიანი, ა. ხატისიანი, გ. ბეკზადიანი; ჩრდილოეთ კავკასიიდან — ა. ჩერემოევი.

„...პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები ამიერკავკასიაში გარკვევით უკარნახებს მოკავშირეებს მოსთხოვოს რუსეთს ამ ტერიტორიული ერთეულის დაცლა და იქ მისთვის შესაფერი პირობების შექმნა. ამიერკავკასიაში რევოლუციური ძალის პოლიტიკური ბატონობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს, რომელიც აერთებს მსოფლიოს მრავალ ხვეულ გზებს... მეორე მხრით, ეკონომიური მოსაზრებით, ანტანტისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამიერკავკასიის საექსპლოატაციო ობიექტებად გადაქცევა. ამიერკავკასიის მარგანეცი, ნავთობი, აბრეშუმი, ბამბა, ტყე და მრავალი სხვა. ჩვენი გზები და მთელი სამეურნეო ცხოვრება იმ დიდ აუზს წარმოადგენს, საიდანაც ევროპის კაპიტალს შეუძლია გაიტანოს უბრალო საკვები საზრდო. ანტანტის ინტერესები მოითხოვს ამიერკავკასიის ყოველგვარი უცხო ძალებისაგან განთავისუფლებას.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ევროპის იმპერიალისტებისა პირდაპირ მოითხოვენ ჩვენი ტერიტორიის რევოლუციური ძალებისაგან გაწმენდას...“

ბრიანმა კავკასიელ კონტრრევოლუციონერებთან მოლაპარაკებაზე თავის ერთ-ერთ მინისტრს — ლუშერს დაავალა. ლუშერთან შეხვედრის დროს ა. ჩხენკელმა განაცხადა: „ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ხალხები და მართვა-გამგეობის ფორმები უაღრესად დემოკრატიულია და გონიერი დემოკრატიისა და სოციალიზმის ამოცანებს ესწრაფვიან, მაგრამ პატივს სცემენ კერძო საკუთრების პრინციპს, უცხოელთა უფლებებს და თანახმა არიან სცნონ რუსეთის ვალების ის ნაწილი, რომელიც კავკასიის რესპუბლიკებს შეხვდებათ, და აგრეთვე მათზე დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებანი“.

მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთმა ლიდერმა რამზეი მაკდონალდმა ლონდონში რუსეთის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარის საშუალებით, საბჭოთა რუსეთის მთავრობას გადასცა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის დადგენილება ქართველი მენშევიკების თხოვნაზე მხარდაჭერის შესახებ, რათა საქართველოში მეთვალყურის სახით სპეციალური კო-

მისია გაეგზავნათ. ამასთან დაკავშირებით 1921 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური მოწოდება გამოაქვეყნეს.

მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ ბატონ მაკდონალდების ზურგს უკან ანტანტა იდგა. მაკდონალდი, ვანდერველდე, რენოდელი, დებრუკერი, კაუტსკი და სხვ. როცა, საქართველოში ჩამოვიდნენ და ქართველ მენშევიკებს მეგობრობას ეფიცებოდნენ, თავიანთი მოქმედებით მაშინაც ცხადყვეს, რომ ისინი იმპერიალისტების მსახურები იყვნენ. საქართველოდან დაბრუნების შემდეგ მაკდონალდი ანტანტას მოუწოდებდა კავკასიის რესპუბლიკების საქმეებში ჩარეულიყო.

საქართველოს მთავრობის მოწოდება მიმართული იყო ევროპის ქვეყნების მშრომელებისადმი, არ დაეჯერებინათ მაკდონალდების ცარიელი ფრაზებისათვის, რომ სინამდვილეში საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. 1921 წლის 9 ნოემბერს კავკასიის კონტრრევოლუციის წარმომადგენელთა თათბირზე არჩეულ იქნა სამხედრო კომისია, რომელსაც კავკასიაში აჯანყების მომზადება და უცხოელთა ინტერვენციის მოწყობა ევალებოდა. საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების ხელმძღვანელები არ დაკმაყოფილდნენ საზღვარგარეთ მომხდარ კავკასიის ანტისაბჭოთა პარტიების შეთანხმებით. საზღვარგარეთ ამ პარტიების გაერთიანებული ორგანოს ფუნქციებს ჯერ „დამფუძნებელი კრების კომისია“ და „პარტიათა წარმომადგენლობა“ ასრულებდა, რომელიც შემდეგში „პარიტეტულმა კოლეგიამ“ შეცვალა, ეს უკანასკნელი კი „საზღვარგარეთულმა ბიურომ*“. ანტისაბჭოთა პარტიებმა ასეთივე გაერთიანება საქართველოში 1922 წლის აგვისტოში მოახდინეს, როდესაც

---

* ბიუროში შევიდნენ: მენშევიკებიდან — კ. ჩხეიძე, ნაციონალ დემოკრატებიდან — გ. ვეშაპელი, შემდეგში იგი შეცვალა ს. კედია. სოციალისტ-ფედერალისტებიდან — ს. მდივანი და ესერებიდან — ი. გობეჩია.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, იგივე „პარიტეტული კომიტეტი*“ შექმნეს.

ანტისაბჭოთა პარტიებმა საქართველოსთან კავშირისათვის სტამბოლში ე. წ. „პოლიტიკური კომისია“ შეაკოწიწეს. იგი საქართველოში ფულის, ლიტერატურისა და ემისრების შემოგზავნას აწყობდა. ანტისაბჭოთა პარტიები საზღვარგარეთთან კავშირს უცხოეთის საელჩოების საშუალებითაც ამყარებდნენ.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საელჩოებთან, რომლებიც საქართველოში უცხოელთა დაზვერვას ხელმძღვანელობდნენ, მჭიდრო კავშირი დაამყარეს ანტისაბჭოთა პარტიებმა. უცხოელთა საელჩოები თავიანთ მხრივ აქ მოქმედ ანტისაბჭოთა პარტიებსა და „საზღვარგარეთულ ბიუროს“ შორის კავშირს ახორციელებდნენ. საქართველოში მოქმედ ანტისაბჭოთა პარტიებმა და უცხოეთის დაზვერვის ორგანოებმა შუშაობა გააჩაღეს კონტრრევოლუციურ აჯანყებათა მოსაწყობად. მათ საქმიანობას მალე ერთგვარი შედეგი მოჰყვა. 1921 წლის ოქტომბრიდან დაიწყო თავად აზნაურულ-კულაკური გამოსვლები სვანეთში, ცოტა გვიან—გურიაში, 1922 წლიდან ფშავხევსურეთში.

ანტისაბჭოთა პარტიებმა სვანეთში დააშინეს მოსახლეობის ნაკლებად შეგნებული ნაწილი, აიყოლიეს კულაკური ფენა და გამოიწვიეს აჯანყება. 1921 წლის 25 ნოემბერს სოფ. კალაში გამართულ მოლაპარაკების შედეგად აღდგენილ იქნა რევოლუციური ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. საქ. კპ ცკ-ის 1921 წლის 2 დეკემბრის პლენუმმა მოიწონა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება და თანამდებობიდან გადააყენა სვანეთის რევოლუციური ხელისუფლების ძველი ხელმძღვანელობა.

სვანეთში წესრიგის აღდგენამ და ცხოვრების ნორმალური გზით წარმართვამ გააბოროტა ანტისაბჭოთა პარტიები, მათ

---

* „პარიტეტულ კომიტეტში“ სხვადასხვა დროს შედიოდნენ: მენშევიკებიდან: კ. ასდრონიკაშვილი, შ. ფალავა, ნ. ქარცივაძე, გ. ჯინორია; ნაციონალ-დემოკრატებიდან — ი. ჯავახიშვილი, მემარჯვენე ესერებიდან — ი. გობეჩია, მ. ბოჭორიშვილი; სოციალ-ფედერალისტებიდან — ს. დადიანი, გ. რცხილაძე; „სხიველებიდან“ — კ. კოკნაძე, მ. ხოჭოლავა, გ. გიორგაძე და სხვ.

სვანეთში სცადეს ხელახალი შფოთის გამოწვევა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, მაგრამ კვლავ ჩაიფუშა მათი გეგმები. საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიება გაატარა სვანეთში: გააუმჯობესა მოსახლეობის სამედიცინო და კულტურული მომსახურება, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობა. ისინი კიდევ უფრო დაუახლოვა მშრომელ მასებს. ანტისაბჭოთა პარტიები გურიაშიც აწყობდნენ თავადაზნაურულ-კულაკურ გამოსვლებს, ქმნიდნენ პოლიტიკურ ბანდებს და მშრომელთა მშვიდობიან საქმიანობას ხელს უშლიდნენ.

საქართველოში ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების გააქტიურებას ხელი შეუწყო გენუის კონფერენციამ, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ მენშევიკები და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრები. როგორც კი გამოცხადდა გენუაში საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, მენშევიკებმა მაშინვე მიიღეს მათზე დამოკიდებული ყოველგვარი ზომები, რათა გენუაში არ ყოფილიყო დაშვებული საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი, მაგრამ ინგლისმა, რომელიც საბჭოთა რუსეთთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა კანში მოკავშირეებს დადგენილება მიიღებინა გენუის კონფერენციაზე არ დაესვათ საქართველოს საკითხი იმ ფორმალური მოსაზრებით, რომ საქართველო აზიაში მდებარეობს და გენუის კონფერენცია აზიის ქვეყნების საკითხს არ იხილავსო. მაშინ ქართველმა მენშევიკებმა იმედები საფრანგეთზე დაამყარეს. ფრანგული გაზეთ „ტანი"-ს 1922 წლის 3 აპრილის ცნობით, საქართველოს მენშევიკური „მთავრობის" წარმომადგენელი ა. ჩხენკელი მიიღო საფრანგეთის პრეზიდენტმა მილიერანმა და მთავრობის თავმჯდომარე პუანკარემ. ჩხენკელი ითხოვდა გენუის კონფერენციაზე არ დაეშვა საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი და იქ საქართველოს ემიგრანტული „მთავრობა" მიეწვიათ. მართლაც, პუანკარემ და ბარტუმ კატეგორიულად მოითხოვეს საქართველოსა და კავკასიის საკითხის გენუის კონფერენციაზე დაყენება, მაგრამ საბჭოთა დელეგაციის შეუპოვარი წინააღმდეგობის გამო, ისინი იძულებული გახდნენ მოეწონათ თავიანთი წინადადება.

1922 წლის 14 აპრილს ქ. თბილისში სახელმწიფო დაპერის დარბაზში შედგა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი საგანგებო სესია. სესიას თავმჯდომარეობდა ფ. მახარაძე. ესწრებოდნენ აღმასრულებელი კომიტეტის წევრები: ს. ქავთარაძე, ჩოდრიშვილი, გეგეჭკორი, ვ. სტურუა, ღლონტი და სხვ. გარდა ამისა. სესიას ესწრებოდნენ თბილისისა და პროფკავშირების საბჭოს პლენუმის შემადგენლობა, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებისა და გარნიზონის წარმომადგენლები.

სესიაზე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოსმენილ იქნა ფ. მახარაძის მოხსენება. მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმის, თბილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და ქალაქ ტფილისის გარნიზონის დელეგატთა გაერთიანებულმა სხდომამ (1922 წლის აპრილის 14-ს) მოისმინა ფ. მახარაძის მოხსენება — საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. სხდომამ გულისწყრომით და აღშფოთებით აღნიშნა საზღვარგარეთელ თეთრგვარდიელთა და ბურჟუაზიული ქვეყნების უკიდურესი იმპერიალისტური წრეების ძალთა ახალი მობილიზაცია, რომელნიც ემზადებიან გენუის სამშვიდობო კონფერენციასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ცდილობენ, დაამხონ მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

იმპერიალიზმისა და ემიგრანტ თეთრგვარდიელების იდეურ მებაირაღტრედ გამოდიან მეორე ინტერნაციონალის საერთაშორისო მენშევიზმის გმირები, რომელნიც ევროპაში მოშხამულ და ცილისწამებით სავსე აგიტაციას აწარმოებენ, ხალხთა დემოკრატიულ თვითგამორკვევის ფარისევლური საბაბით საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანას ითხოვენ, ე. ი. მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლების განიარაღებას, რათა ფინანსური კაპიტალი თავისუფლად დაეპატრონოს ამიერკავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეს და მშრომელ ხალხს ხელახლა დაადგას მონობის მძიმე უღელი...

მაგრამ დე მათ იცოდნენ, რომ ჩვენთვის, საქართველოს მშრომელთათვის, აშკარაა მათი ზრახვანი და მათს გაერთიანებულ ფრონტს ჩვენ წითელი შრომის ფრონტს დაუპირდაპირებთ, რომელიც აერთიანებს ამიერკავკასიის ხალხებს. გავითვალისწინეთ შრომის ფრონტის პოზიციები, ჩვენ გავმაგრდით და კვლავ განვაგრძობთ მომარაგებას, ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციას ჩვენ საშუალებას არ მივცემთ ფეხი შემოდგან საბჭოთა მიწა-წყალზე, ჩვენ არ მივცემთ საშუალებას კვლავ დაბრუნდეს მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების დაწყევლილი რეჟიმი, რომელიც ხალხთა შორის განუწყვეტელ ხოცვა-ჟლეტას ნიშნავს.

ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისაგან გაათკეცებულ სიფხიზლეს, ყველა ძალებისა და საშუალების მობილიზაციას თავდაცვის ორგანიზაციისათვის.

ჩვენ მოვითხოვთ დაუნდობელ ყოველგვარ ღონისძიებას შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, თუ ისინი შეეცდებიან შიგნიდან კბენა დაუწყონ მშრომელი ხალხის სხეულს და ამით ხელს შეუწყობენ იმპერიალიზმის სისხლიან მსვლელობას ამიერკავკასიის გზით.

და თქვენ კი, ჩვენი შრომისა, ბრძოლისა და საერთო საბჭოთა სამშობლოს ჩრდილოეთის-ძმებო, თქვენ, წითელი მოსკოვის, პეტროგრადის და მთლად მუშათა რესპუბლიკის მუშებო, თქვენ, აზერბაიჯანისა, სომხეთის, დაღესტნისა და ჩრდილო კავკასიის მშრომელნო, გქონდეთ ჩვენი რწმენა, საქართველოს მშრომელთა რწმენა. აქ, საბჭოთა ამიერკავკასიის სანაპიროზე, ჩვენ, საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანისა და სამხრეთ ოსეთის მუშები და გლეხები, ძლიერნი ბრძოლაში გამარჯვების წყურვილით იმპერიალიზმის მტაცებლებისა და მენშევიზმის ტურების წინააღმდეგ წითელ არმიელებთან ერთად მხარდამხარ მოვიგერიებთ კონტრრევოლუციის იერიშს და ზღვაში გადავისვრით ბანდებს, რომელნიც „შეეცდებიან ხელი შეახონ მუშათა და გლეხთა თავისუფლებას“.

გენუაში კონფერენციის მიმდინარეობის დროს თავი გამოყო საქართველოს ანაფორიანმა კონტრრევოლუციამ. სრულიად საქართველოს კათალიკოსმა ამბროსიმ (ბესარიონ ხელაია)

საეკლესიო საბჭოს და ქართველი ხალხის სახელით გენუის კონფერენციას თხოვნით მიმართა — საბჭოთა ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარეულიყო, მიეღწია საქართველოდან წითელი არმიის გაყვანისა და საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარებისათვის, მაგრამ სასულიერო კონტრრევოლუციას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მისი სულისჩამდგმელები საბჭოთა მართლმსაჯულებამ ღირსეულად დასაჯა.

საქართველოს პატრიარქმა ამბროსიმ, ასრულებდა. რა ქართველი მენშევიკების მითითებას, სპეციალური მოწოდებით მიმართა გენუის კონფერენციას. იგი ღვთის „სახელით" „თავის სალამს" უგზავნიდა გენუის კონფერენციაზე „წარმოდგენილ ცივილიზებულ კაცობრიობას".

ამ მოწოდების პირველ ნაწილში ამბროსი ეხებოდა საქართველოს ისტორიულ წარსულს, ქართველი ხალხის კულტურას და მის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ხოლო შემდეგ გენუის კონფერენციის მონაწილეებს სთხოვდა განეხილათ „საქართველოს საკითხი", რათა საქართველოში დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება.

ფ. მახარაძე სტატიაში — „მენშევიკების ოინები გენუის კონფერენციაზე" აღნიშნავდა, რომ გენუის კონფერენციაზე ან მის ირგვლივ „გამოაშკარავდა ქართველი მენშევიკების ვერაგობა, სიყალბე და ფარისევლობა".

ფ. მახარაძე თავის სტატიაში ეხება „ორ დოკუმენტს საქართველოს შესახებ". ერთ მათგანზე ხელს აწერდა „საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე" ნოე ჟორდანია, ხოლო მეორეს „სრულიად საქართველოს პატრიარქი" ამბროსი. ორივე წერილის მიზანი და შინაარსი ერთი და იგივე იყო:

პატრიარქი ამბროსის „დოკუმენტის" დედანი აკ. ჩხენკელმა, რომელიც თავისთავს „საქართველოს ელჩს" უწოდებდა, გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს გადასცა. მენშევიკების ამ ნაბიჯის მიზანი იყო სახელი გაეტეხათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის და გენუის კონფერენციის მონაწილეები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოეყენებინათ. ფ. მახარაძემ თავის სტატიაში ამხილა და სასტიკად გააკრიტიკა ამბროსის პროვოკაციული ნაბიჯი.

საქართველოს სასულიერო წოდებასთან ერთად, გენუის კონფერენციაზე თავისი მიზნების მიღწევას ცდილობდა საქართველოს ემიგრაციული მენშევიკური „მთავრობა“ ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

ნოე ჟორდანიას დეპეშაში, რომელიც მან გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს გაუგზავნა, აღნიშნული იყო, თითქოს საქართველოში ადგილი ჰქონდა სისხლისღვრას და საჭირო იყო საქმეში გენუის კონფერენციის ჩარევა და კანის კონფერენციის გადაწყვეტილების მე-6 მუხლის საქართველოზე გავრცელება.

ეს „დოკუმენტი“ 21 აპრილს განიხილეს გენუის კონფერენციის არაოფიციალურ სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ შვედეთის, შვეიცარიის, ბელგიის, საფრანგეთის, იაპონიის, ინგლისის, იტალიის, პოლონეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები. ნოე ჟორდანიამ „საქართველოს მთავრობის სახელით“ დაახლოებით ასეთივე „დოკუმენტი“ გაუგზავნა მენშევიკების მეორე წარმომადგენელს აკაკი ჩხენკელს გენუის კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტასათვის გადასაცემად. ქართველ მენშევიკებს ეგონათ ამით მიზანს მიაღწევდნენ. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გ. ჩიჩერინმა საკადრისი პასუხი გასცა ყველა იმას, ვინც შეეცადა პროვოკაციული გამოსვლები მოეწყო საბჭოთა რუსეთის მიმართ.

გაზ. „კომუნისტი“ 1922 წლის 25 აპრილს სტატიაში — „ვინ იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას“—წერდა: მენშევიკები და სხვა მათი ამყოლ-დამყოლნი, როგორც აქ დარჩენილნი, ისე საზღვარგარეთ გადახვეწილნი დიდ იმედებს ამყარებდნენ გენუის კონფერენციაზე, რომელსაც მათი სურვილის მიხედვით ჩვენი ქვეყნიდან უნდა გაედევნა კომუნისტები და ძალაუფლება უნდა დაებრუნებინა მუშათა კლასის მიერ ჩამოგდებული მენშევიკური მთავრობისათვის. უნდა ითქვას სიმართლე, რომ უცხოეთში გადახვეწილნი მენშევიკები დიდ ენერგიასა და შრომას იჩენდნენ, ალბათ აქედან გატაცებული ხალხის სიმდიდრესაც ბლომად ხარჯავდნენ თავის შავი განზრახვის მისაღწევად. ისინი დაეხეტებოდნენ ევროპის სხვადასხვა

ქალაქებში და ბურჟუაზიულ-რეაქციული მთავრობების მისაღები ოთახების კარებთან იყვნენ ატუზულნი მოწყალების მისაღებად. ჩვენ კარგად გვახსოვს ჟორდანიას „ნოტა“ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოთა სახელზე, რომელშიც „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მოითხოვდა წითელი ჯარებისაგან საქართველოს დაცვას და თავის ბატონობის აღდგენას. აგრეთვე გვახსოვს საქართველოს რესპუბლიკის „სრულუფლებიანი წარმომადგენლის“ ჩხენკელის „ნოტა“ მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობებისადმი, რომელშიაც ეს „სრულუფლებიანი“ პერსონა მოითხოვდა საქართველოს „კანონიერი“ წარმომადგენლების მოწვევას გენუის კონფერენციაზე, ამასთან ევროპის კაპიტალიზმს უხატავდა თვალწარმტაც სურათს საქართველოს და კავკაკასიის სიმდიდრეთა ექსპლოატაციისას. ჩხენკელი მიმართავდა დასავლეთის კაპიტალისტებს — ინებეთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი, ოღონდ დაგვიბრუნეთ დაკარგული ძალაუფლება და მზად ვართ თქვენი მიზნების განხორციელებას ვემსახუროთ კავკასიაში და მთელ აღმოსავლეთშიო.

ასეთი იყო ჩხენკელის „ნოტის“ დედააზრი. ანტანტის მთავარ მიზანს საბჭოთა ფედერაციის დასუსტება, მოსპობა შეადგენდა და ამ მიზნით კავკასიაში ანტისაბჭოთა ბაზის შექმნა სურდა. შეიძლება ამიტომაც ჰქონდათ განზრახვა კონფერენციაზე ამიერკავკასიის ყოფილი მთავრობები მოეწვიათ. ერთხანად კიდეც დაირხა საამისო ხმა, მაგრამ ჩიჩერინის ენერგიული პროტესტის შედეგად, რომელშიც იგი აცხადებდა, რომ საბჭოთა ფედერაცია კონფერენციაში არ მიიღებს მონაწილეობას, თუ ამიერკავკასიის და სხვა ჩამოგდებული კონტრრევოლუციონური მთავრობები იქნებიან მიწვეულნიო, — ეს საკითხი მოიხსნა.

გენუის კონფერენციაზე გაიგზავნა საბჭოთა რუსეთის დელეგაცია, რომელშიც საბჭოთა საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი შედიოდა. ამგვარად, მენშევიკების ხსენებას არ უნდა ჰქონოდა ადგილი კონფერენციაზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, თვით მენშევიკები და მათი მფარველი რეაქციული საფრანგეთი სხვანაირად ფიქრობდა. როგორც გერმანული

გაზეთი „ბერლინერ ცეიტუნგი“ იუწყებოდა, პოლიტიკურ ქვეკომისიის სხდომაზე საფრანგეთმა წინადადება შეიტანა „დამოუკიდებელი საქართველო“ დაეშვათ კონფერენციაზე. „ჩვენ კარგად ვიცით თუ რა ალაპარაკებს პუანკარეს საფრანგეთს, შავი ქვა, ნავთი და კავკასიის სხვა სიმდიდრენი, ჩვენი ქვეყნის ახალშენად გადაქცევა და აქედან პროლეტარული რევოლუციისათვის მახვილის გამზადება — აი რა ამოძრავებს საფრანგეთის დღევანდელ მესვეურებს და ამ მიზნის განხორციელებაში ბრმა იარაღის როლს ასრულებდნენ ჩვენი მენშევიკები, მაგრამ ასეთ განზრახვებს ხომ არაფერი აქვთ საერთო საქართველოს ინტერესების დაცვასთან“ — წერდა გაზეთი „კომუნისტი“.

ამიტომაც იყო, რომ არამკითხე მეურვეს წინადადებაზე ჩიჩერინმა ღირსეული პასუხი გასცა. მან განაცხადა, რომ საბჭოთა ფედერაციას, მათ შორის საქართველოს ნამდვილი წარმომადგენელნი ჰყავს, რომელიც მის უფლებებს დაიცავს და თუ ეს საკითხი კიდევ იქნა დასმული, იგი დასტოვებს სხდომის დარბაზს. ამის შემდეგ ამ საკითხის განხილვა შეწყდა. ამნაირად დამარცხდა მენშევიკების ცდა, გენუის კონფერენციაზე თავიანთი კონტრრევოლუციური განზრახვებისათვის გამოეყენებიათ და ამით მათი უკანასკნელი იმედიც დაიმსხვრა.

27 აპრილს გენუის კონფერენციის თავმჯდომარემ ფაქტამ წერილით მიმართა საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილეს გ. ჩიჩერინს. ამ წერილში აღნიშნული იყო 21 აპრილის სხდომის შესახებ, სადაც განიხილეს ნოე ჟორდანიას ზემოხსენებული „დოკუმენტი“. ფაქტას წერილში გადმოცემული იყო ჟორდანიას დეპეშის შინაარსი.

ფაქტა გ. ჩიჩერინს სთხოვდა საჭირო ზომები მიეღო და აღნიშნული წერილის შესახებ საბჭოთა მთავრობისათვის შეეტყობინებინა. საპასუხო წერილში, რომელიც პირველი კომისიის თავმჯდომარეს მანცერს გაუგზავნა, გ. ჩიჩერინი მიუთითებდა, რომ ნოე ჟორდანია უკვე კერძო პიროვნებას წარმოადგენდა, რომ ზემოხსენებული კომისია უფლებამოსილი არ იყო განეხილა ასეთი საკითხი. გ. ჩიჩერინი აღნიშნავდა, რომ „არავითარ სისხლისღვრას“ საქართველოში ადგი-

ლი არ ჰქონდა, ხოლო ევროპა სავსე იყო ნოე ჟორდანიას მსგავსი გადახვეწილებით და ისინი სხვადასხვა პროვოკაციულ ამბებს თხზავდნენ.

„ჩიჩერინი თავის პასუხში, — წერდა ფილიპე მახარაძე „კომუნისტის“ მოწინავეში, — პირდაპირ ბრალს სდებს ყველა იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც მას მიმართეს საქართველოს შესახებ, რომ ხსენებული ქვეყნების დელეგატები თავის თვალში დვირეს ვერ ამჩნევენ, რომ, თუ იმათ აწუხებს მოჭორილი და გამოგონილი სისხლისღვრა საქართველოში, უფრო უმჯობესი იქნებოდა თავიანთი ყურადღება მიეპყროთ თავიანთ ქვეყნებზე, სადაც მართლა აქვს ადგილი როგორც სისხლის ღვრას, ისე მეზობელ სახელმწიფოებზე თავდასხმას“. გ. ჩიჩერინი ურჩევდა მათ, თუ ასე დაინტერესებული იყვნენ, ყურადღება მიექციათ იმ რაიონებისათვის, სადაც სინამდვილეში ადგილი ჰქონდა სისხლისღვრას. სახელდობრ, იაპონელი იმპერიალისტები ჯერ კიდევ აგრძელებდნენ საბჭოთა რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიის ოკუპაციას ეს გარემოება ხელს უწყობდა თეთრგვარდიელთა ბანდების თავისუფალ მოქმედებას.

სანეტრო ოკუპაციას ევროპაშიც ჰქონდა ადგილი — პოლონელებმა დაიპყრეს ვილნოს ოლქი ან მდგომარეობა აღმოსავლეთ გალიციაში, რუმინელებმა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიის — ბესარაბიის ოკუპაცია მოახდინეს. ასეთივე მდგომარეობა იყო სამხრეთ სლავების რაიონში, ევროპის ცენტრში — საარის რაიონში და სხვ. უკეთესი იქნებოდა დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს, თუ მათ სურდათ ჰუმანურობის გამოჩენა, ყურადღება მიექციათ ამ ამბებისათვის, ვიდრე კერძო პირის — ნოე ჟორდანიას მონაჭორისათვის.

ამასთანავე, გ. ჩიჩერინი მანცერს იმის შესახებ მიუთითებდა, რომ რუმინეთისა და იუგოსლავიის მთავრობებმა ხელი მოაწერეს რუსეთიდან განდევნილ ყოფილ გენერალ ვრანგელთან შეთანხმებას. ამ შეთანხმების მიზანი იყო უკრაინის რესპუბლიკაზე თავდასხმის მომზადება.

ამასთანავე, გ. ჩიჩერინი საბჭოთა მთავრობის სახელით

მზადყოფნას გამოთქვამდა მონაწილეობა მიეღო გენუის კონ-ფერენციის მუშაობაში, სადაც განხილული იქნებოდა ყველა ჩაგრული პატარა ერის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებ-ლობის საკითხი, თუ ამას მოისურვებდნენ გენუის კონფერენ-ციის მონაწილეები.

იგივე ნოე ჟორდანიასაგან მიღებული წერილის საფუ-ძველზე გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით კრისლინმა წერილი გაუგზავნა საბჭოთა რუსეთის მთავრობას და კომინტერნის აღმასკომს. კრისლინის წერილს თან ერთოდა ნოე ჟორდანიას ვრცელი წერილი, თითქოს საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესა-ხებ. ნოე ჟორდანია კრისლინს თხოვდა საქმეში ჩარევას, ხო-ლო კრისლინი საბჭოთა რუსეთის მთავრობას და კომინტერ-ნის აღმასკომს — მხედველობაში მიეღოთ ნოე ჟორდანიას წე-რილში აღწერილი მდგომარეობა.

დასავლეთის სახელმწიფოების, კერძოდ საფრანგეთის წარმომადგენლების ცდამ გენუაში მხარი დაეჭირათ ქართვე-ლი მენშევიკების მოქმედებისათვის, აღშფოთება გამოიწვია არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა საბჭოთა რესპუბ-ლიკის მშრომელებში. ამ მხრივ საინტერესოა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა ცენტრალური აღმასრულებელი კომი-ტეტისადმი.

მოსკოვის საბჭო თავის მომართვაში საფრანგეთის წინადა-დების შესახებ წერდა:

„მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა საბჭოს პრეზიდი-უმმა გაიგო გენუის კონფერენციის ანგარიშიდან, რომ საფ-რანგეთის წარმომადგენელმა კონფერენციის პოლიტიკურ კო-მისიაში წინადადება შეიტანა კონფერენციაზე მოეწვიათ ქარ-თველი მუშებისა და გლეხებისაგან ჩამოგდებული საქართვე-ლოს ყოფილი „მთავრობის“ წარმომადგენელი... მოსკოვის საბჭოს არ შეუძლია გვერდი აუაროს ამ ფორმით და შინაარ-სით გაუგონარ კაპიტალისტურ მპყრობელთა წინადადებას.

ქართველი ხალხის მიერ ჩამოგდებული მმართველობის მოწვევა, რომელნიც თავიანთ არსებობის დროს ყოველთვის უცხოელ იარაღს ეყრდნობოდნენ, გაანდევნის შემდეგ კი —

საფრანგეთის ბანკების ანგარიშზე იყვნენ, უცხოეთის კაპიტალის რუსეთზე ახალი შეუთანხმებელი თავდასხმის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. ეს წინადადება ერთხელ კიდევ აგონებს რუსეფის მშრომელ მასას, რომ ბაქოს ნავთი განაგრძობს უცხოეთის კაპიტალისტების მოხიბლვის სამსახურს, და რომ კაპიტალისტური მპყრობელები, რომლებმაც გასთელეს კანში მიღებული თავიანთი განცხადებანი, მზად არიან მათთვის მოხერხებულ ყოველ მომენტში წაეპატრონონ იმ ტერიტორიას და ხალხს, რომელნიც წავიდნენ ფედერაციულ კავშირში საბჭოთა რუსეთთან".

1922 წლის 14 მაისს, საღამოს, აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ნარიმანოვი, რომელიც გენუაში საბჭოთა დელეგაციის წევრი იყო და ის იყო გენუიდან დაბრუნდა, პირდაპირი მავთულით დაუკავშირდა მოსკოვიდან თბილისს — მ. ორახელაშვილს. მათ შორის შემდეგ საუბარს ჰქონდა ადგილი:

ნ. ნ ა რ ი მ ა ნ ო ვ ი: „არა მარტო მე ჩამოვედი დროებით მოსკოვში, ჩემთან ერთად ჩამოვიდა ამხ. იოფე, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის სესიაზე მოხსენების გასაკეთებლად. ჩვენთან ერთად უნდა წამოსულიყვნენ მდივანი და ბეკზადიანი, მაგრამ საქართველოს და სომხეთის საკითხმა ისინი გენუაში შეაჩერა. საქმე იმაშია, რომ მენშევიკები იქ დიდ კამპანიას აწარმოებენ, ფრანგულ გაზეთებში ყოველდღე იბეჭდება ცნობები საქართველოში აჯანყების შესახებ, მაგრამ ჩამოსულმა ამხ. შეკმაზანოვმა თავის წერილებით უარყო ეს ჭორები. გუშინ აქ დეპეშა მოვიდა, რომ კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოთა კომისიამ უარყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკითხი. ამრიგად, მენშევიკების პოლიტიკა დამარცხდა იმგვარად, რომ მას არავითარი შედეგი არ მოუცია".

მ. ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: „როგორია კონფერენციის დამოკიდებულება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დელეგაციებისადმი? დაძრწიან თუ არა გენუაში ყოფილი მთავრობები? მართალია თუ არა, რომ ჩვენ ხელშეკრულებას ვსდებთ ჩეხო-

სლოვაკიასთან ისე როგორც გერმანიასთან? არის თუ არა კონფერენციის ჩაშლის რეალური საშიშროება?"

ნ. ნ ა რ ი მ ა ნ ო ვ ი: „კონფერენციის დამოკიდებულება ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებისადმი კარგია. ხელშეკრულების დადების შესახებ ჩეხოსლოვაკიასთან გრძელდება მოლაპარაკება. რაც შეეხება კონფერენციის ჩაშლის საკითხს უკანასკნელი დეპეშებიდან ჩანს, რომ ანტანტა მთელ ფრონტზე უკან იხევს, მოლაპარაკება გრძელდება. რაც შეეხება საფრანგეთის დელეგაციას, იგი ჯერ კიდევ პასუხს პარიზიდან მოელის. ეჭვს გარეშეა, რომ კონფერენციის ჩაშლის თავიდან ასაცილებლად რუსეთის საკითხს ექსპერტების განსაკუთრებულ კომისიას გადასცემენ. ამას მოჰყვება რუსეთთან ცალ-ცალკე ხელშეკრულებების დადება. ეს ჩვენი დიდი გამარჯვებაა... ანტანტისათვის მთელი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ უცხოელ კაპიტალისტებს დავუბრუნოთ მათი ყოფილი ფაბრიკა-ქარხნები. სხვა საკითხები მათ არ აინტერესებთ. უკანასკნელ ხანებში ინგლისი და იტალია ჩვენს წინადადებას შეურიგდნენ, რომ ჩვენ თანახმა ვართ ყოფილ მესაკუთრეებს ჩვენი შეხედულების თანახმად გადავსცეთ მათი ქონება კონცესიის საფუძველზე.

ჩვენ შევძელით განხეთქილება ჩამოგვეგდო გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის და ამას იმიტომ მივაღწიეთ, რომ ევროპის სამეურნეო მდგომარეობა კატასტროფულია. ამაზე მუდამ წუთს ლაპარაკობენ ინგლისის, იტალიის და სხვ. სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ჩვენმა უკანასკნელმა პასუხმა კიდევ უფრო დაარეტიანა მოკავშირეები. უკანასკნელი დეპეშებიდან ჩანს, რომ სურთ ყოველი მიზეზის გარეშე განაგრძონ ჩვენთან მოლაპარაკების წარმოება".

გენუის კონფერენციაზე ქართველ მენშევიკებისა და დასავლეთის იმპერიალისტების მოქმედების შესახებ საქართველოს კპ ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებამ გამოაქვეყნა თეზისები, სადაც ნათქვამი იყო: ...„4. ქართველი მენშევიკები ცდილობდნენ ყოფილიყვნენ გენუის კონფერენციაზე საქართველოს არარსებულ დამოუკიდებელ დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებად, მაგრამ ეს მათ ვერ მოა-

ხერხეს, ეგრეთწოდებული ქართული საკითხი აზიურ საკითხებს მიაკუთვნეს კონფერენციის მესვეურებმა. ამგვარად, ეს საკითხი უნდა ჩაითვალოს სამუდამოდ დასამარებულად. მიუხედავად მენშევიკების ყოველგვარი ცდისა, რათა ბურჟუაზიული სახელმწიფოები ჩარეულიყვნენ საქართველოს მუშებისა და გლეხების შინაურ საქმეებში, აქედან მათ არაფერი გამოუვიდათ, ხოლო მენშევიკების კონტრრევოლუციონური სახე დღითი დღე უფრო ცხადი ხდება.

5. გენუის კონფერენციაზე ბურჟუაზიულმა მთავრობებმა მოითხოვეს მეფის ვალების გადახდა, განიზრახეს საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ საქმეებში ჩარევა, რამდენადაც მოითხოვეს კერძო საკუთრების აღდგენა უცხოელი კაპიტალისტებისათვის, რევოლუციამდე მათი კუთვნილი ფაბრიკებისა და ქარხნების დაბრუნების სახით, აგრეთვე ხელის აღება კომუნისტური იდეების აგიტაციასა და პროპაგანდაზე ევროპის, აზიისა და სხვა სახელმწიფოებში.

6. ბურჟუაზიამ ვერ შეძლო თოკის მოჭერა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა კისერზე. საბჭოთა დელეგაციას კონფერენციაზე თავი ღირსებით ეჭირა, როგორც შეეფერება დიდ რევოლუციურ სახელმწიფოს. ის წავიდა დათმობებზე სახელმწიფოს სუვერენიტეტის შენარჩუნებით. სცნო ომის წინანდელი ვალები, დანარჩენი მოთხოვნები აღშფოთებით უარყო და წარადგინა კონტრმოთხოვნები: ა) სამოქალაქო ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ბ) რუსეთის ცნობა იურიდიულად, გ) გრძელვადიანი სესხის მიცემა, ოქროს სესხი.

ამრიგად, ჩაიშალა ქართველი მენშევიკებისა და საქართველოს სამღვდელოების ზედაფენების ყველა ცდა, როგორც გენუის კონფერენციაზე, ისე საერთოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიეღწიათ რაიმე წარმატებისათვის.

ქართველი მენშევიკები საფრანგეთის საშუალებით ცდილობდნენ გენუის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღწევას. საფრანგეთის დელეგაციის მეთაურის ლუი ბარტუს ცდამ, რომ მენშევიკები დაეშვათ კონფერენციაზე, ნაყოფი ვერ გამოიღო. ლუი ბარტუ — „ამ მხრივ თვით ევროპის სახელმწიფოებმა გარიყეს და საფრანგეთი დააძინეს ბავშვური მოტივით, რომ

საქართველო აზიური ქვეყანااო! განა ვინ არ იცის, რომ საქართველო მთელი საუკუნეა რუკის ევროპულ ნაწილშია მოქცეული და მიჩნეული, და ეხა აზიური".

ამიერკავკასიის საბჭოთა პირველ ყრილობაზე ს. ორჯონიკიძე ამბობდა: „... მენშევიკები, წერეთელი, ჟორდანია ყველგან ცდილობდნენ, რომ ამ (გენუის კონფერენციაზე — ი. ჩ.) კონფერენციაზე მდივნის მაგივრად ჟორდანიას გაგზავნა მოეხერხებინათ, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს, რადგან რუსეთმა საქართველოს საკითხი ულტიმატურად დასვა".

ს. ორჯონიკიძე მიუთითებდა იმ მტკიცე მეგობრულ ურთიერთობაზე, რაც შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. რომ ვენუის კონფერენციაზე გ. ჩიჩერინი გამოდიოდა როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელი და იცავდა მათ ინტერესებს, ხოლო საბჭოთა რუსეთის ავტორიტეტი ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა. „ეს ის რუსეთია, — ამბობდა ს. ორჯონიკიძე, — ურომლისოდ ვერც ერთი საკითხი საერთაშორისო ფარგლებში ვერ გადაწყდება".

რა ბედი ეწვია შემდგომში სამღვდელოების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ქართველ მენშევიკებს და უცხოელ იმპერიალისტებს ემსახურებოდნენ? მალე კათალიკოსი ამბროსი და საკათალიკოსო საბჭოს წევრები პასუხისგებაში იქნენ მიცემული.

კათალიკოს ამბროსს ბრალი იმაში ედებოდა, რომ 1922 წლის თებერვალში საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად შეადგინა მოწოდება და იგი გენუის კონფერენციაზე გაგზავნა. მოწოდებაში მოყვანილი იყო ყალბი ცნობები იმის შესახებ, რომ ქართველ ერს ართმევენ ყველაფერს და გააქვთ მისი ქონებანი.

მოწოდებაში მოყვანილი იყო პროვოკაციული ცნობები თითქოს ქართველ ერს ართმევდნენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ. შემდეგ ამბროსს მოჰყავდა ყოვლად შეუსაბამო ცნობა, თითქოს ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ

კულტურას და უბღალავენ წმინდათა წმინდას — სარწმუნოებას.

მთელი ეს მოწოდება გაჟღენთილი იყო კონტრრევოლუციური სულით და მიმართული იყო იქითკენ, რომ უცხო იმპერიალისტური ძალების ჩარევა გამოეწვია მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის შინაურ საქმეებში. მოწოდება არც ფარავდა ამ სურვილს და პირდაპირ მოითხოვდა კონტრრევოლუციური ძალების ჩარევას საქართველოს შინაურ საქმეებში. ამას ისიც დაემატა, რომ, როცა გაჩხრეკილ იქნა თბილისიხ ზოგიერთი ეკლესია, იქ მრავალი განძეულობა აღმოჩნდა. რომლებსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა წირვა-ლოცვის საქმესთან. საქმე გასარჩევად უზენაეს სასამართლოს გადაეცა. სასამართლოს თავმჯდომარე იყო გიორგი ჩხეიძე, წევრები: ვასიკო წივწივაძე და გიორგი რთველაძე.

სასამართლოზე ბრალმდებლებმა ალ. ერქომაიშვილმა. ნიკოლოზ ოკუჯავამ და ნიკოლოზ მაჭავარიანმა სამღვდელოების წარმომადგენელთა მოქმედების მთელი რიგი მამხილებელი ფაქტები მოიყვანეს. ნიკოლოზ ოკუჯავა თავის სიტყვაში იმ ღრმა კავშირზე მიუთითებდა, რომელიც ქართველ სამღვდელოებას, მენშევიკებსა და უცხოელ იმპერიალისტებს შორის არსებობდა. იგი ამბობდა: „მთავარი ადგილი ბრალდებებში იმ მემორანდუმს უჭირავს, რომელიც საკათალიკოსო საბჭომ გაუგზავნა ანტანტას. მას მიზნად ჰქონდა ცეცხლის ალში გაეხვია ქართველი ხალხი...

გენუა იყო ანტანტის ერთი ხერხთაგანი. გენუაში ანტანტას სურდა რუსეთი დათმობაზე წასულიყო. ანტანტამ სასურველად ვერ დაამთავრა რუსეთის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ დაწყებული ომი, რადგან მას თავისი ხალხი აუმხედრდა და იარაღი არ გამოატანა ჩვენს წინააღმდეგ. ანტანტას უნდოდა გენუის საშუალებით გაეკეთებინა ის, რისი გაკეთებაც მან იარაღით ვერ მოახერხა.

აქ, საქართველოში, კონტრრევოლუციური ძალები ირაზმებიან და საქართველოს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ ილაშქრებენ. და აი, ამ დროს არსდება გაერთიანებული კომიტეტი, რომელშიაც შედიან მენშევიკები, ნაციონალ-დემოკრა-

ტები, მემარჯვენე ფედერალისტები და, ჩვენ აქამდის არ ვიცოდით, სამღვდელოება. ეს კომიტეტი სამღვდელოების ლოცვა-კურთხევით საქართველოს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ ილაშქრებს. მისი ხელმძღვანელობით მოქმედებს ჩოლოყაშვილი, იქ, საზღვარგარეთ კი, ბიურო, და ყველა ისინი შეზმატკბილებულნი მუშაობენ ქართველი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. აი ამ დროს ამბროსი წერს მემორანდუმს და უგზავნის ანტანტას.

კონტრრევოლუციის შავი ყორნების მოღალატური მოქმედება, რომელსაც წინ უძღოდა და გზას უნათებდა სამღვდელოება ამბროსის მეთაურობით, მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის ხელახალი გაბატონებისაკენ. ეს აშკარად გამოამჟღავნა პროლეტარულმა სასამართლომ".

ქართველი მენშევიკებისა და სასულიერო წოდების ოინების კრახმა გენუის კონფერენციაზე იმედები გაუცრუა შინაგან კონტრრევოლუციურ ძალებს. ამ მხრივ საინტერესოა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" აღიარება.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" მასში წარმოდგენილ პარტიათა საშუალებით რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა სათანადო მუშაობას და აიარაღებდა რაზმებს. მეორეს მხრივ საზღვარგარეთელ ბიუროს მეოხებით ცდილობდა შეექმნა ევროპის სახელმწიფოებში და განსაკუთრებით საფრანგეთ-ინგლისში სათანადო პირობები დახმარებისათვის, მაგრამ „კომიტეტი" აღიარებდა: „ჩვენი იმედი არ გამართლდა, რის გამო ჩვენ დავმარცხდით. მასობრივი ორგანიზაციული გამოსვლა, რომელსაც ველოდით, არ მოხდა, ხალხის ფართო მასამ ჩვენ მხარი არ დაგვიჭირა, შეგვრჩა მხოლოდ ის აქტიური ძალები, რომელიც ერის ზედაფენებში იყო მოგროვილი და უმეტეს წილად ტყეებში გახიზნული. ჩვენი გამოსვლა ფაქტიურად გადაიქცა ჩვენდაუნებურად ავანტიურად, რასაც ბუნებრივად მოჰყვა ხელისუფლების რეპრესიები, რის პასუხისმგებლობა სავსებით ჩვენ გვედება". აღიარებს რა თავის შეცდომას ამ გამოსვლის მოწყობით, „კომიტეტი" აცხადებს: „დღეიდან შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელება

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება დამღუპველი და სავსებით უპერსპექტივო ქართველი ერისათვის. ამის გამო დამოუკიდებლობის კომიტეტი მიმართავს კომიტეტში შემავალ პარტიებს და ყველა იმ შეიარაღებულ რაზმებს, რომელნიც გაიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს, წინადადებით: დაუყოვნებლივ ხელი აიღონ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებზე, დაშალონ სავსებით ყველა შეირაღებული ძალები, იარაღი ჩააბარონ მთავრობის ორგანოებს და მთავრობისადმი მორჩილებით შეეცადონ გამოსწორებას იმ უდიდესი უბედურებისა, რომელიც მოუტანა ქართველ ერს ჩვენმა გამოსვლამ. ამის შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტს, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად დაშლილად ვაცხადებთ".

– ასე ჩაიშალა უცხოეთის იმპერიალისტების აგენტების — ქართველი მენშევიკებისა და ყველა მათი დამქაშების ანტისაბჭოთა საქმიანობა საქართველოში. ქართველი ხალხი თავისი კომუნისტური პარტიის მეთაურობით მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უცხოეთში გაქცეული ქართველი ხალხის მტრები, უცხოელი იმპერიალისტების მხარდაჭერით შეეცადნენ ქართველი ხალხის სახელით გამოსულიყვნენ. მათ მხარს უჭერდნენ აგრეთვე საქართველოში დარჩენილი რეაქციული, განწირული ძალები, რაც ქართველ ხალხში აღშფოთებას იწვევდა. ქართველი მშრომელები კი მხარს უჭერდნენ საბჭოთა დელეგაციას, რომელიც გენუის კონფერენციაზე იმპერიალისტთა ახალ ზრახვებს მტკიცედ აღუდგა წინ. ჩაიშალა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა გეგმები, მათთან ერთად ქართველი მენშევიკების. ქართველი ხალხი მტკიცედ დაადგა სოციალისტური განვითარების გზას.

თავი მეოთხე

ჰაგის კონფერენცია

დასავლეთის სახელმწიფოების ანტისაბჭოთა გეგმები

1922 წლის 17 მაისს გენუის კონფერენციის პოლიტიკურმა კომისიამ, საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობისა და ინიციატივის შედეგად, გადაწყვიტა „რუსული საკითხის" შემდგომი განხილვა ექსპერტების განსაკუთრებული კომისიისათვის გადაეცა, რომელიც 1922 წლის 26 ივნისს ჰაგაში უნდა შედგომოდა მუშაობას.

მართალია, გენუის კონფერენციაზე მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უნდოდა მოლაპარაკების საბოლოო ჩაშლა, პირიქით—სურდათ იგი გაეგრძელებინათ. ომამდელი და ომის დროის ვალების შესახებ ლოიდ ჯორჯის წინადადება და საბჭოთა დელეგაციის პასუხი შეთანხმების საერთო ბაზის მონახვის იმედს იძლეოდნენ.

ჰაგა — გენუის გაგრძელება იყო. იგი მოწოდებული იყო კაპიტალისტურ ევროპასა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობაში გადაეჭრა ის მთავარი საკითხები, რომელთა გადაჭრა გენუის კონფერენციამ ვერ შეძლო. კაპიტალისტურ მსოფლიოს გენუის შემდეგაც ხელი არ აუღია თავის განზრახვის განხორციელებაზე — ერთხელ კიდევ შეეცადა გავლენა მოეხდინა რუსეთზე და მისთვის მძიმე პირობები მოეხვია.

გენუაში მათი წადილი არ განხორციელდა, რადგან ერთიანი ფრონტი საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ გაიბზარა და მკაფიოდ გამოაშკარავდა შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელნიც ანტანტას ღრღნიდა.

ანტანტის მიზანს თავის შერყეული პოზიციების განმტკიცება, საბჭოთა დელეგაციის დაშინება შეადგენდა. მათ სურდათ ჰაგის თათბირზე ეჩვენებინათ თავიანთი ერთიანი მისწრაფება მათივე პირობების კარნახით. ამ მიმართულებით ისინი დიდ მუშაობას ეწეოდნენ.

კაპიტალისტურმა მთავრობებმა ჯერ კიდევ გენუაში დას-

ღეს შეთანხმება, რომლის ძალით სეპარატული მოლაპარაკების უფლება რუსეთთან არავის ჰქონდა. ამას კი ლოიდ ჯორჯის და პუანკარეს შეხვედრა მოჰყვა, სადაც მათ რუსეთის საკითხში ზოგიერთ „შეთანხმებას“ მიაღწიეს.

ჰაგის თათბირზე ანტანტა გარეგნულად მაინც ერთიანი ფრონტით გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული სახელმწიფოების დელეგაციებმა ისე როგორც გენუაში, დაჟინებით მოითხოვეს უცხოელი კაპიტალისტების საკუთრების აღდგენა საბჭოთა რუსეთში. ჰაგაში ოფიციალური დელეგაციების გვერდით თავი მოუყრიათ საბჭოთა რუსეთის ნაციონალიზებულ საწარმოთა ყოფილ მეპატრონეებს. ისინი თავიანთ დელეგაციებს კარნახობდნენ და გადაჭრით მოითხოვდნენ საკუთრების დაბრუნებას. საბჭოთა დელეგაცია მშვიდობისა და ევროპასთან ეკონომიური თანამშრომლობის აღდგენის მიზნით მზად იყო უდიდესი მსხვერპლი გაეღო და თანხმობას აცხადებდა მესაკუთრეთა ქონების ანაზღაურებაზე, თუ საბჭოთა მთავრობას საჭირო კრედიტებს მისცემდნენ მეურნეობის აღსადგენად. მაგრამ ბურჟუაზიულმა მთავრობებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ ისინი მშვიდობისა და მსოფლიო მეურნეობის აღდგენაზე უფრო მაღლა კერძო საკუთრების უფლებებს აყენებენ, ამასთან ისიც ნათელი გახდა, რომ ისინი რუსეთში ისევ პოლიტიკურ მიზნებს, კერძო საკუთრების აღდგენას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის მოსპობას და საბოლოო ანგარიშით საბჭოთა წყობილების განადგურებას ისახავდნენ.

ამრიგად, ჰაგა გენუის გაგრძელება იყო იმ მხრივაც, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობების დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი იგივე იყო, რაც გენუაში. ამდენად ჰაგას ისე, როგორც გენუას, არ შეიძლებოდა შედეგი მოჰყოლოდა.

დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები ჰაგაში ცდილობდნენ ის ანტისაბჭოთა გეგმები განეხორციელებინათ, რაც გენუის კონფერენციაზე ვერ განახორციელეს. ბურჟუაზიული პრესა და დასავლეთის ქვეყნების მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწეები იმაზე მიუთითებდნენ, რომ ჰაგის კონ-

ფერენცია გენუის კონფერენციისაგან განსხვავებით უფრო საქმიანი ხასიათის იქნებოდა. მათი აზრით, ჰააგაში არ უნდა განმეორებულიყო ისეთი პოლიტიკური დისკუსიები, რომლებსაც გენუაში ადგილი ჰქონდა საბჭოთა დელეგაციასთან.

ჰააგაში დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა შიზანი იყო კაპიტალისტური ქვეყნების ერთიანობის გამოვლინება. რასაც მათ გენუაში ვერ მიაღწიეს. სინამდვილეში ჰააგაში ერთი მხრივ ინგლისსა და მეორე მხრივ ამერიკა-საფრანგეთს შორის უფრო გამოვლინდა აზრთა სხვადასხვაობა. ამერიკის შეერთებული შტატები ოფიციალურად წარმოდგენილი არ ყოფილა არც ჰააგის კონფერენციაზე, მაგრამ ის მაინც დიდ როლს ასრულებდა მთავარი საკითხების განხილვის დროს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საფრანგეთის მთავრობის შეურიგებელ პოზიციას უჭერდა მხარს.

საფრანგეთის რეაქციულ წრეებს არ უნდოდათ ჰააგის კონფერენციის მოწვევა. საქმე ის იყო, რომ ისინი აშკარად ვერ ბედავდნენ ლოიდ ჯორჯის წინადადების წინააღმდეგ გამოსვლას. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ, როცა გაიგეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობდა ჰააგის კონფერენციაში მონაწილეობაზე. საფრანგეთის რეაქციული პრესა წერდა: „რუსეთი მოითხოვს კრედიტებს თავის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, კრედიტების მიცემა შეუძლია მხოლოდ ამერიკას, ამერიკა კი არ ესწრება კონფერენციას“.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ჰააგის კონფერენციისადმი გამოთქმულია იმ ნოტაში, რომელიც რიჩარდ უორენ ჩაილდისაგან მანცერმა ამერიკის მთავრობის სახელით მიიღო. ნოტაში ნათქვამი იყო: „...მაქვს პატივი გაახლოთ ამასთან შემდეგი ნოტა ჩემი მთავრობისა, რომელიც ეხება თქვენს წინადადებას მივიღოთ მონაწილეობა იმ კომისიაში. რომელიც განზრახულია მოწვეულ იქნას ჰააგაში რუსეთთან მოლაპარაკების შესახებ. ჩემმა მთავრობამ დაწვრილებით განიხილა გენუის კონფერენციის თავმჯდომარის მიერ გამოგზავნილი მიწვევა იმ კომისიაში მონაწილეობის მიღების შესახებ, რომელიც უნდა შეიკრიბოს ჰააგაში 15 ივნისს, თანახმად

იმ პირობებისა, რომელიც აღნუსხულია კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოთა შეთანხმებაში.

ჩემს მთავრობას ძალიან სურს აღმოუჩინოს დახმარება რუსეთის ეკონომიურ მოთხოვნილებათა შესწავლის საქმეს, მაგრამ ჩემს მთავრობას არა აქვს საბუთი იფიქროს, რომ მას შეუძლია სარგებლობა მოიტანოს ჰაგის კომისიაში მონაწილეობის მიღებით, რამდენადაც იგი გაგრძელებაა, მხოლოდ სხვა სახელით, გენუის კონფერენციისა, რადგანაც მას წინ გადაეღობება ისეთივე დაბრკოლებანი, თუ შეცვლილი არ იქნება ის პოზიცია, რომელიც რუსეთის დელეგაციამ დაიკავა 11 მაისის მემორანდუმში...

აუცილებლად მიმაჩნია ამას დავუმატო ისიც, რომ ჩემს მთავრობას სურს ძალიან სერიოზულად მიიღოს ყველა წინადადება, რომელთაც აყენებს გენუის კონფერენცია, ან წამოაყენებს მომავალი სხვა რომელიმე კონფერენცია, მაგრამ ეგი უყურებს ხსენებულ მოწვევას, რომელიც წარმოადგენს რუსეთის 11 მაისის მემორანდუმის პასუხს, როგორც ისეთ დოკუმენტს, რომელშიაც არ არის სათანადო გარკვეულობა და სწორედ ეს გარემოება არ აძლევს საშუალებას ამერიკის მთავრობას მიიღოს მონაწილეობა განზრახულ გეგმაში".

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა იუზმა ჰაგის კონფერენციის მოწვევის შესახებ განაცხადა: „კონფერენცია იქნებოდა გენუის კონფერენციის გაგრძელება, სხვა სახელწოდებით და აღმოჩნდება იმავე სიძნელეების წინაშე, თუკი რუსების მიერ 11 მაისის მემორანდუმში დაკავებული პოზიცია დარჩება შეუცვლელი".

ჰაგის კონფერენციისადმი საფრანგეთის მთავრობის პოზიცია მოცემული იყო 2 ივნისის მემორანდუმში, რომლითაც პუანკარემ ჰაგაში მიმართა მოწვეული ყველა სახელმწიფოს მთავრობას. პუანკარე მოითხოვდა, რათა ჰაგის შეხვედრას ჰქონოდა არა კონფერენციის, არამედ თათბირის ხასიათი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ არა სახელმწიფოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები, არამედ ექსპერტები.

ამასთანავე, პუანკარე მოითხოვდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების ექსპერტებს ჰაგაში შეხვედრამდე ერთიანი

გეგმა შეემუშავებინათ. ამ გეგმაში ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო ის მოთხოვნები, რომლებსაც კაპიტალისტური სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთს უყენებდნენ და „რომელიც რუსეთს წინასწარ უნდა მიეღო". 2 ივნისის მემორანდუმში პუანკარე მოითხოვდა საბჭოთა რუსეთს უარი ეთქვა თავის 11 მაისის მემორანდუმზე, რომელიც, პუანკარეს აზრით, წარმოადგენდა „ევროპის კაპიტულაციის მოთხოვნას საბჭოთა წყობილების წინაშე". საფრანგეთის პრემიერის შეხედულებით კონფერენცია უნდა დაკმაყოფილებულიყო რუსეთის პრობლემის სამი საკითხით: ვალების, კერძო საკუთრების და კრედიტების. საბჭოთა მთავრობა ვალდებული იყო ეცნო ყველა ომამდელი და ომისშემდგომი ვალები. თუმცა ასეთი ცნობა არ მოითხოვდა მისგან ვალების დაუყოვნებლივ გადახდას, რაც შეეხება კრედიტებს — შეიძლებოდა საბჭოთა მთავრობისათვის მიეცათ მხოლოდ და მხოლოდ ყოფლის მეურნეობის აღსადგენად. ბოლოს პუანკარე მოითხოვდა რუსეთში ნაციონალიზებული საწარმოები ყოფილ მესაკუთრეებზე დაებრუნებინათ.

პუანკარეს მემორანდუმი ჯერ კიდევ მის მოწვევამდე ჰაგის კონფერენციის ჩაშლას ითვალისწინებდა.

უფრო ადრე, მაისში, საფრანგეთის გაზეთმა „ტანმა" შემდეგნაირად განსაზღვრა საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა გენუის კონფერენციაზე და მის შემდეგ: „სანამ გრძელდება გენუის კონფერენცია, საფრანგეთი არავითარი სახით არ დაიწყებს მოლაპარაკებას საბჭოებთან, რაც შეეხება კონფერენციის შემდეგ მოქმედებას, საფრანგეთს არ შეუძლია არ შეინარჩუნოს თავისუფლება თავის მოქმედებაში; საფრანგეთის მთავრობა არ ჩათვლის თავისთავს დაკავშირებულად არც გენუაში გამომუშავებულ საკითხებთან და არც ექსპერტების მომავალ დადგენილებებთან; ჩვენ არ ვცნობთ ჩვენზე არავითარი კონფერენციის, კომისიის, კონსორციუმისა და სახელმწიფოს ძალაუფლებას".

ინგლისს არ შეეძლო დათანხმებულიყო საფრანგეთის პრემიერის წინადადებაზე და რომ უარი ეთქვათ ჰაგაზე — აშკარად ნიშნავდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის პოლიტიკის კრახს. 11 ივნისს ბრიტანეთის მთავრობამ პუანკარეს მემო-

რანდუმზე უპასუხა. ინგლისის მთავრობა თავის პასუხში შიუ-
თითებდა, რომ საბჭოთა რუსეთი სუვერენულ სახელმწიფოს
წარმოადგენდა. ლოიდ ჯორჯის მთავრობა გადაჭრით წინააღ-
მდეგი იყო საბჭოთა მთავრობისადმი რაიმე ულტიმატუმის წა-
ყენებისა და კერძოდ მოთხოვნისა, უარი ეთქვა 11 მაისის მემო-
რანდუმზე. ბრიტანეთის მთავრობის პასუხში კატეგორიულად
იყო აღნიშნული, რომ რუსეთის პრობლემის განხილვის დროს
დასავლეთის სახელმწიფოები რუსეთის სუვერენობის პრინცი-
პიდან უნდა გამოსულიყვნენ. „კომისია უნდა ერიდოს რუსე-
თისათვის მოქმედების განსაზღვრული გეგმის თავზე მოხვე-
ვას. ჰაგის კომისია აგრეთვე უნდა მოერიდოს პოლიტიკური
საკითხების გარჩევას, რომელნიც იწვევენ რუსეთის სამხედრო
ვალების თუგინდ ნაწილობრივ განხილვის აუცილებლობასაც
კი. კომისიამ სხვა საკითხებს შორის უნდა განსაზღვროს ჩა-
მორთმეული ქონების კომპენსაციის რაოდენობა და მოლაპა-
რაკების გზით გამოარკვიოს გარანტიები მომავლისათვის“.

ინგლისის მთავრობის აზრით, საბჭოთა რუსეთს უფლება
ჰქონდა თვითონვე გადაეწყვიტა თუ როდის გამოეყენებინა
რესტიტუცია და კომპენსაცია უცხოეთის ნაციონალიზებული
ქონების მიმართ. რაც შეეხებოდა ვალების საკითხს, აქ ომამ-
დელი და ომის დროის ვალები უნდა განსხვავებულიყო.
კრედიტების მიცემის საკითხში ლოიდ ჯორჯის აზრი პუანკა-
რეს აზრს ემთხვეოდა. ისე როგორც პუანკარე, ლოიდ ჯორჯი
დასაშვებად თვლიდა საბჭოთა რუსეთისადმი კრედიტების მი-
წოდებას, მხოლოდ კერძო პირების მხრიდან.

ინგლისის მთავრობის მემორანდუმის სწორედ ეს ადგილი
ყველაზე უფრო აწყობდა პუანკარეს, ვინაიდან ჰაგის კონფე-
რენციის წარმატებით დამთავრებისათვის უდიდესი მნიშვნე-
ლობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთისადმი კრედიტების მიწოდების
საქმეს. ინგლისის მთავრობის ამ მემორანდუმის საპასუხო გან-
ცხადებაში საფრანგეთის მთავრობა ყურადღებას აქცევდა შემ-
დეგ გარემოებას: „საფრანგეთმა სიამოვნებით გაიგო ის, რომ
ინგლისს ჰაგის კონფერენცია არ მიაჩნია ექსპერტების კონფე-
რენციად. საფრანგეთს მიზანშეწონილად მიაჩნია, თუ ანტან-
ტა წარსდგება საბჭოთა დელეგაციის წინაშე გარკვეულ წი-

ნასწარ შემუშავებული გეგმის გარეშე. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა უკვე დაამტკიცეს გენუაში, რომ მათ შეუძლიათ ისარგებლონ მოკავშირეთა შორის მცირეოდენი განხეთქილებითაც კი. საფრანგეთს კანის რეზოლუციები სავალდებულოდ მიაჩნია, ხოლო კერძო საკუთრების დაბრუნება კი პირიქით, აუცილებელ უფლებად. მაგრამ საფრანგეთს არა აქვს განზრახვა თავზე მოახვიოს რუსეთს ის პრინციპები, რომელნიც არღვევენ მის სუვერენიტეტს, მაგრამ მას საჭიროდ მიაჩნია, რომ უცხო სახელმწიფოებმა აუცილებლად დაიტოვონ თავისუფალი მოქმედების უფლება საკუთრების საკითხში, იმ სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ, რომელიც უარს ამბობს მისცეს უცხოელებს გარანტიები საფრანგეთის მიმართ სამხედრო ვალების საკითხში".

საფრანგეთის რეაქციული პრესა დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ინგლისის მთავრობის მემორანდუმის შინაარსის გამო. ფრანგული გაზეთი „ტანი" წერდა: „...ჩვენ საფრთხედ ვთვლით, რომ ინგლისის მემორანდუმი პირველ კანონიერ საფუძველს შექმნის საფრანგეთისა და საბჭოთა მთავრობას შორის სეპარატული მოლაპარაკებისათვის".

გენუის კონფერენციის გადაწყვეტილებამ, 1922 წ. ივნისში კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელსაც უნდა მოეგვარებინა საბჭოთა რუსეთსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სადავო საკითხები, ახალი გაშმაგებული შეტევა-გამოიწვია მთელი მსოფლიოს რეაქციულ, აგრესიულ ძალებში. მათ გენუის კონფერენციის დამთავრებისთანავე ჰააგის კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ, აქტიური შეტევა დაიწყეს, რათა მისი მოწვევა ჩაეშალათ ან წარმატებანი არ დაეშვათ. ამ შეტევაში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა ამერიკის იმპერიალიზმს. საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის და სხვ. ქვეყნების რეაქციულ ძალებთან მჭიდრო კავშირში ისინი საბჭოთა რუსეთის შემდგომ პოლიტიკურ და ეკონომიურ იზოლაციას მოითხოვდნენ. მათ სურდათ საბჭოთა ხელისუფლების კაპიტულაციამდე მიეღწიათ, აღედგინათ ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიული წყობილება და იგი თავიანთ ერთ-ერთ ნახევარკოლონიად გადაექციათ.

ჰააგის კონფერენციაზე გერმანია არ იყო წარმოდგენილი. ამის შესახებ, ჯერ კიდევ ადრე, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ ამბობდა: „ჰააგაში ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ, ვინაიდან ჩვენ მოვაგვარეთ ჩვენი ურთიერთობა აღმოსავლეთთან. ჩვენ თანაგრძნობით ვადევნებთ თვალყურს სხვების მუშაობას. ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენ მიერ გენუაში დაწყებულ მოქმედებას, შუამავლების მოქმედებას, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოისურვებენ".

ამრიგად, ჰააგაში წარმოდგენილი სახელმწიფოების პოზიციები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას.

საფრანგეთი საბჭოთა რუსეთში კერძო საკუთრების რესტიტუციას მოითხოვდა, ამიტომ მან ხელი არ მოაწერა 2 მაისის მემორანდუმს, რომლის ავტორები იყვნენ ინგლისი და იტალია. საფრანგეთი აგრეთვე მოითხოვდა საბჭოთა რუსეთში კონფისკაციაქმნილ უცხოეთის საკუთრების რეალურ კომპენსაციას, რაც ფაქტიურად რესტიტუციას ნიშნავდა.

ბელგია საფრანგეთის პოზიციაზე იდგა. არც ბელგიამ მოაწერა ხელი 2 მაისის მემორანდუმს. ასეთივე იყო მისი პოზიცია კონფერენციაზეც.

მართალია ინგლისი კომპენსაციას მოითხოვდა, მაგრამ მზადყოფნას გამოთქვამდა ემსჯელა საბჭოთა რუსეთთან კომპენსაციების ფორმებზე. ინგლისის მთავრობის აზრი გამოთქმული იყო 2 მაისის მემორანდუმში და 11 ივნისის ნოტაში

იტალია ინგლისის მხარეზე იყო. მან ინგლისთან ერთად ხელი მოაწერა 2 მაისის მემორანდუმს.

საბჭოთა რუსეთი არც რესტიტუციას და არც კონპენსაციას არ ცნობდა ისე, როგორც ამას დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვდნენ. იგი აგრეთვე უარს ამბობდა დასავლეთის ყოფილ მესაკუთრეების უფლებებზე რუსეთში უკვე კონფისკაციაქმნილ ქონებაზე. საბჭოთა რუსეთის მთავრობა მზად იყო თავისი შეხედულების მიხედვით მიეცა დასავლეთის მესაკუთრეებისათვის კონცესიებით (მათ ყოფილ საკუთრებაზე) სარგებლობის უფლება.

საბჭოთა დელეგაცია ჰაგაში 26 ივნისს ჩავიდა*.

საბჭოთა სახელმწიფოს ჰაგაში საკუთარი გეგმები ჰქონდა. ის ცდილობდა ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინა, რათა უზრუნველეყო და განემტკიცებინა ორი სიტემის ეკონომიური თანამშრომლობა, სადავო საკითხები მოეგვარებინა ურთიერთგაგებისა და თანასწორობის პრინციპზე, მთელს მსოფლიოში მშვიდობა განემტკიცებია. გამოხატავდა რა მზადყოფნას, სურდა თავისი დამოკიდებულება გაეუმჯობესებინა ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან, საბჭოთა მთავრობა. დადებითად ეკიდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობას ჰაგის კონფერენციაზე, ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში მათი ჩაურევლობისა და დიქტატის პოლიტიკაზე უარის თქმის პირობებში.

— საბჭოთა რუსეთი, — ამბობდა მ. მ. ლიტვინოვი 1922 წლის 23 მაისს გერმანიის სააგენტო „ოსტ-ექსპრესის“ წარმომადგენელთან საუბარში, — ჰაგის კონფერენციაზე მიესალმება ამერიკის მთავრობის მონაწილეობას, იმ შემთხვევაში თუ „ამერიკის მთავრობა საბჭოთა რუსეთს არ დაუწყებს კანონების კარნახს და მისი სოციალური წყობის შეცვლისაკენ მოწოდებას“.

საფრანგეთის რეაქციული პრესა აშკარა სიხარულს გამოთქვამდა საბჭოთა რუსეთისა და ჰაგის კონფერენციის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების შეურიგებელი პოზიციის გამო.

25 მაისს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი პარლამენტში გამოვიდა ვრცელი სიტყვით გენუის კონფერენციის შედეგების შესახებ.

ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა სულ უფრო მწვავდებოდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში შიშობდნენ თავიანთი თავი ჰაგის კონფერენციის აშკარა მტრად არ გამოევლინებინათ. ამიტომ ისინი ამ როლის საფრანგეთზე გადაკისრებას ფიქრობდნენ.

---

* საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ჰაგის კონფერენციაზე დელეგაციის თავმჯდომარედ დანიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე მ. მ. ლიტვინოვი.

იმ დროს, როცა მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან იუზისა და საფრანგეთის ელჩ ჟიუსერანის თათბირი ჰაგის კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ საერთო ზომების შესამუშავებლად, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესზე ძლიერი ბრძოლა გრძელდებოდა სენატორ ბორას მიერ შეტანილ რეზოლუციის გარშემო, რომელიც საბჭოთა მთავრობის ცნობას მოითხოვდა. კონგრესის, პრესისა და სხვა ორგანიზაციების ყველა რეაქციული წრეები ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ ბორას რეზოლუციის წინააღმდეგ, მიისწრაფოდნენ რა ჩაეშალათ მისი განხილვა და საბოლოო ანგარიშით ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა მთავრობის ცნობის განხილვა. დისკუსიის მსვლელობამ სენატში ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ანტისაბჭოთა პოლიტიკას საფუძვლად ღრმა კლასობრივი მიზეზები ედო. ჩაშალეს რა ბორას რეზოლუციის მიღება და საბოლოოდ უარყვეს მოკავშირეთა მიწვევა, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა გააძლიერეს თავისი შენიღბული მოქმედება, რომელიც მიმართული იყო ჰაგის კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ.

საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მტკიცე თანამშრომლობამ ჰაგის კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ ბრძოლაში ნათელი გამოვლინება ჰპოვა პუანკარეს მემორანდუმში, რომლითაც მან ჰაგაში ყველა მოწვეულთ მიმართა. ამ მემორანდუმში პუანკარე შეეხო იმ პირობებს, რომლის შემთხვევაში საფრანგეთი მონაწილეობას მიიღებდა ჰაგის კონფერენციაზე.

ამერიკის რეაქციული პრესა აშკარა კმაყოფილებით შეხვდა პუანკარეს მემორანდუმის გამოჩენას.

ჰაგაში გამგზავრების წინ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მ. ვ. ლიტვინოვმა გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტს მისცა ინტერვიუ, სადაც მომავალი კონფერენციის პერსპექტივების შესახებ ჩამოაყალიბა საბჭოთა მთავრობის შეხედულება: „ყოველ შემთხვევისათვის დელეგაცია ჰაგაში მიემგზავრება ისეთივე მტკიცე გადაწყვეტილებით, როგორც გენუაში, რათა დაიცვას რევოლუციის მონაპოვარი, მუშურ-გლეხური

მთავრობის სუვერენიტეტი და მშრომელი მასების ინტერესები".

არარუსული კომისია სამ ქვეკომისიად გაიყო: კერძო საკუთრების (თავმჯდომარე ლოიდ გრიმი, ინგლისიდან) ვალების (თავმჯდომარე ალფანი, საფრანგეთიდან) და კრედიტების (თავმჯდომარე ბარონი ავეტანი, იტალიიდან).

26 ივნისს არარუსული კომისიის თავმჯდომარე პატენთან (ჰოლანდია) საუბარი ჰქონდა მ. ლიტვინოვს, - რომელმაც პატენს განუცხადა, რომ რუსეთის დელეგაცია მცირერიცხოვანია და მისი გაყოფა შეუძლებელია, ამიტომ საბჭოთა რუსეთის დელეგაციამ ერთად უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველა ქვეკომისიის მუშაობაში. ამავე დროს მ. ლიტვინოვმა მოითხოვა მუშაობა კრედიტების ქვეკომისიიდან დაეწყოთ. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

ქვეკომისიების მუშაობის პერიოდში საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა გეგმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის გადაუდებელ საჭიროებისათვის კრედიტებს მოითხოვდა. კრედიტი გათვალისწინებული იყო სამი წლისათვის: 1923, 1924 და 1925. კრედიტების საერთო ჯამი, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა ოქროთი 3224 მილიონ მანეთს შეადგენდა.

ერთ-ერთი ქვეკომისიების თავმჯდომარემ ლოიდ გრიმმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ვერ შეძლებს მიიღოს როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, ისე კერძო კრედიტები ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყნიდან, სანამ რუსეთში კერძო საკუთრებისათვის უზრუნველყოფილი არ იქნება დამაკმაყოფილებელი პირობები.

ქვეკომისიის მუშაობამ, — თქვა შემდეგ ლოიდ გრიმმა, - კრედიტის კომისიას შესაძლებლობა უნდა მისცეს საბჭოთა დელეგაციას უპასუხოს კითხვებზე.

ჰაგის კონფერენცია შეუდგა რუსეთში უცხოელების კერძო საკუთრების პრობლემის განხილვას. საერთოდ, გენუის კონფერენციისაგან განსხვავებით, ჰაგის კონფერენციაზე ხდებოდა ატარებდა ორი კომისიის სახით, რომელთაგან ერთს „რუსული" ეწოდებოდა (მასში მონაწილეობას ღებულობდა კონფერენციის ყველა მონაწილე) და მეორეს „არარუსული"

კომისია, რომლის მუშაობაში არ მონაწილეობდა საბჭოთა დელეგაცია.

გენუის კონფერენციისაგან ჰაგის კონფერენციის მეორე განმასხვავებელი ნიშანი იყო, რომ ჰაგაში მოწვეული იყვნენ არა პრემიერ-მინისტრები და საგარეო საქმეთა მინისტრები, არამედ უმთავრესად საქმოსანი წრეების წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ დაინტერესებული იყვნენ რუსეთში უცხოეთის საკუთრების საკითხით. ასეთი საქმოსანი წრეების წარმომადგენელი იყო ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე ლესლი ურკვარტი, ყოფილი მესაკუთრე რუსეთში; ბელგიის დელეგაციის მეთაური — კატიე, საფრანგეთის დელეგაციის მეთაური — ალფანი ასევე სხვა ყოფილი მესაკუთრეები რუსეთში.

1922 წლის 29 ივნისს შედგა არარუსული ქვეკომისიისა (ცერძო საკუთრების) და რუსული კომისიის გაერთიანებული სხდომა, რომელსაც ინგლისის წარმომადგენელი ფილიპ ლოიდ გრიმი თავმჯდომარეობდა. მან კომისიაზე განსახილველად წამოაყენა შემდეგი საკითხები: ყოფილ მესაკუთრეებისადმი მათი საწარმოების ან ქონების დაბრუნება: ა) სამრეწველო და სავაჭრო საწარმოები და ბ) უძრავი საკუთრება.

საბჭოთა დელეგაციისადმი უცხოეთის ყოფილი საკუთრების მთლიანად და ნატურით დაბრუნების შესახებ საკითხის დაყენება შეუძლებელს ხდიდა მის შესრულებას, რადგან ზოგიერთი საწარმო ფიზიკურად უკვე არ არსებობდა.

ამ მიუღებელ მოთხოვნას, საბჭოთა დელეგაციამ მომპოვებელი და დამმუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმოების, რომლებიც კონცესიების სახით საბჭოთა მთავრობას უცხოეთის მრეწველებისათვის უნდა გადაეცა, დიდი სია დაუპირისპირა.

ჰაგის კონფერენციის პირველ სხდომას - მეორე სხდომა მოჰყვა, მეორეს მესამე და ა. შ. მაგრამ მხარეების დაახლოება მაინც ვერ ხერხდებოდა. ჰაგის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციამ საბჭოთა რუსეთისადმი კრედიტების მიწოდების შესახებ სპეციალური მემორანდუმი წარადგინა. საბჭოთა დელეგაციის ეს მემორანდუმი კრედიტების კომისიას გადაეცა-

ლიტვინოვის მიერ წარდგენილი მემორანდუმი დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი და მან სავსებით ხელსაყრელი შთაბეჭდილება დასტოვა. როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელი კრედიტების რაოდენობამ ოქროთი 3 მილიარდ 224 მილიონი მანეთი შეადგინა. ამ საერთო ჯამიდან ტრანსპორტის აღსადგენად ნაანგარიშევი იყო 1 მილიარდ 50 მილიონი მანეთი, მრეწველობის სხვადასხვა დარგის აღსადგენად — 750 მილიონი მანეთი, მიწათმოქმედების საჭიროებისათვის — 904 მილიონი მანეთი და დასასრულს, საბანკო სისტემის აღსადგენად და მანეთის სტაბილიზაციისათვის — 520 მილიონი მანეთი. ლიტვინოვს ამ ციფრებთან ერთად მოჰყავდა დეტალური განმარტება, რომლის დროსაც ის განსაკუთრებულად ეხებოდა მრეწველობის სხვადასხვა დარგს; მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს კრედიტები უშუალოდ სახელმწიფოს უნდა მიეცეს, რადგან წარმოდგენილი ციფრები საჭირო თანხების მინიმუმს წარმოადგენენ.

მემორანდუმის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ ავეტანამ კმაყოფილება გამოთქვა ამ ცნობების შესახებ და აღნიშნა, რომ მოკავშირეთა დელეგაციებს კიდევ სურთ მიიღონ ზოგიერთი დამატებითი განმარტებანი. ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა მიმართეს ლიტვინოვს შემდეგი კითხვებით: თვითონ რუსეთის სახელმწიფო მიიღებს თუ არა მონაწილეობას მრეწველობის აღდგენაში და როგორ ისარგებლებენ კრედიტებით კერძო მრეწველები და უცხოელი კონცესიონერები; უმთავრესად რუსეთის რომელ რაიონებში დაიწყება მრეწველობის ასაღორძინებელი მუშაობა, და დასასრულ, რომელი სისტემით იქნება დახარჯული მე-4 ჯგუფში აღნიშნულნი კრედიტები.

ბელგიის დელეგატმა განაცხადა: თუ რუსეთი ფულებს ითხოვს, მაშინ მან დეტალური ცნობები უნდა მოგვცეს რუსეთის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, რომლის აღსადგენათაც საჭიროა ამოდენა თანხა, ლიტვინოვმა თავის საპასუხო სიტყვაში ადვილად გააქარწყლა ბელგიელის უტაქტო გამოსვლა და აღნიშნა, რომ მას შეუძლია ძალიან ვრცლად და დეტალურად გააშუქოს ის მიზეზები, რომლებმაც რუსეთის

მრეწველობა მიიყვანეს დღევანდელ მდგომარეობამდე. მაგრამ ფიქრობს, რომ ბელგიელისათვის არ იქნებოდა სასიამოვნო ამ მიზეზების აქ აღნიშვნა. საკმარისია მოკლედ აღვნიშნოთ, განაცხადა ლიტვინოვმა, რომ ის ზარალი, რომელიც რუსეთის სახალხო მეურნეობას ინტერვენციამ მიაყენა, 39—50 მლრდ მანეთს უდრის.

კერძო საკუთრების ქვეკომისიის სხდომის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ნაკლებად იყო მოსალოდნელი მიღწეულიყო რაიმე პრაქტიკული შედეგები. ხედავდნენ რა კონფერენცია ჩიხში შედიოდა, არარუსული კომისიის ცალკეული წევრები საბჭოთა დელეგაციასთან კერძო მოლაპარაკებებზე წავიდნენ. ამ მოლაპარაკებების დროს ისინი ცდილობდნენ მიეღოთ პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. საკონცესიოდ წარმოდგენილი სია არის თუ არა საბოლოო და თუ მოსალოდნელია მისი გაფართოება.

2. საბჭოთა მთავრობა მზად არის თუ არა ამა თუ იმ ფორმაში დაუბრუნოს უცხოელებს საბჭოთა რუსეთში უკვე კონფისცირებული ქონება. დასმულ კითხვებზე საბჭოთა დელეგაციამ შემდეგი პასუხი გასცა: 1. კონცესიების სია შეიძლება გაფართოებულ იქნას, 2. კერძო საკუთრების რესტიტუციაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იყოს. ამასთან საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ ის მზად არის ილაპარაკოს ამა თუ იმ ფორმაში ყოფილ უცხოელ მფლობელთათვის კომპენსაციაზე.

საბჭოთა დელეგაციის განცხადება მოლაპარაკების გაგრძელების და პრაქტიკული შედეგების მიღწევის ბაზას ქმნიდა. კონცესიის საკითხებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებით, რომელიც მან 1920 წლის 21 დეკემბერს სრულიად-რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე მოგვცა. ამ მითითებით ჩვენ მზად ვიყავით კონცესიები უცხოელებისათვის ურთიერთ ხელსაყრელ პირობებში მიგვეცა.

ჰაგაში კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა უკან დაიხიეს გენუაში შეთანხმებული გადაწყვეტილებებიდან, ხოლო ეს გადაწყვეტილებები მიუთითებდა, რომ — თუ საბჭოთა რუსე-

თი უკან წაიღებს თავის კონტრპრეტენზიებს, მაში უცხოეთის მთავრობები მზად არიან მას ფინანსური დახმარება გაუწიონ, კრედიტების ან სესხების სახით. საბჭოთა დელეგაცია კი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლები ამით ჰაგის კონფერენციის საფუძვლებს არღვევენ.

13 ივლისს, არარუსულმა კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო საბჭოთა დელეგაციასთან მოლაპარაკების საბოლოოდ შეწყვეტის შესახებ. მოლაპარაკებათა შეწყვეტაზე ასეთი ნაჩქარევი გადაწყვეტილების მთავარ და ძირითად მიზეზს წარმოადგენდა საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ბელგიის იმპერიალისტური ძალების შიში სეპარატული შეთანხმების წინაშე, რომელიც შეიძლებოდა დადებულიყო საბჭოთა რუსეთსა და ცალკეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, მათ ტრესტებს, სინდიკატებსა და კერძო პირებს შორის.

თითქმის სამკვირიანმა დისკუსიამ შედეგი არ გამოიღო. 1922 წლის 19 ივლისს ჰაგის კონფერენცია უშედეგოდ დაიხურა. კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული წრეები არ იზღუდებოდნენ ჰაგის კონფერენციის მუშაობის ჩაშლით. ისინი ფიქრობდნენ რუსეთის პრობლემა საბჭოთა წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე გადაეწყვიტათ. მოლაპარაკებაში ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა ჩარევამ კიდევ უფრო გააძლიერა ჰაგის კონფერენციის კრიზისი. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებიც მტრულად ეკიდებოდნენ საბჭოთა რუსეთთან კაპიტალისტური ქვეყნების ნორმალურ, საქმიან ურთიერთობას, იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური იზოლაცია მას უსათუოდ მიიყვანს კაპიტულაციამდე და ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენამდე.

ამერიკის შეერთებული შტატები ყოველმხრივ მხარს უჭერდა საფრანგეთისა და ბელგიის შეურიგებელ პოზიციას. ამით ხელს უწყობდა ჰაგის მოლაპარაკებათა ჩაშლას. საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენელთა მეშვეობით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეძლო დიდი ზეგავლენა

მოეხდინა ჰაგის კონფერენციის მთელ მსვლელობაზე და საფრანგეთისა და ბელგიის მმართველ წრეებთან მჭიდრო კავშირში იგი ღრმა კრიზისამდე, ხოლო შემდეგ ჩაშლამდე მიიყვანა.

ბევრი ბურჟუაზიული გაზეთი ჰაგის კონფერენციის კრახზე წერდა და აღნიშნავდა, რომ იგი „ჩაიშალა კერძო საკუთრების საკითხებზე", ე. ი. რუსეთში ადრინდელ უცხოელ მფლობელთათვის მათი ქონების დაბრუნებაზე უარის გამო.

ჰაგის კონფერენციის მსვლელობისას 10 ივლისის შემდეგ მდგომარეობა განსაკუთრებით მკვეთრად შეიცვალა. თუ რით აიხსნებოდა აშკარა შებრუნება ჰაგის კონფერენციის მსვლელობაში 10 და 12 ივლისს შორის და საჩქაროდ მისი დახურვა, ცხადად ჩანს სახკომსაბჭოსადმი 1922 წლის 21 ივლისს საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილ მოხსენებაში, რომელიც მ. ლიტვინოვმა და ლ. კრასინმა წარადგინეს. მოხსენებაში მითითებულია ჰაგის კონფერენციის ორ პერიოდზე: 1) საბჭოთა რუსეთის დელეგაცია აწვდიდა საჭირო ინფორმაციებს კონფერენციის მონაწილეებს და 2) როცა საკითხების განხილვაზე, კონკრეტულ წინადადებებზე გადავიდნენ, არარუსული კომისიის მხრიდან თავი იჩინა მისწრაფებამ კონფერენცია ჩაშლილიყო. საქმე ის იყო, რომ კონფერენციის იმ მონაწილეებს, რომლებსაც არც კი უნდოდათ ჰაგის კონფერენციის მოწვევა, შეეშინდათ, რომ კონფერენციის შემდგომ გაგრძელებას შეიძლებოდა დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა შორის განხეთქილება მოჰყოლოდა. ამიტომ გადაწყვიტეს კონფერენციის მუშაობის შეწყვეტა. ამრიგად, ჰაგის კონფერენციამ მუშაობა ისე შეწყვიტა, რომ დასმული საკითხების განხილვა არ დაამთავრა და არც თავის წინაშე დასმული ამოცანები შეასრულა.

ჰაგის კონფერენციის შედეგები 26 ივლისს განიხილა ინგლისის პარლამენტმა. მომხსენებლები ლოიდ გრიმი და ლოიდ ჯორჯი შეეცადნენ, რომ კონფერენციის წარუმატებლობის დანაშაული საბჭოთა კავშირზე გადაეტანათ, რომელმაც, — როგორც ლოიდ გრიმმა განაცხადა, — „ეკონომიური ფაქტებისათვის არ ისურვა პირისპირ შეეხედა". ლო-

იდ ჯორჯმა გენუაზე თავისი წინანდელი პოზიციები 180°-ით მოაბრუნა. თუკი ის ადრე საბჭოთა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ამბობდა, ახლა საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. მისი აზრით, საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო აემუშავებინა ფაბრიკა-ქარხნები.

ვ. ი. ლენინი ამ პერიოდში განსაკუთრებით ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, რათა პარტიას არ გადაეხვია საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის პრინციპისათვის. ვ. ი. ლენინი შეუბრალებლად ამხელდა ბუხარინის კაპიტულანტურ წინადადებას, შეეცვალათ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია საბაჟო დაცვით.

გენუის კონფერენციის დამთავრების შემდეგ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ მ. ლიტვინოვმა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით და საგარეო საქმეთა მინისტრმა გირსამ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელით დადეს შეთანხმება (პირობით ხელი მოაწერეს შეთანხმებას), რომლის მიხედვითაც ჩეხოსლოვაკია სცნობდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლობას ჩეხოსლოვაკიაში, როგორც ერთადერთს რუსეთისა და უკრაინისას და ვალდებულებას კისრულობდა შეეწყვიტა ყოველგვარი ოფიციალური დამოკიდებულება იმ ორგანიზაციებთან და პირებთან, რომელნიც ბრძოლას აწარმოებდნენ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ორივე მხარე თანხმდებოდა ურთიერთგარანტიას იმის შესახებ, რომ დაიცავდნენ ნეიტრალიტეტს რომელიმე მათგანთან მესამე სახელმწიფოს კონფლიქტის შემთხვევაში. ორივე ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენლებს ყველა უფლებები და უპირატესობანი ეძლეოდათ, რომლითაც ჩვეულებრივ დიპლომატიური მისიები სარგებლობდნენ. შეთანხმების დანარჩენი მუხლები ეხებოდა საკითხებს, რომელნიც სავაჭრო, ეკონომიურ და სხვაგვარ ურთიერთობას აწესრიგებდნენ ამ ხელშეკრულების დამდე სახელმწიფოთა შორის.

ანტისაბჭოთა იმპერიალისტური გეგმების ჩაშლა ჰაგის კონფერენციაზე და სსრ კავშირის სპერთაშორისო ავტორიტეტის ზრდა კონფერენციის შემდეგ

როგორც ჰაგის, ისე ენუის კონფერენციაზე დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს საბჭოთა რუსეთისათვის თავზე მოეხვიათ კაბალური პირობები. მათი ცდა მიეღწიათ რუსეთში კერძო საკუთრების აღდგენისათვის და უკვე კონფისცირებული უცხოელი კაპიტალისტების საკუთრება მეპატრონეებისათვის დაებრუნებიათ მარცხით დამთავრდა.

ჰაგის კონფერენციის უშედეგოდ დამთავრების მთავარ მიზეზად დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები საბჭოთა დელეგაციის შეურიგებელ პოზიციას თვლიდნენ. ამას პირდაპირ ამბობდა კერძო საკუთრების ქვეკომისიის თავმჯდომარე ლოიდ გრიმი. მან განაცხადა: „ჰაგის გამოცდილებამ გვიჩვენა შეუძლებლობა საბჭოების მოქმედების გამო, მიგვეღწია კეთილსასურველი შედეგებისათვის. საბჭოების წარმომადგენლები ყველა თავიანთ გამოსვლებში ამტკიცებდნენ პრინციპებს და დოქტრინებს, რომლებიც შეუთავსებელი იყო დანარჩენ სხვა სამყაროში არსებულ პრინციპებთან...“.

ჰაგის კონფერენციამ მოულოდნელად შეწყვიტა მუშაობა. კონფერენციის დახურვა, მიუხედავად საბჭოთა დელეგაციის თანხმობისა წასულიყო შემდგომ დათმობებზე, აიხსნებოდა კულისებში მყოფ ძალთა ზეგავლენით, უმთავრესად ნავთის მეფეთა ზეგავლენით. ჰენრ დეტერდინგმა ერთიანი კონსორციუმის შექმნის იდეა წამოაყენა, რომელიც ნავთის ყველა კონცესიებს რუსეთში მთლიანად აიღებდა. დეტერდინგმა საფრანგეთ-ბელგიის სინდიკატს შესთავაზა მონაწილეობა მიეღო ამ კონცესიაში.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ფრანგებმა დათმეს და გადაწყვიტეს დეტერდინგთან შეთანხმებაზე წასულიყვნენ, მაგრამ აქ გადაჭრით ერეოდნენ „სტანდარტ ოილის“ წარმომადგენლები. ბელგიის დელეგატი კატიე ჰაგის კონფერენციაზე არაერთხელ ეწვია ამერიკის ელჩს ჰაგაში. 20 ივლისს კატიემ კონფერენციაზე შეიტანა რეზოლუცია, რომლის თანა-

ხმად უცხოელ კაპიტალისტებს თავი უნდა შეეკავებინათ საბ-ჭოთა რუსეთში კონცესიების მიღებისაგან, იმ ობიექტებზე, რომლებიც რევოლუციამდე უცხოელს ეკუთვნოდა, თუ ეს შეთანხმებული არ იქნებოდა მათ ადრინდელ მფლობელებთან.

წარადგინა რა თავისი რეზოლუცია, კატიემ დაუმატა რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც წარ-მოდგენილი არ იყო კონფერენციაზე, რეზოლუციას იწონებს და მას დაავალა ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთოს. რეზოლუცია მიღებულ იქნა. ამრიგად, დეტერდინ-გის მანევრი ამერიკის კომპანიის „სტანდარტ ოილის" მიერ ჰააგის კონფერენციაზე საფრანგეთ-ბელგიის დელეგატთა დახ-მარებით ჩაიშალა. ჰააგის კონფერენციიდან იმპერიალისტებმა ვერავითარი დადებითი შედეგები ვერ გამოიტანეს: ვერ შეძ-ლეს ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა.

საბჭოთა დელეგაცია ჰააგის კონფერენციის მუშაობის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ სახკომსაბჭოსადმი წარდგენილ თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: „...კონფერენ-ციამ მუშაობა შეწყვიტა ნაადრევად ისე, რომ არ დაამთავრა თავისი მუშაობა და არ შეასრულა მის წინაშე მდგარი ამოცა-ნები, მაგრამ რუსეთის დელეგაცია მტკიცედაა დარწმუნებუ-ლი, რომ ეს ამოცანები უახლეს მომავალში ჰპოვებენ თავიანთ გადაჭრას საბჭოთა რუსეთისათვის სხვა, თუ უკეთესი არა, არანაკლებ ხელსაყრელი გზით".

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა ჰააგის კონფერენციაზე, ვერ მიაღწია შეთანხმებას სესხების მიღების საკითხზე, მაგრამ მისი ღირსება და ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიტი წერდა, რომ ბოლშევიზმმა ამჯობინა უარი ეთქვა ყოველგვარ კრედიტზე, მაგრამ არც გაჰყიდა და არც შეზღუდა თავისი თავისუფლება უცხოელე-ბის სასარგებლოდ. რუსეთმა გადალახა საშინელი სიძნელეები, რომლებიც კაპიტალისტურ სახელმწიფოებს უნდოდათ მის-თვის თავზე მოეხვიათ. ბოლშევიკურმა სისტემამ შეძლო და-პირისპირებოდა ევროპის პლუტოკრატიას, რომელმაც შეძლო ევროპის სახელმწიფოებისათვის თავზე მოეხვია კაპიტულაცი-ის რეჟიმი.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის დაკაბალების იმპერიალისტური გეგმები ჩაიშალა. საბჭოთა მთავრობის მყარმა პოზიციამ უზრუნველყო საბჭოთა რუსეთის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება. გენუისა და ჰააგის კონფერენციების შემდეგ საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა განაგრძობდა განმტკიცებას. ამას დიდად უწყობდა ხელს საბჭოთა მთავრობის ლენინური მტკიცე საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეებისათვის ისეთი იყო ჰააგის კონფერენციის შედეგი, როგორიც გენუის კონფერენციისა. გენუისა და ჰააგის კონფერენციებმა დაადასტურეს, რომ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომით გამოწვეული კრიზისი არამცთუ არ ნელდება, არამედ ღრმავდება. ეს გარემოება აიძულებდა დასავლეთის სახელმწიფოებს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის ეძიათ ჩიხიდან გამოსავალი, ვინაიდან დასავლეთში უკვე ბევრს ესმოდა რუსეთის მნიშვნელობა ევროპის მეურნეობის აღდგენისათვის.

რაკი ძალით ვერ შეძლეს რუსეთი თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ, მისი ბუნებრივი სიმდიდრეები და რუსეთის ბაზარი ხელში ჩაეგდოთ, დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობები იძულებული შეიქნენ საბჭოთა რუსეთთან შეთანხმებაზე მოლაპარაკება დაეწყოთ. მაგრამ გენუაში დასავლეთის სახელმწიფოებსა და საბჭოთა რესპუბლიკას აგრეთვე თვით კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებამ შეუერიგებელი წინააღმდეგობანი გამოააშკარავა.

ლოიდ ჯორჯსა და დასავლეთის სხვა ზოგიერთ წარმომაღგენელს გენუაში საბოლოოდ იმედი არ დაუკარგავს. მათ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ საბჭოთა რუსეთის მიმართ თავიანთ მიზნებს მიაღწევდნენ. ამიტომ მოიწვიეს ჰააგის კონფერენცია. უფრო სწორად გენუის კონფერენციის მუშაობა ჰააგაში გაგრძელეს. გენუის კონფერენციის დამთავრებიდან ჰააგის კონფერენციის დაწყებამდე დრო ორივე მხარემ თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა.

გენუაში კონფერენციის დამთავრებისას ანტანტის მმარ-

თვეულ წრეებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში, ჰააგის კონფერენციის დაწყებამდე, საბჭოთა რუსეთს შიმშილი და სახალხო მეურნეობის ნგრევა ბოლოს მოუღებდა. ყოველ შემთხვევისათვის საბჭოთა რუსეთი საგრძნობლად დასუსტდებოდა. ამის შემდეგ იგი ჰააგაში უფრო მორჩილი გახდებოდა. მაგრამ იმპერიალისტების სამწუხაროდ, საბჭოთა რუსეთი კიდევ უფრო განმტკიცდა და ჰააგის კონფერენციაზე უფრო ძლიერი წარსდგა, ვიდრე გენუაში იყო. კარგი მოსავლით ზურგგამაგრებული რუსეთი, რომელმაც სამოქალაქო ომის ცეცხლი და სიძნელეები გადაიტანა, ჰააგაში უფრო მტკიცედ გრძნობდა თავს.

გენუისა და ჰააგის კონფერენციებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდათ ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდისათვის. ამ კონფერენციებზე ახალგაზრდა რესპუბლიკამ მთელ მსოფლიოს დაანახვა თავისი საგარეო პოლიტიკის პრინციპულობა, რომელიც ახალი იყო მსოფლიოსათვის. საბჭოთა დელეგაციამ ჰააგის კონფერენცია იმისათვის გამოიყენა რომ დასავლეთის ქვეყნებისათვის გაეცნო საბჭოთა რუსეთის ფინანსური და ეკონომიური მდგომარეობა. ამ გარემოებამ შემდგომში ხელი შეუწყო საბჭოთა რუსეთთან შეთანხმებების დადებას სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან.

თუ გენუასა და ჰააგაში ვერ მოხერხდა საერთო შეთანხმება, ერთი მხრივ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საბჭოთა რუსეთს შორის, სამაგიეროდ გენუამ და ჰააგამ მეორე გზა გამონახეს — გზა საბჭოთა რუსეთთან ცალკეული შეთანხმებებისა, რაც გერმანიამ გააკეთა, და გზა ცალკეულ კერძო კაპიტალისტურ ჯგუფებთან შეთანხმებისა.

ჰააგის კონფერენციის ჩაშლის საქმეში მთავარი როლი შეასრულა საფრანგეთმა, რომლის ზურგს უკან ისევ ამერიკა იდგა. ინგლისისა და იტალიის პოზიცია შედარებით ლოიალური იყო.

საბჭოთა დელეგაცია დარწმუნებული დაბრუნდა ჰააგის კონფერენციიდან, რომ რუსეთი, რომელიც საკუთარ რესურსებს ეყრდნობოდა, გამარჯვებული გამოვიდოდა თავისი ეკონომიური ცხოვრების აღდგენაში.

რკპ(ბ) მე-12 კონფერენციაზე, 1922 წლის აგვისტოში, საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ „—კონფერენცია იწონებს იმ ხაზს, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ატარებს საგარეო პოლიტიკის წარმართვის დარგში, და კმაყოფილებას გამოთქვამს გენუასა და ჰააგაში რსფსრ-ის დელეგაციების პოზიციის გამო. კონფერენცია, გენუისა და ჰააგის კონფერენციების შედეგთან დაკავშირებით, მიაქცევს პარტიის ყველა წევრის ყურადღებას იმას, რომ აუცილებელია მთელ ძალებსა და მთელ ენერგიას თავი მოვუყაროთ სახალხო მეურნეობის განმტკიცების, საერთოდ მშრომელთა და განსაკუთრებით მუშათა კლასის უზრუნველყოფის და რსფსრ-ის თავდაცვისუნარიანობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საკითხებზე"[1].

1922 წლის დეკემბერს გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — სსრ კავშირის — შექმნა. ამ აქტს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ საბჭოთა რესპუბლიკები ერთიან ლენინურ ოჯახში.

1922 წლის ოქტომბრისათვის იაპონელი ინტერვენტები განდევნილ იქნენ შორეული აღმოსავლეთიდან. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა შემოუერთდა საბჭოთა რუსეთს.

1922 წლისა 12 ივნისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ მ. ლიტვინოვმა, საბჭოთა მთავრობის სახელით, ესტონეთის, ფინეთის, ლატვიისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს წინადადებით მიმართა, რომ მოსკოვში მოწვეულიყო კონფერენცია და შეიარაღების შემცირების საკითხი განეხილათ. საპასუხო ნოტებში ფინეთის, ლატვიის, ესტონეთის და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოთქვეს თავიანთი მთავრობების მზადყოფნა აღნიშნული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით მონაწილეობა მიეღოთ კონფერენციაზე.

1922 წლის დეკემბერს საბჭოთა მთავრობის ინიციატივით

---

[1] სკკპ ყრილობის, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების, რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, 1954, გვ. 872.

მოსკოვში მოწვეულ იქნა განიარაღების კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა რუსეთი, პოლონეთი, ფინეთი, ესტონეთი, ლიტვა და ლატვია. რუმინეთის მთავრობამ სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიეღო მოსკოვის კონფერენციაზე, მაგრამ ამისათვის საბჭოთა რუსეთის მთავრობას უნდა ეცნო ბესარაბიის მიტაცება რუმინეთის მიერ, საბჭოთა მთავრობამ არ მიიღო რუმინეთის მთავრობის ეს წინადადება.

მოსკოვის კონფერენციაზე პოლონეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რუმინეთის მთავრობისაგან შეა აქვს რწმუნება დაიცვას მისი ინტერესები, მაგრამ მოსკოვის კონფერენცია ისე დამთავრდა, რომ ასეთი რწმუნება პოლონეთის მხარეს არ წარუდგენია.

მოსკოვის კონფერენციაზე ორი ერთიერთმოწინააღმდეგე აზრი დაუპირისპირდა ერთმანეთს; პოლონეთ-ბალტიისპირეთის ბლოკი, რომელსაც ფაქტიურად შეირაღების შემცირება არ სურდა, და საბჭოთა რუსეთი, რომელიც რეალურად იბრძოდა შეიარაღების შემცირებისათვის.

საბჭოთა დელეგაციის წინადადება მოითხოვდა: 1) წელიწადნახევრის ან ორი წლის განმავლობაში 75%-ით შეემცირებინათ კონფერენციაზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა არმიები, ხოლო თვითონ საბჭოთა კავშირი თანახმა იყო წითელი არმიის რიცხვი 800 ათასიდან 200 ათასამდე შეემცირებინა; 2) დაშლილიყო რეგულიარული სამხედრო ნაწილები (მიუცკორები ფინეთში და სხვ.); 3) სამხედრო ხარჯები იმდენად შეემცირებინათ, რომ არც ერთ სახელმწიფოს სამხედრო მიზნებისათვის ზუსტად განსაზღვრულ თანხაზე მეტი არ დაეხარჯა; 4) დაედგინათ საზღვრებზე ნეიტრალური ზონები. სადაც არ იქნებოდა სამხედრო ნაწილები. მართალია, საბჭოთა დელეგაციის ასეთი წინადადებები არ მიიღეს, მაგრამ თვით კონფერენციის მოწვევის ფაქტს დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ კიდევ ერთხელ იქნა დემონსტრირებული საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა. და მხილებულ იქნა ჩვენი მეზობლების სურვილი არ წასულიყვნენ თავიანთი არმიის ნამდვილ შემცირებაზე.

მალე, გენუისა და ჰაგის კონფერენციების შემდეგ ლოზა-

ნაში მოწვეულ იქნა ახალი კონფერენცია, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის საკითხები, მათ შორის, განსაკუთრებით, შავი ზღვის სრუტეების საკითხები უნდა გადაეწყვიტა. ამ კონფერენციაზე საბჭოთა კავშირისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო შავი ზღვის სრუტეების საკითხი, რამდენადაც მას უშუალო ეკონომიური და სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის. საბჭოთა პროგრამა ამ საკითხში ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა. 1922 წლის 27 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა, ინგლისური გაზეთების „ობსერვერისა" და „მანჩესტერ გარდიანის" კორესპონდენტ ფარბმანისადმი მიცემულ ინტერვიუში განაცხადა „ჩვენი პროგრამა სრუტეების თაობაზე (ჯერჯერობით რა თქმა უნდა, დაახლოებითი) შეიცავს, სხვათაშორის: ჯერ ერთი, თურქეთის ნაციონალურ მისწრაფებათა დაკმაყოფილებას... მეორე, ჩვენი პროგრამა შეიცავს სრუტეების დაკეტვას ყველა სამხედრო გემისთვის როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს. ეს შეადგენს ყველა სახელმწიფოს უშუალო უახლოეს სავაჭრო ინტერესს, არა მარტო იმ სახელმწიფოებისას, რომელთა ტერიტორიაც უშუალოდ ეკვრის სრუტეებს, არამედ ყველა დანარჩენისაც... მესამე, ჩვენი პროგრამა სრუტეების თაობაზე მოითხოვს სავაჭრო ნაოსნობის სრულ თავისუფლებას"[1].

ბუნებრივია, რომ უფრო გვიან წლებში, როცა მთელ საერთაშორისო ვითარებაში დიდი ცვლილებები მოხდა, საბჭოთა კავშირმა მოითხოვა, რომ სრუტეები ღია ყოფილიყო შავი ზღვის მოსაზღვრე ქვეყნების გემების გასასვლელად. სრუტეების საკითხის გადაწყვეტის ლენინური პროგრამა შავ ზღვაზე უზრუნველყოფდა საბჭოთა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებსა და უშიშროებას. ცნობილია, რომ 1919—1920 წლებში შავი ზღვის სრუტეები ანტანტის ქვეყნების მიერ გამოყენებული იყო ანტისაბჭოთა ინტერვენციისათვის. ამასთან საბჭოთა წინადადებები მთლიანად პასუხობდნენ თურქეთის უშიშროების ინტერესებს, იმპერიალისტებისაგან მის ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 455—457.

ვ. ი. ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს პოზიციას სრუტეების საკითხში განუყრელად უკავშირებდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მშვიდობისათვის ბრძოლას: იგი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული მთავრობების პაციფისტური ფრაზები, ლაპარაკი მშვიდობის განმტკიცებაზე განსხვავდება მათი მზადყოფნისაგან გადადგან თუნდაც ერთი ნამდვილი ნაბიჯი მშვიდობის უზრუნველსაყოფად: „ჩვენ კი გვსურს როგორც ამ, ისე ამგვარ საკითხებში დავინახოთ რაც შეიძლება ნაკლები ზოგადი განცხადებები, საზეიმო დაპირებები, მაღალფარდოვანი ფორმულები და რაც შეიძლება მეტი უაღრესად უბრალო, უაღრესად ნათელი გადაწყვეტილებები და ზომები, რომლებიც მართლაც გამოიწვევდნენ მშვიდობას, ომის საფრთხის სრულ მოსპობაზე რომ არაფერი ვთქვათ“[1].

ლოზანის კონფერენციაზე იმპერიალისტური სახელმწიფოები იბრძოდნენ თავიანთი სამხედრო გემების სრუტეებში გასვლის თავისუფლებისათვის როგორც საომარ, ისე მშვიდობიან პერიოდში. იმპერიალისტებმა შეძლეს თავიანთი პროექტი გაეყვანათ სრუტეების შესახებ ლოზანას კონფერენციაზე, იმიტომ, რომ თვითონ თურქეთის მმართველი წრეები დასავლეთის სახელმწიფოების მხარეზე აღმოჩნდნენ.

თურქეთი დათანხმდა ინგლისელ იპერიალისტთა წინადადებას — სრუტეებში თავისუფლად გასვლის უფლება მიეცათ ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის როგორც საომარ, ისე მშვიდობიან პერიოდში. ამას მოითხოვდნენ აგრეთვე ამერიკის იმპერიალიზმის წარმომადგენლებიც. ლოზანის კონფერენციაზე ამერიკელი ჩაილდი, ისეთივე მოურიდებლობით, როგორც ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი კერზონი, ამერიკის სამხედრო გემების თავისუფალი გასვლის უფლებას მოითხოვდა შავი ზღვის სრუტეებზე. იგი ამბობდა: „ჩვენ არ ვიქნებით დაკმაყოფილებული, თუ ჩვენი სამხედრო გემები ვერ შეძლებენ განახორციელონ თავიანთი მშვიდობიანი მიზნები, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ჩვენი მოქალაქეები და ჩვენი სამხედრო ხომალდები“.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 456 — 457.

მაგრამ საინტერესოა რა „მშვიდობიანი“ მიზნები აინტერესებდა იმპერიალისტების წარმომადგენელს შავი ზღვის სრუტეების რაიონში. შემდგომ თავის გამოსვლებში ჩაილდმა აზრი უფრო დააზუსტა შავი ზღვის სრუტეების რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფების შესახებ. იგი ამბობდა, რომ ამერიკის სამხედრო ხომალდების გასვლა შავი ზღვის სრუტეებში საჭირო იყო „პოლიციური“ ზომებისათვის, „ამ რაიონში წესრიგის დაცვისათვის“.

საბჭოთა დიპლომატიამ ლოზანის კონფერენციაზე შეასრულა ვ. ი. ლენინის მიერ დასმული ამოცანა. გარკვევით და აშკარად თქვა მასების წინაშე, საბჭოთა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დარღვევის შესახებ თუ ვინ აგებდა პასუხს. ლოზანამ უჩვენა, რომ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს და ვერასოდეს შეძლებდნენ ახლო აღმოსავლეთის პრობლემები გადაეწყვიტათ საბჭოთა რუსეთის გარეშე. სრუტეების შესახებ ლოზანაში მიღებული კონფერენციის რატიფიკაციაზე საბჭოთა მთავრობის უარის თქმა ხაზს უსვამდა იმას, რომ საბჭოთა კავშირს არა აქვს განსაზღვრული დაემორჩილოს იმპერიალისტური ქვეყნების კარნახს და მტკიცედ დაიცავს თავის სასიცოცხლო ინტერესებს და მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში.

1922 წლის ბოლოს საერთაშორისო ვითარება ძლიერ გამწვავდა. მომავალი ელჩექის ცენტრი რურის ბასეინში იმყოფებოდა, რომლის ოკუპაციას პუანკარეს მთავრობა ამზადებდა. ამ ვითარებაში საბჭოთა კავშირი მთელი ენერგიით და გაბედულობით განაგრძობდა მშვიდობისათვის ბრძოლას, საკუთარი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს იცავდა იმპერიალისტების თავდასხმისაგან. საბჭოთა მთავრობის მშვიდობისათვის ბრძოლის საუკეთესო მაჩვენებელი იყო საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობის 1922 წლის 27 დეკემბრის მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებისადმი. ეს მსოფლიოს ხალხებისადმი მოწოდება დროული იყო.

1923 წლის იანვარში საფრანგეთისა და ბელგიის ჯარებმა რურის ოკუპაცია დაიწყეს, მაშინ როდესაც ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და გერმანიის

მთავრობები კულისებში თამაშობდნენ. გაჩაღებულ ცეცხლზე ბენზინს ასხამდნენ, საბჭოთა ქვეყანამ გერმანელი ხალხის დასაცავად, მშვიდობის დასაცავად იმპერიალისტების ავანტიურის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა.

1923 წლის 13 იანვარს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართვა გამოაქვეყნა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი საფრანგეთის მიერ რურის ოლქის ოკუპაციასთან დაკავშირებით.

საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამხელდა საფრანგეთის აგრესიულ მოქმედებას, აგრეთვე ნიღაბს ხდიდა ინგლისის, იტალიის, ბელგიისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის სხვა მოკავშირეებს, რომლებმაც რურის დაპყრობაში ან აქტიური მონაწილეობა მიიღეს ან ცარიელი სიტყვიერი პროტესტებით დაკმაყოფილდნენ.

საბჭოთა კავშირმა გერმანიის მშრომელებს პოლიტიკური, მორალური და მატერიალური მხარდაჭერა აღმოუჩინა. საბჭოთა ქვეყნის მოსისხლე მტრები — იმპერიალისტები კვლავ ცდილობდნენ მისი ძალა მოესინჯათ. ისინი უარს როდი ამბობდნენ ახალი ანტისაბჭოთა ინტერვენციაზე, მაგრამ საბჭოთა კავშირი არც თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით, არც თავისი საგარეო პოლიტიკით ამის საბაბს არ იძლეოდა. საბჭოთა კავშირის უბოროტესმა მტერმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა იუზმა შორიგი ოფიციალური განცხადება გააკეთა საბჭოთა კავშირის არცნობის შესახებ. იუზი თავხედურად მოითხოვდა, რომ საბჭოთა მთავრობას გაეუქმებინა დეკრეტი სესხების შესახებ. ეცნო მეფისა და დროებითი მთავრობის ვალები და უარი უთქვა „პროპაგანდაზე“ კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ინგლისის კონსერვატორები ხშირად ბაძავდნენ ამერიკის მმართველ წრეებს ანტისაბჭოთა მოქმედებაში.

იმპერიალისტური ძალები მხოლოდ საბაბს ეძებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსასვლელად. 1923 წლის 8 მაისს საბჭოთა მთავრობას ინგლისის მთავრობამ პროვოკაციული ნოტა გამოუგზავნა, რომელსაც „კერზონის ულტიმატუმს“ უწოდებენ. ამ ნოტაში ინგლისის მთავრობა შეგნებუ-

ლად ყალბი მონაცემების საფუძველზე საბჭოთა მთავრობას ბრალს დებდა ანტიბრიტანულ პროპაგანდაში შუა და ახლო აღმოსავლეთში, ამასთან დაკავშირებით მოითხოვდა საბჭოთა წარმომადგენლების გამოწვევას ირანიდან, ავღანეთიდან, აგრეთვე კომპენსაციას საბჭოთა კავშირში დაპატიმრებულ ინგლისელი ჯაშუშების ზარალისათვის და მათ დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. საბჭოთა მთავრობას წინადადება ეძლეოდა ყველა ეს მოთხოვნა 10 დღის ვადაში შეესრულებინა ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე. ინგლისს ამ ულტიმატუმით სურდა საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტი შეემცირებინა აღმოსავლეთში და იქ ბრიტანეთის იმპერიალიზმის ძლიერ შერყეული პრესტიჟი აღედგინა.

ულტიმატუმი „გამაგრებულ" იქნა ინგლისის სამხედრო მისიის რუმინეთში, ვარშავაში, გამანადგურებელთა ჯგუფის— დარდანელში, — სამხედრო გემებისა—ბალტიისა და თეთრ ზღვებში, მურმანსკის წყლებში გაგზავნით. ბურჟუაზიულმა პრესამ დაიწყო შეუპოვარი ანტისაბჭოთა კამპანია. ულტიმატუმის 2 დღის შემდეგ, 1923 წლის 10 მაისს ლოზანაში უცხოეთის იმპერიალისტების დაქირავებული, თეთრგვარდიული კონრადის მიერ მოკლულ იქნა შესანიშნავი ბოლშევიკი, ერთ-ერთი პირველი საბჭოთა დიპლომატი, ვ. ვ. კოროვსკი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდი კერზონის ულტიმატუმი და ვ. ვ. ვოროვსკის მკვლელობა შვეიცარიაში ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იყო. ამ ორი აქტის მიზანი იყო საერთაშორისო რეაქციული ძალების ახალი გაერთიანება და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმართვა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ამერიკის რეაქციული პრესა და ამერიკის შრომის ფედერაციის მეთაურები, მუშათა კლასის გამყიდველები აქტიურად უჭერდნენ მხარს კერზონის ულტიმატუმს და ცდილობდნენ, საბჭოთა კავშირის კონფლიქტი ინგლისთან რაც შეიძლება მეტად გაეჩაღებინათ. მაგრამ იმპერიალისტების იმედები აეძულებინათ საბჭოთა კავშირი დასავლეთის სახელმწიფოების დიქტატს გაჰყოლოდა, უსიტყვოდ შეესრულებინა მათი ბრძანებები, ისევ

მარცხით დამთავრდა. საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხი ინგ-
ლისის ულტიმატუმს არ შეუშინდა.

დეტალურად იხილავდა რა ულტიმატუმს და მასში მოცე-
მულ ბრალდებათა უსაფუძვლობას, საბჭოთა მთავრობა საპა-
სუხო ნოტაში წერდა, რომ ორივე მთავრობას შორის მუდმივ
უთანხმოებათა და გაუგებრობათა მიზეზს ანტანტის გარკვე-
ული წრეები წარმოადგენდნენ, რომლებსაც არ სურთ საბჭო-
თა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. საბჭო-
თა კავშირის საპასუხო ნოტაში ცალ-ცალკე და დეტალურად
იყო განხილული ინგლისის მთავრობის ულტიმატუმის ცალკე-
ული მუხლი. საბჭოთა მთავრობამ უარყო კერზონის პროვოკა-
ციული ულტიმატუმი, ხოლო თავისი საპასუხო ნოტის ბოლოს
საბჭოთა მთავრობა ინგლისის მთავრობას სთავაზობდა მოეწ-
ვიათ ავტორიტეტული კონფერენცია და იქ გაერკვიათ არა
მარტო ინგლისის მთავრობის ულტიმატუმში აღძრული საკით-
ხები, არამედ საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის ნორმა-
ლური ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყა-
რების საკითხი. როგორც გენუის კონფერენციის წინ, ამჟამა-
დაც საბჭოთა მთავრობის პოზიცია საბჭოთა ხალხის და მსოფ-
ლიოს მშრომელი მასების მთლიან მხარდაჭერას პოულობდა.

ინგლისის იმპერიალისტებს უკანდახევა მოუხდათ. საბჭო-
თა მთავრობა კი, რომელიც თავის სამშვიდობო საგარეო პო-
ლიტიკას ატარებდა, გამარჯვებული გამოვიდა მსოფლიო
საზოგადოებრივი აზრის წინაშე, ხოლო ინგლისის იმპერია-
ლიზმი მხილებულ იქნა. მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით კი
იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობები, სულ უფრო
რწმუნდებოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა აუცი-
ლებელი იყო საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემების
გადაჭრაში.

ცხოვრებამ დაადასტურა ლენინური საგარეო პოლიტიკის
სისწორე. კაპიტალისტური სახელმწიფოები თანდათანობით
დაადგნენ საბჭოთა კავშირის ცნობის გზას. ამის მიზეზი უწი-
ნარეს ყოვლისა იყო საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცება.
საბჭოთა ქვეყნის შინაგანი ძალები არათუ არ ამოიწურა,
როგორც ამას იმპერიალისტები ფიქრობდნენ, არამედ გაიზარ-

და და კიდევ უფრო ძძლავრი გახდა, საკმარისი გახდა -ინტერვენტების განადგურების შემდეგ გასული სულ რაღაც 2 წელი, რომ სოფლის მეურნეობამ, მრეწველობამ, ვაჭრობამ აღდგენა იწყო.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლის პირველ-სავე წლებმა მიგვიყვანა მნიშვნელოვან წარმატებამდე. უკვე 1922 წელს საბჭოთა მთავრობამ პროდუქტებით დააკმაყოფილა მოსახლეობის მოთხოვნილება, შეძლო 20 მლნ ფუთი მარცვლის გატანა. 1922 წლის განმავლობაში ქვანახშირის მოპოვება გაიზარდა 18%, ნავთისა — 15%; გაიზარდა მრეწველობის პროდუქცია, საწარმოებში ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა საგარეო ვაჭრობის ბრუნვა.

იმპერიალისტები ვარაუდობდნენ, რომ ლენინის სიკვდილი არეულობას შეიტანდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში, მაგრამ ისინი შეცდნენ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყანა ახალი-ახალი გამარჯვებებით სოციალიზმის მშენებლობის გზაზე მიდიოდა.

საბჭოთა ქვეყნის სიძლიერის ზრდა, სამხედრო ინტერვენციისა და ბლოკის ლიკვიდაცია, სამეურნეო ნგრევისა და ვოლგისპირეთში მოუსავლიანობისა და შიმშილის გამოყენების ცდის მარცხი, „კერზონის ულტიმატუმის“ წარუმატებლობა — ყოველივე ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ საბჭოთა სახელმწიფოს დამარცხება არც იარაღით, არც ეკონომიური და დიპლომატიური ზეგავლენით არ შეიძლებოდა. დადგა დრო, როცა კაპიტალისტური სახელმწიფოები ნახევრად ცნობიდან საბჭოთა კავშირის სრულ ცნობაზე და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე გადავიდნენ. ამას მოითხოვდა სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება, კაპიტალისტების ეკონომიური ინტერესები, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი. ამისათვის იმპერიალისტებს საბჭოთა კავშირის მზარდი საერთაშორისო მნიშვნელობა აიძულებდა.

1924 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის იურიდიულ ცნობაზე და სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილების შემდეგ, საბჭოთა მთავრობის მასობრივად ცნობა დაიწყო.

თებერვალში საბჭოთა კავშირი ცნო იტალიამ და ავსტრიამ, მარტში — შვეციამ და ნორვეგიამ, მაისში შეთანხმება ხელმოწერილ იქნა ჩინეთთან, ივლისში — ალბანეთთან, სექტემბერში — უნგრეთთან და ა. შ.

1924 წლის ოქტომბერში ევროპაში ერთ-ერთმა დიდმა ქვეყანამ — საფრანგეთმა, რომელიც ყველაზე უფრო აგვიანებდა საბჭოთა კავშირის ცნობას, მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. 1925 წელს ხელშეკრულება დადებულ იქნა იაპონიასთან. მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნებიდან მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები იყო სასტიკი წინააღმდეგი საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა. კიდევ მეტი, ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობდნენ მსოფლიოს რეაქციულ ძალებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ სსრ კავშირთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ინგლისთან, საფრანგეთთან და ჩინეთთან ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე წინააღმდეგობის მიუხედავად იქნა მიღებული. მაგალითად, ამერიკა ოფიციალურად ერეოდა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკებაში. მან ჩინეთის მთავრობა „გააფრთხილა", რომ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას და მასთან შეთანხმებას შეიძლებოდა „საერთაშორისო გართულებები" მოჰყოლოდა. ამერიკის ასეთმა მოქმედებამ დააშინა მაშინდელი რეაქციული, უცხოეთის იმპერიალისტებზე სავსებით დამოკიდებული ჩინეთის მთავრობა და ჩინეთმა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ ერთხანს შეწყვიტა მოლაპარაკება.

საბოლოოდ, ჩაიშალა დასავლეთის იმპერიალიზმის ანტისაბჭოთა გეგმები როგორც გენუის, ისე ჰაგის კონფერენციაზე. საბჭოთა დიპლომატიამ მტკიცედ დაიცვა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესები. მტკიცე იყო საბჭოთა დელეგაციის პოზიცია ლოზანას კონფერენციაზეც. ამ კონფერენციებზე საბჭოთა დელეგაციამ მთელ მსოფლიოს გააცნო

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინციპები. ყოველივე ეს ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას.

* * *

ამრიგად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა თანმიმდევრულ სამშვიდობო, საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას ატარებდა, რომლის მიზანი იყო ყველა ქვეყანასთან ნორმალური პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარება. საბჭოთა მთავრობას ამ ურთიერთობის საფუძვლად სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიანობა, ურთიერთგაგება, ურთიერთსარგებლობა და ერთმანეთის შინაგან საქმეებში ჩაურევლობა მიაჩნდა.

ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულ იქნა ვ. ი. ლენინის ნაშრომებში, კომუნისტური პარტიის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებში.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ყველა მეომარი სახელმწიფოს მთავრობას წინადადებით მიმართა — დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ომი და საყოველთაო დემოკრატიული, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი დაედოთ, მაგრამ საბჭოთა მთავრობის ეს სამართლიანი მოთხოვნა იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველმა წრეებმა არ მიიღეს, რადგან ისინი ომის გაგრძელებაში დიდ მოგებას ხედავდნენ.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის ზავი აუცილებელი იყო. იგი აუცილებელი იყო დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, ქვეყნის შეიარაღებული ძალების შექმნისა და საერთოდ ომით დაღლილი და დასუსტებული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის.

რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით შე-

შინებულმა და გაცოფებულმა საერთაშორისო ბურჟუაზიამ, განსაკუთრებით ანტანტის სახელმწიფოების ბურჟუაზიამ თავიდანვე მტრული პოზიცია დაიკავა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ. პირველ ხანებში იგი მხარს უჭერდა რუსეთის თეთგვარდიელთა კონტრრევოლუციურ ძალებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ხოლო უფრო გვიან ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიისა და სხვა სახელმწიფოების იმპერიალისტურმა წრეებმა, საბჭოთა ხელისუფლების ჩახშობის, რუსეთში კაპიტალისტური წყობილების აღდგენის, რუსეთის დაკაბალების მიზნით ანტისაბჭოთა შეიარაღებული ინტერვენცია მოაწყვეს. ყველა ამ ანტისაბჭოთა ინტერვენციის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ამერიკის იმპერიალიზმი.

საბჭოთა ხალხმა, ახალგაზრდა წითელმა არმიამ კომუნისტური პარტიის მეთაურობით ჩაშალა უცხოელი იმპერიალისტებისა და მათი ადგილობრივი აგენტების გეგმები, დაიცვა თავისი სამშობლოს ღირსება, ოქტომბრის რევოლუციით მოპოვებული თავისუფლება, ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობა.

ანტანტის ანტისაბჭოთა შეიარაღებული ინტერვენციიდან და სამოქალაქო ომიდან საბჭოთა ხელისუფლება გამარჯვებული გამოვიდა. 1921 წლის გაზაფხულისათვის საბჭოთა რუსეთის თითქმის მთელი ტერიტორია განთავისუფლებულ იქნა უცხოელი ინტერვენტებისაგან. რჩებოდა მარტო შორეული აღმოსავლეთი, სადაც ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა იაპონელი ინტერვენტების ოკუპაციას, მაგრამ ესეც უკვე დღეების საკითხი იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური მმართველი წრეები რუსეთში არა მარტო თვითონ არ ცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინათ საბჭოთა რესპუბლიკასთან. ანტისაბჭოთა სამხედრო ინტერვენციის კრახის შემდეგ დასავლეთის იმპერიალისტები ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას პოლიტიკური იზოლაციის და ეკონომიუ-

რი და ფინანსური ბლოკადის საშუალებით, მაგრამ მათი ცდაც მარცხით დამთავრდა.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში საბჭოთა რუსეთის მთავრობა, კომუნისტური პარტია თანმიმდევრულ და აქტიურ ბრძოლას განაგრძობდნენ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეების საბჭოთა რუსეთისადმი მტრული მოქმედების მიუხედავად, საბჭოთა მთავრობა სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთმეგობრობისათვის, ორი სისტემის თანაარსებობისა და მათ შორის ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულებისათვის ენერგიულ ბრძოლას ეწეოდა. საბჭოთა რუსეთის მთავრობა ცდილობდა ყველა სადავო საკითხი მოლაპარაკების გზით მოეგვარებინა. ასეთი პოლიტიკის გატარების გზაზე კაპიტალისტური სახელმწიფოებიდან, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებიდან საბჭოთა მთავრობა დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

მიისწრაფვოდა რა ყველა სახელმწიფოსთან ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის დამყარებისაკენ, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მზადყოფნა განაცხადა განსაზღვრულ პირობებში ეცნო ომამდელი ვალები, თუკი დასავლეთის დიდი სახელმწიფოები მასთან ნორმალურ ურთიერთობას დაამყარებდნენ, რუსეთში ოფიციალურად ცნობდნენ საბჭოთა მთავრობას.

გენუისა და ჰააგის კონფერენციების ჩაშლის მიუხედავად ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატიამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა: 1) გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე საბჭოთა რუსეთის მიწვევა, სოციალისტური სახელმწიფოს მიმართ კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ეკონომიური და პოლიტიკური ბლოკადის პოლიტიკის კრახს ნიშნავდა, 2) გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობა, მასთან კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობების წარმომადგენელთა მოლაპარაკებები, კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობების მხრიდან რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების ფაქტიურ ცნობას ნიშნავდა, 3) თვით ის ფაქტი,

რომ გენუისა და ჰაგის კონფერენციებზე წარმოდგენილი იყო საბჭოთა რუსეთი, ევროპისა და მსოფლიო საკითხების გადაჭრის საქმეში რუსეთის მონაწილეობის აუცილებლობის აღიარებას ნიშნავდა, 4) გენუისა და ჰაგის კონფერენციების ჩაშლა საბჭოთა რუსეთის ეკონომიური დაკაბალების იმპერიალისტური გეგმების ჩაშლასაც უდრიდა. იგი საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის გამარჯვება იყო, 5) საბჭოთა დელეგაციამ, ამ კონფერენციებზე თავისი თანმიმდევრული ლენინური პოლიტიკით, დიდი მარცხი მიაყენა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ფრონტს, 6) გენუისა და ჰაგის კონფერენციებზე კიდევ ერთხელ ცხადი გახდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის უპირატესობა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა რეაქციული პოლიტიკის წინაშე, 7) გენუის და ჰაგის კონფერენციების შემდეგ უფრო გაღრმავდა და გამწვავდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობები გასაღების ბაზრების, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალდაბანდების სფეროებისათვის.

საერთაშორისო რეაქციული ძალების ყველა ბოროტი ცდა საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ ჩაიშალა. მათ ვერ შეძლეს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა ვერც კონტრრევოლუციური ძალების საშუალებით და ვერც შეიარაღებული ინტერვენციის შედეგად, თავიანთ სასარგებლოდ ვერ შეძლეს რუსეთში პროდუქტების სიძნელეებისა და ვოლგისპირეთში მოუსავლიანობის გამოყენება. გენუისა და ჰაგის კონფერენციებზე ჩაიშალა საბჭოთა რუსეთის დაკაბალების იმპერიალისტური გეგმები. გაიმარჯვა იმ ძალებმა, რომლებიც საბჭოთა რუსეთთან ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას მოითხოვდნენ. 1921—1922 წწ. საბჭოთა რუსეთსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ხდება სავაჭრო ხელშეკრულებების დადება, ხოლო 1923—1924 წწ. კი — დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. საბჭოთა კავშირი მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას.

• • •

მაშასადამე, განიარაღების ლოზუნგი და ორი სხვადასხვა სოციალური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და მათ შორის თანამშრომლობის შესახებ მოძღვრება პირველად ვ. ი. ლენინმა წამოაყენა, ხოლო პირველი სრული და ნაწილობრივი განიარაღების და ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ წინადადება ჯერ კიდევ 1922 წელს გენუის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირმა შეიტანა. საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა წინადადებას, რომელიც 1960 წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა მთავრობამ შეიტანა, ლენინური პრინციპები ედვა საფუძვლად. აღნიშნულმა პრობლემებმა თანამედროვე ეტაპზე ახალი განვითარება ჰპოვა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, სკკპ ახალ პროგრამაში. ცხოვრებამ დაადასტურა ლენინური საგარეო პოლიტიკის სისწორე.

თანამედროვე ეპოქის კომუნისტურ მანიფესტში — სკკპ ახალ პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იცავდა და იცავს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. როგორც სკკპ გვასწავლის მშვიდობისათვის ბრძოლა. სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელებისათვის, იმპერიალიზმის, ახალი ომების წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა.

მშვიდობიანი თანაარსებობის ვითარებაში უკანასკნელი წლების მანძილზე მოპოვებულია ახალი დიდმნიშვნელოვანი გამარჯვებები, პროლეტარიატის კლასობრივ და ხალხთა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში წარმატებით ვითარდება მსოფლიო რევოლუციური პროცესი. ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რომლებმაც ჩვენი პარტიის დოკუმენტებში ჰპოვეს განვითარება, კვლავ განუხრელად რჩება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გენერალურ კურსად.

ძირითადი ლიტერატურა და წყაროები

კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I და II.

ვ. ი. ლენინი — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობა, 1917 წ. 3—24 ივნისი (16 ივნისი — 7 ივლისი), თხზ., ტ. 25.

ვ. ი. ლენინი — კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას, თხზ., ტ. 25.

ვ. ი. ლენინი — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა. 1917 წ. 25—26 ოქტომბერს (7—8 ნოემბერს), თხზ., ტ. 26.

ვ. ი. ლენინი — მოხსენება ზავის შესახებ 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს), თხზ., ტ. 26.

ვ. ი. ლენინი — სიტყვა სამხედრო ფლოტის სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე 1917 წ. 22 ნოემბერს (15 დეკემბერს), საოქმო ჩანაწერი, თხზ., ტ. 26.

ვ. ი. ლენინი — ბედუკულმართი ზავის საკითხის ისტორიისათვის, თხზ., ტ. 26.

ვ. ი. ლენინი — უცნაური და შემზარავი, თხზ., ტ. 27.

ვ. ი. ლენინი — წერილი ამერიკელ მუშებს, თხზ., ტ. 28.

ვ. ი. ლენინი — სიტყვა მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა კონფერენციაზე 1919 წ. 16 აპრილს, თხზ., ტ. 29.

ვ. ი. ლენინი — პასუხი ამერიკული „გაზეთის“ კორესპონდენტის კითხვებზე, თხზ., ტ. 30.

ვ. ი. ლენინი — რკპ(ბ) IX ყრილობა 1920 წ. 29 მარტი — 5 აპრილი, თხზ., ტ. 30.

ვ. ი. ლენინი — ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები (სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე, 1920 წ. 21 ნოემბერს), თხზ., ტ. 31.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — რკპ(ბ) X ყრილობა, 1921 წ. 8 — 16 მარტი, თხზ., ტ. 32.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენცია, 1921 წ. 26—28 მაისი, თხზ., ტ. 32.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის, თხზ., ტ. 33.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობა, 1921 წ. 23—28 დეკემბერი, თხზ., ტ. 33.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. სიტყვა მელითონეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე 1922 წლის 6 მარტს, თხზ., ტ. 33.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — რკპ(ბ) XI ყრილობა, 1922 წ. 27 მარტი — 2 აპრილი, თხზ., ტ. 33.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდა, თხზ., ტ. 33.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — პროექტი სრ. რუს. ცაკის დადგენილებისა გენუის კონფერენციის დელეგაციის ანგარიშის გამო, თხზ., ტ. 33.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — ინტერვიუ „ობსერვერის“ და „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპონდენტ ფარბმანს, თხზ., ტ. 33.

Дзержинский И. Э. — «Избранные статьи и речи», М., 1947.

Жданов А. А. — О международном положении, М., 1947.

Калинин М. И. — Статьи и речи (1919—1953), М., 1936.

Киров С. М. — Избранные статьи и речи, М., 1957.

Куйбышев В. В. — Статьи и речи, М., 1937.

Орджоникидзе Г. К. — Избранные статьи и речи, М., 1939.

Свердлов Я. М. — Избранные статьи и речи, М., 1944.

სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, თბილისი, 1954 წ. ნაწ. 1.

სკკპ ისტორია, თბილისი, 1958 წ.

Фостер Уильям З. — Закат мирового капитализма, М., 1961.

სკკპ XII ყრილობის მასალები, თბ., 1962 წ.

ტ ო რ ე ზ ი ვ. — ხალხის შვილი, თბილისი, 1955 წ.

ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავი, თბილისი, 1957 წ.

ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი — საუბარი ამერიკელ ჟურნალისტებთან ჰერსთან, კინგებერი სმიტთან და ფ. კონიფთან 1955 წ. 5 თებერვალი „კომუნისტი“, 1955 წ. 6 თებერვალი.

ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ც. კ-ის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას, თბილისი, 1956 წ.

ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი — მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ. გაზ. „კომუნისტი", 1959 წ. 8 სექტემბერი.

ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ, მოხსენება სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე. თბილისი, 1959 წ.

Э р к о л и К. — Грамши и Компартия Италии, М., 1937.

Коммунистический Интернационал в документах 1919—1932. М., 1933.

გამოუქვეყნებელი დოკუმენტები:

Партийный архив Грузинского филиала Института марксизма-ленинизма при ЦК КПСС (ПА ГФ ИМЛ), ф. 13, д. 18, ф. 14, д. 25, 45; ф. 678, ф. 54; ф. 281, д. 27, д. 99.

Центральный Государственный архив Октябрьской революции и социалистического строительства ГССР (ЦТАОРСС ГССР); ф. 284, д. 24; ф. 600, д. 60.

* *

Англо-советские отношения 1921 НКИД, М., 1934.

Внешняя политика СССР. Сборник документов (1917—1924), т. I, II, М., 1944.

Гаагская конференция. Полный стенографический отчет. М., 1922.

Генуэвская конференция (Стенографический отчет. Материалы и документы. Выпуск I, М., 1922.

Годовой отчет НКИД к IX съезду Советов (1920—1921), М., 1921.

Девятый Всероссийский съезд Советов рабочих, крестьянских и казачьих депутатов. Стенографический отчет (22—27 декабря 1921 г.), М., 1922.

Десять лет Советской дипломатии (акты и документы), НКИД, М., 1927.

Документы внешней политики СССР, т .I, II, III, М., 1957—1959 гг.
Материалы Генуэзской конференции (подготовка, отчеты заседаний работы комиссий, дипломатическая переписка и пр.), М., 1922 г.
Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях. ч. II. От империалистической войны до снятия блокады с Советской России. М., 1926 г., ч. III.—от снятия блокады с Советской России до десятилетия Октябрьской революции, выпуск I, Акты Советской дипломатии, М., 1913 г.
Международная политика РСФСР в 1922 г. Отчет Народного Комиссариата по иностранным делам. М., 1923.
Советский Союз в борьбе за мир. Сборник документов (за 1917—1927 гг.), М.-Л., 1929.
Айрапетян М., Кабанов П. — Ленинские принципы внешней политики Советского государства, М., 1957.
Бекер С., Будро Вильсон — Мировая война, Версальский мир. М.-Петр., 1923.
Волков Ф. Д. — Крах английской политики интервенции и дипломатической изоляции Советского государства (1917—1924 гг.), Госполитиздат, М., 1954.
Воровский В. В. — Статьи и материалы по вопросам внешней политики, М., 1959 г.
Выгодский С. Ю. — Ленинский декрет о мире, Л., 1958.
Гулига А., Геронимус А. — Крах антисоветской интервенции США в 1918—1920 гг.. М., 1952 г.
Д'Аберион — Посол мира. Страницы из дневника лорда Д. Абериона (Берлин. 1920—1926 годы), т. I, от Спа (1920) до Роппалло, М., (1922), 1951.
Деборин Г. А. — Ленинский принцип мирного сосуществования, М., 1958.
Иванов Л. Н. — Международные конференции и договора, Харьков, 1933.
Ивашин И. Ф. — Международные отношения и внешняя политика СССР в 1922—1924 гг. М., 1953 г.
Иванов С. А. — Принцип мирного сосуществования, М., 1958.

Иоффе А. А. (В. Крымский) — Генуэвская конференция, М., 1922 г. (В. Крымский).

История дипломатии под редакцией ак. Потемкина, т. II, III, М.-Л., 1945 г.

Как изменился мир за 40 лет. «Мировая экономика и международные отношения», 1957 г., № 1, стр. 129—139.

კაჭარავა ი. მ. — საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბილისი, 1958.

Коровин Е. А. — Основные проблемы современных международных отношений. М., 1959.

Купина А. Е. — Провал американских планов завоевания мирового господства в 1917—1920 гг. М., 1947.

Лагард Э. — Признание советского правительства. Перев. с Франц. НКИД., 1925.

Ллоид Джордж Д. — Мир ли это? Перевод с англ. Л.-М., 1924.

Ллоид Джордж Д. — Европейский хаос, Л.-М., 1924.

Литвинов М. М. — Внешняя политика СССР, М., 1937 г.

Майский И. М. — Международная политика РСФСР 1917—1922 гг.

Нитти Ф. — Европа без мира, П.-М., 1923.

От Вашингтона до Генуи (Сборник статей), М., 1922.

Павлович И. — Русский вопрос в английской внешней политике (1922—1924), М., 1924.

Ратенау В. — Генуа и Канны. М., 1923.

Рубинштейн Н. Л. — Внешняя политика советского государства в 1921—1925 гг., М., 1953 г.

Репарационный вопрос и военные долги. Сборник документов, М., 1938 г.

საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა, თბილისი, 1922 წ.

Советская Россия и капиталистический мир в 1917—1923 гг. М., 1957 г.

სურგულაძე აკ. — ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1918 წწ.), თბილისი, 1957 წ.

ტაბაღუა ი. — ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა, „საქართველოს კომუნისტი", 1956, № 8.

Тарле Е. В. — Европа в эпоху империализма 1871—1919 гг., Москва—Ленинград, 1928.

Фитуни Л. — Экономические и политические основы мирного сосуществования. «Мировая экономика и международные отношения», 1957 г., № 5.

Хвостов В. М. — Основные этапы внешней политики Советского государства за 40 лет. «Новая и новейшая история», 1957, № 4.

Штейн Б. Е. — Генуевская конференция, М., 1922.

Штейн Б. Е. — Гаагская конференция, М., 1922.

Штейн Б. Е. — «Русский вопрос» в 1920—1921 гг.

შინაარსი

თავი პირველი

საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის

ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები 3

საბჭოთა რუსეთის ბრძოლა მშვიდობისათვის სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში . . . 25

თავი მეორე

ანტისაბჭოთა ერთიანი ფრონტის შექმნის ჩაშლა გენუის კონფერენციის წინ

გენუის კონფერენციის მოწვევის საკითხი და დიდ სახელმწიფოთა პოზიციები 45

საბჭოთა რუსეთის მზადება გენუის კონფერენციისათვის . . 75

თავი მესამე

გენუის კონფერენცია

კონფერენციის დაწყება და სახელმწიფოთა პოზიციები . . 88

იმპერიალისტების კაბალური პირობები 101

საბჭოთა დიპლომატიის წარმატებები გენუის კონფერენციაზე . 106

ქართველი მენშევიკებისა და სასულიერო წოდების კონტრრევოლუციური გეგმების ჩაშლა 140

თავი მეოთხე

ჰაგის კონფერენცია

დასავლეთის სახელმწიფოების ანტისაბჭოთა გეგმები . . 163

ანტისაბჭოთა იმპერიალისტური გეგმების ჩაშლა ჰაგის კონფერენციაზე და სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდა კონფერენციის შემდეგ 180

ძირითადი ლიტერატურა და წყაროები 199

გამოუქვეყნებელი დოკუმენტები 201

რედაქტორი დ. გეგენავა
მხატვარი დ. ზარაფიშვილი
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი
ტექრედაქტორი ე. აბდუშელიშვილი
კორექტორები: პ. ღელეყვა, ნ. მიქელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VII-64 წ. ქაღალდის
ზომა 84×108 1/32. ნაბეჭდი თაბახი 10,45.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 9,57.
უე 00617, ტირაჟი 1.000. შეკვ. № 32.
ფასი 88 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

Иосиф Лаврентьевич Чикава

Крах антисоветской политики на Генуэзской и Гаагской конференциях

(На грузинском языке)

Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.
1964